avtoris stili daculia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ნათია ფიფია

ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში – ბერძნული ახალშენები (გენეზისი, ისტორია)

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თედო დუნდუა**

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2013

სარჩევი

შესავალი 3

თავი I. წყაროები და ლიტერატურა 5

ა) ნარატიული წყაროები 5

ბ) ეპიგრაფიკა 13

გ) ნუმიზმატიკა 16

დ) კერამიკული ნაწარმი 19

ე) ისტორიოგრაფია 21

თავი II. ელინური ექსპერიმენტის დასაწყისი კოლხეთის სანაპიროზე – ბერძნული კოლონიზაციის მიზეზები და მიზნები 34

თავი III. პოლისი, აპოიკია, ემპორია, კლერუხია 61

თავი IV. ფაზისი – გენეზისი, ისტორია (ძვ. წ. VI-I სს.) 73

თავი V. დიოსკურია – გენეზისი, ისტორია (ძვ. წ. VI-I სს.) 94

თავი VI. გიენოსი – სეზონური ემპორიონი 119

თავი VII. ფიჭვნარი – გენეზისი, ისტორია (ძვ. წ. VI-II სს.) 127

თავი VIII. ელინური ექსპერიმენტის დასასრული და მისი შედეგები დასავლეთ საქართველოში 161

დასკვნა 180

გამოყენებული ლიტერატურა **194**

შესავალი

დასავლეთ საქართველოში ბერძნული კოლონიზაციის საკითხი შესწავლის საგანი არაერთგზის გამხდარა ისტორიოგრაფიაში. ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა კოლხეთის ტერიტორიის ბერძნული კოლონიზაცია საერთობერძნული საკოლონიზაციო მოძრაობის ჭრილში. პირველ რიგში, ჩვენი ინტერესის საგნებია:

1) როდის, როგორ და რა ვითარებაში დაარსდა ბერძნული ახალშენები საქართველოს ზღვისპირეთში – ანუ კოლონიების გენეზისის როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული მიზეზები. განსაკუთრებით – რა მიზნები ამოძრავებდათ ბერძნებს და ჰქონდათ თუ არა ინტერესი კოლხებს აქ ბერძნული კოლონიების დაარსებისა.

2) როგორ ვითარდებოდნენ ბერძნული კოლონიები დასავლეთ საქართველოში, რა სახის ეკონომიკური ურთიერთობა შეიძლებოდა ჰქონოდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან – რითი ვაჭრობდნენ და რას აწარმოებდნენ.

3) ბერძნული კოლონიების კვდომის მიზეზები – რამდენად იყო ეს დაკავშირებული საგარეო იმპულსებთან ან ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი ურთიერთობით.

4) ბერძნული კოლონიების სტატუსი დასავლეთ საქართველოში – რამდენად შესაძლებელია, რომ ეს ახალშენები იყო პოლისები, ემპორიონები ან კლერუხიები.

გარდა ამისა, შევისწავლეთ რიგი საკითხებისა, რომელთაც ნაკლები ყურადღება ეთმობოდა აქამდე ისტორიოგრაფიაში, მაგ., ნენსკრა-ენგურის არტერიის მაგალითზე განხილულია თუ როგორ, რა ხერხებით უნდა გაზიდულიყო ხე-ტყე ბერძნების მიერ დასავლეთ საქართველოდან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პიტიუნტის/ბიჭვინთის სტატუსი, როგორც ბერძნული კოლონიისა, დღეისათვის არსებული მონაცემებით საგრძნობლად საეჭვოა. ამრიგად, ნაშრომში ჩვენ ამ საკითხს არ შევეხებით.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ზოგადად ბერძნული კოლონიზაციის მიზეზები და შედეგები. დასავლეთ საქართველოში ბერძნული ახალშენების დაარსების ზოგადი კონტექსტი. ასევე, ზოგადად რა სტატუსი შეიძლებოდა სხვადასხვა დროს ჰქონოდა ბერძნულ კოლონიებს. ნაშრომის მესამე-მეხუთე თავებში ცალცალკე განხილულია კოლხეთის სხვადასხვა ბერძნული

ახალშენის (ფაზისი, დიოსკურია, გიენოსი, ფიჭვნარი) გენეზისის მიზეზები და ისტორია.

ნაშრომის ბოლო ნაწილში განხილულია კოლხეთის ბერძნული კოლონიების დაკნინების და კვდომის მიზეზები და შემდეგ ამ პროცესებით გამოწვეული შედეგები.

ა) წყაროები და ისტორიოგრაფია

თავდაპირველად განვიხილავთ პირველწყაროებს. ეს წყაროები, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, უკვე შესწავლილია მათი გამომცემლების მიერ, შესაბამისად, ჩვენ მათი ზოგადი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების შესახებ ყურადღებას არ გავამახვილებთ. გვაინტერესებს მხოლოდ ჩვენი საკვლევი თემატიკისთვის ამ წყაროებს რა ***ღირებულება*** და ***ნაკლი*** გააჩნია მათი ***წარმოშობიდან*** და ***მიზნიდან*** გამომდინარე. სულ ანტიკური პერიოდის დასავლეთ საქართველოს შესახებ 40-მდე ბერძენი თუ რომაელი ავტორი გვაწვდის ინფორმაციას, აქედან ჩვენ მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ ავტორებს და თხზულებებს, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ.

ა) ნარატიული წყაროები

ჰეკატეოს მილეტელი (ძვ. წ. VI-V სს.). ჰეკატეოსის ცნობების ღირებულებას ჩვენთვის წარმოადგენს ის, რომ მასთან მოხენიებულია ფაზისი, თუმცა არ ჩანს მისი სტატუსი – არის თუ რა ის ქალაქი. ასევე საინტერესოა ზოგადი კონიუნქტურა, რომელიც ჰეკატეოსის მიხედვით ჩანს დასავლეთ საქართველოში – კორაქსები, კოლები და სხვა ტომები დასახელებული არიან, მაგრამ „ელინური“ ქალაქები არსად არ არის მოხსენიებული (Латышев 1947).

ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.). ჰეროდოტეს უშუალოდ დასავლეთ საქართველოს არცერთი ქალაქი არ დაუსახელებია, თუმცა მისი ცნობები მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმით, რომ ვიგებთ ბერძნების წარმოდგენის შესახებ, თუ რა იყო ევროპა და რა აზია, შესაბამისად, ზოგადად, ბერძენთა აზრით, სანამდე შეიძლებოდა გავრცელებულიყო ელინთა დასახლებანი და შედიოდა თუ არა ევროპის ნაწილში დასავლეთ საქართველო (ყაუხჩიშვილი 1975).

ქსენოფონტე (ძვ. წ. V-IV ს.). ქსენოფონტეს ანაბაზისის უპირველესი ღირებულება ჩვენთვის ისაა, რომ ამ წყაროდან ვიგებთ საბერძნეთსა და კოლხეთს შორის მონათვაჭრობის არსებობის შესახებ (Xenoph. Anab. IV, 8, 4-5). მაგრამ თავად წყარო არ გვაძლევს სრულ სურათს, მონებს თავად კოლხები ყიდიდნენ, თუ ბერძნებს მიჰყავდათ ძალით. ასევე ამ წყაროს ღირსებას ჩვენი კვლევისთვის წარმოადგენს

ტრაპეზუნტის, კერასუნტის და კოტიორას ელინურ ქალაქებად მოხსენიება, რაც კომპარატივისტიკის მეთოდით კვლევისას შავიზღვისპირეთში ელინურ ქალაქებად მოხენიებული ქალაქების სტატუსის გარკვევისთვის საინტერესო ინფორმაციას წარმოადგენს. ნაკლი, სამწუხაროდ, ისაა, რომ ქსენოფონტე მხოლოდ სამხრეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე მოგზაურობდა თავისი მიზნიდან გამომდინარე, მას არ უწევდა გზად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გავლა და, შესაბამისად, არც მისი აღწერა მოუცია (Xenoph. Anab. IV, 8, 22; V, 3, 2-3; V, 5, 3) აქედან გამომდინარე, რამდენად ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ კომპარატივისტული მეთოდი, დაზუსტებით ძნელია თქმა (მიქელაძე 1967).

არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.). არისტოტელესთან დაცულია ცნობა, რომ სწორედ მილეტელებმა დაარსეს შავიზღვისპირეთში ბრწყინვალე ქალაქები და იქვეა მინიშნებული ისიც, რომ შემდეგ ისინი, ყველანი, უკან მილეტში გაიქცნენ ისევ. ამ წყაროს ნაკლი ისაა, რომ არისტოტელე მილეტელების უკან „გაქცევის“ მიზეზს არ უთითებს და, შესაბამისად, თავსატეხად ტოვებს საკითხს, თუ რა იგულისხმება ამ „გაქცევაში“ – ათენელების მიერ მილეტელების გამოდევნა და აქ თავისი ჰეგემონობის დამყარება, თუ მილეტელების მიერ თავისი ნებით ამ მიდამოების დატოვება იმ მიზეზით, რომ მათი მცდელობა აქ ქალაქის დაარსებისა, ჩავარდა. არისტოტელესთან შემონახულია ასევე მნიშვნელოვანი ცნობა ფაზისელთა პოლიტეიის შესახებ (ყაუხჩიშვილი 1969[1]).

ჰერაკლიდე (ძვ. წ. IV ს.). ჰერაკლიდეს დამსახურებით ჩვენთვის ცნობილია ინფორმაცია, რომ ფასისი დაარსეს მილეტელებმა. ასევე მან შემოგვინახა ცნობა იმის თაობაზე, რომ გემდაღუპულებს ფასისელები აძლევდნენ 3 მნას. ნაკლი ამ ცნობისა ისაა, რომ არ ჩანს ზუსტად როდის დაარსეს მილეტელებმა ფასისი ან კიდევ 3 მნას ფასისელები გემდაღუპულებს ჩუქნიდნენ თუ დროებით სესხად აძლევდნენ. შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, ფასისელები ვალდებულები იყვნენ მილეტელებს დახმარებოდნენ თუ მათთან არსებობდა სავახშო კაპიტალი. ამ ცნობის სიზუსტე მეტ სიცხადეს შეიტანდა ჩვენთვის საინტერესო საკითხებში. მისი ფრაგმენტულობის გამო, იგი არასრულ ინფორმაციას გვაწვდის. თუმცა, სიღრმისეული შესწავლის შედეგად შესაძლებელია გარკვეული მოსაზებების გამოთქმა (ყაუხჩიშვილი 1969). ამ ცნობასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ შესაძლოა ესეც არისტოტელეს მიეკუთვნებოდეს,

ამიტომაც ზოგჯერ ფსევდო არისტოტელედაც მოიხსენიებენ, თუმცა მას უფრო ჰერაკლიდეს მიაწერენ და ჩვენც ვარჩიეთ, ცალკე მოგვეხსნიებინა.

ფსევდო-სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. IV ს.). ფსევდო-სკილაქსის ცნობების ღირებულებას ჩვენთვის წარმოადგენს ის, რომ იგი იხსენიებს დიოსკურიას, ელინურ ქალაქებს გიენოსსა და ფასისს. აქედან ჩანს, რომ ფსევდო-სკილაქსის, ან მისი წყაროების[1] დროისთვის გიენოსი და ფასისი ელინური ქალაქები არიან. მართალია, ზუსტად ტერმინ „ელინურის“ განსაზღვრება სკილაქსის მიხედვით არ ჩანს, რაც შეიძლება წყაროს ნაკლად ჩაითვალოს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ სხვა რომელი ქალაქები მოიხსენია მან ელინურად (აპოლონია, მესემბრია, თეოდოსია, თემისკირა, ჰერაკლეა და სხვ.), შედარების გზით შეგვიძლია დავადგინოთ, რას გულისხმობს ის დეფინიციაში – „ელინური“. ამ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ ისეთ ქალაქს, როგორიცაა ქალკედონია, სკილაქსი იხსენიებს მხოლოდ ქალაქად და მის ელინურობაზე არ საუბრობს. საინტერესოა ისიც, რომ დიოსკურია მასთან ასევე მხოლოდ ქალაქია, განსხვავებით გიენოსისა და ფასისისგან, რომლებიც ელინურ ქალაქებად არიან მოხსენიებული. ეს ფაქტი გვაძლევს საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას (ყაუხჩიშვილი 1967).

ჰიპოკრატე (ძვ. წ. IV ს.). ავტორი თავის თხზულებაში *„ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“* გვაწვდის ცნობებს ფაზისელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რა პირობებში ცხოვრობდნენ ფაზისელები იმხანად და შესაბამისად, რამდენად შესაძლებელია, რომ მათ მასიურ ავადმყოფობას გავლენა მოეხდინა მათ ეკონომიკურ საქმიანობაზე. ამ ავტორის ცნობების ღირსებასაც ჩვენი კვლევისთვის სწორედ ეს წარმოადგენს (ყაუხჩიშვილი 1965).

სკიმნოს ქიოსელი (ძვ. წ. II ს.). სკიმნოს ქიოსელისთვის შავიზღვისპირეთში არ არსებობს ელინური ქალაქი, გარდა ხერსონესისა. საინტერესოა, რომ იგი მაინცდამაინც ისეთ ქალაქს ასახელებს ელინურად, რომელსაც თვითონვე იხსენიებს კოლონიის კოლონიად, ანუ სუბკოლონიად (ყაუხჩიშვილი 1967).

[1] ფსევდო-სკილაქსი სავარაუდოდ თავისი თხზულების წერისას ეყრდნობოდა ჰეკატეოს მილეტელის ან სკილაქს კარიანდელის თხზულებას

პოლიბიოსი (ძვ. წ. II ს.). პოლიბიოსი უშუალოდ კოლხეთის ქალაქების შესახებ არ გვაწვდის ინფორმაციას, მაგრამ მასთან დაცულია ცნობები პონტოსპირეთის ქვეყნებიდან თაფლის, ცვილის და დამარილებული თევზის იმპორტის, ასევე ზეთისა და ღვინის ექსპორტის შესახებ. გარდა ამისა, პურის, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის შესახებ. პოლიბიოსი გვაწვდის საინტერესო ცნობას, რომ ძვ. წ. 219 წ. როდოსელებსა და ბიზანტიონელებს შორის დადებული ზავის თანახმად, *„ბიზანტიონელებს არ უნდა გადაეხდევინებინათ ხარკი მათთვის, ვინც პონტოში შევიდოდა, ხოლო როდოსელებსა და მოკავშირეებს მშვიდობიანობა უნდა დაეცვათ ბიზანტიონელების მიმართ“* (Polib. IV, 38, 1. 4.). ამ წყაროს გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ზოგადად შავიზღვისპირეთის ისტორიასთან კავშირში (Shuckburgh 1889).

დიონისიოს ჰალიკარნასელი (ძვ. წ. I ს.). დიონისიოს ჰალიკარნასელის ცნობების ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მისი მეშვეობით ჩვენ გვაქვს დოკუმენტურად დადასტურებული ცნობა, რომ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. V ს-ში 68 წლის განმავლობაში (472-402 წწ.) ათენელები ბატონობდნენ. მაგრამ წყაროს ნაკლი ის არის, რომ არ უთითებს კონკრეტულად რომელ ქალაქებზე ბატონობდნენ ათენელები, შედიოდნენ თუ არა კოლხეთის ქალაქები კონკრეტულად ათენის საზღვაო კავშირში, იხდიდნენ თუ არა ფოროსს და სხვ. (ყაუხჩიშვილი 1976).

დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I - ახ.წ. I სს.). ამ ავტორთან არ არის მოხსენიებული კოლხეთის არცერთი ქალაქი, რაც შეიძლება ჩვენთვის ნაკლად ჩაითვალოს, თუმცა მას აქვს განმარტება მოცემული, რომ მის დროს კოლხეთი აღიქმებოდა აზიად, განსხვავებით ადრეული ავტორებისგან, რომელთათვისაც კოლხეთის ნაწილი წარმოადგენდა ევროპას, ხოლო ნაწილი – აზიას. ამ წყაროს ღირსება ჩვენი კვლევისთვის ისაა, რომ ვიგებთ დიოდორეს დროს როგორი დამოკიდებულება არსებობდა კოლხეთის მიმართ – აღიქმებოდა თუ არა ის ანტიკური ეკონომიკური სისტემების სუპლემენტად (ყაუხჩიშვილი 1976).

სტრაბონი (ძვ. წ. I - ახ. წ. I). მისი ცნობები ღირებულია ჩვენი კვლევისთვის იმით, რომ შეგვიძლია დანამდვილებით დავინახოთ – სტრაბონის დროს დიოსკურია, ფაზისი არ იხსენიებიან ელინურ ქალაქებად, შესაბამისად, ვიცით, რომ ვითარება და ზოგადი კონიუნქტურაც ამ ქალაქებში გასულ საუკუნეებთან შედარებით

შეცვლილია. სტრაბონის თხზულების ღირებულებას წარმოადგენს ასევე ისიც, რომ გვაწვდის ცნობას იონიელების მიერ შავიზღვისპირეთში ქალაქების დაარსების შესახებ (Strabo III, 3, 6, 1). თუმცა წყაროს ნაკლი ისაა, რომ ყოველ კონკრეტულ ქალაქთან მიმართებაში არ აზუსტებს, თუ რომელ ქალაქს გულისხმობს მეტროპოლიად. სტრაბონის ცნობები ღირებულია იმითაც, რომ აქ დაცულია არამხოლოდ მისი თანადროული, არამედ სხვა, უფრო ადრინდელი, ავტორების ცნობები, მაგალითად, დიოსკურიის მოხსენიების შესახებ ცნობები სტრაბონს აღებული აქვს ძვ. წ. III ს. ავტორისგან, ერატოსთენესგან (Strabo, I. 3), და ძვ. წ. II-I სს-ის მიჯნის ავტორ არტემიდორესგან (Strabo, XI, 2, 16). შესაბამისად, დიოსკურია ნარატიულ წყაროებში დადასტურებულად არსებობს, როგორც III (ერატოსთენე), ისე II-I (არტემიდორე) საუკუნეთა მიჯნაზე (ყაუხჩიშვილი 1957).

პომპონიუს მელა (I ს. I ნახ). პომპონიუს მელას ცნობების ღირსებას ჩვენი კვლევისთვის ის წარმოადგენს, რომ სწორედ ის მოგვითხრობს ფაზისის ოიკისტის, თემისტაგორა მილეტელის, შესახებ (Pomp. mela, de chron. 1, 19, 108). ასევე კასტორისა და პოლუქსის მიერ დიოსკურიის დაარსების შესახებ (Pomp. mela, de chron. 1, 19, 111). ამ წყაროს ნაკლი ისაა, რომ მაგ., კალატისი მას გამოჰყავს, როგორც მილეტელთა კოლონია (Pomp. mela, de chron. II, 2, 22), მაშინ როდესაც დანამდვილებით ვიცით, რომ კალატისი პონტოს ჰერაკლეის კოლონიაა, ის კი, თავის მხრივ, მეგარისა. შესაბამისად, კალატისი არამცთუ მილეტელთა კოლონია არაა, არამედ საერთოდ იონიური ქალაქი არაა შავიზღვისპირეთში. ეს ფაქტობრივი შეცდომა ეჭვქვეშ აყენებს საერთოდ თემისტაგორა მილეტელთან დაკავშირებით ფაზისის ოიკისტის შესახებ ცნობის სინამდვილის საკითხს. შესაძლოა, პომპონიუს მელას (ან შეიძლება მისი წყაროს) კონცეფცია ზოგადად, მთელი შავიზღვისპირეთის მილეტელი ოიკისტებით დასახლებაა, რაც, თავისთავად უკვე წყაროს სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს. თუმცა, თუ ამ ცნობას შევუჯერებთ სხვა წყაროებში დაცულ ფაზისის მილეტის მიერ დაარსების შესახებ ცნობებს (მაგ., არიანე), ის უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს (გამყრელიძე 1965).

მემნონი (I-II სს.). მემნონის ცნობების ღირებულებას ჩვენთვის წარმოადგენს ის, რომ ფაზისი მითრიდატეს დროს დადასტურებულია, როგორც დასახლებული პუნქტი (Memn. XV, 30. 3; XV, 36, 4). თუმცა არ არის მოხსენიებული, ეს

დასახლებული პუნქტი „ელინური ქალაქია“, მხოლოდ „ქალაქია“ თუ მხარის სახელწოდებაა. ეს კი ართულებს იმდროინდელი ფაზისის სტატუსის კვლევის საკითხს, თუმცა საერთო კონიუნქტურის გათვალისწინებით აქაც შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ მემნონისეული სურათიც ლოგიკურია (ყაუხჩიშვილი 1987).

ალკიფრონი (II ს.). ალკიფრონის ცნობები ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ადასტურებს კოლხებთან ბერძნების მონებით ვაჭრობას (ყაუხჩიშვილი 1987:139).

პტოლემაიოსი (I-II სს.). პტოლემაიოსის ცნობების ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მოხსენიებულია დიოსკურია, ანუ სებასტოპოლისი (Ptol. V. VI. 6; V. IX. 2; VIII, XIX. 3, 4), გარდა ამისა, დიოსკურიაც და ფაზისიც ქალაქებად (Ptol. V. IX. 2; VIII, XIX. 3, 4.) არის მოხსენიებული, განსხვავებით ადრეული (სტრაბონი) და მასზე უფროსი თანამედროვეებისგან (პლინიუსი, მემნონი), რომლებთანაც ფაზისის სტატუსი ბუნდოვანია. ასევე პტოლემაიოსთან არის მოხსენიებული ქალაქი ნეაპოლისი, რომელიც სხვა წყაროებში არ გვხვდება. მისი ცნობებიდან გამოდის, ნეაპოლისი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა, თუმცა ცოტა ბუნდოვანია, ზუსტად სად მდებარეობს იგი და, შესაბამისად, რომელ დასახლებასთან უნდა იდენტიფიცირდეს. თუმცა, რადგან პტოლემაიოსის „ნეაპოლისი“ ასე ვთქვათ, „ახალქალაქია“, ის არ შეიძლება იყო რომელიმე ბერძნული ქალაქი, ის უფრო რომაულ ხანაში დაარსებულ ქალაქს ან დასახლებას ჰგავს (ლომოური 1955).

თეოკრიტე (ძვ. წ. III ს.) თეოკრიტეს საკუთრივ არ დაუსახელებია არცერთი ბერძნული ახალშენი დასავლეთ საქართველოში, თუმცა მის სქოლიოებში მოხსენიებულია ფაზისი, როგორც მილეტელთა ახალშენი (იდილია, XIII, V. 24). შესაბამისად, ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი დასაბუთება იმისა, რომ ფაზისი მილეტელთა დაარსებულია. თუმცა ამ წყაროს ნაკლი ისაა, რომ სქოლიასტები, როგორც წესი, გვიანდელი კომენტატორებია,[2] რომელთა პირველწყაროები ჩვენთვის უცნობია და, შესაბამისად, თავად ცნობის დათარიღება გართულებულია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რომელი ძველი ბერძენი ავტორი შეიძლებოდა ყოფილიყო თეოკრიტეს სქოლიასტის პირველწყარო – ჰერაკლიდე, არისტოტელე,

[2] თეოკრიტეს სქოლიასტები ძვ. წ. I საუკუნიდან გამოუჩნდა, განსაკუთრებით მისადმი ინტერესი გაღრმავდა ახ. წ. II საუკუნიდან. მისი ნაწარმოებების სქოლიოებში ვხვდებით მუნაციოსის, თეეტეტოსის და აგარანტოსის სახელებს. დაწვრილებით იხ. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. თბილისი. 1980. გვ. 112.

პომპონიუს მელა თუ სხვა ჩვენთვის უცნობი წყარო. თავის მხრივ, არც პომპონიუს მელაა პირველწყარო იმ თვალსაზრისით, რომ სხვა ავტორთა თხზულებებით სარგებლობს და რიგ შემთხვევებში შეცდომებსაც უშვებს (ყაუხჩიშვილი 1980:127).

პლინიუსი (I ს.) პლინიუსის ცნობები ღირებულია საკითხის შესწავლის იმ თვალსაზრისით, რომ მასთან მოხსენიებულია ქალაქი დიოსკურია, პიტიუნტი, ფაზისი და, სავარაუდოდ, გიენოსიც (კიგნუმი ?). საინტერესოა, რომ პლინიუსთან დიოსკურიის თითქოს სამი სახელწოდება ჩანს: ტინდარიდა, დიოსკურია და სებასტოპოლისი (Plin. NH. VI. 13, 15.). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდება სებასტოპოლისი ციხეს მიემართება და არა ქალაქს. ასევე, პლინიუსთან მოხსენიებულია ქალაქი პიტიუნტი, გარდა ამისა, მდინარე და ქალაქ პენიუსიც, რომელსაც პიტიუნტად მიიჩნევენ (Plin. NH. VI, 15.). გარდა ამისა, როგორც ჩანს, პლინიუსთან არის მოხსენიებული ქალაქი გიენოსიც კიგნუმის ფორმით, თანაც ორჯერ (Plin. NH. VI. 13, 16.). პლინიუსთან ასევე დაცულია საინტერესო ცნობა ქალაქ პიტიუნტის ჰენიოხების მიერ გაძარცვის შესახებ, რომელიც უაღრესად საყურადღებოა. ასევე ის იმეორებს სტრაბონის ცნობას დიოსკურიაში მრავალი ტომის თავშეყრის შესახებ – 300 ტომი, რომელთათვისაც საჭიროა 130 თარჯიმანი (Plin. NH. VI. 15) (არბოლიშვილი 2006).

ფლავიუს არიანე (II ს.). არიანეს თხზულება ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში 1) დიოსკურია მოიხსენიება მილეტის ახალშენად. ხოლო წყაროს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენთვის უცნობია, თუ რით ისარგებლა არიანემ, როდესაც დიოსკურია გამოცხადა მილეტურ ქალაქად. 2) რიგი ქალაქების აღწერისას შავიზღვისპირეთში (ტრაპეზუნტი, ამისოსი, ოლბია და სხვ.), რომელთაც არიანე ასახელებს „ელინურ ქალაქებად“, არ უთითებს მათ რამდენიმე სახელწოდებას, როგორც დიოსკურიის შემთხვევაში. ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ გარნიზონები სამხრეთ შავიზღვისპირეთის შემთხვევაში თავად ამ ქალაქებში მდებარეობდა, განსხვავებით შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროსგან. კოლხეთის ტერიტორიაზე გარნიზონები, როგორც ჩანს, ძველი „ელინური ქალაქების“ ახლოს მდებარეობენ. ამგვარი აღწერა არიანეს ღირსებად უნდა ჩითვალოს (კეჭაღმაძე 1961).

ამიანე მარცელინე (IV ს). ამიანეს ცნობები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის იხსენიებს ფაზისსა და დიოსკურიას. შესაბამისად, ვიგებთ, რომ მის ხანაში ჯერ კიდევ არსებობდა ეს ქალაქები. მით უმეტეს, რომ ამიანეს ისტორიიდან ჩვენამდე ძირითადად მოღწეულია ის ნაწილი, რომელიც მის თანადროულ ვითარებას ეხება. შეგვიძლია თამამად ჩავთვალოთ, რომ მის მიერ ამ ქალაქების მოხსენიება ადასტურებს მათ ჯერ კიდევ აქტიურ ქალაქებად არსებობას. სხვა საკითხია, რომ ეს ქალაქები აღარ არის ელინური სამყაროს სუპლემენტი, რადგან ეს პროცესი უკვე დასრულებულია დასავლეთ საქართველოში. ამიანეს ნაკლი სწორედ ის გახლავთ, რომ მანამდე, ანუ ამ პროცესის დასრულების ეტაპზე რა ვითარება იყო, ამას სრულად ვერ ვიგებთ. ის აღნიშნავს, რომ დიოსკურია არის „ახლაც კი კარგად ცნობილი“, მაგრამ არ მიუთითებს მისი აყვავების ქრონოლოგიასა და დაკნინების მიზეზებზე. საინტერესოა, რომ მასთანაც გაჟღერებულია დიოსკურიის მითოლოგიურ-დორიული ხასიათი (გეორგიკა 1961:109, 112).

ანონიმი (V ს.). V ს-ის ანონიმი იხსენიებს დიოსკურიას, მილეტელთა ახალშენ ფაზისს, სადაც თავს იყრიან ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიანიდან (გეორგიკა 1965:4). ამ წყაროს წარმომავლობა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, მისი ძირითადი ნაწილი ეფუძნება არიანეს თხზულებას, ამიტომაც, მასში დაცული ცნობების დათარიღება და, შესაბამისად, ჩვენი კვლევისთვის საჭირო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა სირთულეს არ წარმოადგენს.

სტეფანე ბიზანტიელი (VI ს.) იხსენიებს დიოსკურიას და გვაწვდის საინტერესო ცნობას, რომ დიოსკურიას ადრე აია ერქვა. ასევე, იხსენიებს ჰიდრონიმს (კიანეოსი), რომელიც კავშირში უნდა იყოს გიენოსთან. ეს არის ალბათ მდინარე ჯიკუმური (გეორგიკა 1936:277, 274) გარდა ამისა, Πυήνις-ს და Τυήνις-ს იხსენიებს კოლხურ ქალაქებად. ამ სახელწოდებებს მიიჩნევენ ერთი და იგივე ტოპონიმად, და გიენოსად მას მიიჩნევს თ. ყაუხჩიშვილი (Каухчишвили 1979:300). ამ წყაროს ნაკლიც ჩვენი კვლევისთვის მხოლოდ ეს გაურკვევლობაა.

ბ) ეპიგრაფიკა

ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ცნობებს გვაწვდიან ბერძნული და კოლხური სამყაროს ურთიერთობის შესახებ, მცირეა ნარატიულ წყაროებთან შედარებით. ისინი, ერთი შეხედვით, მოკლებულია ინფორმატიულობას, თუმცა, პრაქტიკულად, უტყუარ ცნობებს გვაწვდიან. ამასთან, როგორც წესი, მათი დათარიღება საუკუნის სიზუსტით მაინც შესაძლებელია, რაც ამ ტიპის წყაროების ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ნარატიული წყაროებისგან განსხვავებით თითქმის ყველა ეპიგრაფიკულ ძეგლზე ასახულია ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ მომდინარეობს მათი შემქმნელებისგან და არ არის გადამწერის ან კომპილატორის მოღვაწეობის ნაყოფი. თუმცა, ფრაგმენტულობის გამო, რიგ შემთხვევებში გართულებულია მათი ინტერპრეტირების საკითხი. ძირითადად, ეს არის ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერები, მხოლოდ ერთია ბერძნულად და ლათინურად.

ამ ტიპის წყაროების შესწავლისას შეგნებულად არ მიმოვიხილავთ არტეფაქტებს, რომლებზედაც დაცულია ასტინომების სახელები. მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ წარწერებს, რომლებიც ბერძნულ-კოლხური ურთიერთობების შესახებ სხვა, არსებითი ხასიათის ცნობებს გვაწვდიან.

წარწერები ძირითადად გამოქვეყნებულია თ. ყაუხჩიშვილის მიერ „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსში“ (ყაუხჩიშვილი 1999), საზღვარგარეთ აღმოჩენილი წარწერები – ასევე მის მიერ კრებულში „Проблемы античной культуры“ 1975 წელს (Каухчишвили 1975). მხოლოდ ერთი წარწერა გამოაქვეყნა ო. ლორთქიფანიძემ კრებულში „ვანი I“ (ლორთქიფანიძე 1972).

ძეგლები, რომლებიც კოლხური და ბერძნული სამყაროს ურთიერთობების შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას შეიცავენ, აღმოჩენის ადგილის მიხედვით პირობითად ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ: საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ძეგლები.

საქართველოში აღმოჩენილი ძეგლებია:

- ✓ წარწერა ამფორის ყურებზე გუდაუთიდან: „ΔΙΟΣΚΟΥ“ (დიოსკურიის შემოკლებული ფორმა). შესრულებულია ადგილობრივი თიხის ნაწარმზე (ძვ. წ. IV-III სს.) (ყაუხჩიშვილი 2004:78).

- ✓ ეშერის ბრინჯაოს (ძვ. წ. IV-III სს) ფილა. საინტერესოა, რომ ეს წარწერა უზადო ბერძნულითაა შესრულებული (ყაუხჩიშვილი 2004:74-75).
- ✓ ძვ. წ. II-I სს. წარწერა „ΔΡ“ ამფორის ნატეხზე სოხუმიდან. (ყაუხჩიშვილი 2004:79)
- ✓ წარწერა ვანში, ძვ. წ. II-I სს. კერამიკის ნატეხებში აღმოჩენილ თეთრანგობიან დერგისმაგვარ ჭურჭლის ფრაგმენტზე ΔΙ. (ვანი 1972:143)
- ✓ II-III სს. წარწერა სინოპური ლუთერიონის ყურზე სოხუმიდან: „სოსიბიოსი ან სოსიბიოსის“ (ყაუხჩიშვილი 2004:78)
- ✓ II-III სს. წარწერა ამფორის ყურზე სოხუმის ციხის მასალებიდან (1958 წ.) „ჰერაკლეის“ (ყაუხჩიშვილი 2004:78)
- ✓ სოხუმის წარწერა სანათურზე II–III სს-სა, „მოგზაურო, თაყვანი-ეც მეუფე ჰერმეს-მერკურის (თავის) გადასარჩენად.“ როგორც ჩანს, გაუკეთებია დიოსკურელ ვაჭარ-მოგზაურს (ყაუხჩიშვილი 2004:77; Каухчишвили 1975:497).

საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო ძეგლებია:

- ➢ წარწერა ყუბანში, ზუბოვსკის ყორღანზე, აღმოჩენილ ფიალაზე ძვ. წ. V-IV სს: „მივეკუთვნები აპოლონს, რომელიც ფაზისშია” (Каухчишвили 1975:494).
- ➢ წარწერა შავფიგურულ ჰიდრიაზე: „კოლხმა გამაკეთა“ (ძვ. წ. VI-IV სს) (Каухчишвили 1975:499).
- ➢ წარწერა ამფორაზე: „ევქსითეოსმა გამაკეთა, კოლხმა მომხატა“ (ძვ. წ. VI-IV სს) (Каухчишвили 1975:499).
- ➢ ათენელი მონათვაჭრის, კეთისოდორის, წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია კოლხი მონა (ძვ. წ. 415-414), რომელიც 153 დრაქმა ღირდა (Каухчишвили 1975:499).
- ➢ საფლავის ქვა წარწერით: „ევფროსინე, ხაირემონისა, კოლხი ქალი“ ათენიდან (ძვ. წ. IV-I სს.) (Каухчишвили 1975:499).

- ათენის (№721) და დელფოს წარწერები, რომლებშიც მოხსენიებულია საკუთარი სახელი სანი (ძვ. წ. 270-260) (Каухчишвили 1975:502).
- დელფოსის 2 წარწერა, სადაც მოხსენიებულია საკუთარი სახელი მაკრონი (ძვ. წ. 208 წ), რომელიც ტომობრივ კუთვნილებას უნდა აღნიშნავდეს (Каухчишвили 1975:501).
- დელფოსის მანუმისიების წარწერა (ძვ. წ. II ს.), მოხსენიებულია ქალი, სახელად კალო, კოლხეთიდან, რომელიც გაიყიდა 5 ვერცხლის მნად (Каухчишвили 1975:499).
- დელფოსის ძვ. წ. I ს. წარწერა, რომლებშიც მოხსენიებულია ვინმე „ფესინოსი“ (ქიოსელი) (Каухчишвили 1975:503).
- წარწერა პანტიკაპეიდან, კოლხურ კერამიკულ ფრაგმენტზე: „კოლხი“ (ძვ. წ. Vს) (Каухчишвили 1975:503).
- ბოსფორის ორი წარწერა: „ფილოკომი, კოლხის ძე“ (№230), „მაძისი, კოლხის ძე“ (№200) (Каухчишвили 1975:505).
- მითრიდატე უმცროსის წარწერა (Dundua 2012:40).

გ) ნუმიზმატიკა

ნუმიზმატიკური მასალები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ბერძნულ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობების კვლევისათვის. მათი წარმოშობა ნათელს ჰფენს იმ საკითხს, თუ რომელ ქალაქებთან ჰქონდა ურთიერთობა კოლხეთის ქალაქებს. თუმცა ამ წყაროსაც თავისი ნაკლი აქვს. ამ საკითხის შესასწავლად იმპორტული მონეტები დიდად ინფორმატიული არ არის, რადგან ძვ. წ. VI საუკუნიდან ჩვენამდე იმპორტული მონეტებიდან მხოლოდ 3 მონეტაა მოღწეული – 2 ლიდიური და 1 სინოპური მონეტა. ამასთან, სინოპური დრაქმა ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლიდანაა ცნობილი და, ზოგადად, ძვ. წ. VI-V სს-ით თარიღდება. შესაბამისად, სავარაუდოდ ძვ. წ. VI საუკუნეში მიმოქცეული მხოლოდ ორი ლიდიური მონეტაა ჩვენს განკარგულებაში – ანუ ბერძნული კოლონიზაციის ე. წ. იონიური ეტაპის შესასწავლად. ამ თვალსაზრისით გარკვეულწილად ხარვეზს ავსებს კოლხური თეთრი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ იმპორტული არაა, მისი იკონოგრაფია გვაწვდის ინფორმაციას თუნდაც ქ. ფასისის, დღესდღეობით რომლის ემიტირებულადაც მიიჩნევა კოლხური თეთრი, საგარეო კავშირების შესახებ. მაგ., II ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახულია *„აპოლინარული ტრიადა: ლეტო, აპოლონი, არტემიდე“* (ლორთქიფანიძე 2002:196). ასევე, I ტიპის დიდრაქმაზე – ლომი. ორივე მოტივი დამახასიათებელია მილეტური მონეტებისთვის და მიუთითებს ფაზისის კავშირზე თავის მეტროპოლია მილეტთან (დუნდუა... 2006:36).

რაც შეეხება, ძვ. წ. V საუკუნეს, ამ შემთხვევაში არ გვაქვს მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა, თუმცა იგი ინფორმატიულია. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ფიჭვნარი სწორედაც ატიკური სამოსახლოა, რადგან ბერძნული მონეტები მხოლოდ ათენთან კავშირს ადასტურებენ. მაგ., ფიჭვნარიდან 3 კიზიკური სტატერია მოღწეული და ცნობილია, რომ *„ათენმა კიზიკის ზარაფხანა არათუ გააუქმა, არამედ თავისი სამონეტო კარის ფილიალადაც კი აქცია და კიზიკინებს მსხვილი სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად იყენებდა“* (დუნდუა... 2006:48). ასევე გვაქვს 1 ათენური ტეტრადრაქმა[3] მწვანე კონცხის მიდამოებიდან და თითო-თითო მონეტა პანტიკაპეიონიდან, ნიმფეიონიდან, ასევე სპარსული სიკლი (დუნდუა... 2006:44-45).

[3] ამ პერიოდის კიდევ ერთი ათენური ტეტრადრაქმა აღმოჩენილია დმანისში.

რომელიც ჩვენი კვლევისთვის მხოლოდ არაპირდაპირი სახით გვაწვდის ინფორმაციას – ადასტურებს, რომ კოლხებს ცალსახად არამხოლოდ ბერძნებთან, არამედ ირანელებთანაც ჰქონდათ ურთიერთობა. საინტერესოა, თავად ამ აღმოჩენის ტოპოგრაფია – სულორი ვანის სიახლოვეს, რომელიც შესაძლებელია წარმოადგენდა *„რედისტრიბუციის ცენტრს მთელი დასავლეთ საქართველოსთვის“* (Licheli 1994:105). შესაბამისად, მონეტები გვაწვდიან ინფორმაციას სავაჭრო გზების შესახებაც.

ძვ. წ. IV საუკუნეში უცხოური მონეტების აღმოჩენის ტოპოგრაფია უფრო მრავალფეროვანია – სინოპური მონეტები პრაქტიკულად მთელი დასავლეთ საქართველოს სანაპიროდანაა ცნობილი (სოხუმი, ურეკი, ფიჭვნარი, ქობულეთი, ციხისძირი, ბათუმი). ასევე ძვ. წ. IV საუკუნის ალექსანდრე მაკედონელის მონეტები მთელს დასავლეთ საქართველოშია (სვანეთი, რიყე, ვანი, ფიჭვნარი, ლენტეხი, ფარცხანაყანევი, გულრიფში, ჭიორა, ყვირილას მიდამოები, კაჭრეთი) აღმოჩენილი. საუკუნის დასასრულიდან კი ჩნდება ლისიმაქეს მონეტებიც, რაც ისევ და ისევ ბერძნულ სამყაროსთან ინტენსიურ ურთიერთობას ამტკიცებს. ლისიმაქეს მონეტების აღმოჩენის ტოპოგრაფიაც საკმაოდ მრავალფეროვანია – სვანეთი, ვანი (იმერეთი), ეკი (სამეგრელო), გულრიფში (აფხაზეთი), მაკრიალი (ისტორიული კოლხეთი, დღევანდელი თურქეთი). მცირე რაოდენობით აღმოჩენილია ფილიპე II-ის და ფილიპე III-ის მონეტებიც (დუნდუა... 2006:61-73).

ძვ. წ. III საუკუნეში, მართალია, იმპორტული მონეტების აღმოჩენის ტოპოგრაფია არცთუ ვიწროა, მაგრამ რაოდენობრივად ჩამორჩება გასულ ორ საუკუნეს და, მით უმეტეს, II საუკუნეს, შესაბამისად, ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კავშირი ბერძნულ სამყაროსთან შესუსტებულია გასულ საუკუნეებთან შედარებით.

ძვ. წ. II საუკუნის დასასრული აღინიშნა უცხოური ფულების შემოდენით (სულ 72 იმპორტული მონეტაა). მონეტების მიხედვით ჩანს კავშირი მითრიდატე ევპატორთან (72 მონეტიდან 64, როგორც ჩანს, სწორედ მითრიდატეს უკავშირდება), რასაც ნარატიული მონაცემებიც უჭერენ მხარს. დანარჩენები 4 არის რომის რესპუბლიკური დენარი, 2 კაპადოკიური მონეტა, 1 როდოსული, 2 „ახალი სტილის“ ათენური ტეტრადრაქმა და 1 პანტიკაპეიონის მონეტა. ასევე მნიშვნელოვანი, საბოლოოდ პასუხგაუცემელი შეკითხვაც გვაქვს ამ პერიოდიდან – ბასილევს

აკესის მონეტა, რომელიც საკმაოდ ნატურალისტურადაა შესრულებული სქემატური სახით შესრულებული მაგ. ლისიმაქეს მინაბაძების ფონზე.

საინტერესოა, რომ ძვ. წ. I ს-ის მონეტები ცნობილია მხოლოდ ვანიდან, სოხუმიდან ან ეშერადან. მითრიდატეს 1 მონეტა ცნობილია ქუთაისიდან.

დ) კერამიკული ნაწარმი

კერამიკული მასალა – მასობრივი არქეოლოგიური მონაპოვარი მნიშვნელოვანი წყაროა ბერძნული კოლონიების ისტორიის შესწავლის საკითხისათვის. თავისთავად საინტერესოა დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე იმპორტული ნაწარმის შემოსვლის საკითხი – მათი არსებობა შუქს ფენს ამა თუ იმ კოლონიის კავშირს სხვადასხვა ბერძნულ ქალაქებთან. ამასთან, ამ ტიპის წყაროს გამოყენებისას საჭიროა გარკვეული სიფრთხილე – ნებისმიერი ნივთის არსებობა უშუალო კავშირს კონკრეტულ საწარმოო ცენტრებთან ყოველთვის არ ადასტურებს. როგორც წესი, ერთეული ცალობით აღმოჩენის შემთხვევაში უფრო სავარაუდოა საშუამავლო სავაჭრო ცენტრის გავლით ამ პროდუქციის შემოსვლა. მაგალითად, *„ფიჭვნარის ბერძნულ მოსახლეობაში საშუამავლო ვაჭრობის გზით შემოდიოდა თასოსისა და მენდეს მაღალხარისხოვანი ღვინო, ფინიკიური ფერადი მინის ნაწარმი, სირიული თუ ეგვიპტური მინის მრავალრიცხოვანი მძივები, რომლებზედაც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილება იყო“* (კახიძე 1982:72). შესაბამისად, ამ ტიპის წყაროს ნაკლს სწორედ ეს წარმოადგენს, რომ ფრთხილი მიდგომა სჭირდება, როდესაც ვამტკიცებთ ამა თუ იმ ქალაქთან კოლხეთის ბერძნული ახალშენების კავშირს.

ასევე საინტერესოა ადგილობრივი კერამიკული ნაწარმიც – როგორც ადგილობრივი მოხმარებისთვის, ასევე საექსპორტოდ წარმოებული. სამარხებში აღმოჩენილი ადგილობრივი კერამიკული ნაწარმის თანაფარდობა იმპორტთან ნათელს ჰფენს ბერძნებთან ვაჭრობის ინტენსივობის საკითხს. ფიჭვნარის შემთხვევაში, სადაც ბერძნული და კოლხური ნეკროპოლი გვერდიგვერდ თანაარსებობს, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ბერძნული იმპორტით დაინტერესების ხარისხის შესახებ მსჯელობა შეიძლება სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. დიოსკურიაში წარმოებული ΔΙΟΣΚΟΥ დამღიანი ამფორის საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა ადგილობრივ წარმოებული პროდუქციის იმპორტის შესახებ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოხუმში ნაპოვნი სტელა, რომლის არსებობაც ყველაზე მეტად ადასტურებს ბერძნებთან კავშირს ძვ. წ. V საუკუნეში (Лорткипанидзе 1977:60)

აქვე აღვნიშნავთ ერთ საკითხს: არქეოლოგიური მასალის მრავალფეროვნების გამო მასზე მუშაობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს ისტორიოგრაფიაში დღეისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, განსაკუთრებით, როდესაც კატალოგების პუბლიკაციები გაბნეულია ისეთ შრომებში, რომლებიც რთულად ხელმისაწვდომია.

დ) ლიტერატურის მიმოხილვა

ჩვენი კვლევისთვის რელევანტურ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია, ზოგადად, ბერძნული ეკონომიკის, და კონკრეტულად ბერძნული კოლონიზაციასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები, პუბლიცირებულია არქეოლოგიური ძეგლები და მოცემულია მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციები და დასკვნები, ასევე, მოცემულია კონკრეტული ახალშენების ისტორია.

ისტორიოგრაფიას მიმოვიხილავთ ქვეყნების მიხედვით, ასევე, ლიტერატურა სეგმენტირებული იქნება თემატურადაც: თავდაპირველად მიმოვიხილავთ, ზოგადად, ანტიკურ ეკონომიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ შრომებს, შემდეგ ნაშრომებს, სადაც განხილულია ბერძნული კოლონიზაციის ზოგადი საკითხები, ასევე, შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიზაციასთან დაკავშირებით არსებულ ჩვენი კვლევისთვის რელევანტურ ლიტერატურას. გარდა ამისა, განვიხილავთ უშუალოდ კოლხეთის ბერძნულ კოლონიზაციასთან დაკავშირებით არსებულ ლიტერატურას, როგორც ზოგად საკითხებზე გამოქვეყნებულ, ასევე, კონკრეტული ახალშენების ისტორიის შესახებ. და ბოლოს, განვიხილავთ ჩვენს საკვლევ პერიოდთან და რეგიონთან დაკავშირებული სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაციებს.

საქართველოში ბერძნული კოლონიზაციის საკითხები მრავალმხრივ არის გაშუქებული. ზოგადად, ბერძნულ კოლონიაციასთან და პოლისების ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია ანტიკური ისტორიის ცნობილი ქართველი მკვლევრების ალ. წერეთლის (წერეთელი 1966), ლ. სანიკიძის (სანიკიძე 1954), გ. ქავთარიას (ქავთარია 2005), რ. გორდეზიანის (გორდეზიანი 1988, 1997), ლ. გორდეზიანის (გორდეზიანი 2009), თ. თოდუას (თოდუა 2011), თ. დუნდუას (დუნდუა... 2009) შრომებში.

დასავლეთ საქართველოში ბერძნული კოლონიების საკითხი განიხილა გ. მელიქიშვილმა თავის ფუნდამენტურ შრომაში «К Истории Древней Грузии» (Меликишвили 1959), შემდეგ საქართველოს ისტორიის ნარკვევების I ტომში (საქართველოს... 1970). ანტიკური პერიოდის დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგადი საკითხები გაშუქებულია ნ. ლომოურის (ლომოური 1962, 1968, 1981, 1996, 1998, Ломоури 1967), მ. ინაძის (ინაძე 1955, 1959, 1961, 1962, 1962[1], 1963, 1975, 1982, 1983,

1992, 1992[1], 1992[2]; Инадзе 1968, 1973, 1979,), ო. ლორთქიფანიძის (ლორთქიფანიძე 1964, 1965, 1980, 1991[1], 2002; Лордкипанидзе 1975, 1977, 1979, 1985, 1990), ოთ. ლორთქიფანიძის და თ. მიქელაძის ერთობლივ (Лордкипанидзе... 1981, 1988), თ. მიქელაძის (მიქელაძე 1960), გ. ლორთქიფანიძის (Лордкипанидзе 1970, 1979[1], 1978), ა. ბოლტუნოვას (Болтунова 1963), გ. კვირკველიას (კვირკველია 1999, 2002), ი. ვორონოვის (Воронов 1981, 1985), გ. შამბას (Шамба 1979, 1988) შრომებში. უახლესი შრომებიდან აღსანიშნავია ასევე გ. გამყრელიძის „კოლხოლოგიური კვლევები“ (გამყრელიძე 2010), ასევე, დიმ. ახვლედიანის „კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები“ (ახვლედიანი 2004). უკანასკნელ ხანებში ამ საკითხებზე მუშაობს ასევე თ. დუნდუა. მისი შრომებიდან აღსანიშნავია „კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. – ბერძნული ახალშენები დასავლეთ საქართველოში“ (დუნდუა 2009), „ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“ (დუნდუა 1997), ნინო სილაგაძესთან თანაავტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორია, თემატური თუ ქრონოლოგიური პრინციპი?“ (დუნდუა... 2000), ასევე, „საქართველო და გარე სამყარო – ევროპის შექმნა და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები“ (დუნდუა... 2009) და Georgia within the European Integration (Dundua 2013).

ელინისტური ხანის კოლხეთის ეკონომიკის საკითხები შესწავლილია ნ. მათიაშვილის მიერ (მათიაშვილი 1977), შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის პერიოდიზაციის საკითხი განიხილა ა. კახიძემ (კახიძე 1982), ელინიზმის შიდაპერიოდიზაციისა და მოდელების შესახებ საქართველოში მოსაზრება გამოთქვა ვ. ლიჩელმაც (ლიჩელი 2005).

მითრიდატეს ეპოქისა და რომაული ხანის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია ნ. ლომოურის «Грузино-Римские взаймоотношния» (Ломоури 1981).

ზოგადად, შავიზღვისპირეთის, და, მათ შორის, კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის სხვადასხვა საკითხი (ვაჭრობა, საზღვაო გზები, ადგილობრივი მოსახლეობის, და ბერძნების ურთიერთობა და სხვ.) გახდა ვანის სიმპოზიუმის განხილვის საგანი და, შესაბამისად, აისახა მის მასალებში, რომელიც გამოდის 1979 წლიდან. პირველი სიმპოზიუმის თემატიკა შედარებით ზოგადი იყო, შემდეგ

სხვადასხვა კონკრეტულ თემებს ეხებოდა: 1) Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. 1979. 2) Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Тбилиси. 1981. 3) Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья на тему "Эллинизм и Причерноморье", Цхалтубо, 21-27 V 1982 г. 4) Местные этно-политические объеденения причерноморья в VII-IV вв. до н. э. Тбилиси. 1988. 5) Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. 1990. 6) La Mer Noire, Zone De Contacts - Actes Du VIIe Symposium De Vani, Colchide, 26-30 IX 1994.

მნიშვნელოვანია გ. კვირკველიასა და დ. კაჭარავას მიერ გამოცემული მცირე ენციკლოპედიური ცნობარი «Причерноморские города Античной эпохи», რომელიც გზამკვლევად დაეხმარება ნებისმიერ მკვლევარს, რომელიც ამ საკითხითაა დაინტერესებული. ასეთივე ენციკლოპედიური ხასიათისაა ვორონოვის აფხაზეთის არქეოლოგიური რუკა (Воронов 1970).

დასავლეთ საქართველოს ბერძნული კოლონიები კვლევის საგანი ცალცალკეც გამხდარა. ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, ძვ. წ. V-IV საუკუნეების ბერძნული და კოლხური სამაროვნებიდან მომდინარე მასალები, ასევე, ელინისტური ხანის სამაროვნის მასალები ასახულია სამ ტომად გამოცემულ შრომაში „ფიჭვნარი“ (კახიძე... 2004; კახიძე... 2007; კახიძე... 2010). მესამე ტომში ელინისტური ხანის სამაროვანია მიმოხილული. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნიდან მომდინარე მასალები ა. კახიძეს გამოცემული აქვს უფრო ადრე რამდენიმე სტატიად (კახიძე 1976; კახიძე 1977). ასევე, ფიჭვნარის შესახებ გამოცემული აქვს სხვა შრომებიც (კახიძე 1965, 1971[1], 1971, 1973, 1973[1], 1974, 1977, 1979, 1982, 1987, 2002; Кахидзе 1979, 1979[1], 1981). გარდა ამისა, სხვადასხვა თანაავტორთან ერთად გამოცემული აქვს ფიჭვნარის შესახებ სხვა ნაშრომებიც (კახიძე... 1971, 1989, 1999, 1999[1], 2005). ფიჭვნარის შესახებ გამოსცა ასევე მონოგრაფია გ. ცეცხლაძემ (Tsetkhladze 1999). ფიჭვნარში აღმოჩენილი ბერძნული იმპორტის შესახებ სხვადასხვა სტატიებია გამოქვეყნებული (ჩხაიძე 1974; ჩხაიძე 1975; იაშვილი 1987; სიხარულიძე 1983; სიხარულიძე 1987; სიხარულიძე 1988; თურმანიძე 2002; თურმანიძე 2005; ვაშაკიძე 1978; ვაშაკიძე 1979; ვიკერსი... 1999;

Вашакидзе... 1985; Хахутаишвили... 1985). ფიჭვნარის გრაფიტოების შესახებ 2 სტატია გამოსცა ნ. ძნელაძემ (ძნელაძე 2002; ძნელაძე 2005).

გიენოსის ისტორიას სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა და შემდგომში სწავლობდა ამ საკითხს დ. კაჭარავა (კაჭარავა 1971, 2002; Качарава 1972, 1979). გიენოსის ისტორიის შესახებ წერდნენ, ასევე, გ. კვირკველია (Квирквелия 1981), ი. ვორონოვი (Воронов 1976), გ. შამბა (Шамба 1972, 1979, 1979[1], 1988).

დიოსკურიისა და ეშერას ისტორიის საკითხები განხილულია მ. ივაშენკოს (Иващенко 1926), ლ. სოლოვიოვის (Соловьев 1947), მ. ტრაპშის (Трапш 1955, 1963, 1969), ი. ვორონოვის (Воронов 1969, 1972, 1980), გ. შამბას (Шамба 1976, 1979, 1980), გ. კვირკველიას (კვირკველია 1978, 1979; Квирквелия 1979), ა. აფაქიძის და ო. ლორთქიფანიძის (Апакидзе... 1963) ნაშრომებში. დიოსკურიის საგარეო ვაჭრობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს მ. ინაძეს (ინაძე 1962). სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები გამოსცა ალ. კალანდაძემ (კალანდაძე 1953). ფიჩორის დასახლება შეისწავლა მ. ბარამიძემ (Барамидзе 1988, 1990).

ფაზისის ისტორიის შესწავლას მიეძღვნა, ასევე, არაერთი ნაშრომი. მათგან ნაწილი ეხებოდა ფაზისის ადგილმდებარეობის დაზუსტებას, ნაწილი ფაზისთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაციას. ასევე, კოლხური თეთრის, როგორც ფაზისში ემიტირებული ფულის შესწავლას. ფაზისის ლოკალიზაციის შესახებ ნარატიული წყაროების მონაცემები დაწვრილებით მიმოხილულია მ. ბერძნიშვილის შრომაში (ბერძნიშვილი 1942). ფაზისის ეტომოლოგიის საკითხზე მოსაზრება გამოთქმული აქვს რ. გორდეზიანს (გორდეზიანი 1971), ჰერაკლიდეს ცნობიდან გამომდინარე ფაზისის სტატუსის შესახებ მ. ინაძეს გამოცემული აქვს შრომა „ჰერაკლიდეს ფაზისელთა პოლიტიის განმარტებისთვის“ (ინაძე 1983), ბოლო ხანებში ამ ცნობას შეეხო დ. ბრონდიც (ბრონდი 1999, 2005). ოთ. ლორთქიფანიძემ შტუტგარტში ფაზისის შესახებ გამოსცა ‘Phasis, the River and the City in Colchis’ (Lortkipanidze 2000). ფაზისის გარშემო არსებული ძეგლებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალები გამოსცა თ. მიქელაძემ (მიქელაძე 1979; Микеладзе 1979). ფაზისის მიდამოებიდან მომდინარე მასალების შესახებ არის, ასევე, პ. დიუპონის და დ. კაჭარავას სტატიაც (დიუპონი... 1999).

დიუნური დასახლებები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე არსებობდნენ აქ ბერძნების გამოჩენამდე, შესწავლილია ლ. სოლოვიოვის (Соловьев 1947), ა. რამიშვილის (Рамишвили 1975), გ. თავამაიშვილის (თავამაიშვილი 1991) და სხვათა შრომებში.

ანტიკური პერიოდის დასავლეთ საქართველოს ჰინტერლანდიდან შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია 9 ტომად გამოცემული შრომები ქ. ვანის შესახებ (ვანი 1972, 1976, 1977, 1979, 1981[1], 1981[2], 1983, 1986, 1996). აქ გადმოცემულია ვანისა და მის გარშემო მდებარე ძეგლებიდან – „ვანის ქვეყნიდან“ – მომდინარე არქეოლოგიური მასალა. ვანის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები განხილულია დიმ. ახვლედიანის (ახვლედიანი... 2005), დ. კაჭარავას (Качарава 1990), ნ. მათიაშვილის (მათიაშვილი 1973), მ. ფირცხალავას (Пирцхалава 1990), ასევე, ხ. ბლასკესის (ბლასკესი 2002) შრომებში, ასევე, საყანჩიას ნამოსახლართან დაკავშირებით აღსანიშნავია ვ. ლიჩელის სტატია (ლიჩელი 1981).

კოლხეთის არქეოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით, პირველ რიგში, აღსაშნავია ბ. კუფტინის ორტომიანი შრომა (Куфтин 1949; Куфтин 1950), ასევე, ოთ. ლორთქიფანიძის მონოგრაფია Наследие Древней Грузии, სადაც კოლხეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებია განხილული (Лордкипанидзе 1989).

რაც შეეხება სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაციას და შესწავლას: საირხის მასალები გამოსცა ჯ. ნადირაძემ (ნადირაძე 1990), შემდგომში მისი სრული ვერსია გამოსცეს გ. მახარაძემ და მ. წერეთელმა (მახარაძე... 2007). საირხის ბერძნული იმპორტის შესახებ აღსანიშნავია სხვა შრომებიც (ბრაგვაძე 2005; ბრაგვაძე... 1999). ნოქალაქევის ისტორია და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები გამოცემულია ორ ტომად (ნოქალაქევი 1987, 1993). „ბარბაროსების დიდი ქალაქის“ ლოკალიზაციის შესახებ გ. გრიგოლიამ გამოსცა შრომა და ნამარნუს ნამოსახლარი მიიჩნია ამ ქალაქად (გრიგოლია 1973), პალურის საძვლეს მასალები გამოცემულია ნ. ოქროპირიძისა და ვ. ბარამიძის მიერ (ოქროპირიძე... 1974), ასევე, ლიაში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მასალები გამოსცა ლ. წითლანაძემ (წითლანაძე 1973), ენგურის სანაპიროდან მომდინარე მასალები გამოსცა გ. გრიგოლიამ (გრიგოლია 1971), ლ. ჯიბლაძემ (ჯიბლაძე 1985). ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წლის მუშაობის ანგარიში გამოსცა ავტორთა

ჯგუფმა. ეს ნაშრომი შესულია შ. ჩართოლანის შრომების კრებულში (ჩართოლანი... 2010). ასევე, საყურადღებოა ლარილარის სამაროვნის პუბლიკაციაც (ჩართოლანი 2010). ითხვისის სამაროვნის მასალები გამოსცა ი. გაგოშიძემ (გაგოშიძე 1966). გურიანთის ანტიკური ხანის ძეგლები მიმოიხილა ნ. ვაშაკიძემ (ვაშაკიძე 1971), ზემო ფარცხმის სამაროვანიც გამოცემული აქვს ნ. ვაშაკიძეს (ვაშაკიძე 1983), ფარცხანაყანევიდან მომდინარე მასალა – შ. მამულაძეს (მამულაძე 1979).

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შესახებ გამოცემულია ანგარიშები (პაპუაშვილი 1987). სამხრეთ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებიც გამოიცემოდა პერიოდულად კრებულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები (ხახუტაიშვილი 1982; ვაშაკიძე 1982; იაშვილი 1982). ნანეფიშ ჭალეს სამაროვნის მასალები გამოსცა გ. გვინჩიძემ (გვინჩიძე 1980).

რაც შეეხება ნუმიზმატიკის შესწავლას: დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ნუმიზმატიკის საკითხები განხილულია დ. კაპანაძის (კაპანაძე 1950), კ. გოლენკოს (Голенко 1963), გ. დუნდუას (Дундуа 1979; Дундуа 1987), თ. დუნდუას (Дундуа 2002), ასევე, გ. დუნდუას და თ. დუნდუას ერთობლივ შრომებში (დუნდუა... 2006, 2007). ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონეტები (1973-82 წწ) გამოსცა თ. აბრამიშვილმა (აბრამიშვილი 1987). სვანეთის ნუმიზმატიკურ მასალაზე საუბარია გ. ლორთქიფანიძის, ზ. კვიციანისა და ზ. ბერაძის ნაშრომში (ლორთქიფანიძე... 2008) და სხვ.

ანტიკური ხანის საბეჭდავი ბეჭდები შეისწავლა მ. ლორთქიფანიძემ (ლორთქიფანიძე 1981). დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული გრაფიტოები – მ. ნასიძემ (ნასიძე 2002). საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული ეპიგრაფიკული მასალა გამოცემულია თ. ყაუხჩიშვილის მიერ „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსში“ (ყაუხჩიშვილი 1999), ხოლო საზღვარგარეთ აღმოჩენილი მასალა მის მიერვე გამოცემულია კრებულში Проблемы Древней Истории (Каухчишвили 1975).

რუსული ისტორიოგრაფია ბერძნული კოლონიზაციის შესახებ საკმაოდ მდიდარია. ელინისტური ხანის პოლისის თავისებურებების შესახებ წერდა გ. კოშელენკო. მისი აზრით, ელინისტური ხანის პოლისი თავისებურია, მას შეიძლება დიდი კლერუხიაც ეწოდოს, რადგან მიწები, რომლებსაც მოქალაქეები ფლობნენ,

სრულად მათ კი არ ეკუთვნოდათ, არამედ მეფისგან პირობით საკუთრებაში გადაეცემოდათ (Кошеленко 1979:288). ბერძნული კოლონიზაციის სხვადასხვა მიმართულებები და მათი ხასიათი მიმოხილულია ვ. კუზიშინის რედაქციით გამოსულ ძველი საბერძნეთის ისტორიის სახელმძღვანელოშიც (Кузищин 2005).

ზოგადად, შავიზღვისპირეთის კოლონიზაციისა და ვაჭრობის საკითხებზე მუშაობდა ი. ბრაშინსკიც (Бращинский 1958, 1967, 1973, 1980, 1985; Бращинский… 1979).

ჩრდილო შავიზღვისაპირეთში ბერძნული კოლონიზაციის შესახებ წერდა ვ. ვ. ლაპინი. მისი აზრით, ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების განვითარება მიმდინარეობდა ადგილობრივი მოსახლეობისგან დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთთან ინტერაქციაში იყვნენ (Лапин 1966:234). ჩრდილო შავიზღვისპირეთის რეგიონის შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია ვ. გაიდუკევიჩის «Боспорское царство» (Гайдукевич 1949). ი. ზეესტმა გამოცა ბოსფორის კერამიკული ტარა და მის საფუძველზე შეისწავლა ბოსფორის საგარეო ეკონომიკური კავშირები (Зеест 1960). ვ. ანოხინმა გამოსცა ბოსფორის სამეფოს მონეტების კატალოგი (Анохин 1986). ი. ვინოგრადოვმა მილეტისა და ოლბიის მაგალითზე მიმოიხილა კოლონია-მეტროპოლისის ურთიერთობის პრობლემა (Виноградов 1979). ჩრდილო შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ქალაქების შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია ავტორთა კოლექტივის მიერ 2005 წ. კიევში გამოცემული ქერსონესის ისტორია «Херсонес Таврический» (Херсонес 2005).

სამხრეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის საკითხებზე მუშაობდა და საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა მ. მაქსიმოვამ, რომელმაც შეისწავლა სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ისტორია (სინოპი, ამისოსი, ტრაპეზუნტი) (Максимова 1958).

კოლონიზაციის შესახებ საბჭოთა ისტორიოგრაფია მიმოიხილა ჰ. გრემმა (Graham 1961).

რაც შეეხება კოლხეთის შესწავლის საკითხს, რუსულ ისტორიოგრაფიაში ამ მხრივ აღსანიშნავია ლ. სოლოვიოვის ნაშრომი «Диоскурия-Севастополис-Цхум» (Соловьев 1947). მითრიდატეს ხანის კოლხეთის ისტორიის შესახებ აღსანიშნავია დ. შელოვის სტატია «Колхида в системе Понтийской державы».

ანტიკური ეკონომიკის კვლევის საკითხებში დიდია ინგლისური ისტორიოგრაფიის წვლილი. Cambridge Ancient History-ის როგორც ძველ, ისე ახალ ვერსიაში. პ. ნ. ურიმ დაწერა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ბერძნული კოლონიების (მილეტი, სამოსი და ა. შ.) ისტორია (Cambridge 1926). ადრეული ავტორებიდან მ. როსტოვცევი, რომელიც იყო ანტიკურობისა და თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური დეტერმინანტების მსგავსების მომხრე, მიიჩნევდა, რომ ბერძნების დროს პირველი ნაბიჯები გადაიდგა თანამედროვე საზოგადოების, კაპიტალისტურის, ასაშენებლად (Rostovtzeff 1936:252). Cambridge Ancient History-ს ახალი ვერსიის ავტორების დიდი ნაწილი მუშაობდა სწორედ ეკონომიკის ან/და კონკრეტულად ბერძნული კოლონიზაციის საკითხებზე. შავიზღვისპირეთის კოლონიზაციასთან კავშირში საინტერესოა ჯ. ბორდმანის მოსაზრებები, რომელიც მან გამოთქვა თავის სტატიაში 'Aspects of Colonization'. მისი აზრით, მეექვსე საუკუნეში, მაშინ როცა ჩრდილოეთით შავიზღვისპირეთშიც ბერძნები ჩნდებიან, კოლონიზაცია ექსპანსიის ხასიათს იღებს, ხოლო დასავლეთში – კონსოლიდაციის (Boardman 2001:40). გარდა ამისა, საყურადღებოა მისი მოსაზრება კულტურული ურთიერთზემოქმედების საკითხზე *„შავიზღვისპირეთში ბერძნები შეხვდნენ სკვითებს და მათი კულტურა ზედმეტად უცხო და განსხვავებული იყო მათგან, რომ გავლენა მოეხდინა ბერძნებზე. ამიტომაც ბერძნები დაკმაყოფილდნენ იმით, რომ, ძირითადად, სკვითების ფუფუნების საგნებს წმინდა ბერძნულ სტილში აკეთებდნენ"* (Boardman 2001:41). აღსანიშნავია მისი ნაშრომი კოლონიების ტიპოლოგიის საკითხებთან და საკოლონიზაციო მოძრაობის ხასიათთან დაკავშირებით (Boardman 1990, 2000). კ. რობაკი, რომელიც სწავლობდა ანტიკური ეკონომიკის საკითხებსა და, ასევე, იონიური ქალაქების ისტორიას, ბერძნული კოლონიზაციის ზოგადი მიზეზებიდან გამოყოფს სამ მთავარს: „მიწის ძებნა", „მეტალის ძიება", „საკვების ძებნა" (Roebuck 1953, 1955, 1959; Hanfmann 1960). საინტერესოა რობაკის სტატია ნავკრატისის, როგორც ერთობლივად დაარსებული ქალაქის, ორგანიზების შესახებ (Roebuck 1951). იონიელ ბერძნებს სწავლობდა ჯ. კუკიც (Cook 1962).

ა. გრემმა თავის მონოგრაფიაში Colony and Mother City in Ancient Greece დისტანციის მიხედვით გამოყო კოლონიებსა და მეტროპოლიებს შორის

დამოკიდებულების ხარისხი. ძირითად შემთხვევებში, მისი აზრით, რაც უფრო შორს მდებარეობდა კოლონია მეტროპოლიისგან, მით უფრო ნაკლები იყო მისი დამოკიდებულება მეტროპოლიაზე. ამას მან „დისტანციის ეფექტი“ უწოდა (Graham 1964). კოლონიების ტიპოლოგიის დაკავშირებით აღსანიშნავია ა. გრემის სტატია Patterns in Early Greek Civilization (Graham 1971), სადაც მან აღნიშნა, რომ *„თავისთავად გეოგრაფიული ფაქტორი, პირველ რიგში, არ განსაზღვრავდა ბერძნული კოლონიზაციის სახეს თვით VIII საუკუნეშიც კი. ეს უფრო დამოკიდებული იყო ზღვაოსნობის უნარზე და გეოგრაფიულ ცოდნაზე, ბერძნებს შეეძლოთ ყველაფრის კოლონიზება ნეაპოლის ყურიდან დაწყებული ბოსფორამდე“* (Graham 1971:47). გრემი მუშაობდა კონკრეტულად ბერძნული კოლონიზაციის შავიზღვისპირეთის მიმართულებაზეც (Graham 1958).

ლ. ჰ. ჯეფერიმ შეისწავლა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები ძვ. წ. 700-500 წწ. რა თქმა უნდა, ის კოლონიზაციის საკითხებსაც შეეხო. მისი აზრით, კოლონიად შეიძლებოდა გააზრებულიყო მხოლოდ ბერძნული აპოიკია, რომელიც არსდებოდა დაუსახლებელ ტერიტორიებზე და მისი მაცხოვრებლები ქმნიდნენ დამოუკიდებელ საზოგადოებას, თუმცა მიეკუთვნებოდნენ სხვა პოლიტიკურ ორგანიზმს. ხოლო რაც შეეხება ბერძნული დასახლებების უმრავლესობას, რომლებიც, პრაქტიკულად, დამოუკიდებელი იყვნენ მეტროპოლიისგან, მისი აზრით, მათთვის კოლონიის წოდება მართებული არ იყო. ძალიან ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინი ემპორია, რადგან ხშირ შემთხვევაში ემპორიად წოდებული საზოგადოებები დამოუკიდებელი საზოგადოებაა. (Jeffery 1976:53) უახლესი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია კეტრინ მორგანის შრომები. მან შეისწავლა ადრეული ბერძნების ისტორია, რომლებიც პოლისებში არ ცხოვრობდნენ (Morgan 2003).

ინგლისურ ისტორიოგრაფიაში შავიზღვისპირეთის მთავარი კოლონისტი ქალაქის – მილეტის – ისტორიასთან დაკავშირებული უახლესი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია ა. გრივსის (Greaves 2001) ნაშრომი, რომელმაც შეაჯერა ნარატიული და არქეოლოგიური წყაროები და გადმოგვცა ამ მნიშვნელოვანი კოლონიზატორი ქალაქის ისტორია (Greaves 2004).

ჩრდილოეთ ან სამხრეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე მუშაობდა ჯ. ჰაინდი (Hind 1983-1984; 1992-1993; 1988; 1999), ასევე, რ. დრიუსი (Drews 1976).

ინგლისური ისტორიოგრაფიიდან კოლხეთის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით აღსანიშნავია დ. ბრონდის მონოგრაფია (Braund 1994).

რაც შეეხება არქეოლოგიური მასალების შესწავლას, ამ მხრივ აღსანიშნავია ჯ. ბიზლის ფუნდამენტური ნაშრომის საფუძველზე ბერძნული კერამიკის შესახებ ოქსფორდის უნივერსიტეტში შექმნილი ონლაინ-კატალოგი: „ბიზლის არქივი“: http://www.beazley.ox.ac.uk/index.htm

ანტიკური ეკონომიკისა და ბერძნული კოლონიზაციის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამერიკული ისტორიოგრაფიის როლი. XX საუკუნის 30-იან წლებში გამოვიდა ტენი ფრანკის ხუთტომიანი ნაშრომი რომის ეკონომიკის შესახებ, სადაც ის კატეგორიულად იცავდა მოსაზრებას, რომ რომის ეკონომიკა კაპიტალისტურ საფუძვლებს ემყარებოდა (T. Frank 1933; 1940).

ანტიკური საზოგადოების შესახებ განსხვავებული კონცეფცია ჰქონდა მ. ფინლის. 1973 წელს გამოვიდა მისი მონოგრაფია ანტიკური ეკონომიკის შესახებ (Finley 1973), სადაც მან კატეგორიულად უარყო ანტიკური საზოგადოების კაპიტალისტური ხასიათი, რამაც შემდგომში ისტორიოგრაფიაში დიდი დებატები გამოიწვია. უკანასკნელ ხანებში ფინლის ეს მოსაზრება გააკრიტიკა კ. გრინმა (Greene 2000). გარდა ანტიკური ეკონომიკის ზოგადი საკითხებისა, მ. ფინლი მუშაობდა საკუთრივ ბერძნული კოლონიზაციის საკითხებზეც. საინტერესოა მისი აზრი, რომ *„კოლონიზაცია ყველანაირი სახის მიგრაცია არაა, არც კოლონია არაა ყველანაირი სახის დამოკიდებულება...“* (Finley 1976:171), მაკედონელების მიერ სპარსეთის მიწების ათვისება კოლონიზაცია არ ყოფილა და არც მისი სიკვდილის შემდეგ ელინისტური სახელწიფოების წარმოქმნა, არც ბარბაროსების შემოსევები რომის იმპერიაში და არც ნორმანებისა ინგლისში“ (Finley 1976:174). ფინლის აზრით, *„ფეოდალიზმი და კოლონიალიზმი სრულიად შეუსაბამოა. ფეოდალური ურთიერთობები – დომინანტობა და სუბორდინაცია – პერსონალურ ხასიათს ატარებს და არა სახელმწიფოებრივს“* (Finley 1976:176). გარდა ამისა, მ. ფინლი შეეხო ასევე აპოიკიასა და კლერუხიას შორის განსხვავების საკითხს. მისი აზრით,

„კლასიკური ხანის ბერძნები აპოიკიას განასხვავებდნენ კლერუხიისგან, რომაელები კი ლათინური და რომაულ კოლონიას ერთმანეთისგან, იმისდა მიხედვით, ინარჩუნებდნენ თუ არა კოლონისტები მოქალაქეობას თავისი მეტროპოლიისა“ (Finley 1976:168).

ჩესტერ რ. სტარმა შეიწავლა საბერძნეთის ეკონომიკა ძვ. წ. 800-500 წწ. მან აღნიშნა, რომ სოციალურ ფენებს შორის ბერძნებში არასდროს ყოფილა ისეთი დიდი განსხვავება, რომ ამას რუსული ან ფრანგული რევოლუცია გამოეწვია, არც ისეთი, როგორიც ინდუსტრიული რევოლუციის წინ იყო თანამედროვე საზოგადოებებში (Starr 1977:190).

ანტიკური ეკონომიკის განმაზოგადებელი უახლესი ნაშრომებიდან აღსანიშნავია ვ. შეიდელის, ი. მორისის და რ. სალერის რედაქციით გამოსული The Cambridge Economic History of the Greco-Roman world (Scheidel… 2007).

ვ. შეიდელმა ანტიკური დემოგრაფიის კვლევისას აღნიშნა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: *„როცა მოსახლეობა იზრდება რამდენიმე პროცენტით წელიწადში, საშუალო ასაკი იკლებს, ბავშვების რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან იზრდება და ფართობითად ბავშვების სიკვდილიანობაც იზრდება. შესაბამისად, სამარხებში მეტი ბავშვი ჩნდება...“* თუმცა მისი აზრით, *„საერთო ჯამში მცდელობები რომ დემოგრაფიული ზრდა სამარხების მიხედვით დაადგინო, არასწორია მეთოდურად და ეს მეთოდი საერთოდ დავიწყებულ უნდა იქნეს“* (Scheidel 2003:130-131).

რაც შეეხება კონკრეტულად მეტროპოლიასა და კოლონიას შორის ურთიერთობებს, ეს საკითხი განხილულია ს. მორისის ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოცემულ სტატიაში The Relation of a Greek colony to its Mother city (Morris 1884). აქ მან ეპიდავრელებისა და ათენელების მაგალითზე აღნიშნა, რომ *„ეპიდავრელებმა ორაკულის ბრძანებით, ათენელებისგან ზეთისხილის ხე წამოიღეს და მისგან ორი ქანდაკება გააკეთეს. მანამ სანამ ეს ქანდაკებები იქნებოდა მათთან, მათ ათენისთვის გადასახადი უნდა ეხადათ“* (Morris 1884:483) და ამით მან, პრაქტიკულად, აჩვენა, რომ მეტროპოლიასა და კოლონიას შორის დამოკიდებულებას უფრო ფორმალური მხარე ჰქონდა და ბერძნული ქალაქი

დაარსებისთანავე შეიძლებოდა განსაზღვრულიყო, როგორც მომავალი პოლისი – დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფო.

კლარენს ბილმა შეისწავლა, ასევე, ბერძნებისა და ბარბაროსების კულტურული ურთიერთქმედების მოდელები და აღმოსავლეთში ბერძნების ბარბარიზების შესახებ შემოიღო საინტერესო ტერმინი „ბერძნების ორიენტალიზაცია“ (Bill 1929).

ბერძნული და ინგლისური კოლონიზაციის შედარებითი ანალიზი გადმოცემულია ვ. სკრამუცას სტატიაში (Scramuzza 1939).

რაც შეეხება მილეტის ისტორიას, პრაქტიკულად ალან გრივსის შრომის პარალელურად აშშ-ში დაიწერა არანაკლებ მნიშვნელოვანი ვ. გორმანის ნაშრომი – ‘Miletus, Ornament of Ionia’ (Gormann 2001).

ჩრდილოეთ ან სამხრეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის საკითხებზე მუშაობდა და საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა ბ. ლაბარიმ (Labaree 1957). სინოპის გეოგრაფია და ისტორია შეისწავლა რობინსონმა (Robinson 1906[1], 1906[2]). ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან ხორბლით ვაჭრობის საკითხი შეისწავლა თ. ნუნანმა (Noonan 1973). უახლოეს ხანებში შავიზღვისპირეთის კოლონიზაციისა და ვაჭრობის საკითხებზე მუშაობდა ჟ. ბოერი (ბოერი 1999, 2005).

კანადური ისტორიოგრაფიიდან აღსანიშნავია მ. უაიტის სტატია კოლონიების ტიპოლოგიასთან დაკავშირებით, რომელშიც საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებია გადმოცემული (White 1961).

ქართულ-ინგლისურ-ავსტრალიური ისტორიოგრაფიიდან აღსანიშნავია გ. ცეცხლაძის შრომები (ცეცხლაძე 1999; ცეცხლაძე... 1999), ასევე, მისი რედაქტორობით გამოსული კრებულები ‘Coloquia Pontica’ და ‘Ancient West and East’ (Ancient... 1999).

ფრანგული ისტორიოგრაფია, ძირითადად, ანტიკური ეკონომიკის ზოგადი საკითხებით ინტერესდება. აღსანიშნავია ჟ. ტუტენის „ძველი სამყაროს ეკონომიკური ცხოვრება“. უახლესი კვლევებიდან კი აღსანიშნავია ჟან ანდროს კვლევები, რომელმაც შეისწავლა რომის საბანკო სისტემა. ზოგადად, რომაული ეკონომიკას ის განიხილავდა, როგორც საბაზრო ეკონომიკას, თუმცა, არა მთლიანად თანამედროვე პერცეფციით (Andreau 1999:3-4)

გერმანულ ისტორიოგრაფიაში პირველად გაჩნდა მოსაზრება ანტიკური საზოგადოების თანამედროვე საზოგადოებასთან მსგავსების შესახებ. ამ მოსაზრების ავტორი ედ. მაიერი იყო.

იგივე აზრის იყო თეოდორ მომზენის მოწაფე მაქს ვებერიც, რომელიც მიიჩნევდა, რომ ანტიკური საზოგადოება კაპიტალისტური იყო. მისი აზრით, მონობის არსებობა არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს კაპიტალიზმის არსებობის ფაქტს. პირიქით, მონები კი არ ქმნიდნენ კაპიტალს და ამიტომ ისინი კი არ იყვნენ ანტიკური საზოგადოების მამოძრავებელი ძალა, არამედ, ისინი, როგორც *instrumentum vocale*, თავისთავად წარმოადგენდნენ კაპიტალს (Вебер 2006).

პანელინიზმის, პოლისისა და ბერძნული იმპერიალიზმის საკითხები განიხილა ს. პერლმანმა. მან აღნიშნა, რომ *„ორი რამ არ უნდა იქნეს დავიწყებული, როცა ბერძნების ერთიანობის შეგრძნებას აღვნიშნავთ: 1) კლასიკურ ხანაში ბერძნებმა თავიანთი თავი გამოყვეს არაბერძნებისგან, ბარბაროსებისგან, 2) მიუხედავად ქალაქ-სახელმწიფოთა შორის განვითარებული გაცხოველებული ურთიერთობისა, ბერძნებს ეროვნული ერთობა არასდროს არ შეუქმნიათ, იმიტომ რომ ბერძნებს არ სურდათ პოლისის მსხვერპლად შეწირვა საერთობერძნული ეროვნული გამაერთიანებელი ორგანიზაციის შესაქმნელად“* (Perlman 1976:2-6).

დანიური ისტორიოგრაფიიდან მნიშვნელოვანია მ. ჰ. ჰანსენის მონოგრაფია პოლისის ფენომენის შესახებ ‘Polis: An introduction to the Ancient Greek City-States’ (Hansen 2006). ჰანსენმა პოლისთან მიმართებაში გამოსცა ე. წ. „95 თეზისი“, რომელიც განთავსებულია კოპენჰაგენის პოლისის კვლევის ცენტრის ვებ-გვერდზე: http://www.copenhagenpoliscentre.info

ებრაული ისტორიოგრაფიიდან აღსანიშნავია ირად მალკინის შრომები, რომლებიც ეხება რელიგიისა და კოლონიზაციის მიმართების საკითხებს (მალკინი 2002).

ესპანური ისტორიოგრაფიიდან აღსანიშნავია ხ. მ. ბლასკესი, რომელიც კითხულობდა მოხსენებებს ვანის სიმპოზიუმებზე ესპანეთისა და კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციების შედარებითი ანალიზის კუთხით (ბლასკესი 2002).

ბერძნული კოლონიზაციის მიზეზები და მიზნები

ბერძნულ კოლონიზაციას გააჩნდა როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული მიზეზები. ზოგადი მიზეზები შესწავლის საგანი არაერთგზის ყოფილა და ამ მხრივ ისტორიოგრაფიაც, შესაბამისად, მდიდარია. რაც შეეხება კონკრეტულ მიზეზებს, ყოველი ქალაქის შემთხვევაში ეს შეიძლება განსხვავებული კონკრეტული მიზეზიც ყოფილიყო, ამიტომ კონკრეტული მიზეზების შესწავლა უფრო იმ მეცნიერთა პრეროგატივაა, რომლებიც კონკრეტული ახალშენების შესწავლით არიან დაკავებული. ამ საკითხის შესწავლა ყველაზე უპრიანია მეტროპოლიის ისტორიასთან კავშირში. ჩვენი გამოკვლევაც ამასაც ისახავს მიზნად – მილეტის, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მთავარი კოლონიზატორის ისტორიასთან კავშირში განვიხილოთ კოლხეთის სანაპიროების კოლონიზაციის კონკრეტული მიზეზები.

პირველ რიგში მიმოვიხილავთ ბერძნული კოლონიზაციის ზოგად მიზეზებს. ჩვეულებრივ, სამ ძირითად მიზეზს – „მიწის ძებნას“, „მეტალის ძიებასა“ და „საკვების ძებნას“ გამოყოფენ (Hanfmann... 1960:704). ერთი სიტყვით, მთავარი მიზეზი ნედლეულის მოპოვების სურვილია. ასევე ასახელებენ ახალი მიწების ძიების სურვილს, მეტროპოლიაში წარმოებული ნამატი პროდუქციის გასაღების სურვილსაც (Кузищин 2005:96). თავდაპირველი კოლონიების (ალ-მინა, კუმა და სხვ) დაარსება სწორედ სავაჭრო მიზნებთან არის დაკავშირებული (White 1961:445).

ბერძნული კოლონიზაციის მიზეზებად ასახელებენ, ასევე, დემოგრაფიულ ფაქტორსაც. შავიზღვისპირეთის კოლონიზების ხანაშიც მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგადად, ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოდან საბერძნეთში იწყება მოსახლეობის საერთო რაოდენობის მკვეთრი ზრდა (Scheidel 2003:125) და, შესაბამისად, ერთი მხრივ, ნედლეული, რომელიც მზარდი მოსახლეობის გამოკვებას დასჭირდებოდა, მეტი იყო საჭირო და მეორე მხრივ, მოსახლეობისგან განტვირთვაც უფრო სასურველი ამ დროიდან ჩანდა. თავდაპირველი კოლონიების დაარსების მიზეზი საინტერესოა, რომ ეს არც ყოფილა. ალ-მინა სავაჭრო პოსტი იყო სირიაში და კუმა ხმელთაშუაზღვისპირეში ეტრურიასთან სავაჭრო პოსტია (White 1961:445), ამრიგად, თავდაპირველი მიზეზი დემოგრაფიული ფაქტორი არ

ყოფილა, ეს საკითხი მხოლოდ მოგვიანებით, ზუსტად შავი ზღვის კოლონიზების დაწყებისას გახდა აქტუალური.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ კოლონიზაციის მიზნები და შედეგები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. მაგ., კირენა დაარსდა აგრარული მიზნებით, მაგრამ შემდეგში ეს ფუნქცია არ შეუსრულებია. კოლხეთის კოლონიების დაარსების მიზეზებისა და მიზნების კვლევისასაც არ უნდა დაგვავიწყეს: შესაძლოა, შემდეგში მათი დაარსების თავდაპირველი უშუალო მიზანი აღარც შეუსრულებიათ (Braund 1994:84). მაგალითად, შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიების თავდაპირველი დაარსების უშუალო მიზანი მილეტის საკოლონიზაციო აქტივობის პერიოდში შეიძლება ყოფილიყო ოქროს ან ხალიბური რკინის ძიება, შემდეგში – ხორბლის იმპორტის სურვილი. მაგალითად, *„სიცილიური ხორბლის დაკარგვამ 413 წელს ათენი შავიზღვისპირეთის ხორბლისკენ შემოაბრუნა“* (Graham 1961:195).

რაც შეეხება დისტანციის მნიშვნელობას კოლონიების დაარსების საკითხში, უშუალო მიზეზი, ხელშემწყობი ან განმაპირობებელი ფაქტორი დისტანცია არასდროს არ ყოფილა. პითეკუსა და კუმა ერთ-ერთი ადრეული კოლონიებია, ამასთან ერთ-ერთი ყველაზე შორს დაარსებული (Braund 1994:93).

კოლონიების დაარსების უშუალო მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ადგილობრივების სურვილიც, თუმცა ამას აუცილებლად თან უნდა დართვოდა თვით ბერძნების ინტერესიც. მაგალითად, თუკი უარყოფილ იქნა არგანტონიუსის, ტარტესოსის მეფის, მიწვევა, რომ ფოკეელებს დაეარსებინათ კოლონია, მეგარელებმა არ უარყვეს მსგავსი მიწვევა და დაარსეს მეგარა ჰიბლაია ძვ. წ. 728 წ. სიცილიაზე.

სხვა საკითხია, საბოლოო მიზანი რა უნდა ყოფილიყო კოლონიების დაარსებისა და რა უნდა ყოფილიყო ამ ქალაქების მომავალი ფუნქცია. ბერძნული ექსპერიმენტის ზოგად მიზნად პროფ. თედო დუნდუა მიიჩნევს ბერძნების სურვილს, საბოლოოდ ბერძნულ ეკონომიკურ სისტემასთან შეერწყათ კოლონიზირებული მხარეები და შეექმნათ ერთიანი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი, ხოლო მოდელს შემდეგი სახით წარმოაჩენს: *„1. კარიასა თუ თრაკიაში, ბოსფორსა თუ კოლხეთში ელინები პლაცდარმებს ქმნიდნენ... 2. ეს პლაცდარმები ავტონომიურ ბერძნულ სოციალურ სტრუქტურებად გარდაიქმნებოდა, რომელთაც ტექნიკური*

სახის დოტაცია მეტროპოლისიდან მოსდიოდა. 3. ადგილობრივ მოსახლეობას საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო იარაღი გადაეცემოდა. 4. ელინური სამრეწველო სისტემაც უკვე მოდერნიზებულ სოფლის მეურნეობას ეფუძნებოდა. 5. საექსპერიმენტო მხარეები საბერძნეთს ამარაგებდა სურსათით და ნედლეულით, სამაგიეროდ, უკან იღებდა სამრეწველო საქონელს. ეგეოსის ზღვის სანაპიროები და პონტო ერთ ეკონომიკურ სივრცედ უნდა ქცეულიყო შემდეგი თანმიმდევრობით: ანატოლიის ზღვისპირა ზოლში ჰავა თითქმის ისეთივეა, როგორიც საბერძნეთში, ამიტომ ჯერ ანატოლია უნდა შერწყმოდა საბერძნეთს, შემდეგ შავიზღვისპირეთი" (დუნდუა 2009:7-8). ეს არის ზოგადი მოდელი და სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა რეგიონთან ან ქალაქთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, კონკრეტული მიზეზებიც იკვეთება.

კონკრეტულად შავიზღვისპირეთის კოლონიზების მიზეზი სხვადასხვა ნედლეულის მოპოვება იყო. მ. უაიტი აღნიშნავს, რომ „*მოგვიანო კოლონიების*", *მაგ., შავიზღვისპირეთის კოლონიების ფუნქცია იყო მეტროპოლიისთვის და საერთოდ ბერძნული სამყაროსთვის ხორბლის* (განსაკუთრებით, ალბათ, ძვ. წ. III საუკუნემდე, სანამ ეგვიპტე დაიწყებდა ხორბლის ინტენსიურ ექსპორტს – ნ. ფ.), *თევზის, საქონლის, ტყავის, თაფლის, ცვილის და სხვ. ნედლეულის ექსპორტი*" (White 1961:448). თუმცა, შავიზღვისპირეთის ყველა ბერძნულ კოლონიასთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, ძნელია ამ მოსაზრების გაზიარება, რადგან 1) კოლხეთში ხორბალი საექსპორტო დანიშნულებით არ მოიპოვებოდა და 2) კოლხეთის მთავარ კოლონიზატორს – მილეტს – ხორბალი დიდად არ სჭირდებოდა. არქაული ხანის მილეტში ქერს უფრო იყენებდნენ, ვიდრე ხორბალს (Greaves 2002:102).

შავიზღვისპირეთის კოლონიზების მიზეზად ასევე ლიდიის მეფის, ალიატეს, და მისი შვილის, კრეზის, იონიურ ქალაქებთან დაპირისპირების შედეგად გამოწვეულ სოფლის მეურნეობისთვის მიყენებულ ზარალსა და მისგან გამომდინარე მიწების ძიებას მიიჩნევენ (Кошеленко… 1990:37).

თავდაპირველ ეტაპზე, ზოგადად, შავიზღვისპირეთისა და შემდგომ კონკრეტულად კოლხეთის კოლონიზების მიზეზად მიიჩნევენ მაღალი ხარისხის მეტალის ძიებას (რკინა, სპილენძი) (ინაძე 1982:92; კახიძე 1982:62). მილეტში

აღმოჩენილმა რკინის არტეფაქტების ქიმიურმა ანალიზმაც თითქოსდა დაადასტურა კიდეც, რომ ხალიბებიდან შემოსდიოდათ რკინა (Greaves 2002:37).

მილეტის მიერ შავიზღვისპირეთის კოლონიზების დასაწყისად მიიჩნევენ ასევე თავად მილეტში მიმდინარე სოციალურ ბრძოლებს, რომლის შედეგადაც მილეტელების ნაწილი იძულებული იყო ქალაქი დაეტოვებინა (Максимова 1958:48).

ძვ. წ VII საუკუნის მიწურულს მილეტის მიერ კოლხეთის კოლონიზაციის მიზეზი, როგორც ჩანს, ოქროს ძიებაა. მართალია, წერილობით წყაროებში *„არსად არ ვხვდებით ცნობებს კოლხური ოქროს საექპორტო დანიშნულების შესახებ“* (ინაძე 1962:102). თუმცა თუ მილეტის საჭიროებებს გავითვალისწინებთ, კონკრეტულ მომენტში, ბერძნების თავდაპირველად აქ მოსვლაში მაინც, შეიძლება დავინახოთ ოქროს ძიების სურვილი. ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულს მილეტმა ლიდიის მეფის თორმეტწლიან ალყას გაუძლო მილეტში თრასიბულეს ტირანიის დროს (Greaves 2002:95). მილეტისთვის ოქროს მთავარი იმპორტიორი ლიდიის სამეფო იყო სწორედ. გამოდის, რომ ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე მილეტის მიერ დაარსებული ახალშენების ფუნქცია, განსაკურებით კოლხეთში, რომელიც ცნობილი იყო თავისი ოქრომრავალობით, უნდა ყოფილიყო იმ დეფიციტის შევსება, რომელიც მაშინ ლიდიისგან მომდინარეობდა. სახმელეთო გადაადგილება ალყის დროს შეზღუდული ჰქონდა მილეტს, მაგრამ ზღვით შეეძლო წასვლა. ამიტომაც, როგორც ჩანს, ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულს, როდესაც მილეტს ომი აქვს ლიდიელებთან, მათთვის ოქროს მთავარ იმპორტიორთან, მაშინ ისინი ეძებენ ოქროს კოლხეთში. ეს ომი გრძელდებოდა, ერთი ვერსიით, 615-604 წწ. ყველაზე ადრეული ბერძნული იმპორტი კოლხეთში დაახლოებით ამ პერიოდით თარიღდება (ინაძე 1982:90, 97; კახიძე 1971:30; კახიძე 1989:56). შესაძლოა, ეს ქალაქები უშუალოდ 11 წლიანი ალყის პერიოდში არ დაარსებულიყო, მაგრამ ლიდიის, როგორც არასტაბილური პარტნიორის შემცვლელად მილეტი, ალბათ, სხვა რესურსებს ეძებდა და ეს რესურსი მას შეეძლო კოლხეთში ეპოვა, რომელიც, ბერძნების წარმოდგენით, მდიდარი იყო ოქროთი.

რაც შეეხება მონათვაჭრობას, მონათვაჭრობა ბერძნული კოლონიზაციის მიზეზი იმდენად არ ყოფილა, რამდენადაც შედეგი. ბერძნული ქალაქების დაარსების შემდეგ პირველად ქიოსური იმპორტი ჩნდება კოლხეთში. ქიოსი

მონათვაჭრობის უდიდესი ბაზარი იყო მთელს ბერძნულ სამყაროში (ინაძე 1982:92). თუმცა საკუთრივ ქიოსს არ დაუარსებია კოლხეთის ბერძნული ქალაქები. ამრიგად, მილეტელები აქ მოვიდნენ საკუთარი ინტერესებით, ხოლო ქიოსელებმა მილეტთან მათი მოკავშირეობით სარგებელი ნახეს მონათვაჭრობის სახით.

ძვ. წ. VI საუკუნის მიწურულს-V საუკუნის დასაწყისში მილეტის შავიზღვისპირეთში გააქტიურებისა და ახალი კოლონიების დაარსების მიზეზი ხე-ტყის ექსპორტის სურვილია. მიუხედავად იმისა, რომ მილეტის გარშემო ტყეები იყო, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ იყო მისთვის (Greaves 2002:14). იმ დროისათვის მილეტს ხე-ტყე ესაჭიროებოდა სპარსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი აჯანყებისთვის (Greaves 2002:100). გარდა ამისა, მილეტი ცნობილი იყო ავეჯის წარმოებითაც და ფლოტის გაძლიერებათან ერთად ავეჯის ექსპორტიორის ფუნქციაც უნდა შეენარჩუნებინა (Greaves 2002:14). ბერძნები და კოლხები ვაჭრობდნენ ხე-ტყით. ზოგადად ამის შესახებ ინფორმაცია დაცულია სტრაბონთან (Strabo XI. I. 17), კონკრეტულად ძვ. წ. VI საუკუნეში მილეტთან ხე-ტყით ვაჭრობის შესახებ არ არის დაცული ინფორმაცია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთელ საბერძნეთში ცნობილი იყო მილეტური ავეჯი, ასევე იმ ფაქტსაც, რომ მილეტს მნიშვნელოვანი ფლოტი ჰყავდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ინტერესის ერთ-ერთი საგანი პონტოშიც და კონკრეტულად კოლხეთში, ძვ. წ. VI საუკუნეშიც ხე-ტყე იქნებოდა. საინტერესოა, რომ ფლოტი ძლიერი ჰყავდა ქიოსსაც. ძვ. წ. 494 წ. ლადეს ბრძოლაში ქიოსმა გამოიყვანა 100 გემი, მილეტმა 80, მაშინ როდესაც ლესბოსმა – 70 და სამოსმა – 60 (Cambridge 1964:96).

ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს შავიზღვისპირეთში მილეტის გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზი სიბარისის დანგრევაა. ძვ. წ. 510 წელს კროტონელებმა სიბარისი აიღეს და 500 მდიდარი მოქალაქე ქალაქიდან გააძევეს. სიბარიტები მილეტელების მნიშვნელოვანი მოკავშირეები იყვნენ, ყველაზე მეტად სწორედ მათ იგლოვეს სიბარისის დაცემა, რადგან ისინი იყვნენ მატყლის პირველი მიმწოდებლები, ხოლო მილეტელები მისგან თავიანთ ცნობილ ქსოვილებს ამზადებდნენ (Cambridge 1964:89). საფეიქრო წარმოების კოლხეთში განვითარებას პირამიდული საწაფების აღმოჩენა ადასტურებს. მილეტის კოლხეთით დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზიც ძვ. წ. VI საუკუნის, ბოლოს, ალბათ, საფეიქრო წარმოებისთვის საჭირო

ნედლეულიც იყო. ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს, სიბარისის დანგრევის შემდეგ, როცა მილეტელებმა მნიშვნელოვანი პარტნიორი დაკარგეს მატყლის მიმწოდებლების სახით, სავარაუდოდ, შავი ზღვის რეგიონიდან ამ რესურსის შევსებითაც დაინტერესდნენ. ფაზისის მიდამოებში საბაჟოს უძველეს ნამოსახლარზე მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგი ჩანს. აქ სხვა საქონლის ძვლებთან ერთად აღმოჩენილია ცხვრის ძვლებიც (მიქელაძე 1978:41). მეცხვარეობა განვითარებული ჩანს დიოსკურიის მიდამოებშიც (Трапш 1969:234). თვით მილეტში თხები უფრო ჰყავდათ, ვიდრე ცხვრები (Greaves 2002:31). ამ მხრივ კიდევ ერთხელ სიმპტომატურია, რომ ფიჭვნარში, რომლის ოსტეოლოგიურ მასალაში წამყვანი ადგილი ღორის ძვლებს უჭირავს (კახიძე... 2004:142) და ცხვარი პრაქტიკულად არ არის, ზოგადად, იონიური ეტაპი სუსტად არის გამოხატული. ამრიგად, სიბარისის დანგრევის შემდეგ მეცხოველეობაში კოლხეთის სანაპიროს ბერძნული ქალაქების ინტერესს თუ გავითვალისწინებთ, კერძოდ, მეცხვარეობას, შეიძლება, ესეც მილეტის ინტერესს დავუკავშიროთ. თუმცა ძნელია სათქმელია, ეს უკვე მიზეზი იყო თუ შედეგი მილეტის საკოლონიზაციო აქტივობისა.

ძვ. წ. V საუკუნეში ახალი კოლონიების დაარსების ზოგადი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ათენის მიერ პანელინური იდეებისა და თავისი ჰეგემონიის ფაქტის უბრალო კონსტატაციის სურვილიც. მაგალითად, თურიუმი ათენის ხელმძღვანელობით დაარსდა, ათენი იყო სპონსორი ამ დაარსებისა და მის კოლონიზებაში ნებისმიერ მსურველს შეეძლო მიეღო მონაწილეობა (Perlman 1976:15). ათენის სურვილი იყო მხოლოდ საკუთარი პრიმატის დემონსტრირება. ასევე შეიძლება ყოფილიყო კოლხეთშიც ატიკური ფიჭვნარის დაარსებისას.

შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის კიდევ ერთ მიზეზად მიიჩნევენ კოლხეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონესაც – კოლხეთში სახელმწიფოს არსებობის ფაქტს (Лордкипанидзе 1975:6).

კოლხეთის სანაპიროს კოლონიზაციის ერთერთი მიზეზი არის ბერძნების მიერ ამ ტერიტორიის ევროპად გააზრებაა. ბერძნული კოლონიზაცია კი გულისხმობდა ევროპად გააზრებული ტერიტორიების ბერძნულ ეკონომიკურ სისტემაში ჩართვას. ჰეროდოტესთან ევროპის საზღვრებია „ფაზისი, კოლხიდის

მდინარე (ხოლო სხვები ასახელებენ მეოტისის მდინარეს, ტანაისსა და კიმერიულ გადასასვლელს)“. (Herod. IV. 45). შესაბამისად, ეს ტერიტორიები ბერძნული სამყაროს შესაძლებელ ნაწილად აღიქმებოდა. ბერძნების მოსვლის ერთერთი მიზეზიც ეს არის – დასავლეთ საქართველოს ურწყავი ზონა მათი პერცეფციით შესაძლებელი იყო ჩართულიყო ბერძნულ ეკონომიკურ სისტემაში.

მილეტელების მიერ ახალშენი შეიძლებოდა დაარსებულიყო, მომავალი პლაცდარმის სახით. ჩვენი აზრით, ამდაგვარი ფუნქცია უნდა ჰქონოდა ბათუმის ციხის დასახლებას.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთერთი პირველი ბერძნული ახალშენი ბათუმის ციხის დასახლებაა. წყაროებში ეს დასახლებაც არ არის პრაქტიკულად მოხსენიებული, თუ არ ჩავთვლით Tabula Peutingueriana-ს Portus Altus-ს, რომელსაც მიიჩნევენ, რომ ბათუმის ციხის ნამოსახლარი უნდა იყოს (ყაუხჩიშვილი 1987:114), თუმცა ეს, რა თქმა უნდა, დანამდვილებით არ ნიშნავს იმას, რომ Portus Altus ბათუმის ციხის არქაული ხანის დასახლებაა.

ბათუმის ციხის დასახლება, ა. კახიძის აზრით, კოლხეთის ბერძნულ დასახლებებს შორის წარმოქმნილია ყველაზე ადრე (კახიძე 1989:92). აქ აღმოჩენილი ქიოსური თეთრანგობიანი კერამიკა ძვ. წ. VII ს-ის ბოლოსა და VI საუკუნის I ნახევრით თარიღდება (კახიძე 1989:75). ასევე იონიური ჯამების და კილიკების მოხატული ნიმუშებიდან „*აღსანიშნავია ე.წ. კამარისის კლასის სოლისებური ორნამენტიანი ჯამები. ამგვარ ჭურჭლებს ძვ.წ. VII ს. ბოლოსა და VI ს. პირველ ნახევარში აწარმოებდნენ*“. (კახიძე 1989:88). არქეოლოგიური მონაპოვრით ჩანს, რომ ყველაზე ძველი დასახლება უნდა იყოს.

რა უნდა ყოფილიყო ამ ეფემერული დასახლების ფუნქცია? ბათუმის ციხის დასახლება თავისი სტატუსით არ ყოფილა ახალშენი (აპოიკია). ფუნქციურად ის არც სავაჭრო ფუნქციებს ასრულებდა, საკმაოდ მცირეა იმპორტი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ ინტენსიური სავაჭრო კონტაქტები. ჩვენი აზრით, ბათუმის ციხე არსებობდა მცირე ხნით, როგორც პლაცდარმი, კოლხეთის სანაპიროზე სხვაგან კოლონიების დასაარსებლად. შავი ზღვის სანაპიროს ბერძნები ითვისებდნენ, როგორც აღვნიშნეთ, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. სწორედ ამიტომ, კოლხეთის ტერიტორიაზეც ამ თანმიმდევრობით შემოდიან. დროებით

დგებიან ბათუმის ციხის ტერიტორიაზე და შემდეგ ნელნელა გადადიან უფრო ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით. საინტერესოა, რომ მისი ჩვენამდე შემორჩენილი სახელწოდება Portus Altus ღრმა ნავსადგურს ნიშნავს. შეიძლება არქაულ ხანაში ის მართლად საყრდენი პუნქტი, ნავსადგური იყო და შემდეგ ბერძნები მალევე გადავიდნენ დიოსკურიის[4] და ფაზისის დასაარსებლად.

ეს დასახლება მალევე დეგრადირდება. მას აღორძინება არ განუცდია ათენის ექსპანსიის ხანაშიც კი. ა. კახიძეც აღნიშნავს, რომ „*ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ კლასიკურ ხანაში ათენთან ურთიერთობაში ამ სამოსახლოს როლი უმნიშვნელოა*“ (კახიძე 1989:89).

შესაბამისად, ამ დასახლების დეგრადირების მიზეზი მისი ფუნქციის ამოწურვაა. მას მერე, რაც ბერძნებმა აითვისეს მნიშვნელოვანი პუნქტები და მათთვის სასურველ საუკეთესო ადგილებში დაარსეს ახალშენები, ბათუმის ციხის დასახლება აღარ იყო საჭირო.

ერთი კონტრარგუმენტიც არსებობს: ბათუმის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ ფენებში ნახანძრალიც არსებობს, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ბერძნებს აქ წინააღმდეგობა შეხვდათ და იმიტომაც არ ისურვეს აქ დამკვიდრება და არა იმიტომ, რომ დასახლებამ მალევე ამოწურა ფუნქცია. მაგრამ თუ გავითვალისიწინებთ იმას, რომ ბერძნები მსგავს გამოწვევებს არ უშინდებოდნენ, თუნდაც, ვთქვათ, როგორც ჰერაკლეის დამაარსებელმა ბერძნებმა დაამარცხეს მარიანდინები (Фролов 1981:25), ჩვენი აზრით, ეს რეალური გამოწვევა ბერძნებისთვის არ იქნებოდა.

შავიზღვისპირეთში ბერძნები პირველად ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩნდებიან (მაგ., სინოპე და ტრაპეზუნტი დაარსდა ძვ. წ. 756 წ.), მაგრამ განსაკუთრებით ძვ. წ. VI საუკუნეში აქტიურდებიან. იონიური ცენტრებიდან შავიზღვისპირეთში მილეტი აარსებს თითქმის ყველა კოლონიას, გარდა ფანაგორიისა, რომელიც სხვა იონიური ცენტრის – ტეოსის მიერაა დაარსებული. დორიული ქალაქებიდან ცნობილია მეგარის მიერ ჰერაკლეის და მესემბრიის დაარსება. დანარჩენი დორიული ქალაქები შავიზღვისპირეთში მხოლოდ ჰერაკლეის სუბკოლონიებს წარმოადგენენ. ხოლო

[4] კონკრეტულ შემთხვევაში ეშერის დასახლების.

მილეტის ახალშენებიდან ტერიტორიების სუბკოლონიზების თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩეოდა სინოპი.

შავიზღვისპირეთში მილეტელების მიერ კოლონიების დაარსების ქრონოლოგიაში ტერიტორიის ათვისების პრინციპის მიხედვით ორ ეტაპს გამოვყოფთ: 1) სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას მცირე რაოდენობის, მაგრამ, შედარებით დიდი ახალშენების დაარსების პერიოდი, 2) მილეტის მიერ შავიზღვისპირეთის სანაპიროს მიზანმიმართული მასობრივი ათვისების პერიოდი – მცირე ახალშენების დაარსება.

პირველი პერიოდი ძვ. წ. VIII საუკუნის შუა ხანებიდან ძვ. წ. VII საუკუნის შუა ხანების ჩათვლით გაგრძელდა. ძვ. წ. VIII საუკუნეში მილეტმა დაარსა ტრაპეზუნტი და სინოპი (ძვ. წ. 756), შემდეგ ბერეზანი და ოლბია (ძვ. წ. VII საუკუნის შუა ხანები), ისტროსი (ძვ. წ. 657-630) და, ალბათ, ამ ხანებში ტანაისი (ძვ. წ. VII ს.) და ოდესოსიც (ძვ. წ. VII ს).

მეორე პერიოდი დაიწყო ძვ. წ. 630 წელს სინოპეს[5] და კერასუნტის დაარსებით და დასრულდა ძვ. წ. 494 წელს. სინოპეს და კერასუნტის შემდეგ დაარსებები შემდეგი თანმიმდევრობით მოხდა: ამისოსი (ძვ. წ. VII ს. II ნახევარი), აპოლონია (ძვ. წ. 609 წ.), პანტიკაპეიონი, ტირასი და ტომისი (ძვ. წ. 600), დაახლოებით ამ დროს დაარსდა იონიური ფიჭვნარი (ინაძე 1982:97), ფაზისიც, ეშერაც და ბათუმის ციხის დასახლებაც (კახიძე 1989:56). ძვ. წ. 540 წლამდე დაარსდა გიენოსი. ასევე დაახლოებით ამავე დროს არსდება ფეოდოსია, ნიმფეიონი და ოდნავ მოგვიანებით, ძვ. წ. 500 წელს კერკინიტიდა.

პირველი პერიოდი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: პირველ ეტაპზე მოხდა სამხრეთ შავიზღვისპირეთის ათვისება, შემდეგ ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და ბოლოს დასავლეთ შავიზღვისპირეთის.

მეორე პერიოდშიც ტერიტორიის ათვისება იწყება ისევ სამხრეთ შავიზღვისპირეთით, შემდეგ გრძელდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთით – კოლხეთის სანაპიროების ათვისებით, შემდეგ ჩრდილო შავიზღვისპირეთით. რაც შეეხება დასავლეთ შავიზღვისპირეთს, მისი ათვისება ამ შემთხვევასი მთელი პროცესის სინქრონულია.

[5] იგულისხმება ხელახალი დაარსებაა

ჩვენი აზრით, კოლონიების დაარსების ეს თანმიმდევრობა განაპირობა შავიზღვისპირეთის დინებების თავისებურებამ და, აქედან გამომდინარე, სანაპიროს შემოვლის შესაძლებელმა გზამ.

შავ ზღვაში ორი ძირითადი დინებაა. ორივე მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. შავი ზღვის გადაჭრა ისე, რომ არცერთ დინებას არ გაჰყვე, შესაძლებელია მხოლოდ სინოპიდან სევასტოპოლამდე (Золотарев 1979:95-98), თანაც ისე, რომ კარგ ამინდში თვალთახედვიდან მიწა არ დაკარგო (Robinson 1906[2]:136). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იმხანად ბერძნები კაბოტაჟურად დაცურავდნენ და მხოლოდ ძვ. წ. V-IV საუკუნეების მიჯნაზე ისწავლეს მზისა და ვარსკვლავების გამოყენებით ღია ზღვაში ცურვა. ეს ნიშნავს, რომ შავიზღვისპირეთის ათვისებისას ბერძნები სანაპიროს მიჰყვებოდნენ დინებების მიხედვით და ამგვარად ითვისებდნენ ტერიტორიას. ამასთან, დამატებით ფაქტორებსაც ჰქონდა მნიშვნელობა: მაგ., კონკრეტულ მომენტში კოლხეთის ოქროს ძიება შეიძლებოდა ყოფილიყო ტერიტორიის ათვისების სურვილი და შემდეგ მას მიყვა, როგორც ჩანს, ჩრდილო შავიზღვისპირეთისა და დასავლეთის უფრო ფართოდ ათვისების ეტაპი.

როგორც ჩანს, მცირე მანძილზე დასავლეთ სანაპიროს ათვისებისას ბერძნები დინებების საწინააღმდეგოდაც მიცურავდნენ საკაბოტაჟო გზით. მაგრამ ეს საერთო სურათს არ არღვევს – შავიზღვისპირეთი ძვ. წ. IV საუკუნემდე ზღვაოსნობისთვის აღიქმებოდა საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ისინი, ვისაც თავად უმოგზაურია შავიზღვისპირეთში, ძირითადად, ამ ტერიტორიას აღწერენ საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ. ეს იმიტომ, რომ ისინი, ძირითადად, მოგზაურობდნენ გემებით, როგორც მაგალითად არიანე აღწერს. სტრაბონს აქ არ უმოგზაურია, მან სხვადასხვა წყაროებით ისარგებლდა და შეაკოწიწა თავისი აღწერა. ამიტომაც არის, რომ აღწერისას ის ირჩევს სხვადასხვა მიმართულებას. ვინც ხმელეთით მოგზაურობდა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ სანაპიროს აღწერდეს ჩრდილო-დასავლეთიდან დაწყებული სამხრეთ-დასავლეთით დამთავრებული, ისევე, როგორც პირიქით.

საინტერესოა, რომ როდესაც მეგარელები იწყებენ აქ ახალშენების დაარსებას, იწყებენ სამხრეთის ათვისებით, ხოლო შემდეგ თავის ახალშენებს პრაქტიკულად ერთდროულად აარსებენ ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და დასავლეთში. თუმცა მათი კოლონიზაცია გამოირჩევა იმ პრინციპით, რასაც მილეტი მიმართავდა მხოლოდ პირველ პერიოდში – სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას შედარებით დიდი დასახლებების დაარსება. შემდგომში მილეტმა სტრატეგია შეცვალა და ასახლებდა ბევრ და მცირემოსახლეობიან კოლონიებს. ეს პრინციპი არ შეურჩევიათ მეგარელებს, მილეტელებისგან განსხვავებით მათ ერჩივნათ თითო დიდი კოლონია თითო სტრატეგიულ ადგილას. მილეტის მეორე ეტაპზე დაარსებულ კოლონიებში, მათ შორის, კოლხეთის კოლონიებში ბერძნული მოსახლეობა, როგორც ჩანს, დიდი არ იყო. ბათუმის ციხის დასახლების, ციხისძირის, გიენოსის და ამ პერიოდის სხვა იონიური ძეგლები ხშირად სუსტია იმპორტის თვალსაზრისით. ამის გამო ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ იონიელების აქ მოსვლის ალბათობას, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ მილეტის ტაქტიკა სხვაგვარია ამ ეტაპზე, დააარსოს ბევრი დასახლება და მცირე მოსახლეობით, სურათი ლოგიკურია. სიმპტომატურია, რომ მილეტი მიჩნეულია 90 ქალაქის დამაარსებლად, ერთი შეხედვით, ჰიპერბოლიზებური ციფრია, თუმცა ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ესეც ლოგიკური ჩანს.

ძვ. წ. VI საუკუნის ბერძნული იმპორტის, ერთი შეხედვით, არასაკმარისი რაოდენობა ისტორიოგრაფიაში ბერძნების მოსვლის ამ დროით დათარიღებისთვის ჰამლეტისეული შეკითხვის საფუძველი გახდა ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით გიენოსთან და დიოსკურიასთან მიმართებაში. ჩვენი აზრით, იმპორტის აღმოჩენილი რაოდენობაც კი საკმარისია მათი აქ მოსახლეობის სამტკიცებლად. ფიჭვნარის მაგალითიდან ჩვენ ვიცით, რომ შესაძლებელია ბერძნები სანაპიროზე მოსახლეობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით და მათ სამარხებში იმპორტის მხოლოდ მცირე ნაწილი დაილექოს. მით უფრო, რომ დიოსკურიასთან მიმართებაში საკითხი გართულებულია იმით, რომ ძველი დიოსკურია დაძირულია და მის შესახებ ჩვენ მხოლოდ მიზერული ინფორმაცია მოგვეპოვება.

ბერძნების მოსვლასთან ერთად კოლხეთში შემოდის არა მხოლოდ ბერძნული იმპორტი, არამედ სირიული და ეგვიპტური ნაწარმი. რაც უფრო შორეული ცენტრიდან მოდიოდა და რამდენადაც მეტ საშუამავლო სავაჭრო ცენტრს

გაივლიდა ეს ნაწარმი, რა თქმა უნდა, მით უფრო ძვირდებოდა. ეგვიპტური ნაწარმი ძვ. წ. VI საუკუნეში ჩვენთან მოხვდებოდა შემდეგი გზის გავლით: ეგვიპტის შიდა რაიონები → ნავკრატისი → მილეტი → სინოპი (?) → კოლხეთის ბერძნული ქალაქები, შესაბამისად, ის უკვე განსაკუთრებით გაძვირებული იქნებოდა. ამის შედეგია მათი მცირე რაოდენობით აღმოჩენა. მთიან რაიონებში მაგ., რაჭაში ეგვიპტური სკარაბეების აღმოჩენა (ინაძე 1962:103) შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ განსაკუთრებული სიძვირის გამო მსხვილი გარიგებების დროს მათი მეშვეობითაც ხდებოდა ანაზღაურება. მოგვიანებით, ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან, მსხვილი გარიგებებისთვის გამოიყენებოდა, ალბათ, ალექსანდრე მაკედონელის ან ლისიმაქეს სტატერები (დუნდუა... 2006:82).

ერთი საინტერესო ფაქტი იქცევს ყურადღებას: ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთის სანაპიროს მთელ ტერიტორიაზე არსებული დიუნური სადგომები წყვეტენ არსებობას. მათი ფუნქცია იყო ან მარილის მიღება (Соловьев 1947[1]), ან მაგნეტიტური ქვიშებისგან რკინის მიღება (Рамишвили 1975:41). ნებისმიერ შემთხვევაში დიუნურ სადგომებზე მოსახლენი მოიპოვებდნენ მასობრივი მოხმარების საგანს რთული გზით. ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა გამოეწვია სანაპიროზე მცხოვრები კოლხების საქმიანობის შეწყვეტა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ბერძნების გამოჩენა. გარედან მოსული რესურსის წყალობით, როგორც ჩანს, შესაძლებელი გახდა ამ საქმიანობით მიღებული მასალის ჩანაცვლება. თუკი მათი მოპოვების საგანს მარილი წარმოადგენდა, გასაგებია, რომ იმხანად მოსულმა ბერძნებმა შემოიტანეს მარილი, რომლის მოპოვებაც ძნელი იყო და, ალბათ, ძვირიც უჯდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას, შედეგად ეს საქმიანობაც შეწყდა. თუკი რკინის მოპოვებასთან იყო ეს საქმიანობა დაკავშირებული, როგორც ჩანს, ისევ ბერძნებთან ერთად მოსულმა ტექნოლოგიურმა ცოდნამ შესაძლებელი გახადა ამ საქმიანობის არსებული ფორმით შეწყვეტა, თუმცა, ჩვენი აზრით, დიუნური დასახლებების საწარმოო ფუნქციაში უფრო მარილის მოპოვება უნდა დავინახოთ.

მილეტელების ყველა ექსპერიმენტი შავი ზღვის რეგიონში, როგორც ჩანს, წარმატებული არ ყოფილა, მათ შორის, არც თავდაპირველ ეტაპზეც. საინტერესოა არისტოტელეს ფრაგმენტებში დაცული ერთი ცნობა:

557. ხოლო მილეტელებმა, ვიდრე ისინი არ განებივრდებოდნენ, სძლიეს სკვითებს, როგორც ამბობს ეფოროსი, ჰელესპონტთან ქალაქები ააშენეს, ევქსინი პონტო დაასახლეს ბრწყინვალე ქალაქებით და ყველანი მილეტში გაიქცნენ. მაგრამ როდესაც ისინი თანდათანობით განცხრომასა და ნებივრობაში ჩაცვივდნენ, გამოეცალა ქალაქს სიმამაცე, ამბობს არისტოტელე. და ერთი ანდაზაც კი არსებობს მათ შესახებ. „ძველად, ოდესღაც მამაცები იყვნენ მილეტელები“ (ყაუხჩიშვილი 1969[1]:73).

ცნობა, როგორც ჩანს, მიეკუთვნება ეფოროსს, რომელიც ცხოვრობდა ძვ. წ. 400-330 წწ. ეფოროსს მიაწერენ პირველი მსოფლიო ისტორიის შედგენას. მის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი ცნობები დაცულია ფრაგმენტების სახით, ჩართულია სხვა ავტორების თხზულებებში, მაგ., მას ხშირად იმოწმებს სტრაბონი. ცნობა ძვ. წ. IV საუკუნისაა, არაუგვიანეს ძვ. წ. 330 წლისა. თუმცა თავისთავად ინფორმაცია ეფოროსთაც უფრო ადრეული წყაროებიდან უნდა იყოს ასახული: 1) ეფოროსი კომპილატორია და 2) ცნობა მილეტელების შავ ზღვაში აქტიურობის შესახებ, საფიქრებელია, რომ აქ ათენელების გაბატონებამდე ვითარებას ასახავს.

არსებობს რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტი, თუ რას უნდა ასახავდეს მილეტელებთან დაკავშირებული ეს ცნობა, და, ასევე, ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტი, თუ როდინდელ ვითარებას უნდა ასახავდეს ეს ცნობა:

- ✓ მილეტელების მიერ შავი ზღვის კოლონიზაციის პირველ ეტაპზე დაარსებული კოლონიების ნაწილის ხელმეორე კოლონიზება გახდა საჭირო ისევ მილეტელების მიერ. მაგ., სინოპე და კიზიკოსი სამხრეთ შავიზღვისპირეთში ორჯერაა მილეტელების მიერ დაფუძნებული (Gorman 2004:257). ეს ქმნის ერთგვარ საცდურს, ხომ არ ასახავს ეს ცნობა ამ პერიოდის ვითარებას. მილეტელები მოვიდნენ ძვ. წ. VIII საუკუნეში, თუმცა მათმა კოლონიებმა ვერ შეძლეს ვერც მნიშვნელოვანი კონტაქტების შენარჩუნება მეტროპოლიასთან, ვერც საკუთარი ეკონომიკური ბაზის შექმნა და დამოუკიდებელ პოლისებად ჩამოყალიბება და ისევ უკან დაბრუნდნენ. ძვ. წ. VIII საუკუნეში ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო: 1) კოლონისტების

არასაკმარისი რაოდენობა, 2) კიმერიელების შემოსევების გამო რეგიონის გავერანება (?). თუმცა ეფოროსის ცნობა ძნელია საფიქრებელია, ადრინდელ ვითარებას ასახავდეს.

- ✓ მილეტელები შავ ზღვაში მათი აქტიურობის მეორე ეტაპზე (ძვ. წ. 630-494 წწ) ხშირად ქალაქებს ასახლებდნენ პრინციპით – ბევრი და მცირე მოსახლეობით. თუკი თავდაპირველი ქალაქები სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში დააარსეს და ვრცელ ტერიტორიაზე შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ქალაქი ყოფილიყო, მეორე ეტაპზე სხვა ტაქტიკას ირჩევენ – ცდილობენ სანაპირო მაქსიმალურად აითვისონ. შესაბამისად, ცალკეულ დასახლებებში, ალბათ, ნაკლები რაოდენობის კოლონისტი იგზავნებოდა. პოლისის დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზის შესაქმნელად საჭიროა კოლონისტთა ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება სამრეწველო სექტორის ასამუშავებლად. კოლონიების ფუნქცია, მართალია, ნედლეულის მიწოდებაა მეტროპოლიისთვის, მაგრამ დამოუკიდებელმა ახალშენებმა იმისათვის, რომ საბოლოო დამოუკიდებლობას მიაღწიონ, საკუთარი საწარმოო პროფილიც უნდა მოძებნონ. მაგ., ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქებისთვის ეს გახდა ხორბლის მიწოდება ბერძნულ სამყაროსთვის, შედეგიც სახეზე იყო, ეგვიპტის მიერ ხორბლის ექსპორტის დაწყებამდე ყველაფერი წესრიგში ჩანდა, მერე კი თანდათანობით მათი დაკნინება იწყება. დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზის შესაქმნელად და საკუთარი საწარმოო პროფილის ასამუშავებლად საჭიროა მოწინავე ტექნოლოგიების მქონე ბერძნების ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება თუნდაც ერთი დარგის განსავითარებლად. ჩვენი აზრით, შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის მილეტურ ეტაპზეც, განსაკუთრებით მის მეორე პერიოდში, ამ რეგიონში მოსული კოლონისტები არ აღმოჩნდა საკმარისი ამისთვის. იონიელებმა მიატოვეს თვით ისეთი სტრატეგიული პუნქტი, როგორიც იყო ქერსონესი და ჰერაკლეს პონტიკიდან მოსული კოლონისტები რეალურად კოლონისტების მეორე ნაკადია. სიმპტომატურია ისიც, რომ ათენელების მოსვლის დროისათვის კოლხეთის ქალაქების კოლონისტების ახალი ნაკადით შევსება გახდა საჭირო. ფაქტია, დიოსკურია კლერუხებით შეივსო, ხოლო ფიჭვნარი

ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა – მცირე იონიური დასახლებიდან მნიშვნელოვან სავაჭრო ადგილად იქცა.

კოლხეთის ანტიკური პოლისების კვდომის ერთ-ერთ შესაძლებელი მიზეზი კოლონისტების არასაკმარისი რაოდენობაა. თუმცა, ჩვენი აზრით, ზოგადად, მთელი ბერძნული კოლონიზაციის პროცესში, სხვადასხვა პერიოდში მოსული მოსახლეობა ერთად აღებული არ აღმოჩნდა საკმარისი კოლხების ელინურ ეკონომიკურ სივრცეში ჩართვის ექსპერიმენტისთვის.

ჩვენი აზრით, არისტოტელეს ცნობა ასახავს ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრის ვითარებას. მილეტი შავიზღვისპირეთში თვით ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს – V საუკუნის დასაწყისშიც კი აქტიურია, აარსებს 2 ქალაქს – მირკინოსს (მაკედონია) და ანქიალეს (აღმოსავლეთ პონტო) ამასთან, ინტერესი ჯერ კიდევ გააჩნდა იმხანად აქ აქტიური ყოფილიყო – დაინტერესებული იყო გემებისთვის საჭირო სამშენებლო ხე-ტყით მოსალოდნელი ბერძენ-სპარსელთა ომის წინ. მილეტელების უკან დაბრუნება, რომელსაც არისტოტელე აღნიშნავს, ძვ. წ. 479 წლის შემდეგი პერიოდით უნდა დათარიღდეს. ძვ. წ. 494-479 წწ. მილეტი სპარსელთა ხელშია და ნაკლებად სავარაუდოა, მილეტელ კოლონისტებს მაშინ მოენდომებინათ მეტროპოლიაში დაბრუნება. ეს უფრო 479 წლის შემდგომ მოვლენას ჰგავს, როდესაც ქალაქი სპარსელთაგან გათავისუფლდა.

ამრიგად, შავი ზღვის მილეტელი კოლონისტების ნაწილი, როგორც ჩანს, ძვ. წ. V საუკუნის I ნახევარში ისევ საკუთარ ქალაქში დაბრუნდა. მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მათი არასაკმარისი რაოდენობა იმისათვის, რათა დამოუკიდებელი პოლისი ჩამოყალიბებულიყო. მაგ., ასეთი დასახლება კოლხეთის სანაპიროზე შეიძლება ყოფილიყო იონიური ფიჭვნარი, ბათუმის ციხის დასახლება, დიოსკურიაც. ბათუმის ციხის იონიურ კოლონიზაციას, მიიჩნევენ, რომ წარმატება არ მოჰყოლია (კახიძე 1973:32). კახიძის აზრით, ამის მიზეზი მისი შექმნის ძალადობრივი ხასიათია (კახიძე 1973:32), თუმცა მიზეზი შეიძლება იყოს კოლონისტების არასაკმარისი რაოდენობა, ეკონომიკური სტიმულების არარსებობა და შედეგი, მათი „გაქცევა“ ამ რეგიონიდან. დიოსკურიის შემთხვევაშიც, რადგან მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური წყვეტა იმპორტში არ შეინიშნება და შემდეგ ათენელი კოლონისტებით ჩანს შევსებული ადგილობრივი ტერიტორია, შესაძლებელია იგივე ვიფიქროთ. საერთო ჯამში, საინტერესოა ის ფაქტი, რომ

არასასურველი პირობების გამო ჯერ კიდევ მილეტური კოლონიზაციის პერიოდში და მალევე მის შემდეგ კოლონისტებს შეიძლება დაეტოვებინათ შავიზღვისპირეთის რეგიონი.

ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარი აღინიშნა ათენის გაძლიერებით, აგრეთვე სამყაროს პერცეფციის თვალსაზრისით, მასშტაბების გაზრდით. ათენმა ჩაიგდო ბაზრები ხელთ და ეს აისახა ათენის ყოველდღიურ ყოფაზეც კი. პერიკლეს ხანის ათენელს *„შეეძლო ჰქონოდა ატიკური ზეთისხილის ზეთი და ღვინო, მარცვლეული და დამარილებული თევზი შავი ზღვიდან, ფინიკი ფინიკიიდან, ყველი სიცილიიდან და ფეხსაცმელი სპარსეთიდან, წამოწოლილიყო მილეტურ საწოლზე კართაგენული ბალიშით“* (Cambridge 1964[2]:16).

ძვ. წ. V საუკუნის 40-30-იან წლებში ათენის საზღვაო კავშირის პოლიტიკა იყო შავიზღვისპირეთის აუზში შეჭრა. ძვ. წ. 437-435 წწ. პერიკლეს ექსპედიცია გაემართა პონტოსკენ. მან საზღვაო კავშირში გააერთიანა სინოპი, ამისოსი, აპოლონია და შესაძლოა, დასავლეთ სანაპიროდან ისტრიაც. ასევე, ნიმფეიონი და, შესაძლოა, ოლბიაც (Кузищин 2005:195-196). ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს სიცილიაში მარცხმა ათენის ინტერესი შავიზღვისპირეთისკენ ისევ გააძლიერა, მით უმეტეს, რომ ამას თან დაერთო ისიც, რომ ძვ. წ. 412 წ. ქიოსი აუჯანყდა ათენს, მერე კლაზომენე, ერითრეა, ტეოსი, მილეტი და ძვ. წ. 411 წლისათვის ათენმა მთელი იონია დაკარგა (Кузищин 2005:196).

ათენის შავიზღვისპირეთით განსაკუთრებული დაინტერესების შედეგია, როგორც ჩანს, ფიჭვნარის დაარსება და დიოსკურიის დასახლების კლერუხებით გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ ფიჭვნარის ანტიკური სახელწოდება ჩვენამდე არ შემორჩა, ეს მის მნიშვნელობას არაფრით არ აკნინებს. ალ-მინა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო, მიუხედავად ამისა, მისი ანტიკური სახელწოდება ჩვენამდე არ შემორჩა (Luraghi 2006:27).

ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარში მნიშვნელოვნად ძლიერდება ატიკური იმპორტი. მასთან ერთად შემოდის თაზოსური (Лордкипанидзе 1980:10), ქიოსური, როდოსული, ლესბოსური და სხვა ცენტრების იმპორტი, თუმცა მათი შემოსვლა ათენის საშუამავლო ვაჭრობას უკავშირდება.

კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის უშუალო შედეგია, ასევე, მონათვაჭრობა. კოლხური წარმოშობის მონების შესახებ ჩვენ ინფორმაცია, ძირითადად, ეპიგრაფიკული მასალებიდან მოგვეპოვება. კოლხეთიდან გაჰყავდათ მონები, რომლებიც საკმაოდ ძვირი ღირდა. კოლხეთიდან გაყვანილი მონები ჩართული იყვნენ ინდუსტრიულ სექტორში. შავფიგურული ჰიდრიას წარწერა ძვ. წ. VI-IV საუკუნეებისა (Каухчишвили 1975:499), ამავე პერიოდის წარწერა ამფორაზე: „ევქსითეოსმა გამაკეთა, კოლხმა მომხატა“ (Каухчишвили 1975:499), ასევე საფლავის ქვა წარწერით: „ევფროსინე, ხაირემონისა, კოლხი ქალი“ ათენიდან (ძვ. წ. IV-I სს.) (Каухчишвили 1975:499) მონათვაჭრობას ადასტურებენ. კოლხი მონა ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს ღირდა 153 დრაქმა (Каухчишвили 1975:499). ეს მაშინ, როცა 180 დრაქმა წელიწადში ძვ. წ. V საუკუნეში ათენში დაქორწინებულ წყვილს ეყოფოდა სარჩენად (Cambridge 1964[2]:22). გარდა ტომობრივი სახელწოდება კოლხისა, ბერძნული სამყაროდან ცნობილია სახელწოდება „სანი“ ათენისა და დელფოსის წარწერებიდან (ძვ. წ. 270-260) (Каухчишвили 1975:502), ასევე, დელფოსის 2 წარწერაში მოხსენიებულია საკუთარი სახელი მაკრონი (ძვ. წ. 208 წ), რომელიც ტომობრივ კუთვნილებას უნდა აღნიშნავდეს (Каухчишвили 1975:501). მაკრონები და სანებიც კოლხურ სამყაროსთან არიან დაკავშირებულები და ესეც ადასტურებს ბერძნების შავიზღვისპირეთში მონათვაჭრობისადმი ინტერესს. მონათვაჭრობა ძვ.წ. VI საუკუნიდან ძვ. წ. II-I საუკუნემდე (?) წარმოადგენდა შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქების შემოსავლის წყაროს. დელფოსის მანუმისიებში, რომლებიც ძვ. წ. II საუკუნით თარიღდება, მოხსენიებულია ქალი, სახელად კალო, კოლხეთიდან, რომელიც გაიყიდა 5 ვერცხლის მნად (Каухчишвили 1975:499). დელფოსის ძვ. წ. I ს. წარწერაში მოხსენიებულია ვინმე „ფესინოსი“ (ქიოსელი), რომელიც შეიძლება, ასევე, ფაზისიდან იყოს წაყვანილი (Каухчишвили 1975:503). ჩვენი აზრით, მისი ქიოსელად მითითება ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მხოლოდ იმის აღმნიშვნელია, რომ ის ქიოსშია ნაყიდი – მონათვაჭრობის ერთ-ერთ უდიდეს ბაზარზე. საინტერესოა, რომ კოლხები ჩანან ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებშიც (Каухчишвили 1975:503-505).

ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრამდე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების დიდი ნაწილი მაინცდამაინც ბერძნულ სახეს არ ატარებს.

აქ არ არის არც ქალაქების რეგულარული დაგეგმარება ჰიპოდამუსის სტილით, ხშირად არც ქვებით ნაგები კონსტრუქციები. ეს ფაქტი ხშირად კოლხეთში ბერძნების ინტენსიური აქტივობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების საფუძველიც ხდება (ლორთქიფანიძე 1964:196). კოლხეთში არც შემდგომში არ აშენებულა ქვის ნაგებობები. შეიძლება, ეს კოლხეთის ნესტიანი კლიმატითაც იყოს გამოწვეული და არა იმით, რომ იმხანად კოლხეთში მცხოვრები ბერძნები ვერ ან არ აშენებდნენ ქვის კონსტრუქციებს.

ძვ. წ. IV საუკუნეში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა და ცვლილება მოხდა, რამაც გავლენა მოახდინა კოლხეთის ბერძნული ქალაქების შემდგომ განვითარებაზეც.

მაკედონიის აღმავლობამ და ათენის პოზიციების შესუსტებამ გამოიწვია შავიზღვისპირეთში სინოპის როლის გაზრდა. თუკი აქამდე ათენი გამოდიოდა სხვა ბერძნულ ცენტრებთან კომერციული შუამავლის როლში, ამ დროიდან სინოპი ასრულებს ამ როლს.

ეგეოსის და ხმელთაშუაზღვის აუზის ბერძნულ ქალაქებთან კავშირის შესუსტებამ, ასევე, გამოიწვია შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებს შორის ვაჭრობის გაცხოველება. ძვ. წ. IV საუკუნეში, მას შემდეგ, რაც სიცილიური ბაზარი დაკარგა ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს, ათენი ბოსფორის პურისადმი ინტერესს მაინც ინარჩუნებდა, სანამ ძვ. წ. III საუკუნეში ეგვიპტიდან არ დაიწყეს პურის იმპორტი. ამდენად, ათენთან კავშირი და ვაჭრობა ძვ. წ. IV საუკუნეში შავიზღვისპირეთის ქალაქებს ასე თუ ისე ჯერ კიდევ ჰქონდათ, თუმცა ძვ. წ. III საუკუნეში ეს კავშირი შესუსტდა. ამან კი, თავის მხრივ, შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებს შორის ვაჭრობის კიდევ უფრო გაცხოველება გამოიწვია, მათ შორის, კოლხეთის ბერძნულმა ქალაქებმაც ჩრდილო და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან დაამყარეს კიდევ უფრო ინტენსიური კონტაქტები.

შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებში ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს იწყება ადგილობრივი წარმოებაც. კოლხეთის ქალაქები საკუთარ ამფორებს აწარმოებენ. თუკი აქამდე შავიზღვისპირეთის ქალაქებიდან მოპოვებული ნედლეული, იქნებოდა ეს თაფლი, ცვილი, ფისი და სხვა, ალბათ, ბერძნებს მათ მიერ მოტანილი ტარის მეშვეობით გაჰქონდათ კოლხეთიდან, ძვ. წ. IV საუკუნიდან, როცა ეგეოსთან და, ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებთან კონტაქტი შეწყდა და შესაბამისად, იქიდან

ტარაც ნაკლებად შემოდიოდა, დაიწყეს საკუთარი ტარის წარმოება, რათა საკუთარი ნაწარმი პროდუქცია გაეზიდათ. ქერსონესის ისტორიულ-არქეოლოგიური ნაკრძალის ფონდებში დაცულია არა მხოლოდ დიოსკურიის მონეტები, არამედ კოლხური ამფორების ფრაგმენტების საინტერესო ნიმუშები. ამ ამფორების ყველაზე ადრეული ძირები (ძვ. წ. IV ს. ბოლო – III ს.) აღმოჩენილია როგორც პოლისის, ასევე, მის ახლოს ხორას (ჰერაკლეას ნახევარკუნძული) ტერიტორიაზე (5 ეგზემპლარი). ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება ოთხი ძირი და ერთი კორპუსი, ხოლო ყელის ხუთიოდე ნატეხი კი ძვ. წ. II საუკუნეს განეკუთვნება. ქერსონესის ახლოს გორაზე ბერმანის ხევში ნაპოვნია კოლხური ქვევრის კედლის სამი ფრაგმენტი (ცეცხლაძე 1991:51). ქერსონესის ხორაზე (ჩრდილო-დასავლეთ ყირიმი) ხშირია კოლხური ამფორების აღმოჩენის ფაქტი. *„სულ ნაპოვნია სამასამდე ფრაგმენტი, ყველაზე ადრეული ამფორები თანადროულია ვანში მეომრის სამარხში ნაპოვნი კოლხური ამფორებისა“* (ცეცხლაძე 1991:53). კოლხური ამფორები აღმოჩენილია აგრეთვე ყირიმელი სკვითების დედაქალაქ სკვითურ ნეაპოლში. რადგან ეს ტერიტორია სკვითებს ჰქონდათ დამორჩილებული და ამის გამო გამწვავებული იყო ურთიერთობა ქერსონესთან, გ. ცეცხლაძის აზრით, კოლხური იმპორტი აქ შემოდიოდა ბოსფორის სამეფოს მეშვეობით (ცეცხლაძე 1991:54). კოლხური ამფორები აღმოჩენილია ნიმფეიონშიც (Грач 1985:227).

რა შეიძლებოდა ყოფილიყო ექსპორტის საგანი კოლხეთიდან? ელინისტურ ხანაში კოლხეთის ექსპორტის საგანი შეიძლება ყოფილიყო რკინა, ოქრო, სელი, კანაფი, ცვილი, ტილო, ფისი, სელის ზეთი, ღვინო და ხე-ტყე გემთმშენებლობისთვის. ამ პროდუქტებიდან მხოლოდ ცვილის, სელის ზეთი ან ღვინის გადატანა შეიძლება ამფორებით (ბოერი 2005:13). შესაბამისად, ეს პროდუქცია გავიდოდა ამფორების მეშვეობით. სინოპური ამფორების მსგავსად, კოლხური ამფორები აღმოჩენილია ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებში და არა ჰინტერლანდში. ამ ფაქტის საფუძველზე ბოერი ასკვნის, რომ პროდუქტები, რომლებიც გადაჰქონდათ კოლხური ამფორებით, გამიზნული იყო ბერძნები კოლონისტებისთვის და არა ავტოქტონებისთვის. (ბოერი 2005:13). აღსანიშნავია, რომ კოლხური ამფორები მარტო ჩრდილო შავიზღვისპირეთში არაა აღმოჩენილი. დომინიკ ტეზგორი, შავი ზღვის თურქეთის სანაპიროს მუზეუმებში დაცული

კერამიკული ტარის კოლექციების შესწავლისას მიდის დასკვნამდე, რომ „*სინოპური ამფორების შემდეგ, რომლებმაც მთლიანად დაიპყრეს ბაზარი რამდენიმე ეპოქის მანძილზე, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან კოლხური ამფორები. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე მუზეუმებში წარმოდგენილია ამ რეგიონში საუკუნეების მანძილზე წარმოებულ ამფორათა ტიპების სრული კოლექცია. კოლექციებში წარმოდგენილია პონტოს ჰერაკლეის, აგრეთვე ჩრდილო შავიზღვისპირეთის ამფორები, მაგრამ უფრო მცირე რაოდენობით*“ (ტეზგორი 2005:33). სამწუხაროდ, ამ ამფორების ზუსტი ქრონოლოგია სტატიაში არ არის მოცემული, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს მათი წარმოების პერიოდს – ძვ. წ. IV-III საუკუნეებს ემთხვევა. შესაბამისად, როგორც ჩანს, კოლხეთის ბერძნული ქალაქები, დასავლეთ შავიზღვისპირეთის გარდა, მთელ რეგიონში ინტენსიურად ვაჭრობდნენ და თავიანთი პროდუქციის ექსპორტს ახდენდნენ. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ შეესრულებინათ ის ფუნქციაც, რომელსაც მანამდე ქიოსი ასრულებდა – ამფორები ეწარმოებინათ მხოლოდ ტარის ექსპორტის ფუნქციით.

ათენთან კავშირის შესუსტებამ გამოიწვია კიდევ ერთი რამ – ქალაქების, რომელთა მოსახლეობაც როტაციის წესით იცვლებოდა (მაგ., ფიჭვნარი), ტრანსფორმაცია მოხდა. აღარ არსებობდენ ინტენსიურად მოძრავი ათენელები, რომლებიც საქონელსა და მოხმარების საგნებს მთლიანად ათენიდან იღებენ და ფიჭვნარში მხოლოდ რეზიდენტებად არიან. ამის ნაცვლად აქ გაჩნდა მუდმივად ამ ადგილებში დასახლებული მოსახლეობა, რომელიც ყოველდღიური მოხმარების საგნებს და პრაქტიკულად მთელ წარმოებულ პროდუქციას უკვე ათენიდან კი არ იღებს, არამედ ძირითადად კოლხებისგან. შედეგიც სახეზეა – ფიჭვნარის ძვ. წ. V–IV საუკუნეების ბერძნული ნეკროპოლი წყვეტს არსებობას. მაგრამ ბერძნებს აქ ბინადრობა მთლიანად არ შეუწყვეტიათ – ელინისტურ სამაროვანზე სწორედ ისინი იკრძალებიან ისევ. ამასთან, ბერძნული დაკრძალვის წესია დაფიქსირებული სააღაპო მოედნებით და ბერძნული ინვენტარით, შესაბამისად, აქ, როგორც ჩანს, ბერძნები ისევ მოსახლეობენ, თუმცა უკვე სხვა სტატუსით – ადგილობრივად მოსახლის სტატუსით. სიმპტომატურია, რომ სწორედ ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან იწყება ფიჭვნარშიც ე. წ. ყავისფერკეციანი ამფორების წარმოებაც. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ ბერძნები შემოტანილი

საქონლით კი არ ვაჭრობენ, თვითონ ცდილობდენ პროდუქციის წარმოების დაწყებას.

ადგილობრივი წარმოების დაწყებამ კოლხეთის რიგ ბერძნულ ქალაქებში გამოიწვია სვინოიკიზმი – მათ მიერ მიმდებარე ტერიტორიების ეკონომიკური შეერთება. ამის თვალსაჩინო მაგალითია დიოსკურიის ამფორების საწარმოებელი ქურების ნაშთების აღმოჩენა ერთი მხრივ გვანდრასთან, ლეჩკოპთან და ეშერასთან, მეორე მხრივ, გულრიფშთან. მთელი ეს მხარე, სოხუმის ყურის მიმდებარე ტერიტორიები სამეურნეო თვალსაზრისით შერწყმულია დიოსკურიის თავდაპირველ ბირთვთან. ეს პროცესი კოლხეთის სამეფოს დაშლისა და სხვადასხვა ე. წ. „ქალაქ-სახელმწიფოების“ წარმოქმნის სახით წარმოუდგენია გ. გამყრელიძეს. მისი აზრით, ამ დროს წარმოიქმნა ე. წ. „დიოსკურია-ეშერის ქვეყანა“, „გიენოსის ქვეყანა“, „ფაზისის ქვეყანა“, „ქობულეთ-ფიჭვნარის ქვეყანა“, რომლები*ც „შიდა კოლხეთისგან ბერძნული ეთნიკური ელემენტის სიჭარბით გამოირჩეოდნენ, ხოლო ფაზისის და ქობულეთ-ფიჭვნარის ქალაქ-ქვეყნებში ძირითადი მოსახლეობა ჭანური, მეგრულ-ლაზური იყო“* (გამყრელიძე 1985:95). ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ კოლხეთის სამეფო კი არ დაიშალა ზემოხსენებულ ნაწილებად, არამედ კოლხეთის ბერძნული ახალშენების პოლისებად ფორმირება დასრულდა. თუმცა ეს ეხება უფრო დიოსკურიას და ფაზისს, რომელთან დაკავშირებითაც გვაქვს საკმარისი ინფორმაცია, რომ ისინი პოლისებად მივიჩნიოთ[6]. რაც შეეხება გიენოსს, მისი სეზონური ხასიათი, პირიქით, საწინააღმდეგოს გვაფიქრებინებს, ხოლო ფიჭვნართან დაკავშირებით ჯერჯერობით საკმარისი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, რომ ისიც პოლისად გამოვაცხადოთ, ამიტომ ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარში მისი სტატუსის შესახებ მსჯელობისგან თავს შევიკავებთ.

ალექსანდრეს ხანაში საერთო ტენდენცია ასეთი იყო: ყველგან ოლიგარქია იცვლებოდა დემოკრატიით, პოლისები იღებდნენ თავისუფლებას და ავტონომიას, თავისუფლდებოდნენ ფოროსისგან. თავისუფლება მიიღეს მილეტმა, კოლოფონმა, ილიონმა, ხოლო ერითრეელებმა – ავტონომია (Маринович 1985:36-37). ასეთ ვითარებაში ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს საერთო ტენდენციისა და იმ ზოგადი იდეოლოგიის გავრცელების წყალობით, რაც ალექსანდრეს მოღვაწეობას მოჰყვა

[6] დაწვრილებით იხ. ქვემოთ. თავი II-V

შედეგად, გასაკვირი არაა, რომ პოლისებად ჩამოყალიბების პროცესი კოლხეთის სანაპიროს ბერძნულ ქალაქებში დასრულდა.

ძვ. წ. III საუკუნეში კოლხეთს სავაჭრო კონტაქტები, ძირითადად, ისევ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებთან აქვს. ეგეოსურ და ხმეულთაშუაზღვისპირა ცენტრებთან ურთიერთობა უფრო პასიურ ხასიათს ატარებს – იქიდან პროდუქცია შემოდის, მაგრამ კოლხური პროდუქცია ნაკლებად გადის. ამის დასტურია, რომ კოლხური ამფორებით ნაწარმოები პროდუქცია შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებში ყველგან გვხვდება და სინოპური ტარის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს თავისი რაოდენობით. ამასთან, შავიზღვისპირეთის გარეთ პრაქტიკულად არ გვხვდება. გასაგებია, ადგილობრივი ბერძნები დაინტერესებული არიან კონტაქტების შენარჩუნებითაც, ამიტომაც, მაინც შემოდის მრავალფეროვანი უცხოური ნაწარმი კოლხეთში. ვანში იმპორტული ცენტრების ნაწარმიდან აღმოჩენილია სინოპეს, კნიდოსის, ქიოსის, თაზოსის, კოსის, ატიკური, როდოსული, პერგამონული და სხვ. ცენტრების პროდუქცია. სხვებთან შედარებით დიდი რაოდენობითაა ატიკური და როდოსული ნაწარმი. „მეგარული“ თასებიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ისინი მეგარის გარდა, ბერძნული სამყაროს ბევრ ცენტრში მზადდებოდა, ამიტომაც მათი აღმოჩენა კონკრეტულად რომელიმე ცენტრთან კავშირს ვერ ამტკიცებს, თუმცა, ზოგადად, ბერძნულ სამყაროსთან კონტაქტების კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა. როგორც აღვნიშნეთ, სინოპის შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვანი ატიკური და როდოსული პროდუქციაა. როდოსის ასეთი აქტიურობა გამოწვეულია იმით, რომ ელინისტურ ხანაში როდოსი გახდა უდიდესი მასშტაბების სავაჭრო ქალაქი. მას უფლება ჰქონდა ევაჭრა ბაჟის გარეშე (Кузищин 2005:331). გარდა ამისა, როდოსსა და სინოპეს შორის პოლიტიკური კავშირიც არსებობდა ძვ. წ. III საუკუნეში, როდესაც მითრიდატე II თავს დაესხა სინოპს, როდოსელები დაეხმარნენ სინოპელებს იარაღით, ფულით და ღვინით. 10 000 ამფორა ღვინო მისცეს (Robinson 1906[1]:250). როდოსელებისა და სინოპელების კავშირი არც ძვ. წ. II საუკუნეში შეწყვეტილა. ძვ. წ. 183 წ. როდესაც ფარნაკემ აიღო სინოპი, სწორედ როდოსელებმა იჩივლეს რომაელებთან სინოპეს ბედის გამო (Robinson 1906[1]:250). როდოსელები იმდენად დაინტერესებულები იყვნენ სინოპესთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებით, რომ შემდეგში შეიცვალეს

პოლიტიკა და *„პონტოს მეფეების კეთილგანწყობის მოპოვება“* (მათიაშვილი 1977:98) სცადეს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სინოპეს შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებთან ურთიერთობისთვის და სიმპტომატურია, რომ სინოპეს ბედზე წუხან როდოსელები, რომელთა პროდუქციაც იმავე კოლხეთში სინოპის შემდეგ პრაქტიკულად ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. მართალია, მ. ინაძე მიიჩნევდა, რომ კოლხეთს როდოსთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდა (ინაძე 1962:112), მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს კავშირი სინოპეს შუამავლობით ხორციელდებოდა. როდოსელების განსაკუთრებული წუხილი სინოპელების ბედზე კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ სინოპი შუამავლის როლს ასრულებდა და უშუალო კავშირი ეგეოსისა და ხმელთაშუაზღვის ცენტრებთან კოლხეთის ქალაქებს იმხანად არ ჰქონიათ, ისევე როგორც, ალბათ, ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქებს.

ძვ. წ. III საუკუნეში შავი ზღვის რეგიონში არსებული კრიზისის მიზეზად ჰ. გრემი მიიჩნევს ეგვიპტიდან ხორბლის ფართო ექსპორტის დაწყებას (Graham 1961:196). მისი აზრით, ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებისთვის ეგვიპტემ პრაქტიკულად ამოაგდო ხორბლის ექსპორტის სისტემიდან შავიზღვისპირეთი და გამოიწვია ეკონომიკური დეპრესია, რომელიც აქ ძვ. წ. II საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა და თვით რომის მოსვლამდეც კი (Graham 1961:196). მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოდან ხორბლის ფართო ექსპორტი მოსალოდნელი არ არის – ეს რეგიონი სხვა სახის ნედლეულით ამარაგებდა ბერძნულ სამყაროს (მაგ., ხე-ტყით), ეს კრიზისი დასავლეთ საქართველოსაც შეეხო. შავიზღვისპირეთი მთავარი საიმპორტო ნედლეულის, ხორბლის, რომელიც ჩრდილო შავიზვისპირეთიდან მიდიოდა საბერძნეთში, თვალსაზრისით აღარ იყო საინტერესო ბერძნული სამყაროსთვის და მასთან თანდართული რაც შეიძლებოდა ყოფილიყო, პონტოური თევზი, სამშენებლო ხე-ტყე და სხვ., როგორც ჩანს, უკვე აღარ არის საკმარისი იმისათვის, რომ შავი ზღვის რეგიონი ისეთივე მიმზიდველად დარჩენილიყო მათთვის, რომ რეგულარული რეისები განეხორციელებინათ ამ მიმართულებით ვაჭრობის მიზნით. ეს არის ერთ ერთი მიზეზი ჩვენთან კრიზისის დაწყებისა. ეგვიპტის მიერ ხორბლის იმპორტის დაწყებით გამოწვეული ჯაჭვური რეაქცია – საბერძნეთს უფრო იაფი ხორბალი ურჩევნია, თანაც

შავიზღვისპირეთშიც არეულობაა. ამ დროს ხომ თვით ოლბია აღარაა უსაფრთხო – იქ მძიმე ეკონომიკური კრიზისია (Кузищин 2005:350-351), სარმატულ-ნომადური პროტექტორატის პერიოდია (Hind 1992-1993:95). თ. დუნდუა ელინური ექსპერიმენტის კრახის მიზეზებს დასავლეთ საქართველოს კლიმატის თავისებურებებით ხსნის. მისი აზრით, კოლხეთში არსებულმა ნოტიო კლიმატმა განაპირობა ის, რომ *„სოფლის მეურნეობაც, ელინთათვის სასურველი ტემპებით ვერ ვითარდებოდა. ასეთ პირობებში სამრეწველო პოტენციალის შენარჩუნება ძალზედ ძნელი საქმე იყო.“* ყოველივე ამის შედეგად კი, მისი აზრით, *„ბერძნულმა საზოგადოებამ დასავლეთ საქართველოში ჯერ ბილინგვიზაცია, შემდეგ კი სრული ასიმილაცია განიცადა“* (დუნდუა 2009:8). რა თქმა უნდა, ესეც ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია ან შეიძლება შედეგი, მაგრამ ეგვიპტური ხორბლის ათვისების შემდეგ შავიზღვისპირეთისადმი ინტერესის დაკარგვაც ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ძვ. წ. II საუკუნეში კოლხეთის რიგი ბერძნული ქალაქების ბარბარიზება მოხდა – მათ არსებობა შეწყვიტეს. ფიჭვნარი ჩაკვდა და როგორც ჩანს, გიენოსიც. რაც შეეხება ფაზისს და დიოსკურიას, ისინი ჯერჯერობით განაგრძობენ არსებობას. ფაზისთან დაკავშირებით შეიძლება დაეჭვებაც, იგი კარგავს სამონეტო რეგალიას (დუნდუა... 2000:46). საინტერესოა ერთი საკითხი – ძვ. წ. II საუკუნეში ფული, პრაქტიკულად, არ ტრიალებს დასავლეთ საქართველოში, თუ არ ჩავთვლით აკესის ორ მონეტას, ათენის ასევე 2 მონეტას და ლისიმაქეს მინაბაძს, რომელიც კოლხეთში 18 ცალია აღმოჩენილი (დუნდუა... 2006:71). ამავდროულად, უცხოური ამფორები და სხვა სახის კერამიკული მასალა ჰინტერლანდშიც კი, მაგ., ვანში მრავლადაა აღმოჩენილი. აქ არის სინოპური, ქიოსური, კნიდოსური, თაზოსური, კოსური, ატიკური, პერგამონული, როდოსული, ზოგადად, მცირეაზიული და ქერსონესის ნაწარმი. როგორც ჩანს, მონეტები არ ტრიალებს, მაგრამ ვაჭრობა მაინც აქტიურია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გაცვლა დაკნინებული ბერძნული ქალაქების არსებობის პირობებში ბარტერის გზით ხდებოდა?

დიოსკურია, როგორც ქალაქი ინტენსიურია მითრიდატეს ხანაშიც. სხვა ბერძნულ ქალაქებთან შედარებით მან თავისი ბერძნული სახე შეინარჩუნა, როგორც ჩანს, სხვებზე მეტად. მითრიდატეს ხანაში აქ სპილენძის ფულები იჭრება,

პოლიტიკური მომენტების (რეგიონის მითრიდატესადმი დაქვემდებარება) გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, ეს კვაზიმუნიციპალური ფულებია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დიოსკურია, კასტორიუსის რუკის მიხედვით, ვანსაც აწვდიდა საქონელს, მიუხედავად იმისა, რომ მასთან უფრო ახლომდებარე ქალაქი ფაზისი იყო. კოლხეთის ბერძნული ქალაქებიდან მითრიდატეს ხანაში არსებობას განაგრძობენ ფაზისი და დიოსკურია. ფიჭვნარი და გიენოსი ძვ. წ. II საუკუნის კრიზისის დროს ჩაკვდა. ლოგიკურია, რომ სტრაბონისთვის ორი უკანასკნელი უცნობია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზედაც ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ, არის ბერძნების მიერ კოლხეთიდან ხე-ტყის ექსპორტირების მოდელი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს სტრაბონის პირდაპირი ცნობა, რომ ხე-ტყე მთებიდან ჩამოჰქონდათ მდინარეებზე დაცურების გზით (Strabo XI. 2. 17.). როგორი უნდა ყოფილიყო ხე-ტყის გატანის ორგანიზაცია, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. სავარაუდოდ, ის დიდ დანახარჯებს მოითხოვდა (Лордкипанидзе 1979:241). რადგანაც ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ანტიკურ ხანაში ხე-ტყე დაცურების გზით ჩამოჰქონდათ ბარში, ასევე ვიცით, რომ იგივე მეთოდს იყენებდნენ XIX საუკუნეშიც და საბჭოთა პერიოდშიც ენგურჰესის აშენებამდე ენგურის არტერიაზე. ამასთან, ენგურის ხეობის ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის დონეც საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ, სად შეიძლებოდა ხე-ტყის ანტიკური ხანის „ექსპორტიორების“ სადგომები ყოფილიყო. რეტროსპექტრული მეთოდით ჩვენ შევადარებთ XIX საუკუნისა და საბჭოთა პერიოდის მეთოდებს – იმხანად არსებული მეჯოლეების (ხე-ტყის მოჭრა-დაცურებასთან დაკავშირებული მუშები) სადგომებს ანტიკური ხანის ძეგლების მდებარეობას ენგურის სანაპიროზე, სადაც ანტიკური იმპორტია ან მონეტებია აღმოჩენილი და შევეცდებით ნენსკრა-ენგურის არტერიის მაგალითზე ნათელი მოვფინოთ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ხე-ტყის ექსპორტის მოდელი ანტიკურ ხანაში.

XIX საუკუნის მიწურულს ენგურისა და ნენსკრას ხეობაში მოჭრილ ხე-ტყეს, ძირითადად, ფიჭვს, მდინარეში ყრიდნენ თითო-თითოდ. ლარილარის სამაროვანთან, სადაც ანტიკური ხანის ძეგლია და რომელიც მდინარე ნენსკრას მარცხენა ტერასაზე მდებარეობს, აღმოჩენილია ეგვიპტური და სირიული მინის ნაწარმი,

ასევე, ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (Дундуа 1987:44; ჩართოლანი 2010:15). მდინარეების ენგურისა და ნენსკრას შესართავთან აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (Дундуа 1987:43), აგრეთვე, ნაკრასა და ენგურის შესართავთან აღმოჩენილია ალექსანდრეს სტატერი (Дундуа 1987:45). ასევე, ზემო მარღის ტერიტორიაზეც ალექსანდრეს და, სავარაუდოდ, ლისიმაქეს მონეტაც არის აღმოჩენილი (Дундуа 1987:46). გარდა ამისა, ბეჩოს ტერიტორიაზეც არის ალექსანდრეს მონეტა (Дундуа 1987:46-47). ამ ტიპის მონეტა, მსხვილი ნომინალი, სწორედ მსხვილი სავაჭრო ოპერაციებისთვის გამოიყენებოდა (დუნდუა... 2006:82).

დაცურებულ მორებს ჯვართან და უფრო ქვემოთ პატარ-პატარა კუნძულებზე იჭერდნენ და კრავდნენ ტივებად (გამსახურდია 1983:6). 1923 წელს მორსაჭერი ადგილი იყო სოფ. ლიასთან (გამსახურდია 1983:20). 1940 წელს შეიქმნა ლებოხას მორსაჭერი რეიდი[7] (გამსახურდია 1983:48). აღსანიშნავია, რომ სოფელ ლიასთან და ლებოხის დასახლებას შორის მდებარეობს ანტიკური ხანის ძეგლი – პალურიც. სოფ. ლიაში აღმოჩენილია ატიკური შავლაკიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, სინოპური წარმოშობის ამფორათა ფრაგმენტები, წითელლაკიან ფიალათა ნაწილები, თაზოსური წარმოშობის ამფორის ყურები და სხვ. (წითლანაძე 1973:66-72).

XX საუკუნის დასაწყისში ტივები (თითოში 10-12 მორი) საკმაოდ დახელოვნებულ მეტივეებს მიჰყავდათ სოფელ შამგონამდე და ანაკლიამდე, სადაც გამართული იყო მცირე წარმადობის სახერხი ქარხნები ამ ხე-ტყისთვის. მოგვიანებით სოფელ ახალ აბასთუმანში, მწყობრში ჩადგა შედარებით მეტი წარმადობის სახერხი ქარხანა. რევოლუციამდე სახერხი ქარხანა იყო ასევე სოფ. ჭუბურხინჯში (გალის რაიონი), რუხის ციხის მოპირდაპირე მხარეს (გამსახურდია 1983:6, 18). იმხანად სახერხ ქარხნებს აშენებდნენ ისეთ ადგილას, სადაც იოლი იყო მორსაჭერი რეიდის მოწყობა. თუმცა ტექნიკურად ჯერჯერობით ისევ ადამიანები ასრულებდნენ ამ ფუნქციას. სპეციალური ნაგებობები ამისთვის მხოლოდ 40-იან წლებში გაჩნდა. ადგილებში, სადაც შესაძლებელი იყო მორების დაჭერა, ანტიკურ ხანაში იქნებოდა სპეციალური სადგომები იმდროინდელი „მეჯოლეებისთვის“. საინტერესოა, რომ სწორედ ამ ადგილებიდანაა ცნობილია ანტიკური ხანის

[7] რეიდი - აქ მორების გასაჩერებელი ადგილი.

სხვადასხვა მონაპოვარი – მონეტები. მდინარე ენგურის აუზში, სოფ. რიყეში (რუხთან ახლოს) აღმოჩენილია ალექსანდრე მაკეოდნელის სტატერი – 2 ცალი (Дундуа 1987:43), ასევე, კოლხური თეთრი აღმოჩენილია სოფ. ერგეტასთან, სოფ. რუხთან, სოფ ახალ აბასთუმანთან და სხვ. (ხოშტარია 1959:238). ბაქსანიას გამოქვაბულის I ფენის მასალებში აღმოჩნდა მეგარული თასის ნატეხები (გრიგოლია 1971:181).

აღსანიშნავია, რომ ეს საქმიანობა სეზონური იყო. ზამთარში ეს მდინარეები იმდენად შრება, რომ ხე-ტყის დაცურება მათზე შეუძლებელი ხდება. დაცურება შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულში, როცა მთის მდინარეები ადიდებული არიან. (გამსახურდია 1983:26). გაზაფხულზე ჭრიდნენ ხე-ტყეს, გვიანგაზაფხულზე იწყებოდა ხე-ტყის დაცურება სვანეთიდან, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და რამდენიმე თვე გრძელდებოდა – დაახლოებით სექტემბრამდე, ანუ წელიწადში ერთი დიდი ოპერაცია ხორციელდებოდა. ასე უნდა ყოფილიყო ანტიკურ ხანაშიც. ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ ერთბაშად მსხვილი ოპერაციები წარმოებდა და სვანეთიდან მომდინარე ფულები განძის სახითაა აღმოჩენილი. სტრაბონიც გარკვეულწილად მიუთითებს იმას, რომ ამ ტიპის საქმიანობა სეზონური იყო. კამარების მფლობელ ჰენიოხებზე მსჯელობისას ის წერს შემდეგს: *„ხოლო როდესაც ბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, ვერ აგდებენ ღუზას, იგდებენ მხრებზე კამარებს და მიაქვთ ტყეებში, რომლებშიც ცხოვრობენ ასევე იქცევიან ისინი სხვა ქვეყანაშიც, სადაც აქვთ მათ განთქმული ტყიანი ადგილები, რომლებშიც ინახავენ კამარებს, ხოლო თვითონ დაეხეტებიან დღე და ღამე ტყეების მოპოვების მიზნით“* (Strabo. XI. 2. 12). ნედლეულის მომპოვებლებიც, როგორც ჩანს, ადგილობრივები იყვნენ.

ამრიგად, ხე-ტყე სწორედ ამ მეთოდით გაჰქონდათ და, როოგრც ჩანს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არტერია ამ თვალსაზრისით სწორედ ენგური იყო. ეს არტერია, ჩვენი აზრით, დაკავშირებული იყო გიენოსთან.

პოლისი, ემპორიუმი, კლერუხია

კოლხეთის ბერძნული კოლონიების სტატუსი განხილვის საგანი არაერთგზის ყოფილა, თუმცა ამ მხრივ, ძირითადად, მოსაზრებები გამოთქმულია იმგვარად, რომ დეტალურად ნაკლებად განხილულა, რას ნიშნავს პოლისი და რამდენად შეიძლება კოლხეთის ბერძნული დასახლებები პოლისებად მივიჩნიოთ, ასევე, რამდენად ახასიათებთ მათ ემპორიონის თვისებები და ა. შ. სანამ გადავიდოდეთ კონკრეტულად კოლხეთის ბერძნული კოლონიების სტატუსზე, პირველ რიგში, აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ზოგად საკითხებზე – თუ რას ეწოდებოდა პოლისი, ემპორიონი, ასევე, რას უწოდებენ კლერუხიას.

კოლხეთის ბერძნული კოლონიების სტატუსზე მსჯელობისას საინტერესოა ერთი ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც ელინთა განსახლების რუკაზე სავაჭრო ფაქტორიები ერთეულებით განისაზღვრება, ხოლო პოლისები ბევრია, კოლხეთში არსებული ყველა კოლონია მაინცდამაინც ემპორიებად და არა პოლისებად განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი არგუმენტები არსებობს იმისათვის, რომ ისინი პოლისებად მივიჩნიოთ. ასეთ ვითარებაში გასაგებია, რომ მსჯელობები და არგუმენტები *ex silentio* ამ კვლევის სცილას და ქარიბდას წარმოადგენენ და მათი გამოყენება მეტად საფრთხილოა. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის ახალშენების (პოლისი, ემპორია, კლერუხია) მახასიათებლებს და შემდგომ შემოგთავაზებთ ჩვენს დასკვნას.

პოლისი. ტერმინი „პოლისი“ გამოიყენებოდა როგორც მნიშვნელოვანი, ასევე ზოგჯერ უმნიშვნელო დასახლებებისათვის, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ დიდ დასახლებებზე. არ შემოიფარგლებოდნენ ამ ტერმინის გამოყენებით მხოლოდ ბერძნებით დასახლებულ მხარეებში, არამედ აღნიშნავენ ამ ტერმინით ისეთ გაერთიანებებს, როგორებიცაა კართაგენი და რომი. მიუხედავად ამისა, პოლისი მაინც საკუთრივ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს მიემართება, განურჩევლად მმართველობის ფორმისა. ტირანების მიერ მართვად გაერთიანებებსაც პოლისები ეწოდებოდა, როგორც პოლიტიკურად ჩამოყალიბებულ დასახლებებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტირანიასა და დემოკრატიას შორის ზღვარი ძალიან მცირეა და ორივე კაპიტალისტური საზოგადოებისთვისაა

დამახასიათებელი (დუნდუა... 2009:178). იქ სადაც ტირანიაა, ხშირ შემთხვევებში მას დემოკრატიული მმართველობა ენაცვლება. ასე იყო ათენში, ასე იყო მილეტშიც, ამრიგად, ტირანების მიერ მართულ ქალაქების პოლისებად დენომინაციაში უჩვეულო არაფერია.

რაც შეეხება პოლისის წარმოშობას, ის შეიძლებოდა გაჩენილიყო ორი გზით: 1) უკვე არსებული დასახლება გადაზრდილიყო პოლისში (ძირითადად, სვინოიკიზმის გზით), 2) დაარსებულიყო თავიდანვე თვითმმართველ ქალაქად (Hansen 2006:52). ჩვენი აზრით, შეიძლებოდა ერთი და იგივე დასახლებასთან მიმართებაში ორივეს ჰქონოდა ადგილი, მაგალითად, ჯერ დააარსებულიყო შედარებით პატარა დასახლების სახით, რომელსაც პოლისის ნიშნები უკვე ახასიათებდა და შემდგომ თავად დასახლებულებს გაეფართოვებინათ ქალაქის არეალი და ამ ტერიტორიის სვიოიკიზმის შემდეგ დასრულებულიყო პოლისის ფორმირება. ამ საკითხს ჩვენ დიოსკურიის მაგალითზე ქვემოთ განვიხილავთ.

პოლისისთვის, როგორც საბერძნეთისა და ბერძნებით დასახლებული რეგიონებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმისთვის, არსებითი ნიშნები იყო:

- ✓ თვითმმართველობა, საკუთარი მოქალაქეების მიერ ქალაქის მართვა
- ✓ სწრაფვა საშინაო და საგარეო დამოუკიდებლობისთვის
- ✓ საზოგადოებრივი შენობების არსებობა (აგორა, აკროპოლისი, ტაძრები, გიმნასიუმი, თეატრები)
- ✓ კედლები ქალაქის დასაცავად
- ✓ საკუთარი მონეტები
- ✓ საკუთარი კოლონიები
- ✓ პოლიტიკური ცხოვრება
- ✓ პოლიტიკური სტრუქტურები
- ✓ კონურბანიზაცია/სვინოიკიზმი
- ✓ საკუთარი მოქალაქეები
- ✓ საკუთარი მეურნეობის ფორმები
- ✓ საკუთარი საგადასახადო სისტემა

- ✓ საკუთარი ჯარი[8]
- ✓ ზოგჯერ საკუთარი ფლოტი
- ✓ საკუთარი დღესასწაულები და სალოცავები
- ✓ საკუთარი კონსტიტუცია (პოლიტეია)[9]

გარდა ამისა, პოლისისთვის დამახასიათებელ ნიშნად უნდა გამოიყოს ის ნიშნებიც, რომლებიც, ზოგადად, რესპუბლიკას ახასიათებს, მაგალითად, 1) მონეტების ატრიბუციის წმინდა თეოკრატიული და არა მონარქიული გადაწყვეტა. გარდა ამისა, ზოგადად ანტიკური კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკური დეტერმინანტებიც, რიგ შემთხვევებში, პოლისისთვის დამახასიათებელი ნიშნებია. მაგალითად, სავახშო კაპიტალის არსებობა, რომელიც დამახასიათებელია ანტიკური კაპიტალისტური სამყაროსთვის, ბერძნული ქალაქების შემთხვევაში მიუთითებს მათ პოლისურ ხასიათზე.

ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან სავალდებულო არაა აპოიკიას ყველა ახასიათებდეს, რომ ის დამოუკიდებელ პოლისად მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ ყველა ქალაქთან მიმართებაში არ გაგვაჩნია სრული ინფორმატიულობის ფუფუნება. მაგალითად, ჩვეულებრივ მიიჩნევა, რომ პოლისს, გარდა საკუთრივ ხორა პოლიტიკესი, ქალაქის ცენტრისა, *„ჰქონდა ხორა – მიწები, დასახლებული ადგილობრივი მოსახლეობით, რომლებიც ასე თუ ისე გარკვეულწილად დამოკიდებულები იყვნენ პოლისზე“* (Блаватский 1979:18). მაგრამ, ყველა პოლისთან მიმართებაში არ დასტურდება ამ ტიპის ხორის არსებობა, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო ფუნქციის მქონე მიწის და, ზოგადადაც, ყველა კონკრეტული მახასიათებლის არსებობა სავალდებულოდ არ უნდა მივიჩნიოთ, როდესაც კონკრეტული აპოიკიის პოლისურ სტატუსზე ვმსჯელობთ. ამოსავალი, პირველ რიგში, ახალშენის დამოუკიდებელი ხასიათია. ამ ტიპის შაბლონური მიდგომაც ზოგჯერ ქმნის საცდურს, რომ კოლხეთის ბერძნულ ქალაქებში დავინახოთ მხოლოდ ემპორიონები. მაგ., სასოფლო-სამეურნეო ხორის არარსებობა დიოსკურიის ტერიტორიაზე მ. ინაძეს მიაჩნია საფუძვლად იმის სამტკიცებლად, რომ დიოსკურია

---

[8] დაწვრილებით პოლისის ფორმირებასთან და მახასიათებლებთან დაკავშირებით იხ. M. H. Hansen. Polis: *An Introduction to the Ancient Greek City-State.* Oxford: Oxford University Press. 2006.

[9] პოლიტეია, ერთი მხრივ, ნიშნავს ერთი ან მრავალი მოქალაქის სამოქალაქო უფლებას, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მდგომარეობასა და არსს, განსაკუთრებით მის ფორმალურ კონსტიტუციას.

იყო სავაჭრო კოლონია ხორის გარეშე, რადგან მიწათმოქმედება მისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა (Инадзе 1979:289).

უკანასკნელ ხანებში ზოგი მეცნიერი ერიდება ტერმინ პოლისის გამოყენებას საერთოდ. დ. ბრონდი მიიჩნევს, რომ *„პოლისის განსაზღვრება იმდენად რთულია, რომ ჯობია, საერთოდ არ ვიხმაროთ ეს ტერმინი, თორემ მკაცრი განსაზღვრით არც მილეტი არ გამოდის პოლისი და ზედმეტად ფრივოლური განსაზღვრით, ყველა ახალშენი პოლისია“* (Braund 1994:86). ამ შემთხვევაში იგულისხმება რომ მიუხედავად იმისა, მილეტი მუდმივად აარსებდა ქალაქებს და, პრაქტიკულად, დამოუკიდებელ საგარეო კავშირებს ამყარებდა, მაინც ხშირ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოებს ექვემდებარებოდა. სწორედ ამიტომაც ჰანსენი, რომელმაც პოლისის მახასიათებლები საგანგებოდ შეისწავლა, წერს: *„მილეტი ქალაქი იყო, მაგრამ იყო კი ის სახელმწიფო, მაშინ როდესაც ის ხან ლიდიას, სპარსეთს, ათენს ისევ სპარსეთს ექვემდებარებოდა და შემდეგ ელინისტური ხანის მეფეებს?“* (Hansen 2006:63).

საბოლოო ჯამში, პოლისის ძირითად მახასიათებლად, მ. ჰანსენის აზრით, უნდა გამოიყოს მხოლოდ სამი:

- ✓ განსაზღვრული ტერიტორია
- ✓ განსაზღვრული მოსახლეობა
- ✓ პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემა და საკუთარ ტერიტორიაზე საკუთარი შეხედულებისამებრ მოსახლეობის მართვა (Hansen 2006:64).

ჩვენი აზრით, პოლისის განსაზღვრა შეიძლება შემდეგნაირად: პოლისი არის პოლიტიკურად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომლის მოსახლეები მისივე მოქალაქეები არიან, რომლებიც გადასახადებს იხდიან მხოლოდ საკუთარი პოლისის სასარგებლოდ. საკუთრივ პოლისი სრულიად შეუვალია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, გარდა ყიდვა-გაყიდვისა. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი პოლისი დამოკიდებულია ადგილობრივებთან ვაჭრობაზე, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მისი ეკონომიკური დამოკიდებულება გავლენას ახდენს პოლისის პოლიტიკურ სტატუსზე. თუმცა ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პოლისის პოლიტიკურ სტატუსზეც, გამოიწვიოს მისი დეგრადაცია და, საბოლოო ჯამში, კვდომაც.

რაც შეეხება პოლისის კვდომის მიზეზებს. მ. ჰანსენმა გამოყო 9 მიზეზი, რატომაც შეიძლება დაღუპულიყო ან დაკნინებულიყო ქალაქი:

1) ქალაქის მთელი მოსახლეობის ამოხოცვა, როგორც ძვ. წ. 510 წელს სიბარისის მთელი მოსახლობა ამოხოცეს.

2) ქალაქის ყველა მამაკაცის ამოხოცვა, ამის მაგალითია სპარტელების მიერ პლატეას განადგურება ძვ. წ. 427 წ. და ძვ. წ. 415 წ. ათენელების მიერ კუნძულ მელოსისა.

3) მამაკაცების მონად გაყიდვა. ასე გაუსწორდა ფილიპე II ოლინთოელებს ძვ. წ. 348 წ. და ალექსანდრე თებელებს ძვ. წ. 335 წ.

4) სრული მოსახლობის ძალით გადასახლება. ამგვარად აიძულა სირაკუზის ტირანმა გელონმა, კამარინის მოსახლეობა სირაკუზში წასულიყო და ძვ. წ. 461 წ. კამარინა თავიდან დაასახლა.

5) ქალაქის მთელ მოსახლეობას აიძულებდნენ, აყრილიყო და პოლისის ჰინტერლანდში სოფლებში დასახლებულიყო. წყაროებში ამას დიოიკისმოსი ეწოდება. ასე მოექცნენ სპარტელები ძვ. წ. 385 წ. მანტინელებს.

6) პოლისი ქრებოდა იმიტომ, რომ მთელი მისი მოსახლეობა შეიძლება თავისი ნებით გადასახლებულიყო. ძვ. წ. 650 წ. კოლოფონის მთელი მოსახლობა მცირე აზიიდან სირისში, იტალიაში გადასახლდა.

7) პოლისი შეიძლება გამქრალიყო იმიტომ, რომ სხვა ქალაქის სვინოიკიზმში მიიღო მონაწილეობა.

8) პოლისმა შეიძლება სტატუსი შეიცვალოს და ისევ სოფელი გახდეს.

9) პოლისი შეიძლება ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაღუპულიყო (Hansen 2006:62-63).

არცერთ ამ შემთხვევაში არაა გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის ფაქტორი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური დამოკიდებულების ფაქტორი. როდესაც მოსახლეობისა და ბერძნების ეკონომიკური ინტერესები კონფლიქტში მოდიოდა, ადგილობრივები უტევდნენ ბერძნებს. როგორც მაგალითად, ძვ. წ. II საუკუნეში მეფე სკილურეს დროს ოლბია სკვითებმა დაიმორჩილეს, შემდეგ კი ძვ. წ. 48 წელს გეტების მმართველმა ბირებისტამ აიღო და მთლიანად დაანგრია ოლბია (Кузищин 2005:350-51). ზუსტად ასევე ჰენიოხებმა

შეუტიეს კოლხეთის რიგ ბერძნულ ქალაქებს.[10] შესაბამისად, პოლისების კვდომის კიდევ ერთი, ეკონომიკური, მიზეზის გამოყოფა შეიძლება. ეკონომიკური მიზეზები პოლისის კვდომას განაპირობებენ იმ შემთხვევაში, როდესაც ქრება ის ეკონომიკური ინტერესი, რამაც ქალაქის დაარსება გამოიწვია – ადგილობრივებსა და ბერძნებს შორის ვაჭრობის ინტერესის გაქრობასთან ერთად პოლისები დეგრადირდებიან და კვდებიან. ეს საკითხი განხილული აქვს თ. დუნდუას. მისი აზრით, კოლხეთის ბერძნულმა პოლისებმა ჯერ ბილინგვიზაცია განიცადეს, შემდეგში *„ძვ. წ. IV ს. მთელი დასავლეთ საქართველო კოლხთა ეგიდის ქვეშ გაერთიანდა, მართალია, ის მალე დაიშალა ცალკეულ „სამთავროებად“, მაგრამ ამას ძალთა თანაფარდობა არ შეუცვლია – ბერძნულ პოლისებს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა სკეპტუხები მხრიდან და ისინიც ელინისტური ხანის დასაწყისიდან აქტიურად ეძებდნენ მოკავშირეებს კოლხთა წინააღმდეგ. ძვ. წ. III-II საუკუნეებში ახალშენები ადგილობრივმა ხელისუფლებმა დაიქვემდებარეს... ეკონომიკური კრიზისის გამო წელთაღრიცხვების მიჯნაზე მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით საქალაქო ცხოვრება უკიდურესად კნინდება. ზღვისპირა ზოლში“* (დუნდუა... 2000:46).

ემპორია. ემპორია ეწოდებოდა ბერძნულ დასახლებას, რომელიც მხოლოდ სავაჭრო ფუნქციით არსებობდა. თუმცა ემპორიად დაარსება არ ნიშნავს იმას, რომ ის მუდმივად, მთელი მისი არსებობის მანძილზე ემპორიად დარჩებოდა. ზოგიერთი ემპორია შემდეგ პოლისი ხდებოდა (გელა სიცილიაში), ზოგიერთი კარგავდა თავის მნიშვნელობას, მესამენი ყოველთვის ემპორიებად რჩებოდნენ. ეს მაშინ ხდებოდა, როცა სანაპიროს აკონტროლებდნენ არა სუსტი ადგილობრივი ტომები, არამედ მსხვილი სახელმწიფო ორგანიზაციები (ასეთი იყო ალ-მინა) (Блаватский 1979:18). რადგან ეს ტერმინი ემპორია გამოიყენებოდა ასევე ნებისმიერი სავაჭრო პუნქტის აღსანიშნავად, სწორედ ამიტომ ბრაშინსკის ტერმინს ემპორიის გამოყენება ბერძნულ კოლონიზაციასთან მიმართებაში საერთოდ უადგილოდ მიაჩნია (Брашинский 1979:33).

პოლისსა და ემპორიას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორია მათი პოლიტიკური ხასიათი – პოლისი იყო დამოუკიდებელი ერთეული,

[10] კოლხეთის ბერძნული ქალაქების მაგალითზე ეკონომიკური მიზეზების გამო პოლისის კვდომის მიზეზები განხილულია ნაშრომის ბოლო თავში

ხოლო ემპორია ექვემდებარებოდა ან ადგილობრივ მმართველებს, ან მეტროპოლიას, როგორც იყო ძვ. წ. V საუკუნეში რიგი ათენის კოლონიებისა ან შეიძლება ორმაგი დამოკიდებულებაც ჰქონოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ემპორია არაა პოლიტიკურად დამოუკიდებელი. კოლხეთის ბერძნული კოლონიების ემპორიალურ ხასიათთან დაკავშირებული სტერეოტიპი, ალბათ, აქედან გამომდინარე არსებობს. გ. მელიქიშვილმა დაასკვნა, რომ კოლხეთის ბერძნული კოლონიები ადგილობრივი მმართველების გავლენის ქვეშ მოექცნენ თავიდანვე (საქართველოს... 1970:406) და ამის შემდეგ პრაქტიკულად გაბატონდა ეს მოსაზრება, და შესაბამისად, დასკვნა, რომ მათ განვითარებას პოლისურ სტადიამდე არც მიუღწევია.

კლერუხია. კლერუხები იყვნენ ათენის მოქალაქეები, რომლებსაც მიწები ჰქონდათ ათენის გარეთ ბოძებული. სალამინის დასახლება, რომელიც პირველი კლერუხია იყო, ათენმა მეგარას წაართვა ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს-ში. კლერუხებს საუკეთესო მიწებს აძლევდნენ ახალშენში, ისინი კი ათენს ემსახურებოდნენ. ძვ. წ. V-IV სს-ში ათენის მეორე ლიგის აღზევებასთან ერთად კლერუხები ათენის იმპერიის რეგულარულ სამსახურში იდგნენ. ათენელი კლერუხები, ათენის მოქალაქეობას ინარჩუნებდნენ – ხმის მიცემა, გადასახადების გადახდა, ჯარში მსახურება, საშინაო საქმეებს არქონტი მართავდა და ეკლესია ათენური მოდელით ეწყობოდა. კლერუხიას, ძირითადად, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას ათავსებდნენ (მაგ., ანდროსზე, ნაქსოსზე, სამოსზე და სესტოსზე). ისინი მუდმივ ბაზებს წარმოადგენდნენ. იმავდროულად, ფინანსური სარგებელი ათასობით ათენელს აიძულებდა გადასახლებულიყო, ათენს შეეძლო ქალაქი გადაჭარბებული მოსახლეობისგან ეხსნა და გაეზარდა სახელმწიფოს, ერთი მხრივ, ფინანსური და, მეორე მხრივ, სამხედრო ძალა (Britannica).

მ. ფინლი აღნიშნავს, რომ კლასიკური ხანის ბერძნები განასხვავებდნენ აპოიკიას კლერუხიისგან, რომაელები კი – ლათინურ და რომაულ კოლონიას ერთმანეთისგან, იმისდა მიხედვით, კოლონისტები თავიანთი მეტროპოლიის მოქალაქეობას ინარჩუნებდნენ თუ არა (Finley 1976:168). შესაბამისად, არსებობდა განსხვავება იმაშიც, თუ სად ირჩეოდა მათი მაცხოვრებლის სასამართლო საქმეებიც. თუკი პოლისი დამოუკიდებელია და თავად აწარმოებს სასამართლოსაც,

კლერუხების საქმეები, პირიქით, მეტროპოლიის სასამართლოში ირჩეოდა (Morris 1884:485).

აქვე აღვნიშნავთ, რომ რა სტატუსიც არ უნდა ჰქონოდა კოლონიას, მეტროპოლიის მოქალაქეებს მაინც ჰქონდათ კოლონიაში მუდმივად ცხოვრების უფლება (Graham 1964:66). ეს დაახლოებით თანამედროვე საზოგადოებაში რეზიდენტობის უფლებას ჰგავს და არა ორმაგ მოქალაქეობას. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ზოგიერთი ახალშენი თავისი სტატუსითა და ორგანიზაციის ფორმით, ტრადიციული არ ყოფილა. ძირითადად, ასეთები იყვნენ ახალშენები, რომლებიც ერთობლივი ძალებით არსდებოდა, მაგ., ნავკრატისი ან თურიუმი.

კოლხეთის ბერძნული კოლონიების სტატუსის შესახებ ისტორიოგრაფიაში გაცხოველებული კამათია. როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად გ. მელიქიშვილმა მიიჩნია, რომ ეს ქალაქები ემპორიები იყვნენ მხოლოდ: „*სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით აქაური მოსახლეობა ბევრად უფრო წინ იდგა, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობა ეს უკანასკნელნი უცილობლად ჯერ ისევ გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ, მაშინ როდესაც დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე უკვე ადრე კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო არსებობდა... ზღვისპირა ბერძნული სამოსახლოები კოლხეთის სამეფოს ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მისი რიგითი სავაჭრო ცენტრები იყო*“ (საქართველოს... 1970:406,412). მელიქიშვილის ეს მოსაზრება ერთგვარად გაბატონებულ მოსაზრებად იქცა. არგუმენტები, რომლის საფუძველზეც ამტკიცებდნენ კოლხეთის ბერძნული ქალაქების ემპორიალურ ხასიათს, ძირითადად, ეყრდნობოდა გ. მელიქიშვილის მოსაზრებას, რომ რადგან კოლხეთის ტერიტორიაზე განვითარებული სახელმწიფო არსებობდა, ბერძნული ქალაქები აუცილებლად დამოკიდებული უნდა ყოფილიყვნენ ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც.

ნ. ლომოურიც მიიჩნევდა, რომ „*კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები, რომელთა წარმოქმნაში ბერძენმა კოლონისტებმაც მიიღეს მონაწილეობა, იმთავითვე მოექცნენ ადგილობრივ ტომთა გაერთიანების გავლენის ქვეშ და შემდეგ კი*

ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დაემორჩილნენ კოლხეთის სამეფოს, რის გამოც წარმოადგენდნენ არა ბერძნულ პოლისებს, არამედ კოლხეთის სამეფოს საქალაქო ცენტრებს გარკვეული ბერძნული ელფერით და ასრულებდნენ ბერძნულ სამყაროსთან კოლხეთის დამაკავშირებელი სავაჭრო ქალაქების როლს.“ (ლომოური 1962:61). ამრიგად, ნ. ლომოურის მოსაზრებაშიც ჩანს, რომ კოლხეთის სამეფოს ძლიერებამ განაპირობა ბერძნული ახალშენების ემპორიალური სტატუსი, ამასთან, მისი აზრით, ეს კოლონიები ჩვეულებრივი ბერძნული ემპორიები მაინც არ ყოფილან.

კოლხეთის ბერძნულ კოლონიებთან მიმართებაში ო. ლორთქიფანიძე მიიჩნევდა, რომ ისინი არასდროს დამოუკიდებელი პოლისები არ ყოფილან. მისი არგუმენტი იყო ის, რომ კოლხეთის ბერძნულ ახალშენებთან მიმართებაში არ დასტურდება, რომ მათ თავიანთი სამიწათმოქმედო ეკონომიკა და რთული არქიტექტურული დაგეგმარება ჰქონოდათ (Лордкипанидзе 1975:5). ი. ბრაშინსკის აზრითაც, კოლხეთის კოლონიები სავაჭრო ფაქტორიები იყო (Брашинский 1980:98-99).

გ. ლორთქიფანიძის აზრით, კოლხეთის ბერძნული ქალაქების მოსახლეობა „*ნამდვილად შერეული იყო (ჭრელი), მაგრამ წამყვანი ეკონომიკურ-პოლიტიკური როლი ბერძნულ მოსახლეობას ჰქონდა*“ (Лорткипанидзе, 1978:139).

ი. ვორონოვმა კოლხეთის ბერძნულ ქალაქებს *„ანტიკური პერიოდის ქალაქური ტიპის დასახლება“* უწოდა. აღნიშნა ისიც, რომ მათ ემპორიის ფუნქციაც ჰქონდათ, თუმცა მათი „ემპორიალური ხასიათი“ მეორეხარისხოვნად მიიჩნია, რადგან მაგ., ეშერა, მისი აზრით, დამოუკიდებელი სამურნეო ერთეულია, რომლის ეკონომიკაც არა ვაჭრობას, არამედ, სოფლის მეურნეობას, და ხელოსნობას ეფუძნება (Воронов 1972:118).

გ. კვირკველიას აზრითაც, „*კოლხეთში ბერძნულ კოლონიზაციას არ მიუღია კლასიკური ფორმა – სამიწათმოქმედო კოლონიების გაყვანით, ტერიტორიების ფართო ათვისებით, მძლავრი პოლისური სახელმწიფო ერთეულების ჩამოყალიბებით. ამავე დროს ჩამოყალიბდა იდეა, რომ კოლხეთში კოლონიზაციამ მიიღო სავაჭრო ხასიათი, რომელიც მიმართული იყო ადგილობრივი ნედლეულის, ძირითადად კი, ლითონის მოსაპოვებლად მისი საბერძნეთში ტრანსპორტირების*

მიზნით. თუმცა არსებული სურათი მაინც ამას ეწინააღმდეგება საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყების პირველი 100 წლის განმავლობაში მაინც.“ (კვირკველია 1999:25).

გ. ცეცხლაძემ იმავე წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ‘Pichvnari and its Environs’ ფიჭვნარის ბერძნულ სამოსახლოს ქალაქ-დასახლება (city-site) უწოდა. (Tsetskhladze 1999:17).

ნარატიული წყაროების მიხედვით, კოლხეთის ბერძნული კოლონიები ელინური პოლისებია, რაც თითქოს უცილობელს ხდის მათ პოლისურ ხასიათს. თუმცა დ. კაჭარავა მიიჩნევს, რომ ტერმინი „Πόλις Ἑλληνίς“ *„მოკლებულია ყოველგვარ პოლიტიკურ დატვირთვას და მხოლოდ ურბანისტული გაგებით არის ნათქვამი. როგორც წესი, ამ ტერმინით დახასიათებულია მხოლოდ ბერძნული საკოლონიზაციო აქტივობის შედეგად დაარსებული ახალშენები, მიუხედავად მათი წარმომავლობისა (დორიული, იონიური)*“ (კაჭარავა 2002:22).

დღესდღეობით ამავე მოსაზრებას იზიარებს გ. გამყრელიძეც. *„ფასისი, გიენოსი, დიოსკურია ბერძნების მიერ დაარსდნენ, როგორც ემპორიონები. მათი დაარსების ძირითადი მიზანი იყო, პირველ რიგში, ადგილობრივი ნედლეულის გატანა და სანაცვლოდ კოლხეთში სხვადასხვა ფუფუნების საგნების (კერამიკის, სამკაულების, ლითონის ჭურჭლის, ნელსაცხებლების და ა.შ.) შემოტანა. ამდენად, ზღვის სანაპიროზე ემპორიონების წარმოქმნა თვით კოლხების ინტერესებში შედიოდა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ძვ.წ. IV ს-ის ბოლომდე. კოლხეთის სამეფოს დაშლის მერე კი სანაპიროზე მდებარე ემპორიონები თანდათან ანტიკურ ქვეყნებსა და შიდა კოლხეთს შორის ბუფერული, შერეული, პოლისური ტიპის ქალაქებად ტრანსფორმირდა*“ (გამყრელიძე 2010:24).

მ. ინაძის მოსაზრება ბერძნული ახალშენების სტატუსთან დაკავშირებით რამდენადმე რთულია. მისი აზრით, კოლხეთის ბერძნული კოლონიები (დიოსკურია, ფაზისი) შესაძლოა თავდაპირველად დაარსდნენ, როგორც სავაჭრო ფაქტორიები, ხოლო შემდეგ ისინი ახალშენებში გადაიზარდნენ (ინაძე 1962[1]:201), თუმცა მათი ახალშენის ფუნქცია, მ. ინაძის აზრით, ისევ ვაჭრობა იყო, ამასთან, ვაჭრობა მთელს ამიერკავკასიასთან (ინაძე 1962[1]:201-202). *„საქალაქო ცენტრები გარკვეული ორგანიზაციით და რიგი თავისებურებებით*“ (Инадзе 1968:144). შემდგომში ეს აზრი

რამდენადმე შეცვალა და გამოაცხადა, რომ საწყის ეტაპზეც და შემდგომაც, დიოსკურია იყო მხოლოდ ემპორია: „*ათენის მიერ კოლხეთის სანაპიროზე შექმნილი დასაყრდენი პუნქტები, ძირითადად, წარმოადგენდნენ მსხვილ ემპორიონებს. ისინი ჩვეულებრივ არსდებოდნენ იონიელთა მიერ ადრიდანვე ათვისებულ ადგილებში, ძველი სავაჭრო ფაქტორიებისა და კოლონიების მახლობლად*“ (ინაძე 1982:170). მ. ინაძის აზრით, დიოსკურია, ისევე როგორც ფაზისი, ერთი მხრივ, წარმოადგენდნენ სავაჭრო კოლონიას ხორის გარეშე, რომელიც კოლონისტების სამოქალაქო საზოგადოების კუთვნილება იქნებოდა, თუმცა საქალაქო მოწყობის გარკვეული ფორმის არსებობის უარყოფა, მისი აზრით, არ შეიძლება. ესენი იყვნენ ქალაქები მიწის გარეშე. რადგანაც ამ ქალაქების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა არა მიწათმოქმედება, არამედ ვაჭრობა. ასეთი იყო ფოკეელთა კოლონიები გალიასა და ესპანეთში (მასალია, ამპურია და სხვ.) (Инадзе 1979:289). ამრიგად, მას მიაჩნდა, რომ აპოიკია, ერთი მხრივ, შეიძლებოდა მხოლოდ სავაჭრო ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო, ამასთან, პოლისისთვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონოდა. ეს აზრი რამდენადმე ეხმიანება დ. ბრონდის მოსაზრებასაც, რომ, ზოგადად, პოლისის განსაზღვრება იმდენად რთულია, რომ ჯობია ეს ტერმინი საერთოდ არ გამოვიყენოთ. ბოლო ხანებში ეს ტენდენცია გარკვეულწილად მიღებულიცაა.

ი. ვორონოვი მ. ინაძის მსგავსად მიიჩნევდა, რომ დიოსკურია/ეშერა იყო ქალაქური ტიპის დასახლება „ემპორიალური ხასიათით“, თუმცა მ. ინაძისგან განსხვავებით, მისი აზრით, დიოსკურია უფრო დამოუკიდებელი სამურნეო ერთეულია, რომლის ეკონომიკაც არა ვაჭრობას, არამედ სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობას ეფუძნება (Воронов 1972:118).

მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ „*სამოსახლოთაგან უმნიშვნელოვანესნი მაინც პოლისური ტიპის ორგანიზმებს წარმოადგენდნენ და თვითმმართველობით, მეტროპოლისიდან გადმოტანილი კულტით და საკუთარი ეკონომიკური ბაზით – ამ უკანასკნელში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობა ჰინტერლანდთან, ქალაქების ეკონომიკის საფუძველი*“ (დუნდუა 2009:18).

კოლხეთის სხვადასხვა ბერძნული ქალაქის ისტორია შემდგომ თავებში განხილული იქნება დეტალურად – თუ რამდენად შესაძლებელია, რომ კონკრეტულ პერიოდში კონკრეტული ახალშენი განხილულ იქნეს პოლისად, ასევე, თუ ხდებოდა

მათი სტატუსის ტრანსფორმაცია, მაშინ რა მიზეზებმა გამოიწვია ეს პროცესები და, საბოლოოდ, რა მოჰყვა ამ პროცესებს შედეგად.

ფაზისი – გენეზისი, ისტორია (ძვ. წ. VI-I სს.)

ფაზისის ისტორიის საკვლევად ჩვენს ხელთ შედარებით მდიდარი ლიტერატურული მასალაა. ქალაქი ფაზისი მოიხსენიება შემდეგ ნარატიულ წყაროებში: პინდარესთან (Pind. P. IV, 203-250), არისტოტელესთან (fr. 72), ფსევდო-სკილაქს კარიანდელთან (81), პალეფატესთან (XXXI), სტრაბონთან (XI, 2, 17), პლუტარქესთან (libellus de fluvii, V), პლინიუსთან (NH, VI. 1. 13, 52), არიანესთან (PPE, 11-12), პომპონიუს მელასთან (1. 08), პტოლემაიოსთან (V. 9. 2; VIII. 19. 4), ამიანე მარცელინესთან (Res gestae, XXII. 8. 24), V ს-ის ანონიმთან (PPE. 44), ასევე ზოსიმესთან (I. 28), სტეფანე ბიზანტიელთან (S. V).

ფაზისის ლოკალიზაცია დიდი ხნის განმავლობაში იყო კვლევის საგანი.[11] დღესდღეობით უფრო გავრცელებულია აზრი, რომ სხვადასხვა დროში ფაზისი სხვადასხვაგან იყო განლაგებული (Качарава… 1991:290). ჩვენი კვლევის საგანს ფაზისის ლოკალიზაცია არ წარმოადგენს და, შესაბამისად, ლიტერატურასაც ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით არ მიმოვიხილავთ. ასევე, დაწვრილებით არ მიმოვიხილავთ საკითხს ფაზისის მეტროპოლიის შესახებ, მილეტის მიერ ფაზისის დაარსება წყაროებში არაერთგან არის აღნიშნული (ჰერაკლიდე, პომპონიუს მელა, არიანე, სტეფანე ბიზანტიელი). ფაზისის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს იონიელების აქ ყოფნას. შესაბამისად, ყურადღებას გავამახვილებთ იმ საკითხებზე, რასთან დაკავშირებითაც ან საკუთარი მოსაზრება გაგვაჩნია, ან უკვე არსებულ მოსაზრებებთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტები გვაქვს.

ძირითადი კითხვები, რომელიც ჩვენი კვლევის საგანი გახლავთ, შემდეგია:

- ✓ როდის უნდა დაარსებულიყო ფაზისი და რა გარემოებებმა შეუწყო ამას ხელი?
- ✓ რა სტატუსი ჰქონდა ფაზისს – იყო თუ არა ის პოლისი თუ მხოლოდ ემპორია?
- ✓ გარდა ამისა, გვაინტერესებს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გარკვეულწილად იქნებოდა დაკავშირებული ფაზისელების ეკონომიკურ

[11] ფაზისი ლოკალიზაციის შესახებ დაწვრილებით იხ. მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისთვის, თსუ შრომები, XXIII, 1942

აქტივობასთან – მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნარატიული წყაროების (ჰიპოკრატე) მიხედვით?

ერთი მხრივ, პოლისის განსაზღვრება ძალიან მკაცრია და ამა თუ იმ ქალაქის პოლისად გამოცხადება მოითხოვს მთელი რიგი კომპონენტების არსებობის ერთობლიობას კონკრეტულ ახალშენში. მეორეს მხრივ, ყველა ახალშენთან მიმართებაში არ გვაქვს სრული ინფორმატიულობის ფუფუნება. შესაბამისად, რიგი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს პოლისს, საკმარისად უნდა ჩაითვალოს იმისათვის, რომ ვამტკიცოთ ამა თუ იმ ქალაქის პოლისური ხასიათი, მით უფრო ფაზისის შემთხვევაში. მიჩნეულია, რომ ანტიკური ხანის ფაზისი, საკუთრივ ქალაქი, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, აღმოჩენილია მხოლოდ მასთან მიმდებარე და მასთან დაკავშირებული სამოსახლოები. რამდენად ახასიათებდა დანარჩენი კომპონენტებიც ფაზისს, ამაზე მსჯელობა მხოლოდ ვარაუდით შეიძლება. თავისთავად არარსებობიდან გამომდინარე *argumentum ex silentio*, რა თქმა უნდა, ძლიერი არგუმენტი არ არის და ამა თუ იმ მახასიათებლის არსებობა-არარსებობის შესახებ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვლება, რაც ანტიკური ხანის ფაზისი იქნება მიკვლეული, მაგრამ უკვე არსებულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ფაზისი უნდა მივიჩნიოთ პოლისად.

არქაულ და კლასიკურ ხანაში, როგორც აღვნიშნეთ, პოლისის მახასიათებლებად მიჩნეული კომპონენტებიდან[12] ფაზისთან მიმართებაში შეგვიძლია დავადასტუროთ ან ვივარაუდოთ შემდეგის არსებობა:

- ✓ ავტონომია და დამოუკიდებლობა
- ✓ საზოგადოებრივი შენობების არსებობა (ქალაქის მფარველი ღვთაებების ტაძრები)
- ✓ საკუთარი მონეტის ემისია
- ✓ საკუთარი კოლონიები (?)
- ✓ სვინოიკიზმი/ კონურბანიზაცია
- ✓ სავახშო კაპიტალის არსებობა

[12] იხ.ზემოთ

ფაზისის მეტროპოლიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი საკითხი: ძვ. წ. VI საუკუნეში, როდესაც ფაზისი დააარსეს მილეტელებმა, მეტროპოლიასა და კოლონიას შორის იმ შემთხვევაში, თუკი მეტროპოლია კოლონიისგან შორს მდებარეობდა, არავითარი დამოკიდებულება არ არსებობდა. გრემი როდესაც განიხილავს ამ ტიპის ურთიერთობას, ასახელებს თაზოსს და მის მეტროპოლია ფაროსს. თაზოსი დამოუკიდებელი პოლისია, ამას გრემმა მახვილგონივრულად „დისტანციის ეფექტი“ უწოდა (Graham 1964:71). ასეთივე ურთიერთობაა მილეტსა და მის კოლონია ოლბიას შორის. მილეტსა და ოლბიას, ისევე როგორც მილეტსა და ისტრიას შორის, ისოპოლიტიაც კი იყო (Graham 1964:109, 117). ფაზისთან მიმართებაში ამას ნამდვილად არ ვამტკიცებთ, თუმცა თავისთავად საინტერესო ფაქტებია იმ თვალსაზრისით, რომ შავიზღვისპირეთის კოლონიები ამდენად დამოუკიდებლები იყვნენ მილეტისგან. საინტერესოა, რომ შეიძლება მეტროპოლია და კოლონია ერთმანეთისგან დიდად დაშორებული არ ყოფილიყო და მაინც დამოკიდებულებას ფორმალური ხასიათი ჰქონოდა. მაგალითად, ეპიდავრელებმა, ორაკულის ბრძანებით, ათენელებისგან ზეთისხილის ხე წამოიღეს და მისგან ორი ქანდაკება გააკეთეს. მანამ, სანამ ეს ქანდაკებები იქნებოდა მათთან, მათ ათენისთვის, თავისი მეტროპოლიისთვის, გადასახადი უნდა ეხადათ (Morris 1884:483).

ფაზისის სტატუსთან დაკავშირებითაც, ისევე, როგორც კოლხეთის სხვა ბერძნულ ქალაქებთან მიმართებაში, ისტორიოგრაფიაში ცხარე დისკუსია გაიმართა. უმრავლესობა მას მიიჩნევს ემპორიად (საქართველოს... 1970:406,412; ლომოური 1962:61; Лордкипанидзе 1975:5; Лорткипанидзе, 1978:139; Брашинский 1980:98-99; კვირკველია 1999:25; კაჭარავა 2002:22; გამყრელიძე 2010:24), მ. ინაძე უფრო ქალაქური ტიპის დასახლებად მიიჩნევდა, რომელსაც პოლისის ნიშნები ჰქონდა (ინაძე 1962[1]:201; Инадзе 1968:144; ინაძე 1982:170; Инадзе 1979:289). გ. დუნდუა და თ. დუნდუაც მას ასევე პოლისად მიიჩნევენ (დუნდუა... 2000 45-46; დუნდუა... 2006:256;)

პოლისის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია დამოუკიდებელი მმართველობა. ამ მხრივ აღსანიშნავია, არისტოტელესთან დაცული ცნობა ფაზისელთა პოლიტეიის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ ძვ. წ. IV ს. *„ფაზისი გარკვეული პოლიტიკური ერთეულია, აქვს საკუთარი სახელმწიფოებრივი*

წყობილება“ (დუნდუა... 2006:36). თავისთავად ამ ცნობიდან ირიბად გამომდინარეობს სხვა დასკვნაც, რომ ფაზისს საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება უნდა ჰქონოდა საკუთარი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით. თუმცა კიდევ უფრო დეტალურად ამის შესწავლა მომავალი აღმოჩენების და კვლევების საქმეა.

პოლისის ერთერთ მახასიათებლად ითვლება ასევე ქალაქში მფარველი ღვთაებების ტაძრების არსებობა. ფაზისში დასტურდება აპოლონისა და არტემიდას კულტების არსებობა და მათთან დაკავშირებული ტაძრებიც.

ზოსიმე იხსენიებს ფასიანელი არტემიდას ტაძარს (ზოსიმ. 1. 32. 3). ზოსიმეს მიერ მოხსენიებული ტაძრის აგების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია (Lortkipanidze 2000:77). თუმცა საინტერესოა ფიჭვნარიდან ძვ. წ. V საუკუნის გრაფიტო IO, მ. ნასიძის აზრით, ეს არის შემოკლება წარწერისა IO χέαιρα, რაც არტემიდას ეპითეტია (ნასიძე 2002:33). ციხისძირიდან ცნობილია ასევე გრაფიტო APT, რომელიც ასევე არტემიდას უნდა უკავშირდებოდეს (ნასიძე 2002:40). არტემიდას, სავარაუდოდ, თაყვანს სცემდნენ აპოლონთან ერთად. ო. ლორთქიფანიძე გამოთქვამს ასევე მოსაზრებას, რომ II ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახულია „აპოლინარული ტრიადა: ლეტო, აპოლონი, არტემიდე“ (ლორთქიფანიძე 2002:196). შესაბამისად, არტემიდას ტაძარს ფაზისში დაახლოებით აპოლონის ტაძრის პარალელურად უნდა ეარსება. რაც შეეხება აპოლონის ტაძარს, მისი არსებობა დადასტურებულია ძვ. წ. V-IV სს ფიალაზე აღმოჩენილ წარწერაზე: „მივეკუთვნები აპოლონ ჰეგემონს, რომელიც ფაზისშია“. ეს ფიალა აღმოჩნდა 1899 წ. ყუბანში, ზუბოვსკის ყორღანში და ახლა ერმიტაჟში ინახება. წარწერა იონიურ დიალექტზეა შესრულებული (Каухчишвили 1975:495-506). აპოლონის კულტის არსებობა მოულოდნელი არაა ფაზისში. ის მილეტელების მოტანილია აქ. აღსანიშნავია, რომ ის „*აპოლონ-წინამძღოლის/ჰეგემონის ტაძარი იყო, ე. ი. სწორედ კოლონისტების კულტი იყო გადმოტანილი*“ (დუნდუა... 2006:36). აპოლონ ჰეგემონის კულტს პარალელი არ გააჩნია (Braund 1994:98), როგორც ჩანს, აქ მისი უნიკალური ტაძარი იყო. საინტერესოა, რომ აპოლონის კულტი დიდიმში დაკავშირებულია კაბეირებთან, რომელნიც ხშირად გაიგივებული არიან დიოსკურებთან (Braund 1994:98). ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, რომ ფაზისში

დადასტურებულია პოლისისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი – ტაძრების არსებობა ქალაქში.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც ამტკიცებს ფაზისის პოლისურ სტატუსს, არის მის მიერ მონეტის ემისია. კოლხური თეორის ემიტენტთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა, ეს მონეტები მოჭრეს ადგილობრივმა მმართველებმა თუ კოლხეთის ბერძნული ქალაქების მკვიდრებმა. ამასთან არსებობდა შემრიგებლური პოზიციაც: მიიჩნეოდა, რომ ნომინალების ნაწილი ფაზისის ემიტირებული იყო, ხოლო მეორე ნაწილი, ჰემიდრაქმები – ადგილობრივი მმართველებისა. მ. ინაძის აზრით, *„არქაული დიდრაქმები შესაძლოა წარმოადგენდეს ფასისის საქალაქო მონეტებს და მათი ემისია უნდა განეკუთვნებოდეს ფასისის ახალშენის არსებობის ადრეულ ეტაპს, ე. ი. იმ დროს, როდესაც აქ ჯერ კიდევ არ იყო გამომუშავებული კოლხური მონეტის სტაბილური ტიპი, ე. წ. II ტიპი“* (ინაძე 1982:129). თავსატეხს წარმოადგენს ისიც, თუ რატომ იყო კოლხური თეორების უმრავლესობა ანეპიგრაფიკული. მ. ინაძის აზრით, ასეთი *„მონეტების სიჭარბე შესაძლოა შედეგი იყო კოლხეთის ადგილობრივი ხელისუფლების ცდისა, შეეზღუდა ქალაქის ავტონომიური უფლებები. ამრიგად, ჩვენი ადრინდელი ვარაუდით, ტრიობოლები, მართალია, იჭრებოდა კოლხეთის ახალშენების ზარაფხანაში, მაგრამ მათი ემისია სამეფო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებოდა. ტრიობოლები ამ დროს არ წარმოადგენდნენ პოლისურ ემისიას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფასისის ზარაფხანაში იჭრებოდა“* (ინაძე 1982:131). კოლხური თეორის ანეპიგრაფიკული ხასიათი, ჩვენი აზრით, გამოწვეულია არა სამეფო ხელისუფლების კონტროლის შიშით, არამედ ამ წარწერების საჭიროების არარსებობით. კერძოდ, კოლხური თეორის დანიშნულებას, რომელიც ძირითადად კოლხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, წარმოადგენდა მხოლოდ ადგილობრივებისგან ნედლეულის მიღება. კოლხური თეორი განკუთვნილი იყო მხოლოდ ადგილობრივებთან სავაჭრო ურთიერთობისთვის და თუკი ბერძნები თავიანთ პროდუქციას ყიდიდნენ და ამ ფულს იღებდნენ, ისევ აქ ტოვებდნენ ნედლეულის შესაძენად. საინტერესოა, რომ ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე, სადაც ბერძნული კერამიკული ნაწარმის თანაფარდობა ადგილობრივთან არის დაახლოებით 80% და 20%, უცხოური ფულისა და კოლხური თეორის შეფარდება დაახლოებით თანაბარია – ე. ი.

მონეტებს, რომელთაც უცხოურ ბაზარზე ვერ გამოიყენებდნენ, სამარხში ჩატანების ფორმით აქ ტოვებდნენ. რაც შეეხება იმ მცირე რაოდენობის წარწერებს, რომელნიც შემორჩენილია კოლხურ თეთრზე: MO/ΣΌ Φ, A, Ό E, Π, Δ. ეს წარწერები შეიძლება ასახავდეს ტაძრების, როგორც ზარაფხანების სახელს. ცნობილია, მაგალითად, რომ APOL წარწერიანი მონეტები დიდი ხნის განმავლობაში აპოლონიის ემისიად მიიჩნეოდა, მაგრამ შემდეგში დადასტურდა, რომ ისინი პანტიკაპეიონისაა, „*მათ ემისიას ახდენდა მილეტის მიერ დაარსებული კოლონიის მთავარი საკულტო ტაძარი*“ (ვიკერსი 1999:97). შესაძლებელია ფაზისში არსებულ ტაძრებს, მოეჭრათ ეს მონეტები – ზარაფხანა ყოფილიყო ტაძარი. აღნიშვნა A ალბათ შეესატყვისება აპოლონს ან არტემიდას, E შეიძლება იყო სიტყვა ἔγεμον-ს თავდაპირველი ასო და ჩვენ ვიცით, რომ ფაზისში სწორედაც აპოლონ ჰეგემონის კულტი იყო. Δ შეიძლება იყოს დიოსკურების აღმნიშვნელი. რადგან მილეტში იყო დიოსკურების კულტი სავარაუდოდ კოლხეთშიც იყო. მათ შეიძლება არამარტო დიოსკურიაში, არამედ ფაზისშიც ეთაყვანებოდნენ. მ. ინაძე მიიჩნევდა, რომ კოლხური თეთრის მცირე ნომინალებს ჭრიდნენ არა ერთ ქალაქში, არამედ რამდენიმე ზარაფხანაში (Инадзе 1968:170). ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ კოლხური თეთრის ემიტენტია ფაზისი.[13]

საინტერესოა გ. დუნდუას მოსაზრება, რომ „*ასეთი წვრილნომინალიანი და დანაწევრებული ნომინალური სისტემა სწორედაც პოლისური ემისიისთვისაა დამახასიათებელი*“ (Дундуа 1979:281). შესაბამისად, ეს კიდევ ერთი არგუმენტია, რომ ფაზისი ნამდვილად პოლისი იყო.

პოლისს ასევე ახასიათებს სვინოიკიზმი. ამის ქვეშ იგულისხმება პოლისის მიმდებარე ტერიტორიების თავდაპირველ ქალაქთან აბსორბცია. ფაზისთან მიმართებაში პირდაპირ ამის თქმა, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ სხვადასხვა დროს ფაზისი სხვადასხვაგან მდებარეობს. ასევე ისიც, რომ სიმაგრეს სამოსახლო ჩნდება ძვ. წ. VI საუკუნის II მეოთხედში, ორჯერ ხდება მისი რეკონსტრუქცია, ხოლო გაფართოება – ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს. ის არსებობს ძვ. წ. V საუკუნის I ნახევარშიც. (Лордкипанидзе… 1981:307). სიმაგრის დასახლებამ ნაწილობრივ გადაინაცვლა ჭალადიდისკენ. დასახლება

[13] დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. 2006.

დაარსდა ძვ. წ. მეხუთე საუკუნეში და მეოთხეშიც არსებობდა ორივე ნაპირზე. სიმაგრე კი ამ დროიდან ტიპურად კოლხურია. ძვ.წ. მეოთხე საუკუნეში სიმაგრეზე ხანძრის კვალია (Braund 1994:100). არგუმენტად იმისა, რომ სიმაგრე არის არა ფაზისელი ბერძნების დასახლება, არამედ ადგილობრივებისა, შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ აქ ძირითადად კოლხური კერამიკაა, მცირეა იმპორტი. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ფიჭვნარის მაგალითს, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ მოსახლეობენ ბერძნები და კოლხები და მიუხედავად ამისა, კოლხურ სამაროვანზე ბერძნული იმპორტის რაოდენობა საერთო მონაპოვრის 10%-ს არ აღემატება, თუნდაც მცირე რაოდენობა იმპორტისა, უკვე ნიშნავს იმას, რომ აქ ბერძნები სადღაც ახლოს მოსახლეობენ. ასევე აღსანიშნავია, რომ სვინოიკიზმი გულისხმობდა მაქსიმალურად არაბერძნების ჩართვას ქალაქის ცხოვრებაში. როდესაც პოლისი ფართოვდებოდა, ტერიტორია იყოფოდა ორ ნაწილად: 1) საკუთრივ ხორა (უფრო ზუსტად, ხორა პოლიტიკე), 2) მიწები, რომლებიც დასახლებულია ადგილობრივი მოსახლეობით, რომლებიც ასე თუ ისე გარკვეულწილად დამოკიდებულები არიან პოლისზე. (Блаватский 1979:18). „*ხორა გულისხმობს ქალაქის მეზობლად მდებარე მიწას, რომელიც ქალაქის საკუთრებას შეადგენს და კულტივირებულია პოლისის მოქალაქეთა მიერ ან პოლისის მოქალაქეთათვის. მეორე მხრივ, ხორა წარმოადგენს პოლისის გავლენის ზონას, რომელზედაც ვრცელდება პოლისის ეკონომიკური და კულტურული რადიაცია იმ რაიონში, რომელიც დაკავებულია ადგილობრივი მოსახლეობით*“ (ინაძე 1982:76). ჭალადიდი და სიმაგრე ფაზისის ხორის ნაწილი იყო და ფაზისის თანდათანობითი გაფართოებაც მიუთითებს იმაზე, რომ ფაზისელები ცდილობდნენ თავიანთი გავლენის გავრცელებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ არ უნდა აგვერიოს მოსახლეობის ელინიზაციის მაღალი ხარისხი ქალაქის ხორაში ჩართვისგან. მაგალითად, ვანის მოსახლეობის ელინიზაციის ხარისხი მაღალია, თუ ვიმსჯელებთ აქ აღმოჩენილი იმპორტის რაოდენობის მიხედვით, მაგრამ ის უშუალოდ ფაზისის ხორის ნაწილი არ არის. ხორა ასევე იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მატარებელი ტერიტორია უშუალოდ პოლისისთვის. ასეთი კი მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიაა. ბრონდის მოსაზრებას, რომ ჭალადიდთან იყო გამშვები პუნქტი ბერძნებსა და კოლხებს შორის (Braund 1994:101) და ბერძნებსა და კოლხებს შორის ერთგვარად

„რკინის ფარდა“ არსებობდა, ვერ გავიზიარებთ. ფაზისთან ურთიერთობაში ინტენსიურად ჩანს ჩართული მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობა. ამის დასტურია თუნდაც კოლხური თეთრის ყველაზე გავრცელებული ნომინალის – ტრიობოლების, გავრცელების არეალი. ძირითადად ის ემთხვევა ენგურსა და რიონს შორის მდებარე ტერიტორიას. ამრიგად, ფაზისის მიერ პერიოდული გაფართოება თავისი გავლენის გავრცელება სვინოიკიზმია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ფაზისი პოლისია და არა სხვა ემპორია ან კლერუხია ან თუნდაც „*საქალაქო ცენტრები გარკვეული ორგანიზაციით და რიგი თავისებურებებით*“ (Инадзе 1968:144).

პოლისის კიდევ ერთი მახასიათებელი ნიშანია მის მიერ სხვა კოლონიების დაარსება. მაგალითად, მასალია ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან დაწყებული არა მარტო ფლობს ხორას და აფართოებს თავის ტერიტორიის ფარგლებს, არამედ აარსებს საკუთარ კოლონიებ – ე. წ. სუბკოლონიებსაც (ნისე, ოლბია, ტარენტუმი) (ინაძე 1982:75). თუ გავითვალისწინებთ ბოლტუნოვას მოსაზრებას ფაზისის ან დიოსკურიის მიერ პიტიუნტის დაარსების შესახებ (Болтунова 1963:156), შეიძლება ვივარაუდოთ ამ მახასიათებლის არსებობაც. აქვე აღსანიშნავია მდინარე ხობისწყლის შესართავთან კიდევ ერთი დასახლების არსებობა (ინაძე 2010:76), რომელიც მცირე ბერძნული დასახლება ჩანს. ეს დასახლებაც შეიძლება სუბკოლონიად მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, ფაზისიც აარსებდა ქალაქებს.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ფაზისი პოლისი უნდა ყოფილიყო, არის ჩვენი აზრით, ქალაქში არსებული ორგანიზებული სესხების გამცემი სისტემა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ფასიანელი არტემიდას ან აპოლონის ტაძარი. ჩვენ ვიცით, რომ დელოსში იყო აპოლონის ტაძარი, რომელიც სესხებს გასცემდა ძვ. წ. II საუკუნეში (Кузищин 2005:332). როგორც ჩანს, პოლისებში ეს მიღებული პრაქტიკა იყო. ჰერაკლიდეს ცნობიდან ჩვენ ვიგებთ, რომ ფაზისელები აძლევდნენ 3 მნას, მათ ვისაც გემი ეღუპებოდა. ამ ცნობასთან დაკავშირებით არსებობს ერთი მნიშვნელოვანი შეუთავსებლობა: 3 მნას იხდიდნენ გემდაღუპულები, თუ ფაზისელები აძლევდნენ მას გემდაღუპულებს. ილუსტრაციისთვის მოგვყავს ტექსტი და მისი თარგმანები:

ჰერაკლიდე ყაუხჩიშვილისეული ლატიშევისეული

	თარგმანი	თარგმანი
Φασιανῶν. Φᾶσιν τὸ ἐξ ἀρχῆς Ἡνίοχοι κατῷκουν, φῦλον ἀνθροποφάγον καὶ ἐκδεῖρον τοὺς ἀνθρώπους ἔπειτα Μιλήσιοι. Φιλόξενοι δ᾽εἰσίν. ὥστε τοὺς ναυαγοὺς ἐφοδιάζειν καὶ τρεῖς μνᾶς διδόντας ἀποπλεῖν.	ფასისელთა (სახელწმიფო წყობილებიდან). ფაზისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანის ტყავის გამხდელი ტომი. შემდეგ კი მილეტელები. ხოლო ესენი სტუმართმოყვარენი არიან, ისე რომ ამარაგებენ მათ, ვისაც გემები ეღუპებათ, 3 მნას აძლევენ (მილეტელებს ესენი) და ზღვითვე მიემგზავრებიან.	По Фасиду первоначально жили Иниохи, племя людоедское сдиравшее кожу с людей, а потом Милетяне. Они (Милетяне) до того гостеприимны, что снабжают топерпевших кораблекрушением и при отправлении в путь дают им по три мины.

ლატიშევისეული ინტერპრეტაციით აქვს ეს ტექსტი თარგმნილი დურჰამ დილტსაც, ინგლისურ ენაზე გამომცემელსაც.[14]

ამ ტექსტის თარგმანის საკითხი დეტალურად განიხილა მ. ინაძემ. ის ემხრობოდა ჰერაკლიდეს ცნობის ყაუხჩიშვილისეულ თარგმანს და მიიჩნევდა, რომ გემდაღუპულები იხდიდნენ ამ გადასახადს: *„ქსენოფონტეს გადმოცემებიდან და მესემბრიელთა წარწერიდან ჩანს, რომ დაღუპული ხომალდებიდან გადარჩენილი ტვირთისა და ფულის მითვისება სანაპიროსთან მცხოვრები ადგილობრივი ტომებისა და მათი მეფე მთავრების მიერ ჩვეულებრივი ამბავი იყო ძვ. წ. IV-III საუკუნეების ახლო ხანებში. ეს აქტი, როგორც ჩანს, ადგილობრივ ტომთა შორის სავსებით გამართლებულად ითვლებოდა, ერთგვარ კანონადაც კი იყო მიღებული (ე.წ. სანაპირო კანონი)“* (ინაძე 1982:195; ინაძე 1983:70). თუმცა ამ შემთხვევაში

[14] დილტსის გამოცემისეული თარგმანი კომენტარით მითითებული აქვს მ. ინაძეს (იხ: ინაძე 1982:190)

მესემბრიელებსა და ფაზისელებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მესემბრიელები გარშემო მცხოვრებ ტომთა (ასტების) ბელადს – სადალს უთანხმდებიან, რომ თუკი რაიმე მესემბრიელებისა გაირიყება მათ მიწაზე, ისინი გადაიხდიან ტვირთის ღირებულების გარკვეულ ნაწილს და ნახევარ სტატერს (ინაძე 1982:192-193). ასეთი შეთანხმება შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგალითად, კოლხეთის სკეპტუხებსა და ფაზისელ ბერძნებს შორის. ჰერაკლიდეს ცნობიდან კი ჩანს, რომ გემდაღუპულებს ამარაგებენ ფაზისელები და თანაც, როგორც ჩანს, საუბარი კოლხებზე არ უნდა იყოს, არამედ ზღვიდან მოსულ „სტუმრებზე“. ამრიგად, მესემბრიელების მაგალითით მტკიცება იმისა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გემდაღუპულები იხდიან გადასახადს, საკმარისად არ მიგვაჩნია.

მონები იმხანად 3 მნა, ანუ 300 დრაქმა ღირდა (Лордкипанидзе 1979[1]:323). დ. ბრონდი ამის გათვალისწინებით მიიჩნევდა, რომ ეს გადასახადი ჰგავს ერთი ადამიანის გამოსასყიდ თანხას (ბრაუნდი 2005:17). ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ ეწოდებათ ფაზისელებს სტუმართმოყვარენი, თუკი გემდაღუპულებს ართმევენ ფულს. მაშინ რა განსხვავება უნდა იყოს ადამიანის „ტყავის გამხდელ“ ჰენიოხებსა და გაჭირვებულთათვის ფულის გამომრთმევ ფაზისელებს შორის.

ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს ლატიშევისა და დილტსისეული თარგმანი და ფაზისელები იქით აძლევდნენ მართლაც გემდაღუპულებს 3 მნას. ამის მიზეზი უანგარო, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა. 3 მნა შეიძლებოდა ყოფილიყო გემდაღუპულებისთვის ფაზისელებისგან სესხად გაცემული თანხა, რომელიც მათ გადაეცემოდათ შინ დასაბრუნებლად საჭირო ხარჯისთვის. თუ ეს ასეა, შესაბამისად, ეს კიდევ ერთი არგუმენტია, რომ ფაზისი გავიაზროთ, როგორც პოლისი.

ამრიგად, ფაზისის პოლიტიკური სტატუსი ყოველივე ზემოთქმულიდან უნდა განისაზღვროს, როგორც პოლისისა.

ფაზისის ახალშენის დაარსებასთან დაკავშირებითაც ერთსულოვნება არ არსებობს ისტორიოგრაფიაში. ნ. ლომოური მიიჩნევს, რომ ფაზისი, ისევე როგორც დიოსკურია, ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოსა და და VI საუკუნის პირველ ნახევარში უნდა დაარსებულიყო (ლომოური 1962:50). ამ დასკვნამდე ის მივიდა გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, რომ სანამ ბოსფორის ქალაქები დაარსდებოდა, მანამდე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქები უნდა დაარსებულიყო, თუმცა

არ დაუსაბუთებია, რატომ. ჩვენი აზრით, მილეტელების მიერ შავიზღვისპირეთის ათვისების ქრონოლოგიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შავი ზღვის დინებებმა (იხ. ზემოთ) და პირველი დასახლებები, სადაც არის აღმოჩენილი ძვ.წ. VII-VI საუკუნეების იმპორტი, სწორედ ამ ხანებში დაარსებულად უნდა ჩავთვალოთ. თუმცა არსებობს ალტერნატიული მოსაზრებებიც. მაგ., მ. ინაძე მიიჩნევდა, რომ ფსევდო-სკილაქსის ცნობის გათვალისწინებით, რომელიც სკილაქსისგან უნდა მომდინარეობდეს, დასაშვები იყო ფაზისში ძვ.წ. VI ს. შუა ხანებიდან დასახლების გაჩენა (Инадзе 1968:123). თუმცა თვითონვე იმხანად არსებული არქეოლოგიური მონაცემები ამის სამტკიცებლად არასაკმარისად ჩათვალა (Инадзе 1968:124). შემდგომში მან აზრი შეიცვალა და მიიჩნია, რომ ფაზისში ახალშენი ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში უნდა დაარსებულიყო (ინაძე 1982: 120). საყურადღებო დაკვირვება აქვს ბოლტუნოვას ნარატიულ წყაროებში მოხსენიებულ ფაზისის ოიკისტ თემისტაგორასთან დაკავშირებით. მისი აზრით, *„თუ ეს ის თემისტაგორაა, რომელიც მოხსენიებულია ძვ. წ. 521-520 წლის მილეტურ წარწერაში, მაშინ ფაზისი, როგორც ბერძნული კოლონია, დაარსებულა VI საუკუნის ბოლოს“* (Болтунова 1963:155). აქ საინტერესოა ერთი რამ: თემისტაგორა მილეტელი მოხსენიებულია მხოლოდ პომპონიუს მელასთან, რაც, თავის მხრივ, ართულებს მისი ცნობის დათარიღებას. ამასთან, მილეტის დეკრეტში მოხსენიებული თემისტაგორა ერთადერთი არაა, რომელიც შავ ზღვაში საკოლონიზაციო აქტივობასთან ასოცირდება. ეს სახელი ცნობილია მილეტური კოლონია აპოლონიიდანაც და სინოპიდანაც (Hind 1999:82). ჯ. ჰაინდი მიიჩნევდა, რომ ამ სამი თემისტაგორადან (მილეტელი, აპოლონიელი და სინოპელი) ფაზისის დამაარსებლად სინოპელი უნდა მივიჩნიოთ და მას უნდა ეხელმძღვანელა ძვ. წ. IV საუკუნის სინოპური ექსპედიციისთვის ფაზისში. (Hind 1999:83) თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი რამ: სინოპს თუნდაც ექსპედიცია დაეწყო ახალი კოლონიის დასაარსებლად და, მით უფრო, ძველი მილეტური კოლონიის ადგილას, მაშინ მას ძველი ტრადიციისამებრ ოიკისტი უნდა ეთხოვა თავისი მეტროპოლია მილეტისთვის. თუკიდიდე წერს, რომ ეპიდამნოსს დასაარსებლად კორკირელებმა კორინთოს მიმართეს და ოიკისტი მას სთხოვეს, ძველი ტრადიციის თანახმად. (Thuc. I. 24.2.). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფაზისში უძველესი სამოსახლო სიმაგრეზე

„არსებობას იწყებს ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს, ორჯერ ახლდება იმავე VI ს. უკანასკნელ მეოთხედში და კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, V ს-ში. V ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისში სიმაგრეზე, როგორც ჩანს, სიცოცხლე წყდება“ (მიქელაძე 1978:70). ჰაინდი მიიჩნევს, რომ ფაზისი ძვ. წ. 450 წ. უნდა განადგურებულიყო (Hind 1983-1984:92). რა თქმა უნდა, ფაზისის ხორის ერთ-ერთ ნაწილზე ცხოვრების შეწყვეტა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თვითონ ფაზისიც დაკნინდა, მით უფრო, რომ ფაზისის მიერ მონეტების ემისია პრაქტიკულად არ შეწყვეტილა ძვ. წ. III საუკუნემდე, თუმცა მაინც სიმპტომატურია ამდენგზის განახლება. არაა სავალდებულო თემისტაგორა მართლაც პირველი ექსპედიციის ხელმძღვანელი იყოს.

ბერძნების თავდაპირველი გამოჩენა და მცირე დასახლება ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნით უნდა დათარიღდეს. არქეოლოგიურად ბევრად უფრო ადრინდელი ფენებია დადასტურებული სიმაგრეზე, სადაც ბერძნული იმპორტია აღმოჩენილი. *„იმპორტული კერამიკა სიმაგრეზე წარმოდგენილია გვიანარქაული ხანის წითელი ზოლებით შემკული ქიოსური, ლესბოსური და ლესბოსის წრის სასმისისებრძირიანი ე. წ. “იონიური წრის” (მილეტის), თაზოსის წრისა და ე. წ. ფსევდოსამოსური კერამიკული ტარის ფრაგმენტებით. ეს უკანასკნელი მხოლოდ საქორქიოშია დადასტურებული. ასევე ადრეულებია როდოსულ-იონიური (კამირისის ჯგუფი), “ფიკელურას” სტილისა და სადაზოლებიანი იონიური კერამიკის ნიმუშები, ვარდულებიანი იონიური ჯამი, რომელიც ძვ. წ. VII ს. ბოლოსა და VI ს. I ნახევრის მასალებს შორის ჰპოვებს ანალოგიებს“* (ინაძე 1982:120). კერამიკული მასალა, რომელიც აქ არის აღმოჩენილი, ყველგან არის ნაპოვნი, სადაც მილეტს ჰქონდა კავშირი – *„ქიოსზე, დელოსზე, ნავკრატისში, გელაში (სიცილია), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (კუნძულ ბერეზანზე, პანტიკაპეონში, მირმეკიონში, ტირიტაკაში, ნაკლები ოლბიაში და სხვ.)“* (მიქელაძე 1978:65-66). ამრიგად, ადრეული იმპორტის არსებობა ადასტურებს აქ ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე ახალშენის დაარსებას. იმხანად მილეტის გააქტიურება განპირობებული იყო ლიდიის მეფე ალიატესთან კონფლიქტით. ლიდია მილეტისთვის ოქროს მთავარი ექსპორტიორი იყო და, ამდენად, ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე მილეტის დაინტერესება კოლხეთის სანაპიროებით და კონკრეტულად ფაზისით შეიძლება ოქროს ძიების სურვილით იყოს განპირობებული. შემდეგში ფაზისი, როგორც ჩანს, ნელ-ნელა

პოლისად ჩამოყალიბდა. ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსკენ ფაზისი უკვე პოლისია, კოლხური თეთრის ადრეული ცალები ამ პერიოდით თარიღდება. ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს ფაზისს კავშირი აქვს ქიოსთანაც. *„რაოდენობრივად იმპორტულ ტარაზე მეტია ძვ. წ. VI ს-ის დასასრულისა და V დასაწყისის ქიოსური ამფორები, რომლებსაც ორნაირი ფორმისას უშვებდნენ: დიდს, რომლის მოცულობა 21 ლიტრს აღემატებოდა და მცირეს – 10,75 ლიტრიანებს. ყვითელ თიხნარში ორივე ზომის ამფორებია წარმოდგენილი“* (მიქელაძე 1978:48). ქიოსი მილეტის მნიშვნელოვანი მოკავშირე იყო. ამასთან, ძვ. წ. 546 წლიდან მასზე სპარსელების გავლენა ვრცელდებოდა, მიუხედავად ამისა, ძვ. წ. 499 წ. აჯანყდა და ძვ. წ. 494 წ. ლადეს ბრძოლაში მან უკვე ყველაზე დიდი ფლოტი გამოიყვანა – 100 ხომალდი. ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს ქიოსური იმპორტის შემოსვლის ერთ-ერთი მიზეზიც ეს არის – ქიოსის მცდელობა, ფლოტი გააძლიეროს მოსალოდნელი ომის წინ. ასევე, ამხანად ჩანს კავშირი ლესბოსთანაც. შემოდის *„ლესბოსური და ლესბოსური წრის ამფორები, რომლებიც ხმარებაში არიან ძვ.წ. VI ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში. ყვითელ თიხნარში ლესბოსური და ლესბოსური წრის ამფორებიც აღმოჩნდა“* (მიქელაძე 1978:48). ლადეს ბრძოლაში ლესბოსიც იბრძვის სხვა იონიურ ქალაქებთან ერთად. მასაც გამოჰყავს ფლოტი 70 ხომალდის შემადგენლობით (Cambridge 1964:96).

ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს მარტო მილეტს არ აქვს კავშირი შავი ზღვის ბერძნულ კოლონიებთან. ათენი აქ ჯერ კიდევ ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს გამოჩნდა. ამის დასტურია ძვ. წ. VI ს-ის დასასრულისათვის ფაზისში ატიკური პროდუქციის გამოჩენა (მიქელაძე 1978:71; ინაძე 1982:120). შესაძლოა ათენს მართლაც ჰქონდა პირდაპირი კავშირი შავიზღვისპირეთის კოლონიებთან. შესაძლოა, ფასისში ატიკური ნაწარმიც იონელების შემოტანილია (მიქელაძე 1978:71).

ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებში, სავარაუდოდ, პერიკლეს პონტოურ ექსპედიციასა და ათენელების გაბატონებას შავ ზღვაში უნდა უკავშირდებოდეს ამ პერიოდში სიმაგრის სამოსახლოზე ცხოვრების შეწყვეტა. *„სიმაგრეზე მოპოვებული იმპორტული მასალის ქრონოლოგიური ამპლიტუდა ასეთია: უძველესი ნიმუშები ძვ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარს იშვიათად სცდებიან, ხოლო უგვიანესი – ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებს. მაშასადამე, სიმაგრის ძველი დასახლების არსებობა, ზოგადად, ერთი საუკუნით იფარგლება“* (მიქელაძე 1978:68). შესაძლოა, ქალაქის

ძირითადმა ნაწილმა ამ დროს მცირედად ადგილი იცვალა და მასთან ერთად მის გარშემო მდებარე სამოსახლოებმაც.

ამ დროიდან იწყება ფაზისის კავშირი ათენთან. გარდა ათენისა, ფაზისელებს კავშირი აქვთ თაზოსელებთან. „*საბაჟოს უბანზე ყურადღებას იქცევენ ამფორის ძირები, რომლებსაც მომრგვალებული ქუსლი აქვთ გარედან ღრმულით, შუაში კოპისებური წამონაზარდებით. აღნიშნული ამფორის ძირები თავისი პროფილებით მოგვაგონებენ ძვ. წ. V ს-ის პროტოთასოსის, თასოსისა და თასოსური წრის ტიპის ამფორებს. ასევე ლეკითოსი, რომელიც თავისი ყელით აგრეთვე ძვ. წ. V ს-ის თასოსურ ნაწარმს მიეკუთვნება*“ (მიქელაძე 1978:76). თუმცა, რა თქმა უნდა, ამ პერიოდში ათენის პროდუქცია პრევალირებს. როგორც ფიქრობენ, თვით „*თაზოსის ნაწარმიც ამ დროს ათენს შემოჰქონდა. ეს გარემოება კარგად ეთანხმება იმ ვითარებას, რომელიც ატიკა-დელოსის საზღვაო კავშირში სუფევდა*“ (მიქელაძე 1978:76). თაზოსის მდგომარეობა მართლაც არაა სახარბიელო ძვ. წ. 463 წლიდან, როდესაც მას საკუთარი ფლოტის ყოლა აუკრძალეს ათენელებმა. ამასთან, მთელი დელოსის კავშირის ხაზინა ათენშია განლაგებული და თაზოსი მართლაც დამოკიდებულია ათენზე სრულად.

რაც შეეხება შავიზღვისპირეთის კოლონიების სტატუსს ათენის ბატონობის ხანაში, ვფიქრობთ, ამ ქალაქებმა ჩვეულებრივ დამოუკიდებელი პოლისის სტატუსი შეინარჩუნეს. რადგან ამ პერიოდში ათენისადმი უშუალოდ დამორჩილებული ქალაქის სტატუსი ჰქონდა კლერუხიებს და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ახლოს მდებარეობდა კოლონია, ან თაზოსივით ურჩ ქალაქებს. ძვ. წ. V საუკუნეში შორს მდებარე კოლონიები ნაკლებად ექვემდებარებოდნენ ათენს (Graham 1964:210), მით უფრო, თუ ისინი იმ დროს დაარსებული არ იყო. გარდა ამისა, ეპოიკები, ანუ პოლისის დაარსების შემდეგ მოსული მოსახლეები, ცნობილია, რომ მოქალაქის არასრულ უფლებას იღებდნენ. ფაზისში ათენელები რომც მოსულიყვნენ, ისინი აქ ფაზისის პოლიტანები ვერ გახდებოდნენ და ვერც ათენის მოქალაქეებად დარჩებოდნენ ფაზისის დამოუკიდებლობის გამო. როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა რეგიონში სავაჭრო ფუნქციით სხვა ახალშენის დაარსება (ფიჭვნარი).

ფაზისის არსებობისთვის როგორც არქაულ, ისე კლასიკურ ხანაში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მისი მდებარეობა მთავარი სანაოსნო მდინარის შესართავთან მდებარე ადგილას, საიდანაც იხსნებოდა გასასვლელი ქვეყნის შიდა

რაიონებთან. რიონ-ყვირილის მაგისტრალი ანტიკური იმპორტისათვის საქონლის გავრცელების მთავარი გზა იყო (Лордкипанидзе 1977:86). შედეგად, ფაზისი, ერთი მხრივ, იღებს ნედლეულს კოლხეთიდან, მეორე მხრივ, ავრცელებს იმპორტს, შედარებით ნაკლებად – საკუთარ ნაწარმს. ამასთან, ფაზისის ხორას ტერიტორიაზეც ჩანს სოფლის მეურნეობა განვითარებული. „*მიწათმოქმედება საბაჟოს ნამოსახლარების მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი იყო. უმთავრესად, როგორც ჩანს, მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები. ამაზე მიუთითებენ ნამგლის კაჟის ჩასართები*“ (მიქელაძე 1978:41). ასევე აქ განვითარებული იყო მესაქონლეობაც, საბაჟოს უძველეს ნამოსახლარზე ეს მეურნეობის წამყვანი დარგი ჩანს – *„აქ აღმოჩნდა როგორც მსხვილი რქოსანი საქონლის, ისე ღორის, ცხვრისა და თხის ძვლები“* (მიქელაძე 1978:41). ფაზისში მესაქონლეობის განვითარება დადასტურებულია წყაროებშიც. არისტოტელეს ცნობით „*ფაზისთან არიან პატარა ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იწველის“* (Arist. Hist. Anim. III, 21.).

მიუხედავად იმისა, რომ ფაზისთან დაკავშირებით პირდაპირი ცნობა მასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ხორის არსებობის შესახებ არ მოგვეპოვება, მაინც საინტერესოა, რომ ფაზისელების ეკონომიკურ გავლენას ჰინტერლანდზე, მოჰყვა ბერძნულის მიბაძვით შერქმეული სახელების გაჩენა. ამ მხრივ, სიმპტომატურია სახელის ΜΕΤΟΣ დაფიქსირება. ეს სახელი ბერძნული არ არის, უფრო გრეციზებულ-კოლხურია (Braund 1994:102). ეს სახელი ამოკაწრულია ითხვისის სამაროვანზე ნაპოვნ შავლაკიან თასზე, მასთან ერთად აღმოჩენილია იგივე ადგილობრივი წარმოების დოქიც, იგივე სახელიც მხოლოდ თანხმოვნების გამოსახულებით. სამარხი თარიღდება ძვ. წ. 470 წლით. ეს ჯერ კიდევ ათენელების მოსვლამდეა. როგორც ჩანს, ფაზისელების გავლენა მილეტურ ხანაშიც არცთუ უმნიშვნელოა, მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთში მოსული მილეტელების რაოდენობა არცთუ დიდი უნდა ყოფილიყო.

ელინისტური ხანის ფაზისთან არის დაკავშირებული რიონის ქვემო წელზე ორი დასახლება. ერთი ე. წ. №26 თხრილი და მეორე – სოფელ ქვემო ჭალადიდში, თხინას ტყეში, საბაჟოს უბნიდან რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით, ჩხარის დასახლების პირდაპირ (მიქელაძე 1978:78). აქ აღმოჩენილია ე.

წ. „ყავისფერკეციანი ამფორების“ ფრაგმენტები სინოპურ ამფორებთან ერთად (მიქელაძე 1978:77). თუმცა თუ ფიჭვნარის შემთხვევაში შესაძლებელია თამამი ვარაუდი, რომ იგი არის ყავისფერკეციანი ამფორების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი, ფაზისთან დაკავშირებით ჯერჯერობით ამის მტკიცება ნაადრევია. ამდენად, ბოერის მოსაზრება, რომ *„გიენოსს და ფაზისს, შესაძლოა, სინოპე იყენებდა იმ ამფორების საწარმოებლად, რომლითაც მერე გადაჰქონდა პროდუქტები ჩრდილო შავიზღვისპირეთში“* (ბოერი 2005:13), ჯერ კიდევ დასაბუთებას საჭიროებს. მეტიც, სწორედ გიენოსს არ ჰქონია ეს ფუნქცია და ფაზისს ჰქონდა თუ არა, ეს ჯერ კიდევ დამტკიცებას მოითხოვს.

საინტერესოა, თავად ის ფაქტი, რომ სტრაბონთან ფაზისი არ არის მოხსენიებული ცალკე, როგორც „ქალაქი ფაზისი“, ყველა შემთხვევაში მოხსენიებულია შემდეგი ფორმულირებით: „მდინარე ფაზისი და მისი თანამოსახელე ქალაქი, ან მასთან მდებარე ქალაქი ფაზისი“ (Strabo XI, 2, 17). ეს ფაქტი მიუთითებს, რომ სტრაბონის ან მისი წყაროების დროისთვის ქალაქი ფაზისიც დაკნინებულია. ბერძნული ქალაქების დაკნინების პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება რომაულ ხანაში და სამხრეთ შავიზღვისპირეთში და, ალბათ, კოლხეთშიც უკვე ბერძნულად გამართულად წერა აღარ იციან (Arr. PPE. 1.)

ამრიგად, ფაზისი ძვ. წ. VI-II საუკუნეებში ბერძნული პოლისია, დოკუმენტურად დადასტურებული პოლისისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშნით: 1) დამოუკიდებლობა, 2) ქალაქის მფარველი ღვთაებების ტაძრების არსებობა, 3) მონეტების ემისია, 4) მიმდებარე ტერიტორიების სვინოიკიზმი 5) ახალშენების დაარსება, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბებისა, 6) ტაძრებთან არსებული სავახშო კაპიტალით. ზოგადად, სავახშო კაპიტალი კაპიტალისტური საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი და ამ ტიპის საქმიანობის არსებობაც კოლხეთში მიუთითებს იმაზე, რომ ეს მხარე აღიქმებოდა, როგორც ბერძნული ეკონომიკური სისტემის ნაწილი. ელინისტურ ხანაში ფაზისი აფართოებს კავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, განვითარებულია სოფლის მეურნეობაც ფაზისის ხორას ტერიტორიაზე, რომელიც მოძრავია სხვადასხვა საუკუნეში. გვიანელინისტურ და რომაულ ხანაში ადგილობრივი ბერძნების ბარბარიზება

ხდება და თანდათან სრულდება ბერძნული კოლონიზაცია, როგორც პროცესი, შესაბამისად, ელინური ფაზისიც ასრულებს თავის არსებობას.

ანტიკური ხანის ცნობილი ექიმი ჰიპოკრატე (ძვ. წ. IV ს.) თავის თხზულებაში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ გვაწვდის ინფორმაცის კოლხების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ზოგადად, ძველი ბერძენი ავტორების ცნობები საქართველოს შესახებ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი, თუმცა რაც შეეხება ჰიპოკრატეს ცნობებს, მისი შესწავლა სამედიცინო თვალსაზრისით ჯერჯერობით არ მომხდარა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია ეს საკითხი.

ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი დაავადება, ჩვეულებრივ, ისტორიოგრაფიაში მალარიად განიხილება. საკითხის შესწავლის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს არა მალარიასთან, არამედ A ჰეპატიტთან.

თავდაპირველად შეგახსენებთ ჰიპოკრატეს ტექსტს, რომელიც ფაზისელებს ეხება სრულად და შემდეგ უკვე მოგახსენებთ ჩვენს დასკვნებს: *„ხოლო ვინც ფაზისში ცხოვრობს, მათ შესახებ* [შემდეგი მაქვს სათქმელი]: *ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისაგან დამპალს და წვიმებისგან ადიდებულს. თვითონ ფაზისი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება. ნაყოფი, რომელიც იქ წარმოიშვება, ყველა ზრდადაუსრულებელი, სუსტი და უვარგისია წყლის სიუხვის გამო. ამიტომ [აქ ნაყოფი] არ მწიფდება. წყლებისგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა სახსარი და არც ძარღვი; კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, [რადგან] სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ*

ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, რომ სხეულს ჯაფა მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან“ (ყაუხჩიშვილი 1965:45; Jones 1868:115-116).

შესაბამისად, ჰიპოკრატეს მიხედვით, ჩვენ გვაქვს შემდეგი სიმპტომები: 1) ჭარბი წონა, 2) სიყვითლე, 3) შეშუპება, 4) კუნთოვანი ჰიპოტონია (მოდუნება). ასევე ვიცით, თუ რა პირობებში ცხოვრობდნენ კოლხები: 1) ცხოვრობენ ჭაობების მახლობლად, 2) სვამდნენ დამდგარ, გაფუჭებულ, თბილ წყალს, 3) ჭამდნენ დამპალ, ნესტისგან უმწიფარ, შესაძლოა, გაურეცხავ პროდუქტებს.

ამ სიმპტომებისა და გარემო პირობების თანახმად, ერთი შეხედვით ორი დიაგნოზი შეიძლება დაისვას – მალარია და A ჰეპატიტი. პირველ რიგში განვიხილავთ მალარიის ალბათობას.

მალარია არის პროტოზოული დაავადება, რომელიც გადადის კოღო ანოფელესის კბენის შედეგად. ადამიანებში ყველა მალარიულ ინფექციას იწვევს 4 ტიპის პლაზმოდიუმი: P.falciparum, P. malariae, P. vivax, P. ovale. მალარიის კლინიკური ნიშნებია: 1) ცხელება, 2) სიყვითლე, 3) თავბრუსხვევა და ღებინება, 4) ართალგია[15], 5) მიალგია[16], 6) დიარეა, 7) ანორექსია (მძიმე შემთხვევებში), 8) ჰეპატოსპლენომეგალია,[17] 9) ანემია[18], ლეიკოპენია, ნეიტროპენია,[19] ლიმფო და მონოციტოზი.[20] ამ სიმპტომებიდან მხოლოდ ორი ეთანხმება დაავადების ჰიპოკრატესეულ აღწერილობას – სიყვითლე და კუნთოვანი ჰიპოტონია. სიყვითლე მალარიას ახასიათებს არა მთელი ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში, არამედ მხოლოდ გამოვლინების პერიოდში. მალარიის ინფექცია შეიძლება გრძელდებოდეს 1-დან 3 წლამდე. ანუ იმ შემთხვევაში თუკი კოლხებს მალარიის საწინააღმდეგო საშუალებები არ გააჩნდათ, რაც სავსებით შესაძლებელია, სიყვითლე მალარიის ხანგრძლივმოქმედი სიმპტომი შეიძლება ყოფილიყო. სხვა სიმპტომებს რაც შეეხება – ჭარბი წონა – ეწინააღმდეგება ამ დიაგნოზს. რადგან მალარიას ახასიათებს ანორექსია, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში, და ჩვენ ვიცით, რომ კოლხების შემთხვევაში სწორედ მძიმე ფორმებთან გვაქვს საქმე, მათ არ შეიძლებოდა

[15] სახსრების ტკივილი
[16] კუნთების ტკივილი
[17] ღვიძლისა და ელენთის გადიდება
[18] სისხლნაკლებობა
[19] ლეიკოციტებისა და ნეიტროფილების შემცირება
[20] ლიმფოციტების და მონოციტების რაოდენობის მომატება

ჰქონოდათ ერთდროულად მალარია და ამასთან ჭარბი წონა. მალარია იწვევს დიარეას, გულისრევას და ღებინებას და პაციენტი დაინფიცირების შემდეგ მალე კარგავს წონას. მალარიის ეს გამოვლინება აშკარად გამორიცხავს ჭარბ წონას. რაც შეეხება საცხოვრებელ პირობებს – ჭაობებში ცხოვრება, რა თქმა უნდა, შეიძლება ამტკიცებდეს იმას, რომ კოლხებში გავრცელებული დაავადება არის მალარია. ასეთ პირობებში მალარიის ეპიდემიური გავრცელება სავსებით შესაძლებელია. რეალურად ეს არის ერთადერთი არგუმენტი, რომელიც მხოლოდ მალარიის სასარგებლოდ მეტყველებს. თუ ყურადღებით დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ცხოვრების სხვა პირობები, პირიქით, A ჰეპატიტს თუ გამოიწვევდნენ.

A ჰეპატიტი ღვიძლის მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია A ჰეპატიტის ვირუსით. ეს არის გასტროენტერალური დაავადება. რადგან ის გამოწვეულია სიბინძურის შედეგად, მას ხშირად უწოდებენ „ჭუჭყიანი ხელების დაავადებას“ (Hygiene 1988). A ჰეპატიტის სიმპტომებია: 1) ცხელება, 2) თავბრუსხვევა, 3) სიყვითლე, 4) ჰეპატომეგალია (ზოგჯერ სპლენომეგალიაც), 5) მუცლის ტკივილი. რადგანაც ეს არის ენტეროვირუსული დაავადება, შესაბამისად, ის გადადის ალიმენტური გზით. იშვიათ შემთხვევებში შეიძლება გადავიდეს პარენტერული (სისხლის გადასხმით)[21] გზით. თუმცა, რა თქმა უნდა, ანტიკურ ხანაში ეს შეუძლებელი ჩანს, შესაბამისად, ამ გზით გავრცელების საკითხს ჩვენ არც შევეხებით. რადგანაც A ჰეპატიტი ვრცელდება დაბინძურებულ გარემოში, და რადგანაც ის ენტეროვირუსული დაავადებაა და ჩვენ ვიცით, რომ კოლხები სიბინძურეში ცხოვრობდნენ და იკვებებოდნენ, ჰიპოკრატეს თანახმად, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს იყოს A ჰეპატიტი. საინტერესოა, რომ სტრაბონის მიერ აღწერილია ფთეიროფაგების კოლხური ტომი, რომელიც იმავე პირობებში ცხოვრობდა. როგორც ჩანს, ეს ტომი სწორედ A ჰეპატიტით იყო დაავადებული, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ამრიგად, A ჰეპატიტის ორი სიმპტომი – სიყვითლე და შეშუპება – ემთხვევა ჰიპოკრატეს აღწერილობას და სხვა სიმპტომები – ჭარბი წონა, კუნთოვანი ჰიპოტონია არ ეწინააღმდეგება ამ დიაგნოზს. ასევე კოლხების საცხოვრებელი პირობები – დამდგარი წყლის სმა და ჭუჭყიანი ან უმწიფარი

[21] სისხლის გადასხმით

დამპალი საკვების მიღება, ადასტურებს ამ დიაგნოზს, სხვა პირობები – ჭაობებში ცხოვრება – არ ეწინააღმდგება ჩვენს დასკვნას.

კიდევ ერთი არგუმენტი, თუ რატომ არის ეს დაავადება A ჰეპატიტი და არა მალარია არის ის, რომ კოლხებს ჰქონდათ A ჰეპატიტის სამკურნალო საშუალება. ეს ფაქტი წყაროებში ირიბად არის დადასტურებული. ხალხურ მედიცინაში A ჰეპატიტის სამკურნალოდ გამოიყენება ცოცხალი ტილების ჭამა. ექიმები ამ მეთოდს ოფიციალურად არ იყენებენ, მაგრამ არც მის ეფექტურობას უარყოფენ. თუმცა ეს ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, მთავარია ის, რომ მკურნალობის ეს მეთოდი გვაქვს დადასტურებული წყაროებში. სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემაიოსი, არიანე და V საუკუნის ანონიმი იხსენიებენ ფთეიროფაგების (ტილისმჭამელების) ტომებს. ზოგი თარგმანით ეს გირჩისმჭამელები უნდა იყოს, მაგრამ ტილისმჭამელები უფრო ზუსტი ჩანს, რადგან სტრაბონი ამბობს, რომ მათ ტილისმჭამელები ეწოდათ ცხოვრების ბინძური წესი გამო (Strabo. 11.2.19). ტერიტორიულად სტრაბონი მათ ჰენიოხებისა და ზიგების მეზობლად (Strabo 11.2.1), მთებში მცხოვრებლებად („მათ ზემოთ“) იხსენიებს (Strabo 11.2.14). იგი სამჯერ იხსენიებს ამ ტომებს და სამივეჯერ ისეთ კონტექტში, რომ ისინი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სწორედ დასავლურქართული ტომების გარემოცვაში არიან. პლინიუსი ფთეიროფაგებს მდინარე ქარიენტთან ათავსებს და „სალიებს უწოდებს, რომელნიც სუანთა მეზობლად ცხოვრობენ“ (Plin. NH. 6.4.). მართალია ესენი უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობენ, მაგრამ სამაგიეროდ, ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი ფაზისელების ახლომახლო სახლობენ სწორედ. პტოლემაიოსთან მათი ადგილმდებარეობა ცოტა გაუგებარია – ის მათ იხსენიებს სარმატიაში, მაგრამ იქვე იხსენიებს მდინარე რას, რომელიც რიონის სახელწოდება რისს მოგვაგონებს. ამ შემთხვევაში სარმატია შეიძლება ფართო გაგებით იყო გამოყენებული პტოლემაიოსის მიერ. არიანე და V საუკუნის ანონიმი ფთეიროფაგების სტრაბონისეულ ლოკალიზებას ახდენენ – ბიჭვინთასა და გაგრას შორის (პიტიუნტი-ნიტიკე) (Arr. PPE. 18). ამრიგად, ფთეიროფაგები კოლხური ტომია, რომელშიც გავრცელებული იყო ჰეპატიტი. როგორც ჩანს, პირველად სტრაბონმა შეამჩნია მათი თვისება – სამკურნალოდ ტილების ჭამა, მაგრამ როგორც გეოგრაფი და არა ექიმი, არც დაინტერესებულა ამის მიზეზით და ეს

ჩვევა მათ სიბინძურეს მიაწერა. ამასთან ის ფაქტიც, რომ სწორედ მათ მოიხსენიებს სტრაბონი ბინძურებად, კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს მოსაზრებას. როგორც აღვნიშნეთ, A ჰეპატიტს „ჭუჭყიანი ხელების დაავადებასაც“ უწოდებენ. გამოდის, რომ თავისთავად სახელწოდება ფთეიროფაგები ეთნონიმი არც არის, უფრო შეიძლება მედიკონომი ეწოდოს, შერქმეული სახელი მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

თუმცა შეიძლება არსებობდეს ერთი კონტრარგუმენტიც – მალარიული ჰეპატიტის შესაძლებლობა. მალარიული ჰეპატიტი მედიცინის ისტორიაში დაფქსირებულია მხოლოდ ერთხელ, ინდოეთში, 1988-1991 წწ. (Anand... 1992:59-62). მაგრამ რადგანაც მათ ჰქონდათ მალარია B და C (Kochar... 2003:1069-1070) და არა A ჰეპატიტით, და შესაბამისად, მალარია A ჰეპატიტით პრაქტიკულად აღრიცხული არ არის ისტორიაში, ჩვენი აზრით, ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი დაავადება არ შეიძლება იყოს მალარიული ჰეპატიტი. მისი გავრცელების იშვიათი ხასიათიც ამასვე გვაფიქრებინებს.

ამრიგად, ჰიპოკრატეს მიერ აღწერილი კოლხების სიმპტომებისა და საცხოვრებელი პირობების მიხედვით და ასევე სხვა ანტიკური ავტორების ცნობებზე დაყდნობით თუ ვიმჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოლხებს აწუხებდათ არა მალარია, არამედ A ჰეპატიტი. ასევე კვლევისას კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ბერძნები ბარბაროსებს სახელს ყოველთვის მათი ეთნიკური კუთვნილების მიხედვით არ არქმევდნენ – სახელი შერქმევის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაც.

დიოსკურია – გენეზისი, ისტორია (ძვ. წ. VI-I სს.)

დიოსკურია ანტიკური ლიტერატურული ტრადიციით შედარებით უკეთ არის ცნობილი. ქალაქი დიოსკურია მოიხსენიება შემდეგ ავტორებთან: ფსევდო-სკილაქს კარიანდელი (81), სტრაბონი (I. 3, 2; II. 1, 39; II. 5, 22; II. 5, 25; XI. 2, 14; XI. 2, 16; XI. 2, 18-19; XI. 5, 6), ხარაქს პერგამონელი (fr 36; 37b), პომპონიუს მელა (I, III), ამიანე მარცელინე (Res gestae, XXII. 8, 24), ფლავიუს არიანე (PPE. 14, 16, 25), პტოლემაიოსი (V. 9, 2; VIII. 19, 3), პლინიუსი (NH. VI. 15-16), აპიანე (Mithr. 101), V ს-ის ანონიმი (PPE 47, 48, 52, 53, 54), სტეფანე ბიზანტიელი, ევლიუს ჰეროდიანე (II. 52, 29; IV. 93, 17).

რაც შეეხება არქეოლოგიურ მონაცემებს, საკუთრივ ქალაქი არ არის გათხრილი, რადგან, როგორც მიიჩნევენ, დაძირულია, თუმცა მიმდებარე ტერიტორიებიდან ცნობილია რამდენიმე მასთან დაკავშირებული ძეგლი – სოხუმის მთა, გუადიხუ, წითელი შუქურა, ბაგრატის კოშკი, სოხუმის ციხე, იაშთხვა, ახვილ-აბაა და სხვ.

დღესდღეობით უკვე მიჩნეულია, რომ ძველი დიოსკურია მდებარეობდა სოხუმის ყურეში მდინარე ბესლეთის შესართავთან (Качарава 1991:86; Воронов 1980:25). სოხუმის ციხესა და სასტუმრო „რიწასთან“. ასევე, ყოფილ ოლღას ქუჩაზე აღმოჩენილი ძეგლები ანტიკური წყაროების დიოსკურიას უკავშირდებიან როგორ ჩანს, ხოლო წითელ შუქურასთან, გუად-იხუზე და სოხუმის მთაზე გამოვლენილი ძეგლებს კი ქალაქის გარეუბნებადად მიიჩნევენ (მათიაშვილი 1977:88).

ჩვენ ყურადღებას არ გავამახვილებთ იმ საკითხებზე, რომლებიც კვლევის საგანი არაერთგზის იყო და, შესაბამისად, ან ასე თუ ისე გადაწყვეტილია, ან საბოლოო გადაწყვეტისთვის კიდევ დამატებით წყაროებს მოითხოვს, მაგალითად, ტოპონიმ დიოსკურიის წარმოშობაზე. მთავარი კითხვები, რომლებიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, შემდეგია:

- ✓ როდის დაარსდა დიოსკურია და რა პროცესებს შეიძლება უკავშირდებოდეს ეს ფაქტი – რა იყო მიზეზი კონკრეტულ პერიოდში მისი დაარსებისა?
- ✓ რა სტატუსი ჰქონდა დიოსკურიას როგორც იონიური, ასევე ატიკური კოლონიზაციის პერიოდში და ელინისტურ ხანაში?

- ✓ ეშერისა და დიოსკურიის მიმართების საკითხი: მეტროპოლია –კოლონია?
- ✓ როგორი იყო დიოსკურიის საგარეო კავშირები სხვადასხვა პერიოდში?
- ✓ რა ფუნქციით დაიწყეს ΔΙΟΣΚΟΥ დამღიანი ამფორების წარმოება და რამდენად წარმატებული იყო ეს ექსპერიმენტი?
- ✓ რამ გამოიწვია დიოსკურიის, როგორც ქალაქის დაკნინება?

დიოსკურია დაარსებულია ან ძვ. წ. VII-VI სს-ის მიჯნაზე, ან ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებში, ან ძვ. წ. VI-V საუკუნეების ბოლოს და შემდეგ განახლებულია ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებში. პრობლემატურია საკითხი, თუ რომელია უძველესი, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის მიერ მოხსენიებული, დიოსკურია – ეშერა თუ სოხუმი?! ასევე ისტორიოგრაფიაში დავის საგანია თუ რომელმა ბერძნულმა ქალაქმა დააარსა თავდაპირველად დიოსკურია/სოხუმი – მილეტმა თუ ათენმა?

დიოსკურიის დაარსებასთან დაკავშირებით ო. ლორთქიფანიძე მიიჩნევდა, რომ *„მართალია, ძვ. წ. VI ს-ის იმპორტი არის სოხუმის ტერიტორიაზე, მაგრამ მცირეა და რამდენიმე ქიოსური ამფორის ფრაგმენტი სოხუმიდან და იონიური მოხატული კერამიკა ეშერიდან ვერ დაამტკიცებს აქ ახალშენის არსებობას“* (Лордкипанидзе 1979:247; ლორთქიფანიძე 1964:192). შესაბამისად, ძვ. წ. VI საუკუნეში, მისი აზრით, ვერც „ფართომასშტაბიან“ იმპორტზე დიდად ვერ ვისაუბრებთ. მით უფრო, რომ ეშერის ნაქალაქარის იონიური მოხატული კერამიკა, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ ძვ. წ. VI საუკუნეს, მცირეა, ხოლო იმპორტული ბერძნული ნაკეთობების უმრავლესობა თარიღდება ძვ. წ. V-IV საუკუნეებით (Лордкипанидзе 1977:17). გ. კვირკველიაც მიიჩნევს, რომ რადგან სოხუმის ყურის ნეკროპოლზე ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებიდან ჩნდება ბერძნული იმპორტული ნაკეთობები, ხოლო ყველაზე ადრინდელი იმპორტი ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს – V საუკუნის დასაწყისის ქიოსური ამფორების ფრაგმენტებია, ეს საკმარისი არ არის აქ ამ დროისათვის ბერძნების მოსახლეობის სამტკიცებლად. (Квирквелия 1979:317). შესაბამისად, ო. ლორთქიფანიძე და გ. კვირკველიაც დიოსკურიის დაარსებას უფრო ძვ. წ. V საუკუნეს უკავშირებენ. თავსატეხს ქმნის ის, რომ, არიანეს ცნობით, დიოსკურია მილეტის ახალშენია: *„სებასტოპოლისი ძველად დიოსკურიადად იწოდებოდა,*

მილეტის ახალშენია“ (Arr. PPE. 10). დიოსკურია მილეტის კოლონია რომ ყოფილიყო, ის ძვ. წ. VI საუკუნეში უნდა დაარსებულიყო, რადგან მილეტი სპარსელებმა გაანადგურეს ძვ. წ. 494 წ. ამიტომ დიოსკურიის[22] დაარსება, ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრისთვის უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო (ინაძე 1962[1]:197). ამასთან, მ. ინაძის აზრით, *„ძვ. წ. VI ს.-ის პირველ ნახევარში აქ ჯერ მხოლოდ სავაჭრო ფაქტორია იყო, რომელიც შემდეგ უკვე ახალშენში გადაიზარდა. ყოველ შემთხვევაში VI საუკუნის მიწურულისათვის ეს პროცესი უკვე დასრულებულად უნდა ვივარაუდოთ“* (ინაძე 1962[1]:201). თუმცა თვითონვე აღნიშნავს, რომ ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრით ან ძვ. წ. V ს-ის დასაწყისით დათარიღებული მასალა სულ 2 ცალი ქიოსური ამფორის ძირია (ინაძე 1982:102).

თუმცა თუ დიოსკურია მილეტური ახალშენია, როგორც არიანე იხსენიებს მას, მაშინ ის ძვ. წ. VI საუკუნეში, უკიდურეს შემთხვევაში, ძვ. წ. VI-V სს.-ის მიჯნაზე უნდა დაარსებულიყო. ამ მიზეზით, ს. შამბას მიაჩნია, რომ მილეტური დიოსკურია მხოლოდ ეშერა შეიძლება იყოს (Шамба 1979:340). გ. კვირკველიაც მიიჩნევდა, რომ ძვ. წ. V ს. II ნახევრამდე სოხუმის მიდამოებში ბერძნები საერთოდ არ ყოფილან: *„ძვ. წ. VI-V ს-ის I ნახევრის ძეგლებზე არ ჩანს რაიმე ნიშანი იმისა, რომ სადღაც მახლობლად ამ დროს ბერძნული ახალშენი არსებობდა. ამ პერიოდის ბერძნული იმპორტული მასალა მეტად მცირერიცხოვანია. ბერძნული იმპორტი სოხუმის ირგვლივ მდებარე ტერიტორიებზე თავს იჩენს ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარში. განსაკუთრებით დამახასიათებელია ეს გარემოება ისეთი ძეგლებისთვის, რომლებიც ჩნდება ძვ. წ. VII ს. და უფრო ადრე და განაგრძობენ არსებობას უფრო მოგვიანო პერიოდშიც (სოხუმის მთა, წითელი შუქურა). ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ძვ. წ. V ს. II ნახევარზე ადრე აქ ბერძნული ეთნოსი არ არსებობდა. მისი დაარსება ათენს უნდა უკავშირდებოდეს“* (კვირკველია 1979:19). თუმცა, ბერძნული იმპორტის მცირე რაოდენობა არ არის საკმარისი არგუმენტი იმის სამტკიცებლად, რომ აქ კავშირი ბერძნებთან არ არის, ან სუსტია. უფრო მეტიც, ფიჭვნარის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სამარხებში 10% იმპორტის არსებობაც კი შეიძლება ამტკიცებდეს ახლომახლო ბერძნების მოსახლეობას. მით უფრო, რომ ძვ. წ. VI ს-ში გუადიხუს ბორცვზე გაჩნდა

[22] ამ შემთხვევაში სოხუმის

დამარხვის ახალი წესი – *„სრული კრემაცია მრგვალ ორმოებში და არასრული კრემაცია ოვალური ფორმის ორმოებში“* (ინაძე 1982:117). სინქრონულად კრემაციული სამარხები ჩნდება სოხუმის მთაზედაც, ხოლო სანაპირო ზოლში – „წითელი შუქურას“ სამაროვანზე გრძელდება ინჰუმაციური წესით დაკრძალვა (Трапш 1969:242). რადგან კრემაციული სამარხების გაჩენა ექსკლუზიურად ბერძნებს უკავშირდება, მისი გაჩენა სწორედ ბერძნების გამოჩენას უნდა დავუკავშიროთ. ამრიგად, ძვ. წ. VI საუკუნეში სოხუმის ტერიტორიაზე მცირე ბერძნული მოსახლეობაც, როგორც ჩანს, იყო.

ი. ვორონოვი მიიჩნევდა, რომ სოხუმის ყურესთან ბერძნული კოლონია დაარსეს მილეტელებმა არა უგვიანეს ძვ. წ. 550-530. ამის დასტურად ის ფსევდო-სკილაქსის ცნობას ასახელებდა (Воронов 1980:36) და ასევე ძვ. წ. VI სს-ის შუა ხანებით დათარიღებულ აღმოჩენებს – შავფიგურული იმპორტულ ატიკურ სკიფოსებს (მაგიდის ღრმა თასები ღვინისათვის) და როდოსულ-იონური წრის ნაკეთობებს (Воронов 1980:40). ასევე, მილეტის დაარსებულ დიოსკურიად სოხუმს მიიჩნევდა.

არსებობს მოსაზრებაც, რომ დიოსკურიის დაარსება უნდა მომხდარიყო ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულსა ან მის შემდგომ ხანებში (მიქელაძე 1960:194-195). ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ფსევდო-სკილაქსი სარგებლობდა ძვ. წ. VI საუკუნის ავტორების – ჰეკატეოს მილეტელის ან სკილაქს კარიანდელის თხზულებებით და დიოსკურიის შესახებ ინფორმაცია მას ამ ავტორებისგან აქვს მიღებული.

ამრიგად, ძვ. წ. VI საუკუნეში სოხუმში ბერძნული მოსახლეობა თუნდაც მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებობდა, ბერძნული იმპორტი მართალია, ამ პერიოდიდან მცირეა, მაგრამ ჩვენი აზრით, სავსებით საკარისია ბერძნების აქ მოსახლეობის სამტკიცებლად. იმპორტით შედარებით მდიდარი იქნებოდა საკუთრივ ქალაქი, რომელიც ჯერჯერობით უცნობია. მასთან დაკავშირებულ მცირე დასახლებებში არც არის მოსალოდნელი დიდი რაოდენობით იმპორტის არსებობა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაცია ფიჭვნარია, სადაც სანაპიროზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ მცხოვრებ ბერძნებსა და კოლხებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა სამარხებში ჩატანებული იმპორტის რაოდენობით. აქვე აღვნიშნავთ, რომ სოხუმის

ბერძნული დასახლების წარმოქმნის უფრო ზუსტი დათარიღება დღესდღეობით არსებული მონაცემებით რთულია. მილეტის ისტორიის მკვლევარი ვ. გორმანი დიოსკურიის დაარსებას ძვ. წ. 530 წ. ათარიღებს (Gorman 2004:258), თუმცა ძნელია თქმა, სოხუმის დასახლებას გულისხმობს თუ ეშერას.

გარდა ამისა, დიოსკურიის მილეტელების მიერ დაარსებას უნდა ადასტურებდეს ასევე მის მიდამოებში გრიფონის გამოსახულებიანი საბეჭდავი ბეჭდების ხშირი აღმოჩენაც (Трапш 1969:239). გრიფონი აპოლონის ერთ-ერთ ატრიბუტად ითვლებოდა (Куфтин 1949:65) და აპოლონის კულტი მილეტში იყო გავრცელებული (Robertson 1987:369). ამასთან, კოლხეთის შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიებიდან ფაზისში ნამდვილად არის დადასტურებული მისი კულტის არსებობა. ჩვენი აზრით, გიენოსის სახელწოდებაც აპოლონის კულტს უკავშირდება (იხ. ქვემოთ).

რამდენადმე ენიგმატური საკითხია სოხუმისა და ეშერას მიმართება. ეშერა წარმოქმნილია ან ძვ. წ. VI ს-ის I ნახევარში (Болтунова 1979:266), ან ძვ. წ. VI საუკუნის შუახანებიდან. დაარსდა, როგორც იონიელთა მცირე დასახლება, რომელიც მ. ინაძის აზრით, ფუნქციონირებდა როგორც მილეტელთა ახალშენის – დიოსკურიის – გვერდით წარმოქმნილი ერთ-ერთი დამხმარე სავაჭრო ფაქტორია (ინაძე 1982:106). მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი მონაცემებით ძვ. წ. VI საუკუნის I ნახევარშიც მაინც ბერძნული მოსახლეობა და იმპორტი მხოლოდ ეშერაში დასტურდება, ს. შამბა მიიჩნევდა, რომ *„ეშერის მოსახლეობა დიოსკურიის ერთ-ერთი ემპორია იყო“* (Шамба 1979:448). ამ შემთხვევაში გაუგებარია როგორ უნდა დაეარსებინა სოხუმის ახალშენს, რომლის დაარსების *terminus ante quem non* 550 წელი ჩანს, ეშერა, სადაც ბერძნები უფრო ადრე, ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნიდან ჩანან. გ. ცეცხლაძის აზრით, ეშერა არ შეიძლება იყოს ძველი დიოსკურია, რამდენადაც ის არც სანაპიროზე მდებარეობს და არც ისეთი მნიშვნელოვანი ადგილია. ასევე იმპორტის წილი აქ აღმოჩენილ კერამიკაში დაბალია, სულ რაღაც 10% (Tsetskhladze 1994:359). ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ეშერა სანაპიროდან ისეთი დაშორებით არ მდებარეობს, რომ შეუძლებელია იქ ბერძნული დასახლება ვიგულისხმოთ და, ასევე არც იმპორტის მცირე პროცენტული ხვედრი არაა გადამწყვეტი ბერძნების არარსებობის სამტკიცებლად. პირიქით, თუნდაც მცირე იმპორტი სანაპიროზე გვაძლევს

ვარაუდის საფუძველს, რომ, როგორც წესი, აღმოჩენის ადგილას ბერძნული დასახლება ვივარაუდოთ.

სოხუმსა და ეშერას შორის, არქეოლოგიური მონაცემების დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, უძველესია ეშერა, რომელიც დაარსებული უნდა იყოს ძვ. წ. VII-VI სს-ის მიჯნაზე. ამის დასტურია აქ აღმოჩენილი იმპორტული მასალა. *„ეშერის ნაქალაქარის იმპორტული ნაწარმიდან ყურადღებას იქცევს როდოსულ-იონიური კერამიკის ჯგუფი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. VII ს-ის დასასრულითა და VI ს-ის დასაწყისით. ეშერის იმპორტული ნაწარმიდან აღსანიშნავია იონიური კერამიკის ნიმუშები, რომლებიც ასევე განეკუთვნება ძვ. წ. VII ს-ის დასასრულსა და VI ს-ის დასაწყისს და ე. წ. აღმოსავლურბერძნული წამოშობის ამფორათა ნატეხების მთელი ჯგუფი, რომელიც მილეტს უნდა მიეწეროს და ძვ. წ. VI ს-ით უნდა დათარიღდეს“* (ინაძე 1982:101). ამასთან, იმპორტის სუსტად გამოხატულობის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ეს დასახლებაც იონიელებმა დააარსეს იმ პრინციპით, რომლითაც ზოგადად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მილეტი აარსებდა კოლონიებს – ბევრი და მცირე მოსახლეობით (იხ. ზემოთ). ძვ. წ. VI ს.-ის შუა ხანების ეშერის I ნახევრის მასალასთან შედარებით კიდევ უფრო სუსტად გამოხატული მასალა სოხუმის ტერიტორიიდან გვაფიქრებინებს, რომ ნაწილი კოლონისტებისა ეშერიდან გადასახლდა სოხუმის მიმართულებით, შეიძლება ტერიტორიის სუბკოლონიზების მიზნით. საერთო ჯამში, არცერთი მათგანი მნიშვნელოვანი ქალაქი არ ყოფილა ძვ. წ. VI ს-ის ბოლომდე. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ სკილაქს კარიანდელთან[23] ეს ქალაქი არ არის ელინურად მოხსენიებული. საერთო კონტექსტი ისეთია, რომ, ერთი შეხედვით, სკილაქსს არ უნდა გამორჩენოდა მისი ელინურად მოხსენიება, მაგრამ მაინც არ იხსენიებს:

„81. კოლხები. ამათ შემდეგ არის ტომი – კოლხები, ქალაქი დიოსკურისი, ელინური ქალაქი გიენოსი, მდინარე გიენოსი, მდინარე ქერობიოსი[24], მდინარე ქერსოსი[25], მდინარე არიოსი[26], მდინარე ფასისი და ელინური ქალაქი ფასისი“ (ყაუხჩიშვილი 1967:48-49). მით უფრო დამაბნეველია ეს გარემოება, რადგან გიენოსს, რომელიც

[23] ცნობა დაცულია ფსევდო-სკილაქსთან
[24] მდ. სიანისწყალი
[25] სხვა კითხვით – ხობი, დღ. ენგური ან ხოფისწყალი
[26] არიანეს ქარიენტი, ფოთის მიდამოებში

ბერძენთა სეზონური ვაჭრობის ადგილი იყო, სკილაქსი ელინურ ქალაქად იხსენიებს, მაშინ როდესაც დიოსკურიას – არა. აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: როდესაც სკილაქსი ჩამოთვლის ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებს, იხსენიებს მხოლოდ „ელინურ“ ქალაქებს. ერთადერთი, რომლის სტატუსის ცალკე მოხსენიებაც მას „ავიწყდება“, დიოსკურიაა. ამასთან, როდესაც მას სჭირდება ბარბაროსული ქალაქის აღნიშვნა, ამას საგანგებოდ აღნიშნავს: *„მდინარის აყოლებით 180 [სხვა თარგმანით 150] სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა“* (ყაუხჩიშვილი 1967:48-49). ამრიგად, სკილაქსის ზოგადი ლაიტმოტივი ელინური და არა ბარბაროსული ქალაქების ჩამოთვლაა, ამიტომაც დიოსკურიის სტატუსის მოუხსენიებლობაც კი შეიძლება მიუთითებდეს აქ ბერძნული მოსახლეობის არსებობასაც.

შემდეგი საკითხი, რაც გვაინტერესებს, არის მილეტის მიერ დიოსკურიის დაარსების კონკრეტული მიზეზი. ძვ. წ. VII-VI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ეშერა თავდაპირველად დაასახლეს ბერძნებმა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთით მილეტის დაარსების მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, ოქროს ძიება იყო. საინტერესოა, რომ სტეფანე ბიზანტიელთან დიოსკურია აიად არის მოხსენიებული: *„არის მეორე დიოსკურიაც პონტოსთან, ჰქვია აგრეთვე სევასტოპოლი, ხოლო წინათ მას აია ერქვა, როგორც ამბობს ნიკანორი“*[27] (გეორგიკა 1936:277), აია კი როგორც ცნობილია, აიეტის დედაქალაქი იყო. დიოსკურია, რა თქმა უნდა, აიეტის აია არ ყოფილა, ეს საკითხი კარგად არის გამოკვლეული ისტორიოგრაფიაში და დეტალურად მის განხილვას ჩვენ არ შევუდგებით, მაგრამ ამ იგივეობასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ: ჩვენი აზრით, ეს ცნობა გამოძახილი უნდა იყოს იმისა, რომ პირველად მილეტელები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთით დაინტერესდნენ (ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნა), იქ სწორედაც ოქროს ეძებდნენ, ისევე როგორც დანარჩენ კოლხეთში, ლიდიის მეფე ალიატესთან, რომელიც მათთვის ოქროს მთავარი იმპორტიორი იყო, ომის გამო. თუ ეს ასეა, მაშინ სტეფანე ბიზანტიელის ცნობაში მოხსენიებული დიოსკურია ეშერაა. რადგან მხოლოდ აქ არის ძვ. წ. VII ს. ბოლო - VI საუკუნის იმპორტი. ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებისთვის, განსაკუთრებით ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსთვის მილეტისთვის პრიორიტეტული

[27] ნიკანორი II ს. ავტორია

უკვე სხვა მიზეზი ხდება – გემთსაშენი ხე-ტყე (იხ. ზემოთ). ამრიგად, ძვ. წ. VI ს. ბოლოსთვის იმპორტის გაძლიერება მილეტელი ბერძნების ახალი ნაკადის მოსვლით უნდა აიხსნას, რომელთა მიზანი უკვე გემთსაშენი ხე-ტყის ძიება იყო. დიოსკურიაც მდებარეობდა ტყეებით მდიდარ რაიონებში (Лордкипанидзе 1977:86). რა თქმა უნდა, რესურსებით მდიდარი რეგიონი მიმზიდველი იყო ბერძნებისთვის. ამასთან, გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც – ბერძნების მიერ აქ კოლონიის დაარსებას წინააღმდეგობა არ შეხვედრია. როგორც ჩანს, დაარსების მიზეზი ადგილობრივების სურვილიცაა. ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსთვის ალბათ სოხუმსაც და ეშერასაც ერთიანად აღიქვამდნენ დიოსკურიად, ძვ. წ. V საუკუნეშიც პერცეფცია ერთიანია, ხოლო ელინისტურ ხანაში არა მხოლოდ პერცეფცია, არამედ ეკონომიკურადაც ეს ორი პატარა ბერძნული დასახლება გაერთიანდა. ელინისტურ ხანაში ეშერა, როგორც ჩანს, სოხუმის ახალშენის ნაწილი გახდა, ამას უნდა ადასტურებდეს დიოსკურიის ამფორების დიდი რაოდენობით აღმოჩენა როგორც სოხუმის, ასევე ეშერის ტერიტორიაზე, ამასთან, არა მარტო თავისთავად ამ ამფორების, არამედ კერამიკული ქურებისაც, სადაც მათ ამზადებდნენ (Воронов 1977:163). რამდენადაც ეშერა თავიდან დიოსკურიაზე ადრე დაარსებული ჩანს, ძვ. წ. VI ს-ში ის დიოსკურიის (სოხუმი) ხორის ნაწილი არ იქნებოდა. ეს იყო, ცალკე არსებული მცირე აპოიკია, შესაძლოა, უკვე შემცირებული მოსახლეობით და ძვ. წ. IV საუკუნეში შეუერთდა დიოსკურიას/სოხუმს. ასეთი პრაქტიკა ბერძნულ სამყაროში არსებობდა. მაგ. მიოსი (Myous) მილეტს შეუერთდა პოლიტიკურად ოლიგანდრეის (მცირე ადამიანის მოსახლეობის) გამო. ამ ტიპის შეერთებას სიმპოლიტეია ეწოდებოდა. (Mackil 2004:495-496). მიოსიც მილეტისგან ახლოს მდებარეობდა – 16 კმ-ში (Bean 1976). ოლიგანდრეის ან სხვა მიზეზების გამო, ეშერაც, როგორც ჩანს, ამ დროისთვის სოხუმს (დიოსკურიას) უერთდება. მ. ინაძე პირდაპირ არ წერს ამას, მაგრამ, ვფიქრობთ, ასევე მიიჩნევს, როდესაც განიხილავს ეშერის წარწერას: *„ეშერის წარწერა მიუთითებს, რომ ელინისტურ ხანაში დიოსკურია წარმოგვიდგება ადგილობრივ ხელისუფლებასთან დამოკიდებულ, მაგრამ მაინც თვითმმართველ პოლიტიკურ ერთეულად, უთუოდ შეზღუდული უფლებებით. ამასთან, მას აქვს საკუთარი ეკონომიკური ბაზა, სამეურნეო მიწა-ხორა, რომელზედაც ვრცელდება მისი ეკონომიკური კონტროლი და სხვ.*“ (ინაძე

1982:176). ეშერის წარწერის განხილვისას *a priori* ინაძე გულისხმობს, რომ ის დიოსკურიას/სოხუმს უკავშირდება.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ასევე დიოსკურიის პოლიტიკური სტატუსი, რომელიც მნიშვნელოვანი დებატების საგანია ისტორიოგრაფიაში, ისევე, როგორც ზოგადად კოლხეთის ბერძნული ახალშენებისა. როგორც წესი, როდესაც ამ საკითხს ეხებიან, დიოსკურიის სტატუსს ერთიანად განიხილავენ განურჩევლად ეპოქისა და დიოსკურიისა და ეშერის ერთმანეთთან მიმართებისა. ამიტომაც, ისევ პარალელურად განვიხილავთ დიოსკურიისა და ეშერის საკითხს. გვაინტერესებს, კონკრეტულად, რა სტატუსი უნდა ჰქონოდა ეშერას ძვ. წ. VI საუკუნეში, დიოსკურიას ძვ. წ. VI, ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარში – IV ს-ის დასაწყისში და რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით ელინისტურ ხანაში.

გ. მელიქიშვილის აზრით, დიოსკურია, ისევე, როგორც ზოგადად კოლხეთის სხვა ბერძნული ქალაქები, სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ და ექვემდებარებოდნენ კოლხეთის სამეფოს (მელიქიშვილი 1970:409-412). ნ. ლომოურის აზრითაც, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების ბერძნული მოსახლეობა თავიდანვე მოექცა კოლხების გავლენის ქვეშ და ისინი არა დამოუკიდებელ ბერძნულ პოლისებს წარმოადგენდნენ, არამედ ბერძნულ სამყაროსთან დამაკავშირებელ სავაჭრო ცენტრებს (ლომოური 1962:61). ასევე ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ბერძნული სამოსახლოები, მათ შორის დიოსკურიაც წარმოადგენდნენ ემპორიონებს, ადგილობრივ საქალაქო ცენტრებთან სხვადასხვა დროს დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა კოლხეთის სავაჭრო–ეკონომიური ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან (ლორთქიფანიძე 1964:196), მაშინ ბერძნებს კოლხეთში პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციის რთული ელინური ფორმები არ შემოუტანიათ (Лордкипанидзе 1977:78). ამავდროულად, ო. ლორთქიფანიძე ფაზისისა და დიოსკურიის შემთხვევას სხვადასხვაგვარად ხედავდა, ამასთან არ დაუზუსტებია, რა საკითხში (Лордкипанидзе 1981:351). ნებისმიერ შემთხვევაში, დიოსკურიას საკუთარი ეკონომიკური ბაზა, ო. ლორთქიფანიძის აზრით, არ ჰქონია. (ლორთქიფანიძე 1966:63). ასევე ი. ბრაშინსკიც მიიჩნევდა, რომ ეს კოლონიები და მათ შორის, დიოსკურია, სავაჭრო ფაქტორია იყო (Брашинский 1980:98-99). იგივე

აზრისაა ზოგადად კოლხეთის ბერძნული კოლონიების, და დიოსკურიის შესახებაც გ. კვირკველია (კვირკველია 1999:25). დღესდღეობით ამავე მოსაზრებას იზიარებს გ. გამყრელიძეც (გამყრელიძე 2010:24).

საკითხის სირთულის კარგი ილუსტრაცია მ. ინაძის მიერ დიოსკურიის შესახებ თავისი მოსაზრების ეტაპობრივი განვითარება. თავდაპირველად იგი მიიჩნევდა, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში დიოსკურია ემპორიონი უნდა ყოფილიყო და შემდგომში ის გადაიზარდა ახალშენში: „*სოხუმისა და მის მახლობლად მდებარე დიდი რაოდენობით მოპოვებული V-IV სს-ის იმპორტული კერამიკა (მათ შორის ატიკური შავლაკიანი ჭურჭელი), აშკარად მოწმობს, რომ წინარეელინისტურ ხანაში აქ არსებულ ქალაქში ბერძნულ ელემენტს გარკვეული ადგილი უნდა სჭეროდა (შესაძლოა, ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში აქ ჯერ მხოლოდ სავაჭრო ფაქტორია იყო, რომელიც შემდეგ უკვე ახალშენში გადაიზარდა. ყოველ შემთხვევაში VI საუკუნის მიწურულისათვის ეს პროცესი უკვე დასრულებულად უნდა ვივარაუდოთ*)“ (ინაძე 1962[1]:201). ამ ახალშენის ფუნქცია, მ. ინაძის აზრით, ისევ ვაჭრობა იყო, ამასთან, ვაჭრობა მთელს ამიერკავკასიასთან (ინაძე 1962[1]:201-202). ოდნავ მოგვიანებით მ. ინაძემ დიოსკურიის, ისევე, როგორც ფაზისის, სტატუსი სხვაგვარად განიხილა და მათ უწოდა „*საქალაქო ცენტრები გარკვეული ორგანიზაციით და რიგი თავისებურებებით*“ (Инадзе 1968:144). შემდგომში ეს აზრი რამდენადმე შეიცვალა და გამოაცხადა, რომ საწყის ეტაპზეც და შემდგომაც, დიოსკურია იყო მხოლოდ ემპორია: „*ათენის მიერ კოლხეთის სანაპიროზე შექმნილი დასაყრდენი პუნქტები ძირითადად წარმოადგენდნენ მსხვილ ემპორიონებს. ისინი ჩვეულებრივ არსდებოდნენ იონიელთა მიერ ადრიდანვე ათვისებულ ადგილებში, ძველი სავაჭრო ფაქტორიებისა და კოლონიების მახლობლად*“ (ინაძე 1982:170). მ. ინაძის აზრით, დიოსკურია, ისევე, როგორც ფაზისი, ერთი მხრივ, წარმოადგენდნენ სავაჭრო კოლონიას ხორის გარეშე, რომელიც კოლონისტების სამოქალაქო საზოგადოების კუთვნილება იქნებოდა, თუმცა საქალაქო მოწყობის გარკვეული ფორმის არსებობის უარყოფა, მისი აზრით, არ შეიძლება. ესენი იყვნენ ქალაქები მიწის გარეშე. რადგანაც ამ ქალაქების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა არა მიწათმოქმედება, არამედ ვაჭრობა. ასეთი იყო ფოკეელთა კოლონიები გალიასა და ესპანეთში (მასალია, ამპურია და სხვ.) (Инадзе 1979:289). ამრიგად, მას მიაჩნდა, რომ

აპოიკია ერთი მხრივ შეიძლებოდა, მხოლოდ სავაჭრო ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო, ამასთან პოლისისთვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონოდა. ეს აზრი რამდენადმე ეხმიანება დ. ბრონდის მოსაზრებასაც, რომ ზოგადად, პოლისის განსაზღვრება იმდენად რთულია, რომ ჯობია ეს ტერმინი საერთოდ არ გამოვიყენოთ.

ი. ვორონოვი, მ. ინაძის მსგავსად, მიიჩნევდა, რომ დიოსკურია/ეშერა იყო ქალაქური ტიპის დასახლება „ემპორიალური ხასიათით“, თუმცა, მ. ინაძისგან განსხვავებით, მისი აზრით, დიოსკურია უფრო დამოუკიდებელი სამურნეო ერთეულია, რომლის ეკონომიკაც არა ვაჭრობას, არამედ, სოფლის მეურნეობას და ხელოსნობას ეფუძნება (Воронов 1972:118).

მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ დიოსკურია პოლისია. მილეტურ ხანაში დიოსკურიას ალბათ ოლიგარქები მართავდნენ, ხოლო ძვ. წ. V საუკუნეში, მას მერე რაც ატიკური სტანდარტი დაინერგა აქ, შესაძლებელია მოხდა დიოსკურიის კონსტიტუციის ლიბერალიზაციაც (დუნდუა 2009:18). გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი – ერთია ახალშენის სტატუსი და მეორე ახალშენის მოსახლეების სტატუსი – ძვ. წ. VI საუკუნეში აქ მოსული მილეტელი მოახალშენეების შთამომავლები დიოსკურიის ლიბერალური კონსტიტუციის ფარგლებში დიოსკურიის მოქალაქეები იქნებოდნენ, მაშინ როდესაც ახლად მოსული კლერუხები – ათენისა. ასეთ შემთხვევაში ძვ. წ. V საუკუნეში (II ნახევრიდან) დიოსკურია რამდენადმე თავისებური ხასიათის ახალშენი გამოდის – პოლისი საკუთარი და ათენის მოქალაქეებით.

ძვ. წ. VII-VI საუკუნების მიჯნაზე მილეტის მიერ ეშერის მიდამოებში პატარა ახალშენი დაარსდა. ეშერის ბერძნებმა, შესაძლოა, სოხუმის მიმდებარე ტერიტორიის სუბკოლონიზება მოახდინეს ძვ. წ. VI საუკუნეშივე. არ არის გამორიცხული, აქაც მილეტელები პირდაპირ მილეტიდან მოსულიყვნენ და სოხუმი სუბკოლონია არ იყოს, თუმცა სიმპტომატურია, რომ ყველაზე ადრეული იმპორტი სოხუმიდან, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებით თარიღდება, თანხვდება ისეთ პერიოდს, როდესაც საკუთრივ მილეტის კოლონიზატორული აქტივობა შედარებით შესუსტებულია. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ სოხუმი არა უშუალოდ მილეტის მიერ დაარსდა, არამედ ეშერის სუბკოლონია იყო.

ძვ. წ. V საუკუნიდან ცნობილი დიოსკურიისა და ეშერის არქეოლოგიური მონაპოვარი რამდენადმე განსხვავდება გიენოსის, ფიჭვნარის და ასევე, ფაზისის მიმდებარე ტერიტორიიდან მოპოვებული მასალისგან. დიოსკურიისა და ეშერას ტერიტორიაზე აღმოჩენილია ატიკურ შეიარაღებასთან დაკავშირებული ნივთები: ძვ. წ. V-IV სს.-ის ატიკური მუზარადის ფრაგმენტები აღმოჩენილია კელასურში (ინაძე 1982:168), ეშერაშიც ძვ. წ. V ს. შავლაკიან კილიკთან ერთად (Воронов 1972:116). გუადიხუზე და წითელ შუქურაზეც ძვ. წ. V-II სს.-ის სამარხებში ხშირია იარაღის და ატიკური ნაწარმის ერთად აღმოჩენის ფაქტიც (Воронов 1980:46). ასევე, სოხუმში, წითელი შუქურის მიდამოებში, აღმოჩენილია ბრინჯაოს ფარი. ეშერაში აღმოჩენილია მახაირაც, შუბისპირები (Воронов 1972:17). ამის საფუძველზე გ. კვირკველია ასკვნიდა, რომ აქ უნდა არსებულიყო ბერძენი კლერუხების სამაროვანი (კვირკველია 1979:20). სიმპტომატურია, რომ სოხუმის მთის 9 სამარხიდან, რომელიც ო. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 1978 წელს, და რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები შეიძლება განისაზღვროს ძვ. წ. V-IV საუკუნეებით, რვა სამარხი ეკუთვნის მეომრებს (Лордкипанидзе 1978:54).

კიდევ ერთი ირიბი არგუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ პერიოდში დიოსკურიაში იმხანად კლერუხები იყვნენ, არის ატიკური იმპორტის პრევალირება. კლერუხია წმინდა ათენური ფენომენია. პირველ კლერუხიად ცნობილია სალამინი, რომელიც ათენმა მეგარას წაართვა ძვ. წ. VI ს-ში. შემდგომში ამ პრაქტიკას ათენი ხშირად იყენებდა. კლერუხების ერთ-ერთი ფუნქცია იყო ათენის ნაწარმის ექსპორტი ათენისგან შედარებით დაშორებულ ტერიტორიებზე. დიოსკურიის მიმდებარე ტერიტორიაზე ატიკური იმპორტი ყველგანაა აღმოჩენილი. ათენთან კავშირს ადასტურებს გუადიხუს ნეკროპოლის საბეჭდავი ბეჭედიც. თარიღდება ძვ. წ. V-IV საუკუნეებით და ითვლება, რომ დამზადებულია კიზიკში (Лордкипанидзе 1977:95), კიზიკი, როგორც ცნობილია, ათენთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძვ. წ. V ს.-დან. საინტერესოა, რომ მ. ინაძის აზრით, ამ საბეჭდავ ბეჭდებს გაცვლის, ფულის ფუნქცია ჰქონდათ (Инадзе 1968:181). მართალია, ატიკური იმპორტი არ არის სპეციფიკური, მხოლოდ კლერუხიებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება და მხოლოდ მისი არსებობა მის სტატუსს ვერ დაამტკიცებს, თუმცა ერთ-ერთი

აუცილებელი პირობაა და, ამდენად, სხვა დამხმარე არგუმენტებთან ერთად ისიც ამტკიცებს, რომ დიოსკურიაში ძვ. წ. V საუკუნეში კლერუხებიც იყვნენ.

მიზეზი, თუ რატომ გამოჩნდნენ კლერუხები დიოსკურიაში, არის მისთვის ნაკლებად სასურველი გარემო – აგრესიული მეზობელი ტომები. ერთი მხრივ, ძვ. წ. V ს.-ის II ნახევარში ფიჭვნარის ფორმირება მუდმივად მოძრავი ვაჭრების ქალაქად ათენის გავლენის ქვეშ თითქოს კონტრარგუმენტს ქმნის – თუკი პონტოსპირეთში პრიორიტეტულია არა კლერუხების დასახლება, მაშინ რატომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მაინცდამაინც დიოსკურიის მიდამოებში დაარსდებოდა დაასახლებდნენ ათენელები მათ?! ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ფიჭვნარი დაარსდა ფაზისის მახლობლად, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნიდან უკვე ბერძნებითაა დასახლებული. ბერძნებმა მნიშვნელოვნად აითვისეს მიმდებარე ტერიტორია, დაამყარეს ინტენსიური კონტაქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამრიგად, აქ წინააღმდეგობას საერთოდ არ ელოდნენ, განსხვავებით დიოსკურიისგან, სადაც ეთნიკური გარემოცვა სრულიად არაკეთილგანწყობილი შეიძლებოდა ყოფილიყო. ფსევდო-სკილაქსის ცნობების საფუძველზე, ჩვენ ვიგებთ, რომ ჰენიოხები კოლხების და დიოსკურიის[28] მეზობლად არიან.

75. „აქაიები. ტორეტების შემდეგ არის ტომი – აქაიები.

76. ჰენიოქები. აქაიების შემდეგ არის ტომი ჰენიოქები.

77. კორაქსები. ჰენიოქების შემდეგ არის ტომი – კორაქსები.

78. კოლები [ტომი]. კორაქსების შემდეგ არის კოლების ტომი.

81. კოლხები. ამათ შემდეგ არის ტომი – კოლხები, ქალაქი დიოსკურისი“ (ყაუხჩიშვილი 1967:48-49).

პომპონიუს მელას ცნობით, შემდგომში ჰენიოხთა საზღვრებში ექცევა თავად დიოსკურია (Pomp. Mela. 1, 19, 111). ჰენიოხები ანადგურებენ პიტიუნტსაც (Plin. NH. VI. 16). ასეთი მეზობლების ყოლა არასასურველი იქნებოდა ბერძნების აქ დამკვიდრებისთვის. ამრიგად, ეს განსხვავება ფიჭვნარსა და დიოსკურიას შორის – ათენელების არჩევანი, რომ ერთი იყოს კლერუხებით დასახლებული ტერიტორია

[28] ამ შემთხვევაში დიოსკურია სოხუმია, იხ. ზემოთ.

და მეორე არა – როგორც ჩანს, განაპირობა ამ განსხვავებამ – ველური ჰენიოხების მეზობლობამ დიოსკურიის ტერიტორიის გარშემო.

როგორც ჩანს, ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარში სოხუმის ტერიტორიაზე ათენელებმა კლერუხები გამოაგზავნეს, ალბათ პერიკლეს პონტოური ექსპედიციის შემდგომ, რამაც გააძლიერა მიმდებარე ტერიტორიის ელინური სუბსტრატი. ამასთან დაკავშირებით შემდეგი არგუმენტები არსებობს: 1) შეიარაღებასთან დაკავშირებული ნივთების აღმოჩენა ამ პერიოდის სამარხებში დიოსკურიის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2) ვაჭრობა გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით ათენთან, ასევე 3) დიოსკურიის არსებობა ბევრად უფრო არაკეთილგანწყობილ გარემოში ჰენიოხების მეზობლად, ვიდრე მაგ., ფიჭვნარისა, ან გიენოსისა.

თუმცა დიოსკურიის სტატუსის სრული ტრანსფორმაცია ძვ. წ. V საუკუნეში, დამოუკიდებელი პოლისიდან კლერუხიად, არ მიგვაჩნია, სწორი. აქ, ალბათ თანაცხოვრობდნენ ძვ. წ. VI საუკუნეში მოსული ბერძნების შთამომავლები და ძვ. წ. V საუკუნეში მოსული კლერუხები, ამასთან პირველნი დიოსკურიის მოქალაქეები იყვნენ, ხოლო მეორენი, ათენისა. კლერუხების ფუნქციებში საჭიროების შემთხვევაში ათენისთვის სამხედრო სამსახური შედიოდა. ისინი ინარჩუნებდნენ ათენის მოქალაქეობას, მაგრამ ვალდებულები იყვნენ, ეცხოვრათ კოლონიაში.

დიოსკურია ემპორია (პერიოდული ვაჭრობის ადგილი) რომ არ არის, ამაზე მიანიშნებს ისიც, რომ აქ ჩანს მოახალშენეების მიერ ტერიტორიის მუდმივი ათვისება – მათ სამარხებში იმპორტულ ნივთებთან ერთად ადგილობრივი წარმოების ნივთებიცაა მიკვლეული დაახლოებით თანაბარი რაოდენობით.

ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან დიოსკურია უკვე ჩამოყალიბებული პოლისია. პოლისის სხვადასხვა მახასიათებლებია:

- ✓ თვითმმართველობა,
- ✓ სწრაფვა საშინაო და საგარეო დამოუკიდებლობისთვის,
- ✓ აგორა,
- ✓ აკროპოლისი,
- ✓ ტაძრები,
- ✓ გიმნასიუმი,
- ✓ თეატრები,

- ✓ კედლები ქალაქის დასაცავად,
- ✓ საკუთარი მონეტები,
- ✓ საკუთარი კოლონიები,
- ✓ პოლიტიკური ცხოვრება,
- ✓ პოლიტიკური სტრუქტურები,
- ✓ კონურბანიზაცია/სვინოიკიზმი,
- ✓ საკუთარი მოქალაქეები,
- ✓ საკუთარი მეურნეობის ფორმები,
- ✓ საკუთარი ჯარი.[29]

ამ მახასიათებლებიდან დიოსკურიას რამდენიმე გააჩნია. ამასთან, ისევ აღვნიშნავთ, რომ არ არის სავალდებულო, ყველა მახასიათებული დოკუმენტურად იყოს დადასტურებული, რომ ახალშენს პოლისი ეწოდოს. ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში არის ის ნიშნები, რომლებიც ზოგადად მ. ვებერის განსაზღვრებით, ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს სჭირდება. რადგან სახელმწიფო არის „მონოპოლია ძალის გამოყენებაზე მისთვის ნიშანდობლივი არეს შიგნით“ (ვებერი 1994:12). შესაბამისად, ნებისმიერი მახასიათებლის არსებობა, რომელიც სახელმწიფოს ძალის გამოყენებაზე მონოპოლიურ ფლობაში დაეხმარება, იქნება ეს სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის არსებობა, საკუთარი კანონები, სამხედრო ძალა, რელიგიური ორგანიზაცია თუ საკუთარი ეკონომიკური ბაზა, ადასტურებს მის სუვერენულ სტატუსს. ამრიგად, ყველაზე აქტუალური პოლისის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მახასიათებლებიდან, მიგვაჩნია სწორედ ზემოხსენებული ფუნქციით არსებულნი. ამასთან, რადგან ანტიკურ სახელმწიფოზე გვაქვს საუბარი, დიოსკურიასთან მიმართებაში ჩვენ მაინც დაწვრილებით განვიხილავთ ყველა შესაძლებლობას.

დიოსკურიის მიერ საკუთარი დამღიანი ამფორების გამოშვება, საკუთარი მეურნეობის არსებობა მის დამოუკიდებელ სტატუსზე მიუთითებს. ამ ამფორების წარმოება დაიწყო ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან და III საუკუნეშიც გრძელდებოდა. მათ ადგილობრივ წარმოებას ადასტურებს, პირველ რიგში, მათი დამღები. ასევე ისიც, რომ ბევრგან არის აღმოჩენილი კერამიკული ღუმელის

[29] დაწვრილებით პოლისის ფორმირებასთან და მახასიათებლებთან დაკავშირებით იხ. M. H. Hansen. Polis: *An Introduction to the Ancient Greek City-State.* Oxford: Oxford University Press. 2006.

ნაშთები. ძვ. წ. IV-III საუკუნეების ნაშთები წითელ შუქურასთან, რომლის გარშემოც ადგილობრივი კერამიკის ფრაგმენტებია (ინაძე 1962[1]:207), გარდა ამისა, ლეჩკოპთან და გულრიფშთან (Воронов 1977:163), ეშერაში (Шамба 1972:98), ასევე, ეშერასა და ახალ ათონს შორის კიდევ ერთი კერამიკული წარმოების ცენტრია ნაპოვნი, სადაც აღმოჩნდა ΔΙΟΣΚΟΥ დამღიანი ამფორა. (Трапш 1969:227). ამასთან, სხვადასხვა ტიპის ნიშნები და დამღები მიუთითებენ დასახლების შემოგარენში რამდენიმე საწარმოო ცენტრის არსებობის შესახებ (Воронов 1980:49).

ამ ქურებთან, ამფორების გარდა, აღმოჩენილია დიდი ზომის ჭურჭელიც – პითოსები (Инадзе 1968:22), რომლებიც შესაძლებელია სატრანზიტო ფუნქციით გამოიყენებოდა.

მიჩნეულია, რომ ეს კერამიკული ღუმელები დიოსკურიადის ბერძნული საწარმოო ცენტრებია (Воронов 1980:58). თავად ეს კერამიკა თავდაპირველად მზადდებოდა სინოპელი ოსტატების დახმარებით, რადგან სინოპის ტარის ფრაგმენტებია დიდი რაოდენობით აღმოჩენილი (Инадзе 1968:22). იგი ხასიათდება, პირველ რიგში, უხეშად ნარევი, შერეული შეფერილობის ყავისფერი თიხით ქვიშის, კვარციტის და სხვა მინარევებით. ფორმით ზოგიერთი ნაკეთობა ძვ. წ. IV-III საუკუნეების სინოპურ ნაწარმს ჰგავს. ამ ჯგუფის ნაკეთობათა უმრავლესობა მიეკუთვნება ყავისფერკეციანი თიხის ამფორების ნაირსახეობას (Воронов 1972:109-110). თუმცა, ვორონოვი აღნიშნავს, რომ სინოპის სტანდარტს არ შეესაბამება ამფორის ძირზე საკმაოდ ღრმა ჭრილების არსებობა და მიიჩნევს, რომ ეს რომელიმე სხვა ცენტრის, მაგალითად ჰერაკლეის გავლენაა (Воронов 1980:59). საინტერესოა, რომ ძვ. წ. IV-III სს.-ის ეშერის წარწერაშიც ჰერაკლეა ჩანს დიოსკურიასთან კავშირში. ასევე საინტერესოა, რომ ყავისფერკეციანი ამფორების თავდაპირველი ნაწილი, რომელიც ფიჭვნარში მზადდებოდა, ჰერაკლეურ გავლენას განიცდის. გ. ცეცხლაძემ სცადა ამ კერამიკის კლასიფიკაცია, გამოყო მათი ადრეული, A ტიპი და მათი დამზადება სინოპელებს მიაწერა: *„A ქვეჯგუფის ამფორები დაამზადეს სინოპელმა ხელოსნებმა, რომლებიც კოლხეთში მუშაობდნენ კოლხური თიხით და იყენებდნენ სინოპურ ტექნიკას“* (Tsetskhladze 1992:383).

რა მიზნით შეიძლებოდა ეწარმოებინა დიოსკურიას საკუთარი სატრანზიტო ტარა? როგორც ჩანს, საკუთარი წარმოებული პროდუქციის გასაზიდად. ეს

პროდუქცია შეიძლებოდა ყოფილიყო ღვინო. აღსანიშნავია, რომ ხვნა-თესვის პარალელურად ამ პერიოდში ქალაქის მთების შემოგარენში ვითარდება მევენახეობა, რომელსაც აქამდე დიდი როლი არ ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის სასოფლო-სამოურნეო ყოფაში (Воронов 1980:64). მევენახეობის განვითარების დასტურია სოხუმის ციხესთან ძვ. წ. IV-III სს-ის ფენებში ნაპოვნი ყურძნის წიპწები, რომლებიც განეკუთვნება ქართული ყურძნის უძველეს ჯიშს – კაჭიჭს (ინაძე 1963:126). ეს პროდუქცია, რომელიც, სავარაუდოდ, ეგეოსური ცენტრებიდან შემოსულ პროდუქციასთან შედარებით იაფი ღირდა, რამდენადმე უწევდა კონკურენციას მათ ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ჩვენი აზრით, ამ ტარის წარმოება მხოლოდ ამ მიზნით არ ხდებოდა. საინტერესოა, რომ როცა ს. მონახოვი ანგარიშობს მასშტაბებსა და შეფარდებას ქერსონესში ამფორების წარმოებასა და ღვინის წარმოებას შორის, ისაკლისებს წარმოებული ამფორების რაოდენობას. მისი აზრით, რადგან შესაბამისი რაოდენობის ამფორები არ იწარმოებოდა, დანარჩენი ნამატი პროდუქცია ალბათ ტიკებით გაჰქონდათო (Монахов 1985:300). ჩვენი აზრით, დიოსკურიაში წარმოებული სატრანზიტო ტარა, შესაძლოა, ამ ფუნქციითაც გადიოდა აქედან, მაგ., ქერსონესში წარმოებული პროდუქციის გადასაზიდად. მსგავსი პრაქტიკა – ტარას წარმოება მხოლოდ ექსპორტის ფუნქციით უცხო არ არის ბერძნული სამყაროსთვის. ამ ხერხს მიმართავდნენ ქიოსელებიც – ტარას აწარმოებდნენ ხშირად მხოლოდ თავისთავად მისი ექსპორტის მიზნით (შავლაყაძე 2012:15).

გარდა ღვინის ექსპორტისა, შესაძლებელია კაკლის ექსპორტი ან ხილისა, რადგან აღმოჩენილია ატმის და კაკლის ნაჭუჭები (Воронов 1980:47). ასევე აქედან გაჰქონდათ, როგორც ჩანს, თაფლი (Воронов 1980:67). დიოსკურიის ამფორები, როგორც ჩანს, ამ პროდუქტების ექსპორტის ფუნქციით იწარმოება, თუმცა სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია მათი ექსპორტი მხოლოდ ტარის ფუნქციით ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ამ შემთხვევაში ერთი შეხედვით საეჭვო ჩანს, ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქს რატომ უნდა გამოეყენებინა სხვა ქალაქის ამფორა საკუთარი პროდუქციის გასაზიდად.

ძვ. წ. III საუკუნეში ამ დიოსკურიის კერამიკულ ქურებში სამშენებლო კრამიტიც იწარმოება. გვანდრადან მომდინარე დიოსკურიადის კრამიტი თარიღდება

სწორედ ძვ. წ. III ს-ით (Воронов 1977:169). ეს კიდევ ერთი დადასტურებაა საკუთარი ეკონომიკური ბაზის არსებობისა.

საკუთარი ამფორების წარმოება დიოსკურიის მიერ, მიუთითებს დიოსკურიის თვითმმართველობაზე, საკუთარ ეკონომიკურ ბაზაზე და, ალბათ, პოლიტიკური სტრუქტურების არსებობაზეც.

კიდევ ერთი მახასიათებელი ახალშენის პოლისური ხასიათისა არის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. სწორედ ამას უნდა ასახავდეს ეშერის წარწერაში მოხსენიებული ფაქტები. დიოსკურია იბრძვის სხვა ქალაქის თუ ადგილობრივების წინააღმდეგ, ფაქტი – ერთია, ცდილობს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა გაატაროს. ილუსტრაციისთვის მოვიყვანთ ეშერის წარწერას, რომელიც 1975 წ. აღმოჩნდა ეშერის გათხრების დროს. შესრულებულია ბრინჯაოს ფილაზე. პალეოგრაფიულად მას თ. ყაუხჩიშვილი ძვ. წ. IV-III სს.-ით ათარიღებს:

ქალაქის აღდგენა (ან აპოლონ ნომიოსის) დიდი საზღვაო ჯარით. მას შეუძლია... რომელმაც აიღო... ში ყველასაგან სამეფოსათვის (ან მეფობისას, ან სამეფო მოხელე)

...ში თუ მოვიდოდნენ

ეტლი (?) მწყობრში – ან ტაქსიარხოსს... წინუძღოდეს (?) კრავი (?)

გამოსვლა...

ნავსადგური...

გავიგ ზავნო (?)

უბედურება

პირდაპირი, სწორი

განსახლება, ქვეყნის გაუდაბურება (ვნ. – დასახლება) უცხოებს (?)

მამაცი, შეუპოვარი

ზღვისპირა დაბლობი (?)

ფასი, შენაძენი

ოლიმპიელი (?)

ჰერაკლეის კარიბჭე. კოშკი

შესვლა სამეფოს, ან მეფობისას

ან სამეფო მოხელე (ყაუხჩიშვილი 2004:74-75).

წარწერიდან ჩანს, რომ ქალაქი იბრძვის ვიღაცის (სხვა ქალაქის ან ადგილობრივების ?) წინააღმდეგ და, როგორც ჩანს, მისი მოკავშირე ჰერაკლეელები არიან. ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ ის ცდილობს საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც დაამტკიცებს დიოსკურიის პოლისურ ხასიათს, არის ჯარის ყოლა. ძვ. წ. IV საუკუნის სამარხებში იარაღების აღმოჩენა ასევე ადასტურებს, რომ დიოსკურიას საკუთარი შეიარაღებული კონტიგენტი ჰყავდა. გუადიხუს უმცროსი ჯგუფის სამაროვნებზეც არის აღმოჩენილი იარაღები (Трапш 1969:249). ესეც პოლისის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებაა. ეშერის ძვ. წ. IV-III საუკუნეების წარწერიდანაც თითქოს ჩანს, რომ მას საკუთარი ჯარი ჰყავს.

პოლისებს ხშირ შემთხვევაში საკუთარი ფლოტიც ჰყავდა. კოლხეთში ფლოტის ყოლის საჭიროება ამ დროისათვის განისაზღვრებოდა ძირითადად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან ურთიერთობის საჭიროებით. გემების არსებობა აქ დადასტურებულია ეშერის ძვ. წ. IV-III სს.-ის წარწერით. ამას ადასტურებს ისიც, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში „*კოლხეთში დამზადებული ამფორები ექსკლუზიურად ექსპორტირდებოდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე*“ (Tsetskhladze 1992:384). დანამდვილებით კი ის ვიცით, რომ დიოსკურია ამზადებდა ამ ტარას, მისი ექსპორტი საკუთარი ინიციატივით მოითხოვდა გემების ყოლას.

ძვ. წ. IV საუკუნეში დიოსკურიის პოლისურ სტატუსს ამტკიცებს, ასევე, მის მიერ მიმდებარე ტერიტორიების აბსორბცია – სვინოიკიზმი. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „*ანტიკურ ხანაშივე სოხუმის მთის ტერიტორია დიოსკურიის საქალაქო კვარტალების ნაწილი გახდა, დასახლებული იყო ადგილობრივი მოსახლეობით, რომლებიც ქალაქის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ*“ (Инадзе 1968:21), ასევე, „*მოსახლეობის შემცირება სანაპირო რაიონებში დიოსკურიასთან ბერძნების ძალადობით არაა გამოწვეული, უბრალოდ ვაჭრობის გაცხოველებით*“ (ინაძე 1962[1]:205). რაც შეეხება ადგილობრივებისა და ბერძნების დამოკიდებულებას: „*წინაელინისტურ ხანაში ეს დამოკიდებულება ძირითადად გამოიხატებოდა მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობაში ქალაქსა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიას შორის, შემდეგში ეს ტერიტორია ელინისტურ ხანაში თანდათაობით ქალაქისადმი დაქვემდებარებულ სასოფლო*

მიწებად გადაიქცა და, შესაბამისად, დიოსკურიის ტერიტორია, ელინისტურ ხანაში მიმდებარე სასოფლო მიწების ხარჯზე საკმაოდ უნდა გაზრდილიყო. ამან, როგორც ჩანს, ასახვა პოვა ევსტათეს კომენტარებში,[30] *რომელიც დიონისეს დაურთო, სადაც მოხსენიებულია დიოსკურიის ხორა*" (ინაძე 1962[1]:208-109). ეს ცნობა უკვე ქალაქის თავდაპირველი ბირთვის გარშემო მიმდებარე ტერიტორიის ქალაქთან შერწყმას – სვინოიკიზირებას ასახავს. გარდა ამისა, ეშერაც დიოსკურიის ნაწილია მესამე საუკუნიდან მაინც არის (Braund 1994:143). ჩვენი აზრით, ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან, როცა დიოსკურიის ამფორების წარმოება იწყება, უკვე შერწყმულია პატარა ეშერა დიოსკურიასთან. ეს მხარე ერთიანი სამეურნეო სივრცეა. ამრიგად, დიოსკურიის (სოხუმის) მიერ მიმდებარე ტერიტორიის კონურბანიზაცია/სვინოიკიზმიც მის პოლისურ ხასიათზე მიუთითებს.

დიოსკურიას საკუთარი თავდაცვითი სისტემა გააჩნდა, როგორც ჩანს. იმავე ეშერის წარწერაში მოხსენიებული კოშკი, რომელიც როგორც ჩანს, თავდაცვითი ხასიათის ნაგებობა იყო. თუნდაც ეს კოშკები კოლხეთის ნესტიანი კლიმატიდან გამომდინარე, ქვის ნაგები არც ყოფილიყო, ეს მაინც ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივმა ბერძნებმა იგი ააგეს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და ეს არანაირად არ ამცირებს მისი თავდაცვით ხასიათის შესახებ ვარაუდს. ეს კი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დიოსკურია პოლისისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი ჰქონდა – საკუთარი თავდაცვითი სისტემა. თავისთავად წარწერაშიც საუბარია სწორედ უცხოელთაგან თავდაცვაზე და საამისოდ ქალაქს მოკავშირეებიც კი ჰყავს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქის მმართველი გუნდი მის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა.

ერთი შეხედვით, დიოსკურიის პოლისური სტატუსის სამტკიცებლად კონტრარგუმენტია ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის ქალაქს საკუთარი ფული არ გააჩნდა. ძვ. წ. IV საუკუნის მონეტებიდან აქ აღმოჩენილია რამდენიმე უცხოური მონეტა: სინოპური დრაქმა, ამისოსის დრაქმა, აგუძერაში ნაპოვნია ფილიპე III-ის მონეტაც. სინოპური დრაქმა ძვ. წ. IV ს-ის I ნახევრისაა, ამისოსისა – ძვ. წ. II ნახევრის (დუნდუა... 2006:44-45). გაცვლის საშუალებასთან დაკავშირებით არსებობს ერთი საინტერესო მოსაზრებაც: დიოსკურიის ნეკროპოლში მონეტების არქონამ და,

[30] ხარაქს პერგამონელის (II-III სს.) ცნობაა

ამასთან, დიდი რაოდენობით საბეჭდავი ბეჭდების აღმოჩენამ მ. ინაძე მიიყვანა დასკვნამდე, რომ მათ გაცვლის ფუნქცია ჰქონდათ (Инадзе 1968:181). ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, მიუხედავად იმისა, რომ ფაზისსა და დიოსკურიას შორის ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებაა და დიოსკურია ძვ. წ. II საუკუნემდე არ ჩანს, რომ საკუთარ მონეტებს უშვებდეს, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ის არ არის დამოუკიდებელი პოლისი. გვიანელინისტურ ხანაში დიოსკურია მონეტებს უშვებდა, თუმცა მათი ფუნქცია რამდენადმე დამაფიქრებელია.

შემდეგი საკითხი, რაც გვაინტერესებს, არის დიოსკურიის საგარეო ეკონომიკური კავშირები სხვადასხვა პერიოდში.

იონიური კოლონიზაცია დიოსკურიაში შედარებით სუსტად გამოიხატა. შესაბამისად, არქეოლოგიური მასალა, რომელიც მის ეკონომიკურ კავშირურთიერთობებსაც დაადასტურებდა, შედარებით მწირია, სოხუმის მიდამოებში იონიური კერამიკის სულ რამდენიმე ფრაგმენტია აღმოჩენილი, რომელიც შეიძლება ძვ. წ. VI საუკუნეს მივაკუთვნოთ, ისიც შეიძლება VI საუკუნის ბოლოს (კალანდაძე 1953:26). ეს არის შავლაკიანი კერამიკა, და შესაბამისად, იონიურ ცენტრებზე მეტად ისევ და ისევ ატიკასთან ურთიერთობას ადასტურებს. განსხვავებით სოხუმისგან, ეშერაში იონიური იმპორტი შედარებით მდიდარია: აქ აღმოჩენილია შავფიგურული ჭურჭლის ფრაგმენტი მჯდომარე სფინქსის გამოსახულებით, რომლისგანაც ფრთა და ტანის ნაწილი შემოინახა. ასეთი სცენები გვხვდება ატიკური წარმოების შავფიგურულ ჭურჭლებზე, რომლებიც აღმოჩენილია ჰერაკლიონში, ოლბიასა და ისტრიაში ძვ. წ. VI საუკუნის ფენებში (Шамба 1979:27), ამავდროულად დასტურდება ათენთან კავშირიც. ეშერაშიც იჭრება ატიკური იმპორტი. აქ აღმოჩენილია ჭურჭლის თავსახური, რომელსაც აკუთვნებენ ატიკის არა უგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის ნაკეთობებს (Шамба 1979:28).

ძვ. წ. V საუკუნეში ეკონომიკური კავშირების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: სამხედრო ამუნიციასთან დაკავშირებული ნივთების აღმოჩენა არ მიუთითებს ინტესიურ საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს რომელიმე ცენტრთან. მაგ., აქ აღმოჩენილია კორინთული ბრინჯაოს მუზარადი (Воронов 1980:40), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კორინთოსთან პირდაპირი

სავაჭრო კავშირი აქვს ამ დროისათვის ქალაქს. ძვ. წ. V ს-ში დიოსკურიაში შემოჭრილი ატიკური იმპორტი – შავფიგურიანი, შავლაკიანი ჭურჭელი და სხვ. – ამტკიცებს ათენთან კავშირს. კორინთული მუზარადიც ათენის გავლით შემოდის აქ. ეშერაშიც იგივე მდგომარეობაა. ძვ. წ. V ს-ის დასასრულსა და ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში ატიკური იმპორტის ქვეყნის სიღრმეში შეჭრა უკვე ნიშნავს ადგილობრივ მოსახლეობასთანაც ინტენსიურ ურთიერთობებს.

ძვ. წ. IV საუკუნიდან დიიოსკურიას კავშირი აქვს სინოპთან. ამ კავშირის შედეგად დიოსკურიაში ალბათ მარილიც შემოდიოდა. თვითონ სინოპემ ძვ. წ. IV საუკუნეში ოლბიიდან დაიწყო მარილის იმპორტირება. (Robinson 1906:144). დიოსკურიის მიდამოებში კი მარილის დეფიციტი იყო (Strabo 11.5.6). ოლბიური მარილი ალბათ დიოსკურიაში სინოპის გავლით მოხვდებოდა. ამ დროისათვის ნაოსნობა უკვე კაბოტაჟურ ხასიათს აღარ ატარებს და ოლბიიდან პირდაპირ გადაჭრიდნენ შავ ზღვას და ჩაიტანდნენ სინოპში. ეს გზა ალბათ უფრო იოლია, ვიდრე ოლბიიდან დიოსკურიისკენ წამოსვლა, რადგან შავი ზღვის დინებების მიმართულებას ეწინააღმდეგება ოლბიიდან დიოსკურიაში კაბოტაჟური გზით ჩასვლა. შემდეგ უკვე სინოპიდან დიოსკურიაში წამოსვლა შედარებით იოლია, რადგან დინებების მიმართულება შავ ზღვაში სწორედ საათის ისრის საწინააღმდეგოა. გარდა ამისა, მრავალრიცხოვანი სინოპური კერამიკისგან განსხვავებით ოლბიური კერამიკული ნაწარმის პრაქტიკულად არაარსებობა ძვ. წ. IV ს. I ნახევრის ფენებშიც გვაფიქრებინებს, რომ მასთან პირდაპირი კავშირი არ უნდა ყოფილიყო. ამასთან, ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევარში ჯერ არც დიოსკურიის ამფორები იწარმოებოდა, რომ მათ კვალს გავყვეთ კავშირ-ურთიერთობების დადგენაში. მოგვიანებით, ძვ. წ. III-II საუკუნეებში თითქოს ჩანს ოლბიასთან ურთიერთობაც. სოხუმის მთაზე აღმოჩენილია კანთაროსები, რომელთაც ძირი ძვ. წ. III-II სს.-ის ოლბიურ ნაწარმს მიუგავთ (კალანდაძე 1953:31). ოლბიიდან ან ბოსფორის გავლით უნდა იყოს ჩვენთან მოხვედრილი სამხრეთ რუსეთის „სკვითურ“ ყორღანებში აღმოჩენილების მსგავსი სატევარი, რომელიც სოხუმის მთაზე, №4 სამარხში გაითხარა (კალანდაძე 1953:32). ეს უკვე, როგორც ჩანს, საკუთრივ დიოსკურიის ექსპორტს უკავშირდება.

ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარში, ზოგადად კოლხეთში და კონკრეტულად დიოსკურია/ეშერაშიც კიდევ უფრო გაძლიერდა კონტაქტები სინოპესთან. მიჩნეულია, რომ მან იკისრა შუამავლის როლი კოლხეთთან ვაჭრობაში (დუნდუა... 2006:47; Воронов 1980:66). დიოსკურიაში შემოდის ძვირფასი ღვინით მოვაჭრე ქიოსის და თაზოსის პროდუქციაც ძვ. წ. IV საუკუნეში. ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევარში ქიოსი ათენს ექვემდებარებოდა, ე. წ. მეორე ათენურ იმპერიაში შედიოდა, შესაბამისად, უფრო მოსალოდნელია, რომ ათენის და შემდეგ სინოპის გავლით მოდიოდა მისი პროდუქცია შავიზღვისპირეთში. ქიოსი ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებიდან მაკედონელთა აღზევებამდე დამოუკიდებელი ქალაქი იყო. ამრიგად, პირდაპირ კავშირი მასთან ამ მოკლე პერიოდში ხე-ტყის ექსპორტის მიზნით არ არის გამორიცხული. თაზოსის პროდუქციაც ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს – IV საუკუნის დასაწყისში ათენის გავლით მოდის. შემდეგში კი შუამავლად სინოპე გამოდის.

შედარებით მცირე რაოდენობისაა დიოსკურიაში აღმოჩენილი როდოსული პროდუქცია. სოხუმის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულია როდოსული ამფორის რამდენიმე ფრაგმენტი (ყურები, ძირები), რომლებიც ქ. სოხუმში სასტუმრო „რიწას" მშენებლობის დროსაა აღმოჩენილი. სოხუმის მუზეუმში დაცულია აგრეთვე ახალი ათონის მახლობლად ს. ანუხვას ტერიტორიაზეა ნაპოვნი კოსის ამფორის ორლულიანი ყური. „კოსის იმპორტი კიდევ უფრო სუსტია. კოსის იმპორტი პონტოში როდოსის საშუამავლო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული (ლორთქიფანიძე 1964:202). ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ პროდუქცია, რომლის შემოსვლასაც რამდენიმე შუამავალი სჭირდება, მაგალითად, კოსის შემთხვევაში პროდუქცია შემოვიდოდა ჯერ როდოსის, შემდეგ სინოპის გავლით, ძვირდება და მნიშვნელოვნად გაძვირებულ პროდუქციას ამ დროისათვის ვერც შეიძენდნენ კოლხეთში ადგილობრივები. ძვ. წ. II საუკუნეში ჩანს კავშირი პერგამონთანაც. დიოსკურიაში აღმოჩენილია პერგამული ნაწარმიც – თასები. თუმცა არც ეს კავშირი არ იქნებოდა პირდაპირი, სავარაუდოდ, პროდუქცია აქედანაც სინოპის გავლით მოდიოდა.

ძვ. წ. III-I საუკუნის სინოპური კერამიკული პროდუქცია ეშერადან, ისევე როგორც წითელი შუქურადან და სოხუმის მთიდან, ახლოს დგას ვანის,

დაბლაგომის ელინისტური ხანის პროდუქციასთან (Воронов 1972:116). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვანი ამ დროისათვის *„რედისტრიბუციის ცენტრია“* (Licheli 1994:105), რასაც tabula peutingeriana-ც ადასტურებს, სადაც დატანილია დიოსკურიიდან არტაშატამდე გზა ვანის გავლით (Licheli 1994:105), როგორც ჩანს, სინოპური ნაწარმი ჰინტერლანდში არამარტო მოკლე გზის, სინოპე-ფაზისი-ვანი, არამედ შედარებით გრძელი სინოპე-დიოსკურია-ვანის გავლითაც შედიოდა.

ის ფაქტი, რომ ძვ. წ. II ს-ში საგარეო კავშირები ისეთი ძლიერი არ არის, კრიზისის შედეგია. სტრაბონის ცნობა, რომ დიოსკურია დიდი სავაჭრო ქალაქია (Strabo XI, 2, 16) ძვ. წ. III საუკუნისა უნდა იყოს (ინაძე 1982:42). სტრაბონის წყაროების (არტემიდორე ?) თანადროული კონიუნქტურა სრულიად სხვაგვარია, იმ დროისათვის ამ ქალაქს უკვე ჰენიოხები უტევენ. ძვ. წ. II საუკუნის ბოლოსთვის ისევ მოხდა საგარეო კავშირების გაძლიერება, თუმცა ამჯერად მითრიდატე იმორჩილებს ამ მხარეებს. მითრიდატეს შემდგომ საქალაქო ცხოვრება საბოლოოდ კნინდება აქაც. ამ პროცესების მიზეზები და შედეგები დეტალურად განხილულია ქვემოთ.

ძვ. წ. II საუკუნეში დიოსკურია კნინდება. სიმპტომატურია, რომ სწორედ ამ დროს სოხუმის მთისა და მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობა ქრება. ასევე, გუადიხუს ნეკროპოლი წყვეტს არსებობას (Инадзе 1968:227). თუმცა მითრიდატეს ხანაში გამოცოცხლება შეინიშნება. ამ დროს იჭრება დიოსკურიადებიც – დიოსკურიის საქალაქო მონეტები. უცნაურია ერთი ფაქტი, დიოსკურიის საქალაქო მონეტები ძირითადად კოლხეთში არაა აღმოჩენილი (ერთ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით), ისინი აღმოჩენილია მირმეკიაში, ტირიტაკში, პატრეაში, ხერსონესში და ანკარასთან ახლოსაც კი. ერთი შეხედვით, დიოსკურიადას მხოლოდ მითრიდატეს ზარაფხანის ფუნქცია ჰქონდა. თუმცა მისი წარწერები გვაფიქრებინებს, რომ მითრიდატესთვის ფულის მოჭრის ფუნქცია. მ. ინაძის, აზრით, დიოსკურიადების ფუნქცია, სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგებაა სამხრეთ და ჩრდილო შავიზღვისპირეთთან (Инадзе 1968:233). სტრაბონის დროს დიოსკურიასთან თავშესაყრელია სხვადასხვა ტომებისათვის (Strabo XI, 2, 16), იგი მიმდებარე რეგიონისთვის ჯერ კიდევ ასრულებდა სავაჭრო ცენტრის ფუნქციას. ის ფაქტიც, რომ დიოსკურია სტრაბონთან ჯერ კიდევ სავაჭრო ქალაქია, თუნდაც კოლხთა

ქალაქი, განსხვავებით ფაზისისგან, რომელიც სტრაბონის დროს არ ჩანს, რომ მნიშვნელოვანი ქალაქი იყოს, მიუთითებს, რომ სანამ მითრიდატე „მოუსწრებდა“ ამ მხარეს, დიოსკურია სავაჭრო ცენტრის სტატუსს მაინც ინარჩუნებდა.

ძვ. წ. I საუკუნეში დიოსკურიაში საქალაქო ცხოვრება ჩაკვდა. როგორც ჩანს, მითრიდატეს შემდეგ, ხელახლა დაწყებული კრიზისის ფონზე ქალაქს შეუტიეს ადგილობრივებმა. ამას ადასტურებს ეშერის ძვ. წ. I საუკუნის წარწერაც: „სამხედრო ძალა... შეძლება...სამეფო ხელისუფლება...; აღება-დაუფლება..., ქალაქი...; საბრძოლოს წყობა...; წარმართვა..., პირდაპირი ; მამაცი....“ (Каухчишвили 1985:218; გამყრელიძე 2006:15). ძვ. წ. III საუკუნეში აყვავებული სავაჭრო ქალაქი პლინიუსის დროისთვის უკვე გაუკაცრიელებულია (Plin. N.H. VI. 15). მისი განადგურების მიზეზად ზოგჯერ მიიჩნევენ ჩრდილოკავკასიელ მთიელებსაც, რომლებიც ამ დროს ჩამოსახლდნენ (თოდუა 2004:43). თუმცა, ჩვენი აზრით, მთიელთა ჩამოსახლება დიოსკურიის გაუკაცრიელების უფრო შედეგია, ვიდრე მიზეზი.

ძველი წელთაღრიცხვის დასასრულიდან მოყოლებული არა მხოლოდ აქ, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში კრიზისია, სანამ არ დასრულდა მთიელთა ჩამოსახლება. ამ პროცესების მიზეზებსა და საბოლოო შედეგებს ჩვენ ნაშრომის ბოლო თავში განვიხილავთ დეტალურად.

გიენოსი – სეზონური ემპორიონი

გიენოსის დაარსების მიზეზები და განვითარების ისტორია განსხვავდება, ერთი მხრივ, ფაზისის და დიოსკურიისგან, მეორე მხრივ რამდენადმე ფიჭვნარისგანაც, თუ რატომ, დეტალურად ამას ქვემოთ განვიხილავთ.

გიენოსის განვითარების ისტორიაშიც შეინიშნება რამდენიმე ეტაპი. სხვა ბერძნულ ქალაქებთან შედარებით, ეს ეტაპები შედარებით სუსტადაა გამოხატული. თუკი ფიჭვნარში შესაძლებელია გამოიყოს იონიური ეტაპი და ძალიან ძლიერი ატიკური პერიოდი, გიენოსში იონიურიც სუსტია და არც ატიკური პერიოდის ფენა გამოირჩევა სიუხვით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ბერძნულ ქალაქებთან შედარებით.

ძირითადი კითხვები, რომლებიც არსებობს გიენოსთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, შემდეგია:

1) როდის მოვიდნენ ბერძნები გიენოსში პირველად?

2) იყო თუ არა მილეტი გიენოსის დამფუძნებელი – რა არგუმენტები არსებობს ამის სასარგებლოდ, ასევე რა შეიძლება იყოს მისი დაარსების მიზეზი ძვ. წ. VI-V სს-ის მიჯნაზე?

3) რა სტატუსი ჰქონდა გიენოსს იონიური კოლონიზაციის პერიოდში და რა შეიცვალა ატიკურ პერიოდში – იყო თუ არა ის პოლისი, კლერუხია თუ ემპორია?

4) რა ფუნქციას ასრულებდა გიენოსი ბერძნებისთვის?

თავდაპირველად მიიჩნევდნენ, რომ გიენოსი ატიკური კოლონიზაციის პერიოდში დაარსდა და ძვ. წ. VI საუკუნეში აქ ბერძნული დასახლება არ ყოფილა (ლორთქიფანიძე 1964:192). დ. კაჭარავა მიიჩნევდა, რომ ბერძნები აქ ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებზე ადრე არ მოსულან. ამის არგუმენტად კი მას მიაჩნდა, რომ მანამდე აღმოჩენილი იმპორტული კერამიკა, ძირითადად, ძვ. წ. V საუკუნეზე ადრინდელი პერიოდით არ თარიღდებოდა (Качарава 1979:308). ამასთან, იმავე წელს ვანის სიმპოზიუმის მასალებში გამოქვეყნებულ სტატიაში ა. ბოლტუნოვამ გიენოსის დაარსება ძვ. წ. VI-V საუკუნეების მიჯნით დაათარიღა (Болтунова 1979:264). შემდგომში გიენოსში დადასტურდა უფრო ადრინდელი ფენებიც. 1981 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოხერხდა დიდი რაოდენობით

ადრეული (ძვ. წ. VI საუკუნის მეორე მეოთხედის – VI საუკუნის ბოლო მეოთხედის) იმპორტული ნაწარმის (იონიური კერამიკის, ქიოსური ამფორების) მიკვლევა (ინაძე 1982:99-100).[31]

ჩვენი აზრით, გიენოსი დაარსდა ძვ. წ. VI ს. II ნახევარში, ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ძვ. წ. 540 წლამდე, მანამ, სანამ მილეტი ხელში ჩაუვარდებოდა სპარსელებს[32] (Greaves 2002:95). ძვ. წ. 540-513 წწ. მილეტს მართავდნენ სპარსელების მიერ დანიშნული ტირანები და მილეტის საკოლონიზაციო მოძრაობა შედარებით შესუსტებული იყო. გარდა ამისა, თუკი გიენოსის ფუნქცია გემთმშენებლობისთვის საჭირო ხე-ტყით უზრუნველყოფა იყო, ამ ფუნქციით ახალშენის დაარსება მხოლოდ ძვ. წ. 540 წლამდეა შესაძლებელი. სპარსელებს ამ დროისათვის ბერძნებთან ომი აღარ აქვთ და ფლოტის გაძლიერება სპარსელების მიერ დანიშნული ტირანის სურვილი ნაკლებად იქნებოდა, და, შესაბამისად, ამ ფუნქციით შორეულ კოლხეთში ახალშენის დაარსება აქტუალური აღარ იქნებოდა. ამრიგად, გიენოსი დაარსებული უნდა იყოს ძვ. წ. 540 წლამდე, როდესაც ფლოტის მშენებლობის ინტერესი შეიძლებოდა არსებულიყო. არსებობს ალბათობა იმისა, დროის მცირე მონაკვეთშიც – ძვ. წ. 513 წლიდან ძვ. წ. 494 წლამდე (მილეტის დანგრევამდე) იყოს დაარსებული. რადგანაც 1981 წლის მონაპოვარში ძვ. წ. VI საუკუნის II მეოთხედის მასალები იყო და საუკუნის მიწურულისა. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ძვ. წ. 540 წლამდე დაარსდა გიენოსი, შემდეგ მცირე ხნით შესუსტდა მისი აქტივობა და ძვ. წ. 513-494 წწ. როგორ ჩანს, ისევ გაძლიერდა.

გიენოსის დამფუძნებელი ქალაქი ნარატიულ წყაროებში დადასტურებული არ არის. თუკი ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობები ფაზისის და დიოსკურიის შესახებ, როგორც მილეტის მიერ დაარსებული ქალაქებისა, გიენოსთან დაკავშირებით ასეთი ცნობა ჩვენამდე მოღწეული არ არის. გიენოსს პირველად იხსენიებს ფსევდო-სკილაქს კარიანდელი (ყაუხჩიშვილი 1967:48). მიუხედავად იმისა, რომ ფსევდო-სკილაქსი ძვ. წ. IV საუკუნის წყაროა, მასთან დაცული ცნობები ორი საუკუნით ადრინდელია. ის სარგებლობდა ან ჰეკატეოს მილეტელის, ან საკუთრივ

[31] მ. ინაძის შენიშვნით, ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი მოხსენება წაიკითხა ს. შამბამ 1981 წ. არქეოლოგიური სამუშაოთა შედეგებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.
[32] გიენოსის მიერ მილეტის დაარსების ალბათობაზე იხ. ქვემოთ.

სკილაქსის თხზულებით, ან, მ. ინაძის ვარაუდით, ფსევდო-სკილაქსი სკილაქსის შრომას ჰეკატეოსის ნაშრომის მეშვეობით იცნობდა (Инадзе 1968:50). ნებისმიერ შემთხვევაში გიენოსის დაფუძნების შესახებ ცნობა ძვ. წ. VI საუკუნისაა. საერთო ტენდენციას თუ გავითვალისწინებთ, ძვ. წ. VI საუკუნეში დაარსებული ქალაქი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მილეტის კოლონია უნდა იყოს. კიდევ ერთი არგუმენტია ამ ქალაქის სახელწოდების წარმოშობაც. გიენოსი უნდა იყოს პომპონიუს მელას კიკნოსი (Pomp. Mela. de chron. 1, 110) და პლინიუსის კიგნუმიც (Plin. NH. VI, 13, 14). სტეფანე ბიზანტიელის ჰიდრონიმი კიანეოსიც (გეორგიკა 1936:274) მას უკავშირდება. ასევე, სტეფანე ბიზანტიელთან მოხსენიებულ ორ პარალელურ ფორმას, Πυήνις-ს და Τυήνις-ს მიიჩნევენ ერთსა და იმავე ტოპონიმად – გიენოსად (Каухчишвили 1979:295). პომპონიუს მელას კიკნოსი და პლინიუსის კიგნუმი ერთი და იმავე ქალაქად მიაჩნია მერი ინაძესაც, თუმცა არ იზიარებს გიენოსთან მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას და მიიჩნევს, რომ ის მდ. ხობისწყლის შესართავთან მდებარეობდა (ინაძე 2010:76). ჩვენი აზრით, ესენი ერთი და იგივე ქალაქებია და გიენოსს უკავშირდებიან, არანაირი საფუძველი არ არსებობს პომპონიუს მელასა და პლინიუსის ცნობებიდან გამომდინარე მაინცდამაინც ახალი ქალაქი ვეძებოთ და სხვაგან მოვახდინოთ მისი ლოკალიზება. ორივე ავტორისთვის ეს ქალაქი ჩანს, დიოსკურიასა და ფაზისს შორის. ამდენად, ფონეტიკური მსგავსებით უნდა ვიმჯელოთ მხოლოდ და კიკნოსი და კიგნუმი გიენოსს უნდა დავუკავშიროთ. რაც შეეხება თავად ტოპონიმს, კიკნოსი ბერძნულად ნიშნავს გედს. ბერძნულ მითოლოგიაში გედი მიიჩნეოდა აპოლონის ატრიბუტად (Куфтин 1949:65). პავსანია იხსენიებს მეფე კიკნოსს, რომელიც აპოლონმა გედად გადააქცია (Paus. 1. 30. 3). სერვიუსის მიხედვით, კიკნოსი იყო მუსიკოსი, მისი გედად ტრანსფორმაციაც აპოლონს უკავშირდება (Serv. on Aen. 10, 189). სერვიუსის ცნობით, აპოლონმა ის თანავარსკვლავედად აქცია. კიგნუსის (Cygnus) თანავარსკვლავედი ცნობილი იყო ჯერ კიდევ პტოლემაიოსისთვის (Peters… 1915) ცნობილია, რომ აპოლონის კულტი მილეტში იყო გავრცელებული და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოლონიაში მეტროპოლიის კულტები იყო გავრცელებული, გიენოს/კიკნოს/კიგნუმის თავდაპირველ დაარსებას ჩვენ, ამის საფუძველზე და ზოგადი კონიუნქტურის გათვალისწინებით მილეტს ვუკავშირებთ. პტოლემაიოსის

მდინარე კიანეოსი ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიიჩნია გიენოსის ტრანსკრიპციად, ხოლო თავისთავად მდინარე თანამედროვე მოქვად ან ღალიძგად (Куфтин 1949:107). ამდენად, მდინარის სახელწოდებიდან გამომდინარე ფონეტიკურად შესაძლებელი პარალელური ფორმებიც დადასტურებულია.

რაც შეეხება გიენოსის, როგორც ახალშენის სტატუსს, ჩვენი აზრით, მისი სტატუსი და ფუნქცია არსებობის მანძილზე არც შეცვლილა. ბ. კუფტინის აზრით, გიენოსი იყო, სავარაუდოდ, ბერძნული ფაქტორია (საკმაოდ მდიდარი სავაჭრო კლასით) (Куфтин 1950:269). ბოლტუნოვას აზრით, ის იყო მხოლოდ ნავსაყუდელი ბერძენი მეზღვაურებისთვის, რომლებიც ფაზისიდან დიოსკურიამდე მიდიოდნენ. (Болтунова 1979:264). ო. ლორთქიფანიძის აზრით, *„გიენოსი, რომელიც ოჩამჩირის მახლობლად აღმოჩენილი ანტიკური ხანის ნამოსახლართანაა გაიგივებული, ყველაზე ნაკლებ წააგავს „ელინურ ქალაქს, რომელსაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მილეტელი არქიტექტორის, ჰიპოდამის, მიერ შემუშავებული რეგულარული, ქალაქის დაგეგმარების პრინციპი ჰქონდა საფუძვლად. ძეგლზე მომუშავე არქეოლოგების ანგარიშებიდან ჩანს, რომ გიენოსის მოსახლეობა ხის სახლებსა და მიწურებში ცხოვრობდა თხრილით გარშემოვლებულ პატარა ბორცვებზე (სულ 3 ასეთი ბორცვია). ამასთან კრამიტიც კი, აგრე აუცილებელი ელემენტი განვითარებული საქალაქო ცხოვრებისა, დანამდვილებით არ ჩანს ანტიკური ხანის ნამოსახლარზე“* (ლორთქიფანიძე 1964:196). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ბერძნულ ს ამოსახლოსთან როდია დადასტურებული რეგულარულად დაგეგმარებული ქალაქები და ქვის შენობები. ამასთან, სკილაქსის მიერ გიენოსის ელინურ ქალაქად მოხსენიება მაშინ, როდესაც დიოსკურია არ არის მოხსენიებული ელინურად, ბოლტუნოვას და ლორთქიფანიძის მოსაზრებას სათუოს ხდის. საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა გ. კვირკველიამ. მისი აზრით, ბერძნები აქ იმიტომ კი არ მოდიან, რომ დასახლდნენ, არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ ივაჭრონ, ხოლო ვაჭრობა სეზონური იყო: ზაფხულში ცოცხლდებოდა ბაზარი, ზამთარში ცარიელდებოდა (Квирквелия 1981:346). ეს მოსაზრება მართებულია ძვ. წ. VI-V საუკუნეების გიენოსისთვისთვის. ამ პერიოდის ქალაქის ფუნქცია, ჩვენი აზრით, იყო მთებიდან ზაფხულის განმავლობაში ჩამოზიდული ხე-ტყის გატანა. გიენოსთანვე უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ნენსკრა-ენგურის არტერიაც (იხ.

ზემოთ), საიდანაც შესაძლებელი იყო ხე-ტყის დაცურება და ენგურის შესართავთან შეგროვება. ასევე სხვა მდინარეებიდან მომავალ მასალას, როგორც ჩანს, აქ უყრიდნენ თავს. გიენოსის მდებარეობას ტყეებით მდიდარ რაიონებში მისი დაარსების ერთერთ მიზეზად ო. ლორთქიფანიძეც მიიჩნევს (Лордкипанидзе 1977:86). ამ ადგილას ქალაქის დაარსების კონკრეტული მიზეზი იყო, ალბათ, ისიც, რომ კოლონიზაციის დროისთვის აქ არ იყო ადგილობრივი მოსახლეობა, კოლონიზაციის პერიოდში ბერძნული მოსახლეობა აქ გაჩნდა მხოლოდ მას მერე, რაც ადგილობრივი მოსახლეობა წავიდა. ეს იყო ტერიტორია, სადაც წინააღმდეგობა ადგილობრივი მოსახლეობისგან არ იყო მოსალოდნელი და კოლხეთივით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე მიტოვებული, სანაპიროზე მდებარე ადგილი ნედლეულით მდიდარ რეგიონში ბერძნებისთვის ზუსტადაც სასურველი იქნებოდა. ამ ფუნქციას გიენოსის დასახლება, როგორც ჩანს, ასრულებდა ძვ. წ. IV საუკუნეშიც. ძვ. წ. VI-IV საუკუნეების იმპორტული ნაწარმი სწორედ ამის დასტურია. აქ არის აღმოჩენილი „*ძვ. წ. V ს. ქიოსური ყელგამობერილი ამფორის, ატიკური შავლაკიანი კერამიკის (სკიფოსების, კილიკების) ფრაგმენტები. შავლაკიანი კერამიკა ძვ. წ. V-IV სს. უნდა მიეკუთვნოს, ხოლო დატვირთული ორნამენტით შემკული კილიკის ორი ფრაგმენტი ძვ. წ. V ს. მესამე მეოთხედით თარიღდება*“ (კაჭარავა 1971:753). გვხვდება ასევე ძვ. წ. V ს. ქიოსური ყელგამობერილი ამფორების, ასევე ძვ.წ. IV საუკუნის ბადისებურორნამენტიანი ლეკითოსის, ძვ.წ. IV-III სს. თაზოსური კათხისებურძირიანი ამფორის ფრაგმენტები (კაჭარავა 1971:754). ზოგჯერ გამოყოფენ ძვ. წ. VI საუკუნის ქიოსურ კერამიკასაც. ასევე ვორონოვის ცნობით, ი. დ. მარჩენკომ მასალების შესწავლისას მასალების იქ ძვ. წ. VI ს. ორი კორინთული ლუთერია გამოარჩია (Воронов 1976:45). ძვ. წ. VI საუკუნეში ქიოსთან ურთიერთობა ლოგიკურია, გამომდინარე იქიდან, რომ თვითონ მილეტს და ქიოსს ჰქონდათ ინტენსიური ურთიერთობა (Greaves 2002:29). ძვ. წ. V საუკუნეში ატიკური იმპიორტის პრევალირებით თუ ვიმსჯელებთ (Качарава 1979:308), გიენოსიც და აქედან მომდინარე ნედლეულიც ხელში ჩაიგდო ათენმა.

გიენოსში ბერძნების სეზონურ მოსახლეობას მოწმობს ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებების წმინდა კოლხური ხასიათი. „*ხელოვნურ ბორცვებზე*

გამართული დასახლებები ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ კოლხეთში. დასახლების ეს ტიპი სპეციალური კოლხური მოვლენაა. იგი არ გვხვდება ანტიკური სამყაროს არა მარტო ცენტრალურ, არამედ პერიფერიულ რაიონებშიც კი, სადაც უკვე ძვ. წ. V ს-დან დასახლების გამართვას საფუძვლად რეგულარული დაგეგმარების პრინციპი დაედო“ (კაჭარავა 1971:754). ეს კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ წელიწადის გარკვეულ პერიოდში ბერძნები მოდიოდნენ, ვაჭრობდნენ ადგილობრივებთან, შესაძლებელია ნაწილობრივ ბარტერის გზითაც. ნენსკა-ენგურის არტერია მოფენილია მონეტებით და იმპორტული ნაწარმით, სვანეთში ალექსანდრეს სტატერები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი, მათ შორის განძის სახითაც. ამასთან, ისინი აღმოჩენილია სვანეთიდან ენგურის შესართავამდე შუა გზაზეც, რიყესთან, სადაც მეჯოლეების ერთერთი რეიდი (იხ. ზემოთ) უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, რომ ლარილარის კერამიკა ჰგავს პალურის ძვ. წ. VI-V საუკუნეების კერამიკას (ჩართოლანი 2010:7). ასევე ამ არტერიაზე აღმოჩენილია ატიკური შავლაკიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, სინოპური წარმოშობის ამფორათა ფრაგმენტები, თაზოსური წარმოშობის ამფორის ყური (წითლანაძე 1973:71). ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ შესაძლოა, ეს მასალა ენგურის შესართავიდან გიენოსამდე ალბათ უფრო ადგილობრივებს გადაჰქონდათ. ბერძნები დაბანაკებული როგორც ჩანს, მხოლოდ გიენოსში არიან, რადგან ლოკოკინები და მიდიები, რომლებიც ბერძნების ტრადიციულ საკვებად ითვლებოდა, დიდი რაოდენობით აღმოჩენილია გიენოსში (Куфтин 1950:272). რაც მიუთითებს ბერძნულ მოსახლეობაზე, მაგრამ ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი ამ გზაზე არსად, მათ შორის, არც ენგურის შესართავთან. ასევე თიხის ურნაში მიცვალებულის ფერფლის ჩატანებაა მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ გიენოსშია დადასტურებული დაფიქსირებული, რაც მ. ინაძის შენიშვნით, ადგილობრივ მოსახლეობის ცხოვრებისა და დამარხვის წესებისათვის არ იყო დამახასიათებელი (ინაძე 1982:157). ამრიგად, როგორც ჩანს, ხე-ტყის ბარში ჩამოტანის საქმეს, მთლიანად ადგილობრივები ხელმძღვანელობდნენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბ. კუფტინი მიიჩნევდა, რომ მთიელებს გარდა ხე-ტყისა, აქ ჩამოჰქონდათ ცვილი და ფისი. (Куфтин 1950:288).

ძვ. წ. III საუკუნიდან ადგილობრივი წარმოების პროდუქცია კიდევ უფრო ძლიერდება. მიიჩნევენ, რომ ამის მიზეზია ადგილობრივი ელემენტის გაძლიერება ქალაქში და შედეგად ადგილობრივმა წარმოებამ, ძირითადად, კერამიკულმა, თანდათანობით განდევნა იმპორტული (Инадзе 1968:19). რომ დავაზუსტოთ, ამის მიზეზია ბერძნებთან კონტაქტების შედარებით შესუსტება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ ბერძნები საერთოდ არ მოდიან ამ დროისათვის. სავარაუდოდ, ესენი უკვე სინოპელი ბერძნები არიან. ამის დასტურია აქ აღმოჩენილი სინოპური ნაწარმი. ძვ. წ. III-II სს. ჰერაკლეას ნაწარმიც არის აღმოჩენილი მცირე რაოდენობით. გარდა სამხრეთ შავიზღვისპირეთისა, როდოსისა და ქიოსის ძვ. წ. III-II სს. დათარიღებული ამფორებიცაა აღმოჩენილი (მათიაშვილი 1977:85). ასევე აღმოჩენილია ძვ. წ. III-II სს-ის კოსური ამფორა (Воронов 1976:47). თუმცა ესენი, ალბათ, სინოპელების გავლით შემოდიოდა.

ელინისტურ ხანაში გიენოსის გაფართოების შემდეგაც მიჩნეულია, რომ დასახლების დასავლეთ ნაწილში ბერძნები ინდივიდუალობას ინარჩუნებენ და ეს ნაწილი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი უნდა ყოფილიყო საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიით (Воронов 1976:47). ბოერის აზრით, გიენოსს, ისევე როგორც ფაზისს, „*სინოპე იყენებდა იმ ამფორების საწარმოებლად, რომლითაც მერე გადაჰქონდა პროდუქტები ჩრდილო შავიზღვისპირეთში*“ (ბოერი 2005:13). მაგრამ ამ შემთხვევაში დაფიქსირებული უნდა იყოს ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ნაწილი სინოპური მიბაძვით შექმნილი, როგორც ეს ფიჭვნარშია. იქ ჯერ ჰერაკლეური, შემდეგ სინოპური ფორმების მიბაძვით იქმნებოდა კერამიკა, ხოლო აქ „*არაა დაფიქსირებული კერამიკის არცერთი ფრაგმენტი, რომელიც ანტიკური ფორმების იმიტაცია იქნებოდა*“ (Качарава 1979:307). ამდენად, გიენოსის ფუნქცია ელინისტურ ხანაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ტარის წარმოება.

გვიანელინისტურ ხანაში, ზოგადად, ქალაქების დაკნინების პერიოდში, შეინიშნება გიენოსის დაცემაც. არ არის მიკვლეული ძვ. წ. I საუკუნის ფენა ოჩამჩირის ნამოსახლარზე. „*ეს მოვლენა აღნიშნულ ხანაში საქალაქო ცხოვრების დაქვეითებით უნდა აიხსნას, თუ გათხრების მცირე მასშტაბით, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, არსებული მასალის მიხედვით ძვ. წ. II-I სს. მიჯნაზე*

კატასტროფა თუ არა, გარკვეული კრიზისი მაინც სავარაუდოა“ (მათიაშვილი 1977:85). ამასთან, არც ხანძრის კვალი არ ჩანს. ამგვარად, ძვ. წ. II საუკუნის კრიზისის შემდეგ ძვ. წ. II-I სს-ის მიჯნის გამოცოცხლება, რომელიც მითრიდატეს მიერ კოლხეთიდან ნედლეულის გაზიდვას უკავშირდება, გიენოსს არ შეხებია და მისი ხელახალი აღორძინება არ მომხდარა.

ამრიგად, გიენოსი მთელი თავისი არსებობის მანძილზე იყო სავაჭრო ფაქტორია ბერძნებისთვის, თუკი ძვ. წ. VI საუკუნეში აქ იონიელები იყვნენ, ძვ. წ. V საუკუნეში ათენელები ვაჭრობენ, ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისშიც ათენელები არიან, თუმცა შემდეგში თანდათანობით სავაჭრო პარტნიორებად სინოპელი ბერძნები გამოდიან. შემდეგში ეს კონტაქტებიც სუსტდება და ძვ. წ. II საუკუნეში ქალაქი წყვეტს არსებობას. ამასთან, ეს ემპორია სეზონური იყო და დაკავშირებული იყო ხე-ტყის ექსპორტთან. მითრიდატეს ხანაში ის არ განახლებულა. ბერძნული მოსახლეობა თავისთავად მისი ფუნქციიდან გამომდინარე, ყოველთვის შედარებით სუსტი იყო და მათი ასიმილაცია ადგილობრივებთან, როგორც ჩანს, საკმაოდ სწრაფად განხორციელდა. შესაძლოა, ეს პროცესი უკვე მითრიდატეს წინარე ხანაში უკვე დასრულებული იყო და ამან განაპირობა კიდეც პონტოს მმართველის მიერ ამ დასახლების იგნორირება.

ფიჭვნარი – გენეზისი, ისტორია (ძვ. წ. VI - II საუკუნეები)

ფიჭვნარის ისტორიის საკვლევად ჩვენს განკარგულებაში, პრაქტიკულად, მხოლოდ არქეოლოგიური წყაროებია. ნარატიულ წყაროებში ეს ახალშენი საერთოდ არ არის მოხსენიებული. მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ *„პომპონიუს მელას კიკნოსი და პლინიუს უფროსის კიგნუსი, შესაძლოა, ფიჭვნარია“* (კახიძე 2004:16), მაგრამ ორივე ტოპონიმი და ჰიდრონიმი დამაჯერებლადაა გაიგივებული გიენოსთან. ამ საკითხს ჩვენ შესაბამის ადგილას განვიხილავთ. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ Tabula Peutingeriana-ს Portus Altus ფიჭვნარი უნდა იყოს (ლომოური 1962:82), მაგრამ ეს ქალაქიც საკმაოდ არგუმენტირებულად არის დასაბუთებული, რომ ბათუმია, (ყაუხჩიშვილი 1987[1]:114) შესაბამისად, როგორც ჩანს, ფიჭვნარი ჯერჯერობით ისევ რჩება ნარატიულ წყაროებში საერთოდ დაუფიქსირებელ ბერძნულ ახალშენად.

ფიჭვნარის წარმოშობას თავისი ზოგადი და კონკრეტული მიზეზები ჰქონდა. ამასთან, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ კოლონიის დაარსება *„უფრო პროცესი იყო, ვიდრე ერთჯერადი აქტი“* (Braund 1994:86), და აქაც კოლონისტთა რამდენიმე, მეტნაკლებადი ძლიერი, ნაკადის გამოყოფაა შესაძლებელი, ყოველ ჯერზე მათი მოსვლის კონკრეტული მიზეზები იკვეთება.

ფიჭვნარის პირველი დასახლების გაჩენა იონიურ კოლონიზაციას უკავშირდება. ამის დასტურია ფიჭვნარში აღმოჩენილი იონიური იმპორტი. *„ფიჭვნარში იონიური იმპორტი ძვ. წ. VI ს. II ნახევრით თარიღდება და V საუკუნეშიც გრძელდება. ფიჭვნარის ქვიშაზვინულებთან ახლოს აღმოჩნდა ძვ. წ. VI ს. I ნახევრის ჰორიზონტალური ზოლებით მოხატული ქიოსური ამფორების ნატეხები. ძვ. წ. V საუკუნისთვის ამ ცენტრის ნაწარმი ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს ფიჭვნარის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში. საერთოდ, აშკარაა, რომ გვიანარქაულ ხანაში ფიჭვნარში, უპირატესად, იონიურ ცენტრებში დამზადებული პროდუქციაა გავრცელებული“* (ინაძე 1982:98). ფიჭვნარის იონიური პერიოდის კერამიკიდან ცნობილია *„ე.წ. ძაბრისებრძირიანი კილიკოსის ფრაგმენტები, ოინოხოიის ტანის, ძირისა თუ ყელ-პირის ზოლებიანი ნატეხები“* (კახიძე 1965:77; კახიძე 1971:50), სავარაუდოდ, როგორც მთელ აღმოსავლეთ

შავიზღვისპირეთში, ესეც მილეტელების დაარსებული ახალშენი უნდა იყოს. საინტერესოა, რომ მილეტის გარშემო ფიჭვის ტყეებია და მისგან გამომდინარე ახლომდებარე პატარა ქალაქსაც თურქულად ეწოდება Çamiçi ანუ „ფიჭვებში“ (Greaves 2002:13). პლინიუსის მიხედვით, მილეტის კარიული სახელია Pityusa (Plin. NH. 5.112), რომელიც დაერქვა ფიჭვებით მდიდარი ტერიტორიის გამო. მცირეაზიული ტოპონიმები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ხშირად დასტურდება, მაგ. სიდე/სიდა, კამანი/კომაგენე. მილეტელებს ტოპონიმი შეიძლებოდა გადმოეტანათ კოლხეთშიც, მათ მიერ დაარსებულ ახალშენში, მით უფრო, თუ ტოპონიმის შექმნის საფუძველი დაემთხვეოდა ერთმანეთს. შესაძლებელია, სწორედ ამგვარად გადმოტანილი იყოს ტოპონიმი ფიჭვნარიც, როგორც ჩანს, რომელმაც შემდგომ ქართული ფორმა მიიღო. ერთი შეხედვით, ფიჭვნარის სახელწოდების ქართულად შემორჩენა ტოპონიმის ამ პრინციპით გადმოტანას გამორიცხავს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მილეტის კარიული სახელიც – Pityusa, ჩვენამდე თარგმანით – თურქული ვერსიით შემორჩა. ძვ. წ. VI საუკუნის II ნახევარში თუ ტოპონიმის ასეთი „მიგრაცია“ მოხდა, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ფიჭვნარი და არა ბიჭვინთა, რადგან ამ დროისთვის ბიჭვინთა ჯერ კიდევ არაა დაარსებული. მეორე მხრივ, ასეთი კავშირი, ძვ. წ. VI საუკუნის II ნახევრის ფიჭვნარის დაარსებას მილეტთან აკავშირებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნარატიულ წყაროებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოხსენიებულ Pityusa-ს, ყველა შემთხვევებში, ჩვენ ბიჭვინტასთან ვაკავშირებთ. ანტიკური პერიოდის არცერთი ავტორის (Strabo XI, 2, 14; Plin. NH. VI, 16; Arr. PPE 27; Ptol., V, 6, 6) მიერ მოხსენიებული Pityusa ფიჭვნარი არ არის. მით უფრო, რომ ძვ. წ. II საუკუნიდან, როცა იწყება ტოპონიმ პიტიუნტის მოხსენიება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ფიჭვნარი სწორედ ამ პერიოდში წყვეტს არსებობას.

იონიური ხანის ფიჭვნარის მასშტაბები, როგორც ჩანს, საკმაოდ მცირეა. ზოგადად, იონიური კოლონიზაციის სისუსტეს აღნიშნავს ა. კახიძეც: *„ჩვენ მიერ გამოყოფილ იქნა, ბერძნული კოლონიზაციის ადრეული, ე. წ. იონიური ეტაპი, რომელიც შეზღუდული მასშტაბების მომცველი ჩანს კოლხეთის სინამდვილეში“* (კახიძე... 2007:203) ამასთან, ფიჭვნარის იონიური პერიოდის დასახლება კოლხეთის იონიური ხანის სხვა ახალშენებთან შედარებითაც მცირეა. როგორც ჩანს, ამ მხრივ

სიმპტომატურია, რომ ბერძნული წყაროებისთვის მილეტური პერიოდის სხვა ახალშენებისაგან განსხვავებით, ფიჭვნარი სრულიად უცნობია. სავარაუდოა, რომ ახალშენის დაარსება ძვ. წ. VI საუკუნეში უშუალოდ ნედლეულის მიღების სურვილით იყო განპირობებული. საინტერესოა, რომ სწორედ ამ მოვლენის წინ, ძვ. წ. VII საუკუნეში, არსებობას წყვეტს ფიჭვნარის ქვიშაზვინულების დასახლებაც (კახიძე... 2004:3), ზოგადად, *„დიუნური სადგომები“ გაქრა, შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნული ახალშენების გაჩენამდე, ძვ. წ. VII-VI საუკუნის დასაწყისში“* (მახარაძე... 2007:18) და შემდგომ პერიოდშიც აღარ შეინიშნება. მათი გაქრობა, როგორც ჩანს, სწორედ ბერძნების მოსვლით გამოწვეულ ცვლილებებს უკავშირდება. როგორადაც უნდა გადაწყდეს დიუნური სადგომების ფუნქციური დანიშნულების საკითხი – რის საწარმოებლად გამოიყენებოდა ისინი – ფაქტი ერთია – იონიელი ბერძნების მოსვლამ სხვა დანიშნულება შესძინა ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობას. ისინიც, როგორც ჩანს, ბერძნების მიერ შემოთავაზებულ პირობებს დათანხმდნენ და მოერგნენ მათ მოთხოვნებს. ფიჭვნარის შემთხვევაშიც, საფიქრებელია, ასე მოხდა და გვიანარქაულ ხანაში, იონიური კოლონიზაციის ბოლო ეტაპზე, აქ გაჩენილმა ახალშენმა ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო პროფილი შეცვალა. ძნელია დაზუსტებით საუბარი, რით დაუკავშირდა ბერძნების და კოლხების ინტერესები ერთმანეთს ამ ხანაში. ქიოსური ამფორების ფრაგმენტების აღმოჩენის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ ვარაუდი იმისა, რომ ღვინის წარმოებით განთქმული ამ ცენტრის პროდუქცია შემოდიოდა აქ, მაგრამ რა გადიოდა სანაცვლოდ, უცნობია.

შემდეგი ეტაპი ქალაქის ისტორიაში უკვე ძვ. წ. V საუკუნეში იწყება და უკავშირდება ათენის საიმპერიო პოლიტიკას. კონკრეტულად, ფიჭვნარის სამოსახლო შეიძლებოდა დაარსებულიყო ან ძვ. წ. V საუკუნის II მეოთხედში ან V საუკუნის შუა ხანებში (ინაძე 1982:160; ლორთქიფანიძე 2002:204; დუნდუა... 2006:47).

ატიკური პერიოდის ფიჭვნარის სამოსახლოს დაარსების ზოგადი მიზეზია ათენის გაძლიერება. ძვ. წ. 494 წლის შემდეგ მილეტი აღარ აარსებს კოლონიებს და აქტიურდება ათენი. *„ძვ. წ. V საუკუნის 70-იანი წლებიდან (ძვ. წ. 476-5), ათენელთა მიერ ქალაქ ბიზანტიონის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ, იწყება ათენელთა განუყოფელი ბატონობა შავი ზღვის სრუტეებზე და მათი უპირატესი როლი მთელ შავიზღვისპირეთთან ვაჭრობაში“* (ლორთქიფანიძე 2002:203).

ამდროისათვის მიიჩნეოდა, რომ „*ელინთა ჰეგემონი ათენი უნდა ყოფილიყო*“ (დუნდუა 2009:14). თ. დუნდუას აზრით, ეს იყო შეცდომა: „*მართლაც, საერთოდ რა უნდა გამოსულიყო, საუკეთესო ქალაქს სამრეწველო კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი კოლონისტებად რომ გაემწესებინა?!*“ (დუნდუა 2009:14). ამავდროულად, „*ეს შეცდომა ათენმა კარგად გამოიყენა – ხელთ იგდო ბაზრები და მოკავშირეებს გადასახადი დაადო* (დუნდუა 2009:15). *შავიზღვისპირეთში გააქტიურებისას ათენის ძირითადი მიზანიც სწორედ ეს იყო. „ათენს შავიზღვისპირეთი თავისთვის უნდოდა*“ (დუნდუა 2009:15). თუ რატომ, ეს ჩანს, პერიკლეს პონტოური ექსპედიციის წინა პერიოდში მიმდინარე მოვლენებიდან.

რადგან ფიჭვნარის ატიკური სამოსახლოს გაჩენა სწორედ პერიკლეს უნდა უკავშირდებოდეს, საჭიროდ მიგვაჩნია მის ქრონოლოგიასა და პერიპეტიებზე ყურადღების გამახვილებაც. პლუტარქეს ცნობის თანახმად, „*შევიდა თუ არა ბრწყინვალედ აღჭურვილი ფლოტით პონტოში, პერიკლემ ელინურ ქალაქებს აუსრულა ყველაფერი, რასაც კი მოითხოვდნენ და საერთოდ, კაცთმოყვარეობით მოექცა მათ. გარშემო მოსახლე ბარბაროსულ ტომებს, მათ მეფეებსა და მთავრებს კი აჩვენა დიდი ძლიერება, უშიშროება და მამაცობა, რის წყალობითაც ათენელებს ძალუძდათ ეცურათ, სადაც მოისურვებდნენ და მთელი ზღვა საკუთარ ნებაში მოექციათ. სინოპელებს პერიკლემ ტირან ტიმესილეოსის წინააღმდეგ საბრძოლველად ცამეტი ხომალდი და ჯარისკაცები დაუტოვა ლამაქეს მეთაურობით. ხსენებული ტირანისა და მის თანამოსაგრეთა განდევნის შემდეგ პერიკლემ, კენჭისყრის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება სინოპში საკუთარი სურვილით გამგზავრებულიყო ექვსასი ათენელი, მათ სინოპელებთან ერთად უნდა ეცხოვრათ და გაენაწილებინათ სახლები და მიწა, რაც უწინ ტირანებს ეკავათ*“ (Plut. Per. 20.). ამ ექსპედიციის დათარიღების ფართო დიაპაზონი არსებობს: ძვ. წ. 455 წლიდან 435-34 წლებამდე (Брашинский 1958:113) მისი მოწყობის ერთ-ერთი მიზეზი ეგვიპტის კამპანიის ჩავარდნა უნდა ყოფილიყო. ძვ. წ. 460/459 წ. ეგვიპტე აჯანყდა სპარსელების წინააღმდეგ. ამბოხის მეთაური იყო ლიბიის მეფე ინაროსი. მან დაიკავა მარეა (მოგვიანებით ამ ქალაქის ახლოს ალექსანდრია დაარსდა). ინაროსი იძულებული გახდა, დახმარება ათენისთვის ეთხოვა. მართლაც, ძვ. წ. 456 წელს ათენელებმა ეგვიპტეში ექსპედიცია გააგზავნეს ქარიტიმიდესის

ხელმძღვანელობით. სპარსელებმა თავიანთ ჯარს მეგაბიქსუსი უსარდლეს, რომელმაც გაანადგურა ათენელები. ექსპედიცია გაგრძელდა 6 წელი და ათენისთვის კატასტროფით დამთავრდა. ქალაქმა და მისმა მოკავშირეებმა დაკარგეს 250 ხომალდი და 50 000 კაცი (Cambridge… 1964:84) სავარაუდოდ, ფლოტის განადგურების გამო, პერიკლე დაინტერესდა გემთსაშენი ხე-ტყით მდიდარი პონტოთი. მუხას და ფიჭვს გემების ასაშენებლად იყენებდნენ (Robinson 1906:141), აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, ზოგადად, ათენის შავიზღვისპირეთით დაინტერესება.

ათენელების საკოლონიზაციო მოძრაობის პერიკლეს ხანაში გაძლიერების კიდევ ერთი ზოგადი მიზეზი, როგორც ჩანს, არის პერიკლეს რეფორმაც მოქალაქეთა სტატუსის შესახებ. ძვ. წ. 451 წლიდან ათენის მოქალაქედ ითვლებოდა პირი, რომელსაც ორივე მშობელი ათენელი ჰყავდა. მოსახლეობის ნაწილი, ამ რეფორმით, კარგავდა მოქალაქეობას, შესაბამისად, მათ ნაწილს სურვილი გაუჩნდებოდა კოლონისტებად წასულიყვნენ და მათ მიერ დაარსებული ქალაქების სრულუფლებიანი მოქალაქეები გამხდარიყვნენ. თუმცა, ამ კატეგორიის ადამიანები, კლერუხიების დაარსებაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას, რადგან კლერუხები ათენის მოქალაქეებად ითვლებოდნენ მხოლოდ და თუ მათ ათენში ყოფნისას არ ეკუთვნოდათ მოქალაქეობა, არც ახლად დაარსებულ კოლონიაში ექნებოდათ ეს სტატუსი. ფიჭვნარი კლერუხია არ ყოფილა (იხ. ქვემოთ), მაგრამ ამასთან, მაინც საეჭვოა, რომ ფიჭვნარის დაარსებაში მონაწილეობა მიეღოთ ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს მოქალაქეობა პერიკლეს რეფორმის შედეგად. ფიჭვნარის სტატუსი რამდენადმე სპეციფიურია, რაც დეტალურად განხილულია იქნება ქვემოთ.

კიდევ ერთი მიზეზი, ფიჭვნარში ათენის მიერ ახალშენის დაარსებისა, როგორც ჩანს, არის ადგილობრივი მოსახლეობის მზადყოფა მიმდინარე პროცესებისათვის. ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე პრაქტიკულად იარაღი არაა აღმოჩენილი. *„ეს მიუთითებს იმას, რომ შეჯახებებს აქ ადგილი არ ჰქონია, როდესაც ბერძნები ცდილობდნენ დამკვიდრებას“* (Braund 1994:140). როგორც ჩანს, მოსახლეობა წინააღმდეგობით არ შეხვედრია ბერძნების მოსვლას და არც ბერძნები ელოდნენ პრობლემებს. ა. კახიძეც აღნიშნავს, რომ

ქალაქის დაარსების ატიკურ პერიოდში ფიჭვნარი მშვიდობიანად დაარსდა (კახიძე 1973:507).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფიჭვნარის დაარსების ზოგადი მიზეზია ზოგადად ათენის ინტერესი – გახდეს ბერძნული სამყაროს ჰეგემონი, ამიტომ აცხადებს პრეტენზიას ყველა იონიურ კოლონიაზეც. „*ათენის კონცეფცია, რომ ყველა იონიური ქალაქის მეტროპოლია იყოს, შემუშავდა ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს და V საუკუნის დასაწყისში, რათა გაემართლებინა მათი იმპერიის არსებობა. თუმცა, მიუხედავად გაზვიადებისა, ის მაინც შეიცავდა სიმართლის მარცვალს. რადგან სოლონი უთითებს, რომ ათენი უძველესი იონიური მიწაა და არქეოლოგიურადაც ათენური გეომეტრიული კერამიკის გავრცელებაც ამას ადასტურებს*“ (White 1961:444). ფიჭვნარში კი დასტურდება ატიკურ კოლონიზაციამდელი მცირე მასშტაბის იონიური ახალშენი. მეორე მოკლევადიანი მიზეზია, ათენის მიერ წარმოებული ეგვიპტის კამპანიის კატასტროფა, და ბოლოს, უშუალო მიზეზია, პერიკლეს ექსპედიცია და ადგილობრივი კოლხების მზადყოფნა აქ ათენის ახალშენის დაარსებისათვის.

კიდევ ერთი ასპექტს განვიხილავთ ფიჭვნარის დაარსებასთან დაკავშირებით: შემორჩენილი იყო თუ არა იონიური კოლონიზაციის პერიოდის მოსახლეობა ამ დროისთვის. როგორც გრემი აღნიშნავს, „*ათენი მეხუთე საუკუნეში ბევრ ისეთ ტერიტორიაზე აცხადებდა პრეტენზიას, სადაც მანამდე კოლონია არ დაუარსებია, მისი მთავარი არგუმენტი იყო არსებობა ბერძნული მოსახლეობისა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა მას*“ (Graham 1964:188). ფიჭვნარში ძვ. წ. VI ს. II ნახევრის უმნიშვნელო იონიური იმპორტი და, პრაქტიკულად, ქრონოლოგიური წყვეტა ძვ. წ. V ს. I ნახევარში იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ ათენელების მოსვლისთვის აქ იონიური სამოსახლო აღარ იყო მოქმედი და, ამდენად, გრემის მიერ დასახელებული მიზეზი უარყოფილია. ფიჭვნარში ძვ. წ. V საუკუნის როგორც ბერძნულ, ისე კოლხურ ნეკროპოლზე ძვ. წ. V ს-ის მხოლოდ I ნახევრით მყარად დათარიღებული მასალები არის: 1) პანტიკაპეიონის მონეტა (ძვ. წ. 475-450 წწ.) ბერძნული ნეკროპოლიდან (სამარხი №5), ასკოსი შავფიგურული ორნამენტით (ძვ. წ. 475-450 წწ.) ასევე ბერძნული ნეკროპოლიდან (სამარხი №15), 1 სამოსური ლეკითოსი კოლხური ნეკროპოლიდან (სამარხი №305) და 1 შავლაკიანი ატიკური

კილიკოსი (სამარხი №310), ძვ. წ. 480-470 წწ.-ით დათარიღებული. ოთხივე სამარხში უხვადაა სხვა ნივთები, რომლებიც ზოგადად ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება, ერთ-ერთში კი (სამარხი №15) ძვ. წ. V ს. III მეოთხედით დათარიღებული შავლაკიანი თასია აღმოჩენილი. შესაბამისად, ეს არ არის ძვ. წ. V საუკუნის I ნახევარში შემოტანილი ნივთები, ეს არის I ნახევარში წარმოებული და II ნახევარში შემოსული მასალები. ამდენად, ძვ. წ. V ს-ის I ნახევარი, პრაქტიკულად, ფიჭვნარის ისტორიაში მცირე ქრონოლოგიური წყვეტაა, შესაბამისად, ათენი აქ იონიელების წინააღმდეგობის ჩახშობის მიზნით არ მოსულა.

ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ისტორიის შესახებ ძირითადად ბერძნული და კოლხური ნეკროპოლების მონაცემების საფუძველზე შეიძლება მსჯელობა. ფიჭვნარის სამაროვანი წარმოიქმნა ძვ. წ. V ს-ის შუა ხანებში, იარსება ძვ. წ. IV ს-ის დასასრულამდე, ე. ი. „*ფუნქციონირებდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ათენს დომინირებული მდგომარეობა ეკავა კოლხეთთან ვაჭრობაში. ამიტომაც იგი ათენელი მოახალშენეების კუთვნილებადაა მიჩნეული*“ (ლორთქიფანიძე 2002:204)

პირველ რიგში, თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ იმპორტის რაოდენობა კოლხურ ნეკროპოლზე ძალზე მცირეა. 100-მდე გათხრილ სამარხში აღმოჩენილი 230-მდე ნივთიდან იმპორტული ნაწარმი 20-ს არ აღემატება. ამასთან, 16 სამარხი უინვენტაროა, ბერძნული ნეკროპოლის 250 სამარხიდან ასეთივეა 26. კოლხურ სამაროვანზე პროცენტულად სამჯერ მეტი უინვენტარო სამარხია, ვიდრე – ბერძნულზე. ამასთან, ბერძნულ ნეკროპოლთან შედარებით კოლხური სამაროვანი მოკრძალებულად გამოიყურება.

საინტერესოა ფაქტი, რომ ფიჭვნარის სამოსახლოზე ბერძნები და კოლხები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. მიუხედავად ამისა, კოლხური ნეკროპოლი ღარიბია და ბერძნული იმპორტიც მცირეა. საერთოდ, იმპორტის საფუძველზე მსჯელობას ბერძნული ეთნიკონის არსებობის შესახებ ზოგჯერ სკეპტიკურად უყურებენ (Braund 1994:93), თუმცა, ფიჭვნარის მაგალითიდან შეიძლება შემდეგი დაკვნების გამოტანა:

- ✓ ბერძნული კერამიკის მცირე რაოდენობით აღმოჩენაც კი მიუთითებს ადგილობრივების ინტენსიურ ურთიერთობაზე ბერძნებთან.
- ✓ მიუხედავად ადგილობრივებთან სავაჭრო ურთიერთობისა, ბერძნე-ბისთვის გაცვლის საგანი ყოველთვის არ იყო მათი ძვირფასი ღვინო. უფრო მეტიც,

როგორც ჩანს, თაზოსური, ქიოსური, ქალკიდიკის ღვინოები შემოდიოდა მხოლოდ ბერძნებისთვის. კოლხურ სამაროვანზე ამფორების არ არსებობა ნიშნავს იმას, რომ ძვირფასი ბერძნული ღვინის იმპორტის სამიზნე მეზობელი კოლხური მოსახლეობა არ ყოფილა. ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ მდიდარი ჰინტერლანდის, მაგ., ვანის, მოსახლეობას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქიოსის პროდუქციის ჩვენთან ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით შემოსვლა მას ორმაგად აძვირდებს, ამიტომ ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ მაღალი წრისთვის. ამის დასტურია ვანში მათი შედარებით დიდი რაოდენობით აღმოჩენა, ასევე, მცირე რაოდენობით კოლხეთის სხვა ჰინტერლანდურ ძეგლებზე (მაგ. დაფნარი, მთისძირი) მათი არსებობა. ა. კახიძეს დასაშვებად მიაჩნია „*კოლხეთსა და ქიოსს შორის პირდაპირი ურთიერთობის არსებობა. ეს კავშირი უწყვეტი ჩანს ძვ. წ. VII ს-ის ბოლოდან ძვ. წ. III საუკუნემდე*“ (კახიძე 1971:62), მაგრამ ეს ზოგადი ხასიათის დასკვნაა და ყველა პერიოდს არ შეესაბამება. ძვ. წ. V ს. II ნახევრის კონიუნქტურა მაინც ათენის საშუამავლო ვაჭრობას გვავარაუდებინებს. ამ მხრივ სიმპტომატურია ისიც, რომ „*ატიკური სტანდარტი კოლხეთში დაინერგა, სადღაც, ძვ. წ. 450 - 414 წწ. ასეთი სტანდარტიზაცია კი იგივეა, რაც ევროს რეალიზაცია დღევანდელ ევროპაში... თუ ადრე დასავლეთ საქართველოში ფული მილეტური, ეგინური და სპარსული სისტემების საფუძველზე იჭრებოდა, ახლა აქ ატიკური სტანდარტი გაბატონდა*“ (დუნდუა 2009:18) შესაბამისად, ამ დროისათვის მართლაც ათენის საშუამავლო ვაჭრობაზე არიან დამოკიდებული ფიჭვნარელი ბერძნები და იგივე ქიოსური პროდუქცია კიდევ უფრო ძვირდება მისთვის. ასევე „*საბერძნეთის მატერიკული ცენტრის ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით უნდა იყოს შემოზიდული ე. წ. პროტოთაზოსური, თაზოსის წრისა თუ საკუთრივ თაზოსის ამფორები*“ (კახიძე... 2007:200). აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა, თაზოსი ათენს ხელში ჩაუვარდა ძვ. წ. 463 წ. (Cambridge… 1964:68). მართალია, ის, როგორც ქალაქი, ფუნქციონირებდა, მაგრამ 463 წლის ზავის შემდეგ ხარკსაც კი უხდიდა ათენს. ამიტომ, ნებისმიერ იქ წარმოებულ პროდუქციას თავად ათენელები შემოიტანდნენ კოლხეთში, ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებად ძვირი და შედარებით ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძვ წ. V ს. ბერძნულ ნეკროპოლზე რაოდენობრივი თანაფარდობა ქიოსური (31 ცალი) და თაზოსური (24 ცალი) ამფორებისა გვაფიქრებინებს, რომ დაახლოებით თანაბრად ძვირი ჯდებოდა

ფიჭვნარში მათი ჩამოტანა. აღსანიშნავია, რომ თაზოსთან საშუამავლო ვაჭრობას არც ფიჭვნარის ექსპედიციის ხელმძღვანელი ა. კახიძეც უარყოფს (კახიძე 1971:47-48).

საინტერესოა ერთი საკითხიც – უხდიდა თუ არა რაიმე სახის გადასახადს ფიჭვნარის ბერძნული მოსახლეობა ათენს. „*ამფიპოლისი და ათენის სხვა კოლონიები, რომლებიც ბერძენ-სპარსელთა ომის მერე დაარსდა, ფოროსს არ იხდიდნენ. არ ვიცით, რატომ*“ (Graham 1964:201). ამის გათვალისწინებით შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა: ჩვენ ვიცით, რომ თაზოსი ათენის კონტროლის წინააღმდეგ, კერძოდ, ოქროს სახით ფოროსის გადახდასთან დაკავშირებით, შეუთანხმებლობის გამო ათენს აუჯანყდა. იმავე წელს ათენმა ამფიპოლისი დაარსა, რომელიც ფოროსს საერთოდ არ იხდიდა. მისთვის ამფიპოლისის დაარსება უფრო საკუთარი პანათენური იდეის კონსტატაცის საშუალება იყო, ვიდრე შემოსავლის მიღებისა და როგორც ჩანს, ამით მას სხვებისთვის, თუნდაც თაზოსისთვის, ამის ხაზგასმა უნდოდა. ჩანს, რომ ათენი, იმ შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ან პოლიტიკურ სარგებელს ვერ იღებდა, ფოროსს არ ითხოვდა და უფრო საკუთარ პრიმატს უსვამდა ხაზს. ფიჭვნარის შემთხვევაშიც შესაძლოა, ასეა. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ სამოსი, ლესბოსი და ქიოსი ფოროსს არ იხდიდნენ საზღვაო კავშირში წევრობისათვის, მაგრამ უზრუნველყოფდნენ გემებით და ჰოპლიტებით (Кузищин 2005:191). თუ ფიჭვნარელი ბერძნები ფოროსს იხდიდნენ, შესაძლოა, ფოროსის ფორმა გემთსაშენი ხე-ტყით უზრუნველყოფა იყო. ა. კახიძე წერს, რომ შესაძლებელია „*ხე-ტყესთან ერთად იალქნებისთვის საჭირო ქსოვილებისა და ბაგირების გატანის ფაქტი დავუშვათ*“ (კახიძე... 2004:76, 142). ესეც, შეიძლებოდა, ფოროსის გარკვეული ფორმა ყოფილიყო.

ფიჭვნარელი ბერძნების ეკონომიკური კავშირების კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა ერთი საკითხი – რატომ არის ფიჭვნარში აღმოჩენილი ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტები, მაგრამ არ არის სატრანზიტო ჭურჭელი ან თუნდაც ყოველდღიური მოხმარების ნივთები?! აქაური ბერძნები კმაყოფილდებიან ან თავისივე ნაწარმით, ან ადგილობრივად დამზადებული ჭურჭლით, ე. წ. ფიჭვნარული დოქებით, „*ფიჭვნარული დოქები ბერძნულ მოსახლეობაში დიდი მოწონებით სარგებლობენ*“ (კახიძე... 2007:133). არც კოლხურ სამაროვანზეა ჩრდილო

შავიზღვისპირეთში ნაწარმოები ნივთები ძვ. წ. V საუკუნიდან, გარდა მონეტებისა. ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილი 4 მონეტა ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან – 2 ცალი თეოდოსიის ვერცლის მონეტა, პანტიკაპეიონისა და ნიმფეიონის ვერცხლის დიობოლი (კახიძე... 1999:21), ასევე დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან 1 ცალი აპოლონიის მონეტა – ფიჭვნარელი ბერძნების ჩრდილო შავიზღვისპირეთთან პირდაპირ კონტაქტზე მეტად იმაზე მიანიშნებს, რომ პერიკლეს ექსპედიციის შემდეგ, როცა ათენის საზღვაო კავშირში გაერთიანებული იყო სინოპე, ამისოსი, აპოლონია და სავარაუდოდ, ისტრიაც დასავლეთ სანაპიროსი, ასევე, ნიმფეიონი და, შესაძლოა, ოლბიაც (Кузищин 2005:195-196), ეს მონეტები მიმოიქცეოდა მთელს შავიზღვისპირეთში და შეიძლებოდა ნებისმიერი ქალაქის, თუნდაც სინოპის გავლით მოხვედრილიყო ფიჭვნარში. თუმცა, არც სამხრეთ შავიზღვისპირეთთან ჩანს ინტენსიური კონტაქტი მაინცდამაინც – ძვ. წ. V საუკუნის სინოპური მონეტაც სულ 2 ცალია აღმოჩენილი, მაგრამ, ზოგადად, ეს ფულები ტრიალებს ერთ სივრცეში – ათენის საზღვაო კავშირის სივრცეში. ის შეიძლება ათენის მეშვეობითაც შემოდიოდეს ქალაქში. თუკი თაზოსის პროდუქცია ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით შემოდის, სავსებით დასაშვებია, საზღვაო კავშირის წევრი სხვა ქალაქების მონეტებიც მისი გავლით შემოდიოდეს. ა. კახიძის აზრით, ფიჭვნარის როლი საგარეო ურთიერთობებში შემდეგია: „*არაა გამორიცხული, რომ ათენსა და კოლხეთს შორის ადრეანტიკურ ხანაში არსებულ მსგავს ინტენსიურ ურთიერთობებში ზოგჯერ შუამავლის როლში სინოპელებიც გამოდიოდნენ. ფიჭვნარსა და სინოპეს შორის მჭიდრო, უშუალო და პირდაპირი კონტაქტების არსებობა მთელი კლასიკური და ელინიზმის ეპოქისათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს. ფიჭვნარში მსხდომი ბერძენი მოახალშენეები არეგულირებდნენ სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს არა მარტო ატიკასთან, არამედ ისინი გამოდიოდნენ ასევე შუამავლის როლში ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ პოლისებს შორის არსებულ ურთიერთობათა სფეროშიაც*“ (კახიძე... 2007:141). სინოპელების შუამავლობა ათენთან ურთიერთობაში ძვ. წ. V საუკუნეში ძალზედ საეჭვოა, ამ მხრივ სინოპური ნაწარმის პრაქტიკულად არარსებობა და მხოლოდ 2 მონეტის აღმოჩენა ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე სწორედაც რომ საწინააღმდეგოს გვაფიქრებინებს. ჩრდილო შავიზღვისპირეთთან პირდაპირი ინტენსიური ურთიერთობაც ძვ. წ. V საუკუნეში ნაკლებად

მოსალოდნელია. ნიმფეიონში, მართალია, აღმოჩენილია კოლხური პითოსები (Кахидзе 1979:315), მაგრამ ეს, ძირითადად, ძვ. წ. IV საუკუნის პროდუქციაა. კახიძის აზრით, ფიჭვნარის კავშირის მიზანი ნიმფეიონთან კოლხეთის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებითაა გამოწვეული: „*V-IV სს. ფიჭვნარი გამოიყურება, როგორც საყრდენი პუნქტი, როგორც საზღვაო ბაზა, რომელიც არეგულირებდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ანტიკური სამყაროს ცენტრებს შორის ურთიერთობას. ასეთივე იყო ნიმფეიონი და ამისოსი. არაა შემთხვევითი, რომ ნიმფეიონში აღმოჩენილია კოლხური პითოსები და მონეტები, ხოლო ფიჭვნარში – ნიმფეის და ამისოს მონეტები*“ (Кахидзе 1979:316), მაგრამ აქ დასაფიქრებელია ერთი რამ – ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთში იყო პირველადი საჭიროების ისეთი რამ, რაც კოლხეთში არ მოიძებნებოდა და არც ათენში, რომ ფიჭვნარელ ბერძნებს შესძლებოდათ ადგილობრივ კოლხებთან ვაჭრობისთვის მათი დაკმაყოფილება. მაგრამ თავისთავად კოლხურის სამაროვნის ბერძნული იმპორტის სიმწირე საეჭვოს ხდის ფაქტს, რომ ბერძნებს ადგილობრივების ინტერესით რაიმე ჩამოეტანათ ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან.

კონტრარგუმენტად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ კიზიკინებიც არაა ძვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლზე ბევრი – ისიც სულ 2 ცალია აღმოჩენილი 500-მდე ბერძნული და კოლხური ნეკროპოლებიდან ერთად. კიზიკინები „*ასრულებდნენ საერთაშორისო, ინტერლოკალური მონეტების ფუნქციას*“ (კახიძე... 2007:138), „*ათენმა კიზიკის ზარაფხანა არათუ გააუქმა, არამედ თავისი სამონეტო კარის ფილიალადაც კი აქცია*“ (ლორთქიფანიძე 2002:202). მაგრამ ჩვენ ასევე ვიცით, რომ კიზიკინებს მსხვილი სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად იყენებდნენ (დუნდუა... 2006:48) ამდენად, ამ ფულის გამოყენება მაინც უფრო მსხვილ ოპერაციებთანაა დაკავშირებული და ფიჭვნართან სწორედაც რომ მსხვილი ოპერაციებით უნდა ყოფილიყო ინტენსიური ურთიერთობა – ხე-ტყის ექსპორტის სახით. თანაც მსხვილი ფულის სამაროვნებზე დაუნჯება, უფრო ნაკლებადაა მოსალოდნელი, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე საშიშროებით გამოწვეულ ტეზაურიზაციასთან არ გვაქვს საქმე. ამასთან, ჩვენ მხოლოდ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ მხოლოდ მონეტების მიმოქცევა, თუ მას თან არ ახლავს სხვა ნაწარმის შემოსვლა (კერამიკის მასობრივ

მონაპოვარში თუ არ მოიძებნება არცერთი ნივთი კონკრეტულ ცენტრთან დაკავშირებული), არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ იმ კონკრეტულ პერიოდში კონკრეტულ ცენტრებთან ინტენსიური ურთიერთობა. ათენთან ინტენსიურ ურთიერთობას ამტკიცებს ის იმპორტული კერამიკული მონაპოვარი, რომელიც აღმოჩენილია ძვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლებზე, მათ შორის, კოლხურ ნეკროპოლზეც (ატიკური თასები, კილიკები, ლეკითოსები) და არა მხოლოდ მონეტები. აქვე აღვნიშნავთ ერთ საკითხსაც. ის ფაქტი, რომ კიზიკინები ბერძნულ ნეკროპოლზეა აღმოჩენილი, მიუთითებს ფიჭვნარელი ბერძნების საშუამავლო როლზე – ისინი ყიდულობდნენ ნედლეულს ადგილობრივებისგან და შემდეგ ჰყიდიდნენ ათენელებზე. ეს საკითხი საინტერესოა ფოროსის ასპექტითაც, გამოდის, რომ ფიჭვნარი ან არ იხდიდა ფოროსს და ყიდიდა ათენელებზე კოლხებიდან გამოზიდულ ნედლეულს, ან ფოროსს იხდიდა ნედლეულით. ეს ნედლეულიც არ იყო საკმარისი – უფრო მეტს ითხოვდნენ ამ რეგიონიდან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბერძენ-სპარსელთა ომების შემდეგ დაარსებული ათენის კოლონიები როგორც გრეჰემი აღნიშნავს (Graham 1964:201), ფოროსს არ იხდიდნენ, მაშინ პირველი დასკვნა უფრო მართებულია და ჩვენც მას ვემხრობით.

ამრიგად, ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ფიჭვნარს, ჩვენი აზრით, ძვ. წ. V საუკუნეში მხოლოდ თავის მეტროპოლია ათენთან ჰქონდა. დასტურდება შავიზღვისპირეთის სხვა ბერძნულ ცენტრებთან (ნიმფეიონი, პანტიკაპეიონი, სინოპი) ურთიერთობაც, სავარაუდოდ, ნაკლებად ინტენსიური. ადრეული სინოპური მონეტების, ერთი ძვ. წ. 500 წლით დათარიღებული (იაშვილი 1987:44) და მეორე – ძვ. წ. 500-453 წწ. (ძვ. წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლი, სამარხი 104) (იაშვილი 987:45) აღმოჩენის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რიგ შემთხვევებში სინოპიც თამაშობდა ათენსა და ფიჭვნარს შორის ურთიერთობებში საშუამავლო რგოლის როლს.

საინტერესოა ეტრუსკულ ნაწარმად მიჩნეული ბრინჯაოს დოქის აღმოჩენა ძვ. წ. V ს. ბერძნულ ნეკროპოლზე (კახიძე 1987:47-49). რა თქმა უნდა, ეს არ ადასტურებს დასავლეთის ბერძნებთან პირდაპირ სავაჭრო ურთიერთობას, ის ჩვენთან შეიძლებოდა მოხვედრილიყო მხოლოდ ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით.

ცალკე საკითხია, რამდენად ინტენსიურია ფიჭვნარელი ბერძნების ვაჭრობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მ. ინაძის აზრით, „ძვ. წ. V ს-ში ფულადი ურთიერთობა ბევრად უფრო ინტენსიურია ფიჭვნარის ადგილობრივ მოსახლეობასა და ბერძენ ვაჭართა ფენას შორის, ვიდრე აქაურ ელინთა წრეში“ (ინაძე 1982:206). ამას მ. ინაძე ასკვნის ბერძნულ ნეკროპოლში ჩატანებული მონეტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ერთი მხრივ, მართლაც, ბერძნებს ადგილობრივებთან ვაჭრობის ინტერესი უფრო უნდა ჰქონოდათ, და აქედან გაეზიდათ ნედლეული. ბერძნების მიერ ელინური ექსპერიმენტის ფარგლებში ტერიტორიების ათვისებისას ერთერთი ეტაპია, როცა „*საექსპერიმენტო მხარეები საბერძნეთს ამარაგებს სურსათით და ნედლეულით*“ (დუნდუა 2009:8). ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარი ფიჭვნარის ახალშენისთვის ელინური ექსპერიმენტისთვის სწორედ ის ეტაპია, როცა საექპერიმენტო მხარე მეტროპოლიას აწვდის ნედლეულს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ძვ. წ. V საუკუნის კოლხურ ნეკროპოლზე 40-მდე მონეტის აღმოჩენა ბერძნული ნეკროპოლის 11 მონეტის საწინააღმდეგოდ, მაგრამ, ფაქტია, უფრო მრავალფეროვანი ბერძნული ნეკროპოლის მონაპოვარია. რაც შეეხება, ფიჭვნარელ ბერძნებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას, საინტერესოა, რომ უკნინესი ნომინალები, ჰემიტეტარტემორიონები, სწორედ მათთანაა აღმოჩენილი. ისინი, მ. ინაძის აზრით, „*მსხვილი ფულის დახურდავების მიზნით იჭრებოდა და მისი ერთადერთი დანიშნულება იყო ფიჭვნარ-ქალაქში მცხოვრებ ადგილობრივ და ბერძნულ მოსახლეობას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგება*“ (ინაძე 1982:1963). ფრაქციული ფულის მიმოქცევა ცნობილია, რომ სწორედაც საქალაქო ცხოვრებასთან არის დაკავშირებული – წვრილი სერვისის არსებობასთან (დუნდუა... 2009:11; დუნდუა... 2000:5) – სხვა რა უნდა ყოფილიყო ასე იაფი. და თუკი არაფერი არ იყიდება ისეთი, რასაც ჰემიტეტარტემორიონი შეიძენს, მისი მიმოქცევაში ჩაშვება რა საჭირო? სხვა საკითხია, რომ ჰემიტეტარტემორიონის აღმოჩენა მისი წონის გამო რთული საკითხია და ის სამი მონეტაც არ იქნებოდა აღმოჩენილი, დახურულ კომპლექსში ერთად რომ არ აღმოჩენილიყო. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მეტი არაა აღმოჩენილი, არ ნიშნავს იმას, რომ ცოტა მოიჭრა. თუ გავითვალისწინებთ ამ მონეტის აღმოჩენის სირთულეს, მათი ცუდი დაცულობიდან გამომდინარე *argumentum ex silentio*, რომ ისინი უფრო მეტი მოიჭრა და, ყოველ შემთხვევაში, საკუთრივ ელინური

ქალაქებისთვის მაინც ჰქონდათ მათ ეკონომიკური მნიშვნელობა, მაინც ძლიერია. მ. ინაძეც მიიჩნევს, რომ ჰემიტეტარტემორიონები, რომელიც „*მხოლოდ ფიჭვნარი-ქალაქის ფარგლებში ტრიალებენ, მართლაც წმინდა საქალაქო მონეტად შეილება ჩაითვალოს*“ (ინაძე 1982:163).

ამასთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც – ჰემიტეტარტემორიონების ემისიას. თ. დუნდუას აზრით, ის ფაზისის მოჭრილია: „*მხოლოდ ერთხელ ცადა ფაზისმა წვრილი ფულის ემისია და ეს ცდა დაკავშირებული იყო ისევ და ისევ კარგად აპრობირებულ ვერცხლთან – სამი უკნინესი ჰემიტეტარტემორიონი ექსპერიმენტის წარუმატებლობის მკაფიო ილუსტრაციაა*“ (დუნდუა... 2006:34). ხოლო ა. კახიძის აზრით „*შესაძლოა, ფიჭვნარშიც იჭრებოდა ე. წ. ავტონომიური მონეტები. ამაზე უნდა მიუთითებდეს კოლხური ჰემიტეტარტემორიონების აღმოჩენები ფიჭვნარში*“ (კახიძე 1982:70).

ახლა კი, რაც შეეხება ფიჭვნარის სტატუსს და პოლიტიკურ დამოკიდებულებას მეტროპოლიასთან. გრემი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის ურთიერთდამოკიდებულების ფორმები სხვადასხვა დროს, აღნიშნავს: მეხუთე საუკუნეში ბერძნული კოლონია შეიძლებოდა უბრალოდ ყოფილიყო მოქალაქეების დასახლება სხვაგან. ან სრულიად ათენურია, კლერუხიაა და პატარაა. ამასთან, შედარებით ახლოსმდებარე ან შერეული კოლონიაა[33] და შორს და თან ნაკლებად ექვემდებარება მეტროპოლიას (Graham 1964:210). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ათენის განსაკუთრებულ დაინტერესებას შავიზღვისპირეთით, ამ შემთხვევაში დისტანციის ეფექტი – ნაკლები დამოკიდებულება მეტროპოლიასა და ახალშენს შორის – ნაკლებად სავარაუდებელია. ა. კახიძის აზრით, შესაძლებელია „*ფიჭვნარი იყო კლერუხია (ამის ზუსტად განსაზღვრა ჯერჯერობით ჭირს)*“ (კახიძე... 2007:205).

მ. ინაძეც მსჯელობს ათენური კოლონიზაციის ხანაში ახალშენების სტატუსებზე და აღნიშნავს, რომ „*ათენის მიერ დაარსებულ კოლონიათა ნაწილი კლერუქიებს წარმოადგენდა, ნაწილი ეპოიკიებს, ზოგიერთი მათგანი კი შეიძლება ჩვეულებრივი სავაჭრო ქალაქიც ყოფილიყო*“ (ინაძე 1975:62). ამრიგად, ათენის მიერ ძვ. წ. V საუკუნეში დაარსებული ახალშენები პოლისებად – რომელიც

[33] იგულისხმება ათენთან ერთად სხვა ქალაქების მონაწილეობა კოლონიის დაარსების პროცესში თურიუმის დაარსების მსგავსად.

დაარსებიდან მცირე ხნის შემდეგ, თუ მყისიერად არა, სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია – არ განიხილება.

კლერუხია განსხვავებით სხვა სახის კოლონიებისგან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ ინარჩუნებდა მეტროპოლიისგან. კლერუხიის მაცხოვრებელები პოლიტიკურად დამოკიდებულები იყვნენ. ამასთან, საინტერესოა, რომ ისინი ინარჩუნებდნენ ათენის მოქალაქეობას. ისინი ვალდებულები იყვნენ ემსახურათ ჰოპლიტებადაც. მ. ინაძე კოხის მასალების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ფიჭვნარში ჰოპლიტთა მცირე ჯგუფიც გადმოასახლეს „*მათ შესაძლოა კიდევ გადასცემოდათ მიწის ნაკვეთი, მაგრამ ჩვეულებრივ ასეთი ნაკვეთები ათენის დასახლებებში იჯარით გადაეცემოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელნიც ნაკვეთის დროებით მფლობელებს უხდიდნენ გარკვეულ ფულად გადასახადს, ხოლო მიწის შემოსავლის ნაწილს თავისთვის იტოვებდნენ*“ (ინაძე 1982:161). კლერუხიის მცხოვრებნი თვითონ იყვნენ ვალდებული ჰოპლიტები ყოფილიყვნენ. ამდენად, თუ ფიჭვნარი კლერუხია იყო, მაშინ ესენი უბრალოდ ქალაქის მაცხოვრებები არიან, რომელთაც ათენისთვის ჯარში მსახურება ევალებოდათ. საინტერესოა მ. უაიტის კლასიფიკაცია ძვ. წ. V საუკუნის კოლონიებისა: „*ბერძნული კოლონიზაციის ორი სხვა მოდელიც არსებობდა – კორინთოელებმა ტირანების მმართველობის ხანაში ძვ. წ. 625 წლის მერე დაარსეს კოლონიები კორინთოს ყურის დასავლეთ სანაპიროზე, რათა დასავლეთისკენ მიმავალი გზა დაეცვათ და ნედლეული მოეპოვებინათ. ათენიც მის მსგავსად მეხუთე საუკუნის განმავლობაში აარსებდა კოლონიებს და გარნიზონებს ტოვებდა ყველგან მთელს იმპერიაში. ისინი უკვე არსებული ქალაქებისგან მიწას ითხოვდნენ კოლონისტები ათენელები იყვნენ და რომელ ქალაქშიც იყვნენ, იმის იურისდიქციას არ ექვემდებარებოდნენ. არცერთმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა. კორინთოს კოლონიებმა ნამდვილი ქალაქების სტატუსამდე ვერასდროს ვერ ააღწიეს, ხოლო ათენელი კოლონისტები პელოპონესის ომის დამთავრებისთანავე დაბრუნდნენ ათენში*“ (White 1961:453).

ჩვენი აზრით, ფიჭვნარი კლერუხია არაა და არც უაიტის მიერ შემოთავაზებულ ამ მოდელს ექვემდებარება. ის უშუალოდ სამხედრო მიზნებით არ ყოფილა დაარსებული. პირველ რიგში, ამის არგუმენტია ის, რომ ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლში იარაღები არ არის აღმოჩენილი. ფიჭვნარის ფუნქცია

გემსაშენი ხე-ტყით მომარაგება უფრო ჩანს. ამას ჯარისკაცები არ ჭირდებოდა. მით უფრო, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან მტრულ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია. პელოპონესის ომი ქალაქის დაარსების მხოლოდ გრძელვადიანი განმაპირობებელი მიზეზია. ფიჭვნარელი ბერძნების უშუალო მონაწილეობა, როგორც ჩანს, არ მოიაზრება სამხედრო ქმედებებში.

საინტერესოა ერთი ფაქტიც, განსხვავებით ათენის მიერ დაარსებული ძვ. წ. V საუკუნის კოლონიებისგან, რომელთაგან ზოგიერთი მართლაც წარუმატებელი ექსპერიმენტი გამოდგა, მაგ., ამფიპოლისისგან, რომელიც მალევე გაანადგურეს თრაკიელებმა, ფიჭვნარი არსებობას განაგრძობს ელინისტურ ხანაშიც კი. ამ თვალსაზრისით, ფიჭვნარი ათენელების წარმატებული ექსპერიმენტია თურიუმის მსგავსად. ოღონდ, თუკი თურიუმის წარმატება განაპირობა იმან, რომ მის დაარსებაში მონაწილეობას იღებდა ათენის თაოსნობით ბევრი ბერძნული ქალაქი და ეს აქტი გამოხატავდა პანელინურ იდეებს (Perlman 1976:7), ფიჭვნარი მხოლოდ ათენის დაარსებულია.

ატიკური პერიოდის ფიჭვნარი არც კლასიკური ემპორია არაა. ჯერ ერთი, მისი დაარსების პერიოდისთვის არსებული კონიუნქტურა გამორიცხავს ამას, ათენი ემპორიონებს, როგორც პერიოდული ბაზრობების ადგილებს, არ აარსებდა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ ემპორიის ფუნქცია ადგილობრივებთან ინტენსიური ვაჭრობაა, ფიჭვნარის ემპორიონობა საეჭვოდ დგება, რადგან თვით ფიჭვნარელი ბერძნების მეზობლად მცხოვრები კოლხები არ ვაჭრობდნენ ინტენსიურად მათთან. რაც შეეხება ჰინტერლანდს, მდიდარი ქალაქი ვანია, მაგრამ ძნელია თქმა, რომ მაინცდამაინც ფიჭვნარი ამარაგებდა მას. უფრო მოსალოდნელია, რომ ეს ფუნქცია ფაზისის პრეროგატივა იყო.

ფიჭვნარის დასახლების სპეციფიკური ხასიათი, იმპორტის ზედმეტად დიდი რაოდენობა სამარხებში, გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს დასახლებასთან, სადაც კოლონისტები მუდმივ როტაციას ექვემდებარებოდნენ. საინტერესოა, რა ინფორმაცია მოიპოვება წყაროებში ამ ტიპის აქტივობის შესახებ.

ბერძნული წყაროებიდან ცნობილია Aeinautai (Ἀειναῦται) – მუდმივი მეზღვაურები. წყაროებში ისინი იხსენიებიან სულ ხუთჯერ: 1) მილეტის ისტორიასთან კავშირში მათ იხსენიებს პლუტარქე თავის „მორალიებში“ (Plut.

Quaes. Gr. 298 c, 298d), 2) ძვ. წ. V საუკუნის ავტორი ჰესიქიოსი იხსენიებს მათ, 3) ძვ. წ. V ს-ის წარწერაში ქალკიდიკიდან (IG XII.9.923), 3) ერეთრიიდან ასევე ძვ. წ. V საუკუნის წარწერაში (LSAG 88.21a.S433), გარდა ამისა, 4) ქალკიდიკიდან კიდევ ერთ, ძვ. წ. III საუკუნით დათარიღებულ წარწერაში.

აეინაუტების შესახებ მ. მაქსიმოვა მიიჩნევდა, რომ ეს იყო ოიკისტთა სოციალური კლასი და იხსენიებს მათ სინოპის დაარსებასთან დაკავშირებით (Максимова 1958:46). ნ. რობერტსონს ისინი კერძო კორპორაციის წევრებად წარმოუდგენია (Robertson 1987:384). ვ. გორმანს აეინაუტებთან დაკავშირებით არცერთი მოსაზრება დამაჯერებლად არ მიაჩნია. მისი აზრით, აეინაუტები არც მდიდარ ვაჭარ-მეზღვაურთა ზედაფენაა და მით უმეტეს არც საზღვაო პოლიცია (Gorman 2004:109-110).

ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ თითოეული წყარო მათ შესახებ ჩვენი მოსაზრება შემოგთავაზოთ ამასთან დაკავშირებით.

პლუტარქე შემდეგ ცნობას გვაქვდის აეინაუტების შესახებ: Τίνες οἱ ἀειναῦται παρὰ Μιλησίοις Τῶν περὶ Θόαντα καὶ Δαμασήνορα τυράννων καταλυθέντων ἑταιρεῖαι δύο τὴν πόλιν κατέσχον, ὧν ἡ mὲν ἐκαλεῖτο Πλουτὶς ἡ δὲ Χειρομάχα. Κρατήσαντες οὖν οἱ δυνατοὶ καὶ τὰ πράγματα περιστήσαντες εἰς τὴν ἑταιρείαν, ἐβουλεύοντο περὶ τῶν mεγίστων ἐμβαίνοντες εἰς τὰ πλοῖα καὶ πόρρω τῆς γῆς ἐπανάγοντες· κυρώσαντες δὲ τὴν γνώμην κατέπλεον, καὶ διὰ τοῦτy e ἀειναῦται [προσηγορεύθησαν. (Plut. Quaes. Gr. 298 c, 298d).

„ვინ არიან მუდმივი მეზღვაურები მილეტელთა შორის? როდესაც თოასთან და დამასენორთან დაკავშირებული ტირანები ჩამოაგდეს, ორი პოლიტიკური პარტია აკონტროლებდა ქალაქს. ერთს ეწოდებოდა პლუტისი[34] და მეორეს ხეირომახები. შესაბამისად, როდესაც გავლენიანმა კაცებმა მოიპოვეს ძალაუფლება და მათი პარტიის ხელში გადავიდა ძალაუფლება, მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად ისინი გემებზე ადიოდნენ, მიწას საგრძნობი მანძილით შორდებოდნენ. როდესაც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, უკან ბრუნდებოდნენ, ამ ქმედების გამო მათ ეწოდებოდათ აეინაუტები (მუდმივი მეზღვაურები)“.

[34] შეძლებულთა კლასი

პლუტარქეს ცნობას ეხმიანება ძვ. წ. V საუკუნის II ნახევრის მოღვაწის ჰესიქიოსის განმარტება აეინაუტების შესახებ: ἀειναῦται· ἀρχῆς ὄνομα παρὰ Μιλησίοις (Hesych. Lex. α 1292 Latte). „*აეინაუტები მმართველებს ეწოდებოდათ მილეტელებში*“.

პლუტარქეს ცნობიდან ჩანს, რომ მილეტში არსებობდა აეინაუტების „პარტია“. მისი აზრით, მათ ასეთი სახელი ეწოდათ იმის გამო, რომ ისინი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებდნენ ზღვაზე, გემზე ყოფნისას. ნ. რობერტსონის აზრით, პლუტარქეს წყაროსთვის აეინაუტები გარკვეული „საბჭოს წევრებს წარმოადგენენ“, თუმცა მას არადამაჯერებლად მიაჩნია, რომ, „*მილეტის მმართველებს სჭირდებოდათ ყოველი ცალკეული გადაწყვეტილების მიღებისას სრული კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით კრუიზში გამგზავრება*“ (Robertson 1987:381). ჩვენი აზრით, ეს უფრო ჰგავს გადმონაშთს – აეინაუტები ალბათ იყო გარკვეული სოციალური ფენა, რომელსაც მილეტის პოლიტიკურ ცხოვრებაში სიტყვა ეთქმოდა. მილეტის საკოლონიზაციო აქტიურობის ადრეულ ეტაპზე ესენი იქნებოდნენ მუდმივი მეზღვაურები, რომლებიც წარმოადგენდნენ დამაკავშირებელ სავაჭრო ხიდს მეტროპოლიასა და კოლონიას შორის. სწორედ მათი მნიშვნელოვანი ფუნქციის გამო მათ ეთქმოდათ საკუთარი სიტყვა მილეტში. მთავარი ფუნქცია შემდეგში, ალბათ, დაკარგეს, თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ჩანს, ისევ აქტიურები არიან და მათი ძველი აქტივობის რელიქტია ზღვაზე გადაწყვეტილების მიღება.

აეინაუტები იხსენიება ძვ. წ. V საუკუნის წარწერაში ქალკიდიდან. უფრო ზუსტად, წარწერა მასში მოხსენიებული ქალაქის ორობნის გამო, რომელიც განადგურდა ბუნებრივი კატასტროფის შედეგად ძვ. წ. 426 წ. (Hansen 2000:209), უნდა იყოს შესრულებული ძვ. წ. 426 წლამდე. წარწერაში, ძირითადად, სახელები და სიტყვა აეინაუტები იხსენიება:

[— — —] Ἄγραυλος [— — — — —]

[— — —]διο· ἀειναῦτ[αι — — —]

[— — —]μος Κλεαρ[— — — — — —]

[— — —]υρο Ὀροβιε[ὺς — — — —]

[— —] Δάτυος Ὀροβ[ιεὺς — — —]

[— —] Φαλάριδο[ς — — — — — —]

[— —]οναθαινα[— — — — — — — —] (IG XII.9.923)

წარწერიდან ჩანს მხოლოდ სახელების ჩამონათვალი და სიტყვა აეინაუტები, ასევე, სიტყვა მომთაბარე (Ἄγραυλος), თუმცა ეს სიტყვა შეიძლება სახელიც იყოს. რაც შეეხება სახელებს, თუ მივიჩნევთ, რომ ეს ჩვეულებრივი სახელები არ არის და მასში ისტორიული პირები მოიხსენიებიან, ესენი შეიძლება იყვნენ: კლეარხოსი – სპარტელი გენერალი, რომელიც შემდეგ კიროსს უმცროსს ეხმარებოდა ძმის არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოღვაწეობდა ძვ. წ. V საუკუნის II ნახევარში. ორობნი ქალაქი იყო ევბეაში, დატისი მიდიელი გენერალია, რომელიც დარიოს I-ის ჯარში მსახურობდა და ფალარიდოსი აკრაგანტის (თანამ. აგრიჯენტო, სიცილია) ტირანი იყო ძვ. წ. 570-544 წწ. წარწერაში მოხსენიებულ პირებს შორის არსებული დიდი ქრონოლოგიური ამპლიტუდა გვაფიქრებინებს, რომ აქ, არა ისტორიული პირები, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეები იხსენიებიან. ესენი, როგორც ჩანს, აეინაუტების საზოგადოების (Κοινόν) წევრები არიან.

ის ფაქტი, რომ აეინაუტებს მართლაც ჰქონდათ საკუთარი ერთობა, თუ ასოციაცია, დადასტურებულია შემდეგი ორი წარწერით.

მეორე წარწერა ერეთრიდანაა, შესრულებულია მემორიალურ სტელაზე. თარიღდება დაახლ. ძვ. წ. 450 წ. (Poinikastas). წარწერის ტექსტი შემდეგია:

[Τ]ὸ[ν] ἑρμε῞ν ᾽Αειναῦται
ἱδρύραντο ἐπὶ τε῞ς
Τιμανδρίδεο καὶ Τιμα -
ρχίδεο και Σκύθεο
ἀρχε῞ς. (LSAG 88.21a.S433; Petrakos 1963:545)

„აეინაუტებმა აღმართეს სვეტი ჰერმესის [ქანდაკებით], ტიმანდრიდევსის, ტიმარხიდესის და სკვითის მმართველობის დროს“.

წარწერა შესრულებულია ევბეურ დიალექტზე. აქაც სიტყვა აეინაუტები და სახელების ჩამონათვალი გვხვდება. წარწერა შესრულებულია ჰერმესისადმი მიძღვნილ სტელაზე.

მესამე წარწერა ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება, ისიც ქალკიდიდანაა წარმოშობით. მასში ყველაზე უხვი ინფორმაციაა აეინაუტების შესახებ.

[— — — — — — — — — — — — τοὺ]ς ṗρ[ο]ṣπορευομ<έ>-

[νους· ἀγαθῆι τύχηι· δεδόχθ]αι τῶι κοινῶι ἀεναυ-

[τῶν {[26]ἀειναυτῶν}[26] ἐπαινέσαι — — — — — —]βουλον Διονυσοφάνου

[καὶ στεφανῶσαι δάφ]νης στεφάνωι δικαιοσύ-

[νης ἕνεκα τῆς περὶ τὰ] κοινὰ καὶ φιλοτιμίας· ἀνα-

[γράψαι δὲ τόδε τὸ ψήφ]ισμα εἰς στήλην λιθίνην

[καὶ ἀναθεῖναι, ὅπου ἂν δ]όξηι τοῦ ἱεροῦ ἐν καλλί-

[στωι εἶναι· τὸ δ’ ἀνάλωμα] ἐναπολογίσασθαι τῶ<ι>

[κοινῶι τὸν γραμματέα] Ἀρχέμαχον. (IG XII, 9 909)

„...მიახლოებულები

[კეთილი აზრითა და განწყობით] აეინაუტების ასოციაციაში/საზოგადოებაში

[აეინაუტების] ქებად/განსადიდებლად... დიონისოფანტოსის გადაწყვეტილებით/დიონისოფანტოსის შვილი,

[და შემკობილია/რათა შევამკოთ] დაფნით თავისი სამართლიანობის გამო

საზოგადოებისთვის/ასოციაციისთვის პატივისცემის/გამორჩეულობის [გამო]

[დაიწერა ეს გადაწყვე]ტილება ქვის სტელაზე

და აღიმართა წმინდა ადგილას, სადაც ის ლამა

[ზი] უნდა იყოს.

ხარჯი] დაეკისროს

[საზოგადოების/ასოციაციის მწერალს] არხემახონს“.

ამ წარწერაში მოხსენიებული აეინაუტები, ნ. რობერტსონის აზრით, კერძო კორპორაციის წევრებს წარმოადგენენ (Robertson 1987:384). ვ. გორმანის აზრით, ეს საზოგადოება აპოლონის კულტს სცემდა თაყვანს (Gorman 2004:110).

თუ შევაჯამებთ წყაროების მონაცემებს, რა დასკვნების გამოტანა შეიძლება აქედან:

- ✓ მილეტში არსებობდა აეინაუტების ფენა, რომლის ფუნქცია პლუტარქეს წყაროს დროისათვის იყო სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღება გემზე. ამასთან, ეს, როგორც ჩანს, აეინაუტების ძველი ფუნქციის, ზღვაზე გარკვეული აქტივობის გადმონაშთია.
- ✓ აეინაუტები მათი სახელის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე მუდმივი მოგზაურები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთან, როგორც ჩანს, ძირითადად ბერძნები იყვნენ, თუმცა შეიძლება ბარბაროსიც ყოფილიყო ჩართული მათ საზოგადოებაში (მაგ., სკვითი).
- ✓ როგორც ჩანს, აეინაუტები შავ ზღვაშიც აქტიურობდნენ. ამაზე მიუთითებს მათ საზოგადოებაში ვინმე „სკვითის“ ჩართვა. თუმცა არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეს „სკვითი“ საბერძნეთში მონადგაყიდულის შთამომავალი იყოს, რომელსაც ეს სახელი შერჩა, როგორც, მაგალითად „კოლხი“ იხსენიება სხვადასხვა ეპიგრაფიკულ წარწერაში საბერძნეთიდან.
- ✓ აეინაუტებს ჰქონდათ გარკვეული ორგანიზაცია, საკუთარი საზოგადოება, რომელიც აქტიურობდა გარკვეული ფუნქციით. თუ გავითვალისწინებთ მათი სახელის ეტიმოლოგიას და ასევე აპოლონის კულტის თაყვანისცემას მათ მიერ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი მართლაც მოგზაურები არიან. ცნობილია, რომ აპოლონი მოგზაურთა და მეზღვაურთა მფარველადაც ითვლებოდა.
- ✓ სოციალურ ფენად აეინაუტების აღიარებას, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება წყაროებში მათი იშვიათი მოხსენიების ფაქტი. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს იყო ისეთი კლასი, რომელიც მუდმივად საკუთარ ქალაქში არ იმყოფებოდა და მოგზაურობდა საკუთარ ქალაქსა და მის დაარსებულ კოლონიებს შორის ინტენსიური ვაჭრობის მიზნით, მაშინ გასაგებია, რატომ ახსენდებოდათ იშვიათად მათი მოხსენიება.
- ✓ აეინაუტების შესახებ ცნობები უკავშირდება მილეტს და გასაგებია, რომ ლეგენდარულ 90 კოლონიის გამომყვან მეტროპოლიას უკავშირდებოდეს ამ ტიპის სოციალური კლასის არსებობა. ასევე ძვ. წ.

V საუკუნეში მათი არსებობა ნიშნავს, რომ ათენის აქტიურობის პერიოდშიც ეს სოციალური ფენა არსებობდა, ამასთან ძვ. წ. V საუკუნის ორივე წარწერა ათენიდან არცთუ დაშორებითაა ნაპოვნი, ორ სანაპიროზე მდებარე დასახლებაში.

- ✓ აეინაუტები რომ მართლაც მოგზაურობასთან იყვნენ დაკავშირებული, ამას ადასტურებს ის, რომ მათი საზოგადოება, როგორც ევბეის წარწერიდან ჩანს, თაყვანს სცემდა მოგზაურთა მფარველ ჰერმესს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პლუტარქესთან მოთხრობილია მათი უკვე სახეშეცლილი ფუნქცია და არა თავდაპირველი. ან შესაძლოა, პლუტარქესთან დადასტურებულია ამ „პარტიის“ მცირე პოლიტიკური აქტიურობის პერიოდი.

ჩვენი აზრით, აეინაუტები სოციალური კლასია, რომელიც მილეტის ადრეული საკოლონიზაციო აქტივობის პერიოდში მეტროპოლიასა და კოლონიას შორის დამაკავშირებელი ხიდის როლს ასრულებს. ათენის ძლიერების ხანაში ამ ტიპის აქტივობამ, ალბათ, უფრო ფართო ხასიათი შეიძინა. ასეთი ვაჭრების, მუდმივი მოგზაურების „რეიდის“ ობიექტი უნდა ყოფილიყო ისეთი ახალშენები, სადაც უჩვეულოდ დიდი რაოდენობაა ბერძნული იმპორტისა. ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ ფიჭვნარის ახალშენი, ამ ტიპის სოციალური კლასის, ათენის მოქალაქეებითაც ყოფილიყო დაკომპლექტებული. ამით უნდა აიხსნას იმპორტის გასაკუთრებული სიჭარბე ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე. ეს არ არის ჩვეულებრივი კოლონია, რომელიც ინარჩუნებს გარკვეულ კავშირს მეტროპოლიასთან და ამასთან, მისი მაცხოვრებლები ადგილობრივების ნაწარმითაც ინტენსიურად სარგებლობენ, არამედ ეს არის კოლონია, რომელიც, პრაქტიკულად, ყველა ტიპის საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთს იღებს ათენიდან. ასეთ ინტენსიურად მოძრავ ბერძნებად კი აეინაუტები წარმოგვიდგენია.

ფიჭვნარი, როგორც ჩანს, იყო ქალაქი, რომელშიც ათენელები ინტენსიურად მოძრაობდნენ, რეზიდენტები იყვნენ, მაგრამ აქაური მოქალაქეები არ იყვნენ. ეს გავს კლერუხების მდგომარეობას იმით, რომ ისინი არ კარგავდნენ ათენის მოქალაქეობას და ხშირად მოძრაობდნენ მეტროპოლიას და კოლონიას შორის, ამასთან, ჰგავს ემპორიონსაც იმით, რომ სავაჭრო ადგილია. თუმცა, რადგან კლერუხები მიიჩნევა, რომ იყვნენ მიწის მფლობელები და ამასთან, მეომრებიც და

ფიჭვნარში იარაღი საერთოდ აღმოჩენილი არაა, ძვ. წ. V საუკუნის ფიჭვნარი არც კლასიკური კლერუხია არაა.

საკითხის დაზუსტების მიზნით შევეხებით ერთ მოვლენას: შეიძლება თუ არა ნეკროპოლებში ინვენტარის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელოთ კოლონისტთა პირველი ნაკადის ქონებრივი შესაძლებლობის შესახებ?! ფიჭვნარის კოლონისტებთან დაკავშირებით ა. კახიძე აღნიშნავს: „*ჩანს, რომ პირველი მოახალშენეების კონტიგენტი ძირითადად ღარიბი ფენებითაა დაკომპლექტებული.*“ ამ მოსაზრების გაზიარებამდე, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მოახალშენეებს გარკვეულწილად ეზღუდებოდათ მნიშვნელოვანი ქონების წაღება თან. შეიძლებოდა ჰქონოდათ ქონება, მაგრამ ძირითადად მეტროპოლიაში ოჯახისთვის უნდა დაეტოვებინათ. მაგალითად, ნავპაქტოსის დაფუძნების დეკრეტის მერვე მუხლში წერია: „*ნავპაქტოსის კოლონისტებიდან ისინი, ვინც მამას და თავის ქონებას მამასთან ერთად დატოვებს მეტროპოლიაში, მამის სიკვდილის შემთხვევაში ნებადართულ იქნება, რომ მიიღოს მისი წილი მემკვიდრეობა*“ (Graham 1964:228). ამდენად, თუკი გარკვეული თვალსაზრისით მცირეა ის ქონება, რომელიც ჩატანებულია ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლში, ეს არ არის განპირობებული იმით, რომ ისინი ღარიბები იყვნენ, უფრო იმით, რომ კოლონისტებისთვის შეზღუდული იყო მნიშვნელოვანი ქონების თან წაღება.

ძვ. წ. V ს. ბოლოდან, მას შემდეგ, რაც ათენი მარცხდება პელოპონესის ომში „*ფიჭვნარელ ელინთა ეკონომიკური შესაძლებლობანი თანდათანობით იზღუდება*“ (კახიძე... 2007:168). ფიჭვნარის ძვ. წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი ძვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლთან შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება. „*მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაკავების შემდგომ (V ს. 30-იანი წლები) ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლი საერთოდ წყვეტს ფუნქციონირებას*“ (კახიძე... 2007:168). ბერძნები წავიდნენ თუ განაგრძეს აქ ცხოვრება, ამაზე პირდაპირი პასუხი ა. კახიძეს არ გაუცია. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება იხ. ქვემოთ.

V საუკუნის ბოლოდან IV საუკუნის 30-იან წლებამდე ფიჭვნარის განვითარება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) ნაკლებად ინტენსიური ურთიერთობა მეტროპოლიასთან, 2) ღვინის იმპორტის შესუსტება, 3) სამხრეთ შავიზღვისპირეთთან კონტაქტების გაძლიერება, განსაკუთრებით შედარებით

ინტენსიური კავშირის დამყარება პონტოს ჰერაკლეასთან, 4) ძვირფასი ჭურჭლის შემოტანა თითქმის იგივე ინტენსივობით, 5) ფიჭვნარელი ბერძნების მიერ ეთნოგრაფიული იერსახის შენარჩუნება.

მეტროპოლიასთან შესუსტებული კავშირის ან საერთოდ კავშირის გაწყვეტის მანიშნებელია ატიკური ნაწარმის ძვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლთან შედარებით რაოდენობრივი შემცირება. მართალია, ატიკური ნაწარმი შემოდის ფიჭვნარში და, ამასთან, ატიკური კერამიკული ნაწარმი სამარხეული ინვენტარის წამყვან ნაწილს ქმნის (კახიძე... 2004:96), მაინც მცირეა წინა საუკუნესთან შედარებით. ეს, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია პელოპონესის ომში ათენის დამარცხებასთან (Кахидзе 1979[1]:178).

ღვინის იმპორტიც შემცირებულია ამ დროისათვის. ის ფაქტი, რომ ამფორების რაოდენობა შემცირებულია, ნიშნავს ზოგადად ვაჭრობის და განსაკუთრებით ღვინით ვაჭრობის დაქვეითებას. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ფიჭვნარში შემოტანილი ღვინის ფუნქცია მეტწილად ადგილობრივი ბერძნების ან ჰინტერლანდის დაკმაყოფილება იყო, ვიდრე ფიჭვნარელი კოლხებისა. ძვ. წ. IV საუკუნეში, აქ ბერძნული ან მაგ., ვანში კოლხური მოსახლეობა, რომელსაც ძვირფასი ბერძნული ღვინო დასჭირდებოდა, რა თქმა უნდა, ჯერ ისევ მოსახლეობს, მაგრამ კავშირები უკვე ისეთი ინტენსიური აღარ არის.

ფიჭვნარის დასახლებამ სამხრეთ შავიზღვისპირეთთან გააძლიერა კონტაქტები, თავდაპირველად, როგორც ჩანს, უფრო პონტოს ჰერაკლეასთან. ა. კახიძის აზრით, ამის შედეგია დასახლების თავიდან აყვავება (Кахидзе 1979[1]:179). თუკი ატიკური პროდუქცია სუფრის ჭურჭლის ან ლეკითოსების სახით ყველაზე მეტია ზოგადად იმპორტში, სატრანსპორტო კერამიკაში წამყვან ადგილს ჰერაკლეის ამფორები იკავებდა (კახიძე 1979:52). ეს პირდაპირ მიუთითებს ჰერაკლეასთან ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობებზე. ჰერაკლეასთან არის დაკავშირებული, როგორც ჩანს, ნაცრისფერკეციანი კერამიკის გაჩენაც, რადგან „*ფიჭვნარში ნაცრისფერკეციანი კერამიკა ჩნდება ჰერაკლეურ ამფორებთან ერთად და ქრება მათთან ერთად*“ (Кахидзе 1979[1]:171-173, 176). ასევე, ჰერაკლეიდან ხდება კრამიტის იმპორტიც. ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალაც ამის დასტურია. მაგრამ

ზოგადად *„ჰერაკლეას ამფორების იმპორტის ხანგრძლივობა არც თუ ისე დიდია“* (კახიძე 1971:51). მას საკმაოდ მალე ჩაენაცვლება სინოპი.

საინტერესოა, რომ ძვ. წ. IV საუკუნის ნეკროპოლზე, სადაც ზოგადად უცხოური მონეტები მწირია, აღმოჩენილია პანტიკაპეიონის ჰემიდრაქმაა (სამარხი №87, ისიც გახვრეტილი (კახიძე... 2004:103) საინტერესოა, რომ პანტიკაპეიონში აღმოჩენილია კოლხური პითოსების და ლანგრების ნაშთები ძვ. წ. VI-V სს. კულტურულ ფენებში (კახიძე 1971:64), თუმცა კონკრეტულად ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრისთვის მაინც ეს კავშირი არც წინა და არც შემდგომ, ელინისტურ ხანასთან შედარებით ინტენსიური არ უნდა ყოფილიყო,.

ატიკური მოხატული ვაზების ძვ. წ. IV საუკუნეში შემოტანა პრაქტიკულად იგივე ინტენსივობით, როგორც ეს ძვ. წ. V საუკუნეში იყო (სიხარულიძე 1987: 67, 77, 90, 102) მიუთითებს, რომ ფიჭვნარელს ბერძნებს აქვთ საშუალება, თავის თავს უფლება მისცენ და შეიძინონ ამ ტიპის ფუფუნების საგნები.

ბერძნულ ნეკროპოლზე შენარჩუნებულია მხოლოდ ბერძნებისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესი – აღმოსავლეთისკენ დამხრობა (კახიძე... 2004:92). ეს მიუთითებს, რომ მათ ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი გარკვეული ელემენტების შენარჩუნება ძვ. წ. IV საუკუნეშიც შეძლეს. თუკი თავიდან, ძვ. წ. V საუკუნეში, ყველა სამარხი ძირითადად მიმართული იყო აღმოსავლეთისკენ, მაგრამ ჰქონდა უმნიშვნელო გადახრები, ძვ. წ. IV საუკუნის ბერძნული სამარხების დიდი ნაწილი ზუსტად აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. ა. კახიძე აღნიშნავს, რომ ეს ფიჭვნარის ნეკროპოლის მორიგი თავისებურებაა და ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, *„თითქოს წელიწადის ნებისმიერი დროისთვის უკვე ისწავლეს მხარეთა გამოცნობის ზუსტი ხერხები“* (კახიძე... 2007:25). აქ საინტერესოა ერთი ფაქტი, ცნობილია, რომ ბერძნების ასტრონომიული ცოდნის გაზრდის შედეგად ძვ. წ. V-IV სს-ის მიჯნაზე მათ ღია ზღვაში ცურვა ისწავლეს (Золотарев 1979:94-100). როგორც ჩანს, ეს ასტრონომიული ცოდნა ეხმარება მათ მხარეების ზუსტად განსაზღვრაშიც. აქედან გამომდინარე, ჩანს, ბერძნების ერთმანეთში ურთიერთობისას არა მხოლოდ ვაჭრობის საგნები იცვლებოდა, არამედ ინფორმაციაც ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ.

ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარში ვითარება იცვლება. ამ თვალსაზრისით ფიჭვნარის ისტორიაში მნიშვნელოვანი ძვრებია: 1) ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლი წყვეტს არსებობას, როგორც ჩანს, „მას მერე რაც მაკედონია ამარცხებს საბერძნეთს“ (Кахидзе 1979:314) 2) იწყება ყავისფერკეციანი ამფორების და სხვა კერამიკული ნაწარმის დამზადება ადგილობრივად ბერძნების მიერ, 3) მყარდება ინტენსიური ურთიერთობა სინოპესთან, და როგორც ჩანს, ამისოსთანაც.

ელინისტური ხანის ფიჭვნარის ისტორიის შესასწავლადაც უმთავრეს წყაროს ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე მოპოვებული მასალები წარმოადგენს. პირველ რიგში, აღვნიშნავთ იმას, თუ ვისი უნდა ყოფილიყო ეს სამაროვანი. ა. კახიძე ამ საკითხს ღიად ტოვებს და მხოლოდ სამარხეულ ინვენტარს შეისწავლის. გამომდინარე იქიდან, რომ განსხვავებით ძვ. წ. V და IV საუკუნის სამაროვნებიდან, სადაც მიჯნის გავლება ადვილია ბერძნულსა და კოლხურ სამარხებს შორის, ელინისტური ხანის სამაროვანზე ეს უფრო რთულია. ერთი მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის 305 სამარხიდან მხოლოდ 5-ია კრემაციული. ამასთან, „*კრემაციის წესი ფიჭვნარში ელინთა მიერ უნდა იყოს შემოტანილი*“ (კახიძე... 2007:26), ასევე, კრემაციული სამარხები ელინისტური ხანის სამაროვანზეა აღმოჩენილი. „*ანტიკური ხანის კრემაციული სამარხები ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობას უნდა უკავშირდებოდეს. ძვ. წ. VI საუკუნიდან მათი რაოდენობა მცირდება*“ (კახიძე... 2007:26), როგორც ჩანს, აქ მხოლოდ ბერძნებისგან დაკრძალვის წესის გადმოღებაზე არაა საუბარი. ელინისტური ხანის სამაროვანი ან შერეულია, ან საერთოდაც ბერძნულია. ელინისტურ ხანაში, ძვ. წ. III საუკუნეში, სრულიადაც მოსალოდნელია, რომ აქ იმპორტი ცოტა იყოს და ბერძნები მაინც იყვნენ. ეს ერთი, და ამასთან, ფიჭვნარელი ბერძნების მცირედი ბარბარიზებაც ამ დროისთვის ლოგიკურია, შესაბამისად, ლოგიკურია, მათ კოლხებთან საერთო სასაფლაო გაეჩინათ კიდეც. თუმცა მარტო კრემაციული სამარხების არსებობა, რა თქმა უნდა, საკმარისი არგუმენტი არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ მართალია, კრემაცია ბერძნებისთვის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება, მათში ინჰუმაციური დამარხვის წესიცაა გავრცელებული.

მაშინდელი ბერძნებისა და დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალს შორის მსგავსებაც მიუთითებს დროის

გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში კოლხების მიერ ბერძნებისგან ამ წესის სესხებაზე. ასეთი პერიოდი სავსებით შესაძლებელია ყოფილიყო ელინისტური ხანა. საინტერესოა ერთი ასპექტი – სააღაპო მოედნების არსებობა. მართალია, ძვ. წ. VI ს. დამდეგიდან *„სოლონმა აკრძალა ფუფუნებით დაკრძალვა, მაგრამ განსხვავებული სურათია ანტიკური სამყაროს პერიფერიებში“* (კახიძე... 2007:31). კლასიკური ხანის კოლხურ ნეკროპოლზე აღაპები არაა. სამაგიეროდ ამ რიტუალს იყენებდნენ ფიჭვნარელი ბერძნები (კახიძე... 2010:118). ფიჭვნარში არის სააღაპო მოედნები (ვაშაკიძე... 1979:83). სააღაპო მოედნებზე აღმოჩენილია კერამიკის ნატეხები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მიცვალებულს აკითხავდნენ გარდაცვალების შემდეგ. *„დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჭირისუფალს მისაკითხიც მიჰქონდა“* (კახიძე... 2004:29). მაშინ არსებობდა ასეთი წესი: *„მესამე დღის რიტუალის (ტატრიატა) შესრულების შემდეგ მგლოვიარენი ბრუნდებოდნენ გარდაცვლილის სახლში, რომელიც გლოვის დღეებში ნიშანდებული იყო კარებთან დადგმული ჭურჭლით, გარედან მოტანილი წყლით წასვლისას დაკრძალვის მონაწილენი განიბანებოდნენ“* (კახიძე... 2007:41). ეს წესი ძალიან ჰგავს დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილ წესს – დაკრძალვის შემდეგ, როდესაც მიცვალებულს გამოემშვიდობებიან, ქელეხის წინ ხელს იბანენ იმ ოთახის წინ, სადაც მიცვალებული იყო დასვენებული, აუცილებლად ჭურჭლიდან დასხმული წყლით, ხელსაბანიც აუცილებლად რაიმე სახის ჭურჭელი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში ონკანი. ეს ფაქტი პირველი შემთხვევა არ არის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბერძნების დროინდელი წესების შემორჩენისა. ცნობილია, რომ *„აპოლონიის (სოზოპოლი, ადგილი კალფატა) ნეკროპოლზე შემორჩენილია ჭურჭლის დამტვრევის წესი, რომელიც დღევანდელ ბულგარელთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც შემორჩა“* (კახიძე... 2007:58). ამდენად, მიუხედავად დიდი ქრონოლოგიური სხვაობისა, პარალელი სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ესეც ადასტურებს, რომ კოლხები და ბერძნები გარკვეულ პერიოდის განმავლობაში კულტურული თვალსაზრისით იზოლირებულად არ ცხოვრობდნენ, პირიქით, ისინი იზიარებდნენ ერთმანეთის ტრადიციებსაც. ელინისტური ხანის სამაროვანიც, როგორც ჩანს, უკვე წესებგაერთიანებული ადგილობრივი კოლხებისა და უკვე მათთან დაახლოებული ბერძნების საერთო სამაროვანია.

დაკრძალვის წესების შესახებ ა. კახიძისა და ნ. ვაშაკიძისეული ინტერპრეტაცია შემდეგია: „*ელინიზმის ხანაში თანდათანობით გაქრა ადრინდელი კოლხური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესები. ელინთა მიბაძვით წამყვანი ხდება თავით აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული სამარხები. იშვიათად გამოერევა ფიჭვნარის ადრეული ეპოქებისათვის აგრერიგად დამახასიათებელი ჩრდილოეთისკენ თუ დასავლეთისკენ დამხრობილი სამარხები*“ (კახიძე... 2010:117). ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ აქ ისევ და ისევ ბერძნული დამარხვის წესია გაბატონებული და მცირე გამონაკლისის გარდა, სამარხები აღმოსავლეთისკენაა მიმართული (კახიძე... 2010:21), რაც ტიპურად ბერძნულ რიტუალადაა მიჩნეული,[35] მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამარხები ძირითადად ბერძნულია, მცირე გამონაკლისის გარდა, რომელიც, სავარაუდოდ, მათ გვერდით მოსახლე კოლხებისა უნდა იყოს.

ასევე ის ფაქტიც, რომ ე. წ. ქარონის ობოლებს ისევ აყოლებენ მიცვალებულს, რაც ცალსახად ბერძნული გავლენაა (კახიძე... 2010:119), მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამაროვანი უფრო ბერძნებისაა ან შერეული მაინცაა. თუმცა ეს ფაქტორიც, ისევე როგორც კრემაცია, სიმპტომატურად მხოლოდ ბერძნებისთვის არაა დამახასიათებელი, მათი გავლენით ვრცელდება სხვაგანაც და ამიტომაც თავისთავად მხოლოდ ეს არგუმენტიც არ არის საკმარისი.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ „*დაკრძალვის ეს წესი გვხვდება ძვ. წ. V-IV სს.-ის ფიჭვნარის ბერძნულ ფენებს შორის. იგი თანადროულ კოლხურ სამაროვანზე არაა დადასტურებული. ელინიზმის ეპოქაში ეს წესიც ბერძნებიდან უნდა იყოს შემოსული*“ (კახიძე... 2010:117-118). ამრიგად, კრემაციაც უფრო ბერძნებთან უნდა დავაკავშიროთ ფიჭვნარში, ვიდრე ადგილობრივებთან. შესაბამისად, ელინისტური ხანის სამაროვანიც უფრო ბერძნული ჩანს.

ერთადერთ კონტრარგუმენტად შეიძლება დასახელდეს ელინისტური ხანის სამაროვანზე იმპორტის შემცირება. ა. კახიძე აღნიშნავს, რომ აქ აღმოჩენილი კერამიკის უმრავლესობა ადგილობრივი პროდუქციაა, მცირე ნაწილი შემოტანილია (კახიძე... 1977:32). თუმცა ათენური იმპორტი არც არის ამ დროისათვის აქ მოსალოდნელი რადგან ათენური თალასოკრატიის პირობებში ბევრად უფრო

[35] ბერძნების რწმენით, ღმერთების ადგილსამყოფელი აღმოსავლეთის მხარეს, ხოლო მზერა კი დასავლეთისკენ, ჰადესისკენ იყო მიმართული.

ინტენსიური კონტაქტები იყო – მაშინ ეს იყო მუდმივი მოგზაური ვაჭრების ქალაქი. ძვ. წ. V და IV საუკუნეების ბერძნულ ნეკროპოლზე ფარდობითად მეტი რაოდენობის იმპორტი და მასთან შედარებით ელინისტური ხანის სამაროვნის სიღარიბე არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ ელინისტური ხანის სამაროვანზე ბერძნები არ არიან დაკრძალული, სხვა დანარჩენი არგუმენტი, რითიც უნდა მოხდეს სამაროვნის მიკუთვნება ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისთვის, ბერძნების სასარგებლოდ საუბრობს. მით უფრო, რომ ელინისტური ხანის სამაროვანზე იმპორტული ნაწარმი რაოდენობრივად აჭარბებს ძვ. წ. V-IV სსაუკუნეების კოლხურ სამაროვანზე შემონახულ იმპორტს.

ელინისტურ ხანაში კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ურთიერთობები სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან (Кахидзе 1979:316; Хахутаишвили... 1985:517). ფიჭვნარელი ბერძნები აფართოებენ თავიანთ კავშირებს, განსაკუთრებით სინოპთან. საინტერესოა ერთი ასპექტიც – თუკი ჰერაკლეასთან უფრო ინტენსიური კავშირები დადასტურებულია ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევარში, ელინისტურ ხანაში ეს კონტაქტი სუსტდება და ფიჭვნარელებთან ურთიერთობების მონოპოლიზებას სინოპი ახერხებს. ამას ადასტურებს აქ აღმოჩენილი კერამიკა სინოპური დამღებით, მაგ., ასტინომ პოსიოსის სახელით (იაშვილი 1982:96). სინოპთან სავაჭრო ურთიერთობა ძვ. წ. IV საუკუნეში ელინისტურ ხანამდეც ჰქონდა ფიჭვნარს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სინოპური მონეტების განძი ნაპოვნია ფიჭვნარის ტერიტორიაზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 103 სინოპური დრაქმა (დუნდუა... 2006:44). ასევე, ელინისტური ხანის სამაროვანზე ნაპოვნია სინოპური დრაქმებიც (ვაშაკიძე... 1979:73; კახიძე... 1977:28, 31). საინტერესოა, რომ მცირე რაოდენობის სინოპური დამღებია აღმოჩენილი კოლხეთში, ხოლო სინოპური მონეტები (ძვ. წ. 360-320) დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ქობულეთი-ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე. ჟ. დე ბოერის აზრით, „*ეს ადასტურებს მჭიდრო კონტაქტებს, მაგრამ არა ამფორებით ვაჭრობას*“ (ბოერი 2005:13). უფრო სწორი ინტერპრეტაციაა, ალბათ, რომ კოლხეთი არაფერს ყიდულობდა სინოპისგან, ყიდიდა მხოლოდ, ნედლეულის ბაზა იყო ისევ, ოღონდ ამჯერად სინოპისთვის. საინტერესოა, რომ ის, რაც მანამდე გაჰქონდათ ათენელებს (ხე-ტყე), სინოპს თავისთავად ჰქონდა. ამასთან, ხე-ტყე ათენს ბევრად უფრო დიდი რაოდენობით სჭირდებოდა სამხედრო მიზნებისთვის, მით უფრო, რომ მათ ბრძოლების დროს

რამდენჯერმე გაუნადგურდათ ფლოტი და აღდგენა მოუხდათ. სინოპი, საზღვაო იმპერია, ათენივით არ ყოფილა, მისთვის სამშენებლო ხე-ტყე საჭირო იყო ძირითადად სავაჭრო გემებისთვის, შესაბამისად, ფართო ხასიათი ამ დროს ფიჭვნარიდან ხე-ტყის ექსპორტს, წესით, არ უნდა ჰქონოდა.

1966 წ. ქობულეთში შემთხვევით იპოვეს ამისოს-პირევსის?[36] მონეტა. მონეტა ჩვეულებრივი სპარსული სტანდარტის სიკლია. მონეტას ბრაშინსკი ძვ. წ. IV საუკუნით ათარიღებს, ალექსანდრეს ლაშქრობებამდე პერიოდით (Брашинский 1967:759-760). მისი აზრით, „*ამ მონეტის აღმოჩენა ქობულეთში მიუთითებს ძვ.წ. მე-4 საუკუნეში ამისოსისა და კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობების არსებობაზე*“ (Брашинский 1967:760). ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი მონეტის საფუძველზე ამგვარი მოსაზრების გამოთქმა არ იქნებოდა სწორი. მიუხედავად იმისა, რომ ამისოსი ტერიტორიულად უფრო ახლოს მდებარეობს ფიჭვნართან და კიდეც რომ სავსებით რეალური პირდაპირი კავშირი ჰქონდეთ ერთმანეთთან, მეთოდურად უფრო გამართლებულია მივიჩნიოთ, რომ ეს მონეტა სინოპის საშუამავლო გზით შემოვიდა ფიჭვნარში.

მეგარული თასების მიხედვით ა. კახიძეს შესაძლებლად მიაჩნია ურთიერთობა კუნძულ დელოსთანაც (კახიძე... 2010:123), თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეგარული თასები საბერძნეთის ბევრ ცენტრში მზადდებოდა, ამ მხრივ შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება და კონკრეტულად რომელიმე ცენტრის გამოყოფა ძნელია.

თაზოსთანაც ჩანს სუსტი ურთიერთობა ფიჭვნარელებისა – აღმოჩენილია ერთადერთი თაზოსური ამფორაც ელინისტური ხანის სამაროვანზე (კახიძე... 2010:120).

რაც შეეხება არაპირდაპირ საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს, ფიჭვნარში შემოდიოდა ეგვიპტური ნაწარმიც. ამ დროისათვის სინოპიდან უკვე სახმელეთო გზებითაც უკავშირდებოდნენ ნავკრატისს და, შესაბამისად, პროდუქცია ამ გზითაც მოდიოდა თუმცა ვარაუდობენ როდოსის საშუამავლო როლსაც ნავკრატისთან

[36] ძვ. წ. V ს. I ნახევარში ამისოსი პირევსი გახდა – ათენელებმა დაიპყრეს. პირევსი ეწოდებოდა მას ძვ.წ. IV ს. 30-იანი წწ. ალექსანდრემდე.

ვაჭრობაში. ელინისტური ხანის სამაროვანზე ცისფერი მინის სკარაბეოიდია აღმოჩენილი (ვაშაკიძე... 1979:80).

ფიჭვნარში შემოდის ფინიკიური მინის ნაწარმიც, აღმოჩენილია ალაბასტრები (კახიძე... 1977:28). თუმცა ცნობილია, რომ ფინიკიური მინის სახელოსნო შესაძლოა, ათენშიც იყო და სუსტად, მაგრამ მაინც შენარჩუნებულია კავშირი ათენთან. ძნელია გადაჭრით თქვა, საიდან უნდა იყოს შემოსული ეს ნაწარმი, საბერძნეთიდან თუ სირიიდან.

ელინისტურ ხანაში გარდატეხაა ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუკი აქამდე ეს ქალაქი ძირითადად ნედლეულის ექსპორტით იყო დასაქმებული, როგორც ჩანს, ელინიზმის დასაწყისიდან იწყებს საკუთარი პროდუქციის შექმნას. ამ ფუნქციით უნდა დაწყებულიყო ფიჭვნარშიც ე. წ. ყავისფერკეციანი ამფორების წარმოებაც. ყავისფერკეციანი ამფორები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგანაა ნაპოვნი, მათ შორის ჰინტერლანდში. ეს არის ბერძნული ტიპის კერამიკა – ამფორები. ასევე, აქ ადგილობრივი ფორმისა და ორნამენტაციის ჭურჭელი ჩნდება ბერძნულის მიხედვით, ხშირად წითელლაკიანი კერამიკის მიბაძვით. ტრადიციულად ისინი კოლხური ორნამენტითაა შემკული (Лордкипанидзе 1975:19). მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. „ყავისფერკეციანი“ ამფორები შემდეგში ფართოდ მზადდებოდა კოლხეთის შიდა რაიონებშიაც (ვანი და სხვ.) სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ყავისფერკეციანი“ ამფორების წარმოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი ფიჭვნარი უნდა ყოფილიყო (კახიძე... 2010:38) და მათ დამზადებაში თავდაპირველად მონაწილეობა უნდა მიეღოთ სინოპელ ხელოსნებს (ინაძე 1982:214). ყავისფერკეციანი ამფორების წარმოება ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან, ელინიზმის ეპოქის საწყისი საფეხურიდან იწყება.

რაც შეეხება ამ ამფორების გავრცელების არეალს. ისინი მოპოვებულია თითქმის ყველგან დასავლეთ საქართველოში და ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველომდეც კი *აღწევს „ისტორიულ კოლხეთში, კი პრაქტიკულად არ არის ანტიკური ხანის ნამოსახლარი თუ ნაქალაქარი, სადაც ყავისფერკეციანი კერამიკა არ იყოს აღმოჩენილი“* (კახიძე 1971:55).

ამფორების ფუნქცია, როგორც ცნობილია, საქონლის ტრანზიტია. გამომდინარე იქიდან, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კოლხური ამფორები

ფართოდაა გავრცელებული, ვარაუდობენ, რომ სწორედ იქ გადიოდა აქაური პროდუქცია. საინტერესო ჩანს ისიც, რომ ფიჭვნარის ერთ-ერთ სამარხში დოქი-ამფორა – ტარასაწყაულია აღმოჩენილი. სხვა ჭურჭელზე ტევადობის წარწერაცაა მოცემული. ჩვენი აზრით, ეს საცალო ვაჭრობის განვითარების ნიშანია[37] და იმისაც, რომ აქაური ბერძნები თავად ვაჭრობდნენ თავიანთი პროდუქციით.

ბერძნების ოდნავი ბარბარიზაცია ამ ხანაში გამოიხატა მათ მიერ ადგილობრივი რესურსების გამოყენებით, ბერძნული სტილის შენარჩუნებით, თუმცა ნაკლებად ხარისხიანი, კერამიკის წარმოებაში. აქ აღმოჩენილია კანთაროსისებრი (ვაშაკიძე... 1979:71), არიბალისებრი (ვაშაკიძე... 1979:73), ადგილობრივი წარმოების ჭურჭლები, ასევე, ლუთერიებიც (ვაშაკიძე... 1979:76), სინოპურის მიბაძვით შექმნილი, ელინიზირებული ფორმის იხთიაც (კახიძე... 2010:119-120), ასევე აღმოჩენილია ამფორისკი, რომელსაც კოლხური ამფორის მსგავსი ტანი და ძირი აქვს. ა. კახიძის შენიშვნით, „ამ მონაპოვარს პარალელი არ ეძებნება“ (კახიძე... 2010:41). ყველა ეს ნაწარმი ადგილობრივი ბერძნების მიერ უნდა იყოს შექმნილი აქაური ნედლეულის გამოყენებით. საინტერესოა, რომ გვიანელინისტური ხანის ბერძნული ფორმის ჭურჭელი ჰინტერლანდშიცაა აღმოჩენილი. მაგ., ფარცხანაყანევში კანთაროსისებრი ჭურჭელია ნაპოვნი (მამულაძე 1979:87). ეს ნიშნავს, რომ ბერძნები მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას თავისუფლად ყიდიან ჰინტერლანდშიც.

საინტერესოა, რომ კლასიკური ხანის კოლხური კერამიკული ნაწარმისგან განსხვავებით *„ამ პერიოდის თიხის ჭურჭლებიც არ გამოირჩევიან მაღალმხატვრულობით, ჩნდება დეგრადაციის ნიშნები, რაც კიდევ უფრო საგრძნობია მომდევნო ეპოქებისთვის“* (კახიძე... 1977:50). ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ეს ბერძნების მიერ შექმნილი კერამიკაა, რომელიც განიცდის კოლხების გავლენას, მაგრამ ამასთან ბერძნული კერამიკისთვის დამახასიათებელ ფორმებს ინარჩუნებს, თუმცა ეს არაა ლაკით დაფარული ჭურჭელი.

ელინისტურ ხანაში კიდევ უფრო განვითარდა საფეიქრო საქმე. თუკი ამ დარგის დანიშნულება ადრე შეიძლებოდა ყოფილიყო გემებისთვის საჭირო იალქნებისთვის ქსოვილის წარმოება, როგორც ამას ა. კახიძე ვარაუდობს (კახიძე...

[37] ალტერნატიული აზრის არიან ა. კახიძე და ნ. ვაშაკიძე, მათ ტარასაწყაოს აღმოჩენა საბითუმო ვაჭრობის განვითარების ნიშნად მიაჩნიათ. იხ. ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი. ბათუმი – ოქსფორდი. 2010, გვ. 119.

2004:142), ელინისტურ ხანაში, როდესაც ფიჭვნარელები ათენს აღარ აწვდიან ნედლეულს, როგორც ჩანს, ეს დარგი უფრო ადგილობრივ მომხმარებელს ემსახურება. თუმცა აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: კვირისთავების რაოდენობა ელინისტური ხანის სამაროვანზე გაცილებით მეტია. თუკი ძვ. წ. V ს-ის როგორც კოლხურ, ისე ბერძნულ ნეკროპოლებზე ერთად სულ 1 ცალია აღმოჩენილი, ელინისტური ხანიდან რამდენიმე თიხის კვირისთავია ცნობილი (ვაშაკიძე... 1979:71, 77).

ფიჭვნარში განვითარებულია თევზჭერა. სავარაუდოდ, საკაბოტაჟო თევზჭერა (კახიძე... 2004:142). ამის დასტური უნდა იყოს დიდი ზომის ქვის საწაფის აღმოჩენა. თუმცა, ელინისტურ ხანაში მისი ფართო ექსპორტი ნაკლებადაა მოსალოდნელი. სავარაუდოდ, იგი თვითონ ქალაქის მოსახლეობისთვის იყო გამიზნული. როგორც ჩანს, თევზი, ისევე როგორც ღორის ხორცი, ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური რაციონის ნაწილი იყო. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ოსტეოლოგიურ მასალაში საკმაოდ ბევრი ღორის ძვალია აღმოჩენილი.

ძვ. წ. II სს-ის დასასრულისთვის ქალაქი ფიჭვნარი წყვეტს თავის არსებობას. მ. ინაძის აზრით, „*საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის მოშლა ფიჭვნარის ტერიტორიაზე გამოიწვია სწორედ მწარმოებლური საზოგადოების საბოლოო გაჩანაგებამ და მოშლამ*“ (ინაძე 1982:208). ხახუტაიშვილის აზრით, ფიჭვნარის მიტოვება გეომორფოლოგიურ ცვლილებებს, კერძოდ, ლაზურ ტრანსგრესიას უკავშირდება (ქსე 1986:340). საინტერესოა, რომ განსხვავებით რიგი ბერძნული ქალაქებისგან კოლხეთის ტერიტორიაზე (დიოსკურია, ფაზისი), ფიჭვნარი მითრიდატეს ხანაში აქტიური აღარ არის. მითრიდატეს შემოსვლით გამოწვეული დროებითი ეკონომიკური აღორძინება ფიჭვნარს აღარ შეეხო. როგორც ჩანს, ამ მხარით არ დაინტერესდა პონტოს მმართველი, და ელინისტური ხანის ფიჭვნარის საბოლოო კვდომაც ამან გამოიწვია.

ამრიგად, ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე ფიჭვნარი არსდება, როგორც იონიური კოლონია. ამ კოლონიის დაარსების უშუალო მიზეზი, მილეტის იმ პერიოდის საჭიროებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ამ რეგიონში ოქროს ძიებაა, შემდეგი ეტაპი ფიჭვნარის ცხოვრებაში ათენელების მოსვლაა, ქალაქი იქცა მუდმივი მოგზაური-ვაჭრების ქალაქად, სპეციფიურ ემპორიად (?), სადაც თავს იყრიდნენ მუდმივად მოგზაური ბერძნები, ამასთან ნაწილი, შესაძლოა ცხოვრობდა

კიდეც აქ. ესენი იყვნენ არა პოლის-ფიჭვნარის მოქალაქეები, ვინაიდან ფიჭვნარი პოლისი არ ყოფილა, არამედ ათენისა, და ისინი მუდმივად ინარჩუნებდნენ კავშირს ათენთან. ამით აიხსნება ბერძნულ ნეკროპოლზე უჩვეულოდ დიდი რაოდენობის იმპორტული ნაწარმის არსებობის ფაქტი ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარში აქ სინოპელები მოდიან, ამის დასტურია მათი დიდი გავლენა ადგილობრივი კერამიკის წარმოებაზე. ელინისტური ხანის სამაროვანი მათი და, ალბათ, მცირე რაოდენობით კოლხების სასაფლაოა. ძვ. წ. II საუკუნეში ქალაქი საერთოდ წყვეტს არსებობას და მითრიდატეს ხანაში ის არც აღორძინებულა განსხვავებით ფაზისისა და დიოსკურიისგან.

ელინური ექსპერიმენტის დასასრული დასავლეთ საქართველოში და მისი შედეგები

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრება დაკნინდა და ისევ ეკონომიკური კრიზისია. ბერძნები ბარბარიზდნენ და დასავლურ ეკონომიკურ სისტემებთან შერწყმის ილუზია აღარ არსებობს. შემდგომ მოდიან რომაელები, თუმცა ისინი ამ მხარეს უკვე მხოლოდ განაპირა, პონტოს ლიმესის ნაწილად აღიქვამენ, მას დიდი ეკონომიკური დატვირთვა ნედლეულის გაზიდვის თავლსაზრისით აღარ აქვს და დიდად ჰინტერლანდითაც არ ინტერესდებიან. შედეგად, დასავლეთ საქართველოში იწყება პროტოფეოდალური საზოგადოების რეორგანიზება. შემდგომი ეტაპი პროტოფეოდალიზმიდან ფეოდალიზმზე გადასვლა უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეს პროცესი რამდენადმე რთულად მიმდინარეობდა და საბოლოოდ დასრულდა მთიელთა ჩამოსახლების დასრულების შემდგომ. რადგან მთიელთა ჩამოსახლება ამ პროცესების თანმდევი შედეგია, დაწვრილებით მიმოვიხილავთ ამ საკითხს.

ახ. წ. I-II სს-ში ნარატიულ წყაროებში ჩნდება ახალი ეთნონიმები: ლაზები, აფშილები, აბაზგები, სანიგები. მეცნიერთა ნაწილი (ინალ-იფა, მ. გუნბა და სხვ.) მიიჩნევს, რომ ეს ტომები ადრეც მოსახლეობდნენ იმავე ტერიტორიაზე, მაგრამ ადრე მათ სახელს სხვა ტომთა ეთნონიმები ფარავდა (მაგ: კოლხები, კორაქსები, კოლები და სხვ.). მეცნიერთა მეორე ნაწილი (გ. მელიქიშვილი, მ. ინაძე და სხვ.) ფიქრობს, რომ ლაზები, ისევე როგორც აფშილები და აბაზგები, მთიელი ტომები არიან და სწორედ ამ დროს ჩამოსახლდნენ მთიდან, ლაზები – სამხრეთ კავკასიის, ხოლო აფშილები და აბაზგები – ჩრდილო კავკასიის მთიანი ზონიდან. განსხვავებული მოსაზრებები არსებობს აფშილ-აბაზგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხზეც. ზოგიერთი მათ აფხაზურ-ადიღეურ, ზოგი – კოლხურ ტომებს (ძირითადად, ენათმეცნიერები), ზოგიც ერთ-ერთ ქართველურ ტომს – მესხებს უკავშირებს.

აფხაზეთში ცვლილებები იწყება ჯერ კიდევ ძვ. წ. II-I სს-ში ჰენიოხების დასავლეთით ჯიქების (ბერძ. ძიქები) ჩამოსვლა-დამკვიდრებით. შემდეგ გამოჩნდნენ აფშილები, რომელთაც პირველად პლინიუსი იხსენიებს დაახლოებით მდინარე ასტელეფთან (კოდორი) დიოსკურიასთან ახლოს (Plin. NH, VI, 14). შემდეგ

აფშილებს იხსენიებს არიანე (Arr. PPE. 11. 11.). ახ. წ. II ს-ში გამოჩნდნენ აბაზგებიც, რომელთაც პირველად არიანე იხსენიებს. აფშილებისა და აბაზგების ეთნიკური კუთვნილების შესახებ ჩვენი მოსაზრება უკვე გამოქვეყნებულია (ფიფია 2010) და ამ საკითხზე აღარ გავამახვილებთ ყურადღებას.

ახ. წ. I საუკუნეში კოლხეთის სანაპიროს რიგ ადგილებში, სადაც ადრე ბერძნები აქტიურობდნენ, უკვე კოლხეთის მეფეები ჩანან. სანაპიროზეც კი მათი იურისდიქცია ვრცელდება. ამ მხრივ სიმპტომატურია ანიკეტის აჯანყებასთან დაკავშირებით სედოხეზების მოხსენიება წყაროებში. სედოხეზები იხსენიებიან მხოლოდ ერთადერთ წყაროში ტაციტუსთან (Tacit III. 48). სხვა წყაროებისთვის ეს ტომი უცნობია. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ტაციტუსთან მოხსენიებული მდ. ხობი, რომელიც შესაძლოა იყოს ან დღევანდელი მდინარე ხობი, ან არიანეს ქობოსი (დღევ. ენგური), ან სამხრეთში, ისტორიული ჭანეთის ტერიტორიაზე ჭოროხის სამხრეთ დასავლეთით არსებული მდინარე ხოფა, შესაბამისად, სედოხეზების ტომი ან ჭანური ტომია (თუკი ანიკეტი სამხრეთ სანაპიროზე ეძებდა თავშესაფარს და არა ცენტრალურ კოლხეთში), (Ломоури 1981:210) ან ლაზური (Меликишвили 1959:369) ან სხვა კოლხური ტომია (Анчабадзе 1964:190). აღსანიშნავია, რომ თუკი ძიდრიტები დაახლოებით I–II სს-ის მიჯნაზე და შემდგომ II ს-ში ცხოვრობდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მაკრონ-ჰენიოხებსა და ლაზებს შორის, მაშინ მდ. ხოფა სწორედ მათ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, ანუ ქართლის მეფისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე. ხოლო თუ ტაციტუსის მდ. ხობის ქვეშ დღევანდელი მდ. ხობი იგულისხმება, ნებისმიერი კონიუნქტურით სედოხეზები ლაზური ტომია, ხოლო თუ ტაციტუსის ცნობაში სამხრეთის ხოფაა ნაგულისხმევი, რაც, ს. ჯანაშიას აზრით, ნაკლებადაა დასაჯერებელი, მაინც საქმე მეორე ქართველ ტომთან – ჭანებთან – გვექნება (ჯანაშია 1949:190).

ჩვენი აზრით, ყველაზე რეალურია ტაციტუსის მდ. ხობი გავაიგივოთ არიანეს ქობოსთან, ანუ ენგურთან. ანტიკურ ავტორებთან მოხსენიებული მხოლოდ ამ ჰიდრონიმის, ანუ არიანეს ქობოსის ფონეტიკურად დაკავშირება ჩანს ყველაზე რეალური ტაციტუსის ხობთან. ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ არიანეს ქობოსი

ნამდვილად მდ. ენგურია. ამრიგად, სედოხეზები მოსახლეობდნენ მდ. ენგურის შესართავთან, ბარში და ისინი კოლხურ ტომებს წარმოადგენდნენ (ფიფია 2011).

ენგურის შესართავთან კოლხური ტომების მოსახლეობა, მაშინ როდესაც მანამდე ეს ადგილი გიენოსელი ბერძნებისთვის სრულიად სხვა, ხე-ტყის სვანეთიდან ჩამოტანის ფუნქციას ასრულებდა, ლოგიკურია. ბერძნები აქ აღარ აქტიურობენ და კოლხები დასახლდნენ.

წელთაღრიცხვების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში მომხდარი ეთნიკური ცვლილებების პროცესის თვალსაჩინოდ დასანახად აუცილებელია მათ თვალი დინამიურად მივადევნოთ. კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთით, ქ. დიოსკურიიდან (დღევ. სოხუმი) აღმოსავლეთით, სტრაბონის მიხედვით, განსახლებულნი არიან აქეელები, მათგან აღმოსავლეთით – ზიგები, ჰენიოხები და შემდეგ კერკეტები. სტრაბონი თავდაპირველად წერს, რომ კერკეტების სანაპიროს შემდეგ არის აქეელთა სანაპირო ხუთასი სტადიონი, მერე ჰენიოხთა – ათასი სტადიონი, ხოლო დიდი პიტიუნტისა დიოსკურიამდე სამასსამოცი. ეს ცნობა მას არტემიდორესგან (ძვ. წ. II-I სს.) აქვს აღებული. შემდეგ თვითონვე წერს, რომ „მითრიდატეს ამბების აღმწერნი, რომელთაც მეტად დაეჯერებათ, ამბობენ, რომ ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები“. სტრაბონის დასკვნა, ჩვენი აზრით, მართალია, რადგან მის თანამედროვეობასთან ეს კონიუნქტურა უფრო ახლოსაა. გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს, რომ დასახელებულ ტომებს ზემოთ, ანუ მთიანეთში ცხოვრობენ ფთეიროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან (Strabo, 2, 14, 12). სტრაბონთან ჩანს, რომ ის ეთნოპოლიტიკური ძვრები, რომელთაც ადგილი ჰქონდა შემდეგ საუკუნეში (ან შესაძლოა სტრაბონის უმცროსი თანამედროვეების ხანაში), უკვე დაწყებულია. ძვ. წ. II-I სს-ში ჰენიოხების დასავლეთით ჯიქები (ძიქები) სახლდებიან და მკვიდრდებიან. მ. ინაძე აღნიშნავს, რომ სარმატული ტომების დამკვიდრება ძვ. წ. II ს-დან დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ძვ. წ. III-II სს-ში ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ უკრაინის ვრცელ ტრამალებზე სარმატულ ტომთა ახალი მასების მოზღვავებასთან. ამასთან დაკავშირებით *„საგულისხმოა სოხუმის მახლობლად ეშერის ნაქალაქარზე სკვითურ-სარმატული ტიპის ძვ. წ. III-II სს-ის საბრძოლო იარაღის აღმოჩენა“* (ინაძე 1992[2]:47-48).

სტრაბონთან მოხსენიებულ კავკასიონთან მოსახლე „პატარა ტომებში“ შეიძლება იგულისხმებოდეს აფშილებიც და აბაზგებიც (ლეთოდიანი 1991:6). ამრიგად, სტრაბონთან დაცულია ცნობა იმ მოსალოდნელი მიგრაციის შესახებ, რომელიც შემდგომ განხორციელდა უკვე სტრაბონის უმცროს თანამედროვეთა ხანაში.

დიოსკურიიდან ტრაპეზუნტამდე მოსახლეობდნენ (ყოველ შემთხვევაში სანაპირო ზოლზე მაინც) კოლხები, რადგან მთა ტრაპეზუნტი მოხსენიებულია ტიბარანიისა და კოლხიდის საზღვარზე (Strabo. VII. 4. 3, 12). სტრაბონის ცნობით, კოლხეთს საზღვრავენ: ჩრდილო-დასავლეთით – ჰენიოხების თემი. სასაზღვრო ხაზი, ს. ჯანაშიას აზრით, გადიოდა დააახლოებით პიტიუნტთან ან მის დასავლეთით, ჩრდილოეთით – კავკასიონი, დასავლეთით – შავი ზღვა, სამხრეთ-დასავლეთით – ტრაპეზუნტი (ჯანაშია 1988:296).

ჰენიოხებისა და მოსხების გარემოცვაში სტრაბონი იხსენიებს კერკეტებს, რაც, ს. ჯანაშიას აზრით, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი კავკასიონის ჩრდილო კალთაზე ცხოვრობდნენ (ჯანაშია 1988:302). სანებისა და მცირე არმენიის მახლობლად, კლდოვან მთა სკიდისესთან, რომელიც უერთდება მოსხურ მთებს, სტრაბონი ასახელებს აპაიტებს, უწინდელ კერკეტებს. როგორც ჩანს, ისინი მთის შუა კალთებზე ბინადრობდნენ, რადგან იქვე სტრაბონი წერს, რომ სკიდისეს მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს (Strabo. XII. 3. 18, 12). მდ. ჭოროხის შესართავთან, მ. ინაძის აზრით, *„ჩერქეზული მოსახლეობის გაჩენა შეიძლება აიხსნას ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მწირ და უნაყოფო ადგილებში ჩერქეზების ერთი ტომის აქ ჩამოსახლებით“* (ინაძე 1992[1]:162).

ჩერქეზული ეთნიკური ჯგუფების ბინადრობა მართლაც სავარაუდოა კოლხეთის სამხრეთ რეგიონებში, თუ გავითვალისწინებთ ადიღეურ სამყაროსთან დაკავშირებულ ტოპონიმებს. თუმცა ამ სახელების საფუძველზე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისას უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ წერილობით ცნობებში ამგვარი ტოპონიმები დადასტურებული არ არის, რის გამოც ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, ლიტერატურული წყაროებით შევამოწმოთ კოლხეთში ამ სახელების წარმოქმნის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

სტრაბონის ჰეპტაკომეტები ქსენოფონტეს სკვითინები არიან. სკვითინები, იგივე შკვითინები (შკვითი – შვიდი მეგრულად) ჰეპტაკომეტები, ანუ შვიდსოფლელნი არიან. როგორც ჩანს, აქ საქმე შვიდი დასახლებული პუნქტის გაერთიანებასთან გვაქვს, რომელიც ეთნიკურად მეგრულ-ჭანურ ტომებს მიეკუთვნებოდა. მათთან მოსახლეობდნენ, ასევე, მოსინიკები და ბიძერებიც.

რაც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსხების (მესხების) მოსახლეობის საკითხს, აფხაზეთში მოსხებს ასახელებენ ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. V ს.), პალეფატე აბიდოსელი (ძვ. წ. IVს.) და მითრიდატეს ომების ისტორიკოსები.

პალეფატეს მდ. პართენიოსი (რომელთანაც ის მოსხებს ასახელებს) მცირე აზიის მდინარე კოჯა-ირმაკია. ამრიგად, მას აღრეული აქვს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე მოსხები ძვ. წ. VI ს-ში მცირე აზიაში მობინადრე მოსხებთან. მ. ინაძის აზრით, *„მოსხების კერკეტების ზემოთ (ჩრდილო-აღმოსავლეთით) დასახელება უნდა გულისხმობდეს მათ განსახლებას არა დღევანდელი აფხაზეთის სანაპირო ზოლზე, არამედ მის შიდა, მთიან რეგიონში“* (ინაძე 1992[1]: 162-163).

ამ საისტორიო ტრადიციას თუ დავუჯერებთ, ძვ. წ. V-I სს-ში მოსხთა ადგილსაცხოვრისი დღევანდელი აფხაზეთის შიდა მთაგორიან ადგილებშია სავარაუდო, ვიდრე უშუალოდ სანაპირო ზოლზე, რითაც შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ბერძენი ავტორები: ფსევდო სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. IVს), არტემიდორე ეფესელი (ძვ. წ. III-II სს) ძველი პიტიუნტიდან ტუაფსემდე სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა შორის მოსხებს არ ასახელებენ. მოსხთა ბინადრობას ჩრდილო კოლხეთის მთის სხვა რეგიონებში VI ს-ში, მ. ინაძის აზრით, პროკოფი კესარიელის ცნობაც ადასტურებს (ინაძე 1992[1]:163).

ამრიგად, ჩრდილო კოლხეთის მთიან რეგიონებში შეიძლება ვივარაუდოთ მესხური ტომების ბინადრობა. მოსხებად წოდებული ერთ-ერთი ტომის განსახლება სავარაუდოა აფხაზეთის ტერიტორიაზე, დასავლურქართული (ჭანურ-ზანური) და სვანური მოსახლეობის გვერდით. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ადგილებში მოსხთა მიგრაციის პროცესი ამაზე ადრე, ჯერ კიდევ წინაანტიკურ ხანაშია (ძვ. წ. VIII-VII სს) საფიქრებელი. ამ დროს შეინიშნება აღმოსავლეთიდან სხვადასხვა ქართველი ტომების: ბიძერების, ქათარზების გადანაცვლება კულხას ყოფილი სამეფოს ცენტრისკენ, იგანიეხ-ჰენიოხის ეთნიკური მასების გაჭრა ჩილდირის ტბის

მიდამოებიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ და მათი ამ სანაპიროს სხვადასხვა რეგიონში განსახლება (ინაძე 1992:19). როგორც ინაძე აღნიშნავს, ამ თვალსაზრისით *„ნიშანდობლივია ტოპონიმის „მცხეთაშ“ გაჩენა ჩრდილო კოლხეთშიც, კერძოდ სვანეთში“* (ინაძე 1992[1]:164).

მიუხედავად ამ მონაცემებისა, ნ. ლომოურის აზრით, მოსხებს აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთოდ არ უცხოვრიათ (ლომოური 1998:25). ჩვენი აზრით, შესაძლოა, ანგარიში არ გავუწიოთ ლოგოგრაფოსთა მონაცემებს, მაგრამ სტრაბონის ცნობის უგულვებელყოფა მეტად რთულია. აქვე აღსანიშნავია, რომ პროკოფის მოსხები, ჩვენი აზრით, არა ჩრდილოეთში, არამედ სამხრეთში ბინადრობდნენ.

აფხაზეთის მთიან რეგიონებში, სტრაბონის მიხედვით, ფთეიროფაგებიც ცხოვრობენ, როგორც ჩანს, უფრო დასავლეთით, ვიდრე მოსხები. ფთეიროფაგები იგივე კოლხები არიან (იხ. ზემოთ). აღსანიშნავია, რომ სტრაბონის დროისთვის აღარ იხსენიებიან კორაქსები და კოლები, რომელთაც ადრეულ ხანაში ეკავათ ტერიტორია მდ. ბზიფსა და დღევანდელ სოხუმს შორის, იგულისხმება როგორც სანაპირო, ასევე მთიანი რეგიონები. აღნიშნულ ტომთაგან კოლებს, ძირითადად, უნდა ეცხოვრათ კავკასიონის ფერდობებთან მდებარე ადგილებში. კორაქსების ადილსაცხოვრისი უმთავრესად ჩრდილო-დასავლეთით უნდა ვიგულისხმოთ. ჰეროდოტეს წვრილ ტომებში (Herod. I, 203), მ. ინაძის აზრით, უნდა იგულისხმებოდნენ კოლები და კორაქსები (ინაძე 1992[1]:159). შესაძლოა, კოლები და კორაქსები აღარ მოიხსენიებიან, რადგან მათ სახელს კოლხების სახელი ჰფარავს, რომლებიც სტრაბონთან ქ. დიოსკურიის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, ან, შესაძლოა, მათი ასიმილირება მოხდა ჰენიოხების მიერ.

სტრაბონის შემდგომი ისტორიკოსები აფიქსირებენ ძირეულ ცვლილებებს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მითრიდატეს ისტორიკოსებიდან პირველად მემნონი ასახელებს სანეგებს და ლაზებს: *„კლეოხარეს მემკვიდრეებმა ეს რომ დაინახეს... თვითონ კი ნავებზე [დასხდნენ] და გაიქცნენ პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთის მხარეებში; ამ ადგილებში ხომ სახლობდნენ სანეგები და ლაზები“* (Memnon. XVII. 54.7).

მემნონთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამ ავტორის მოღვაწეობა და თხზულების შექმნის პერიოდი ზუსტად არ არის დათარიღებული. ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ ის ძვ. წ. I ს.-ახ. წ. I ს-ის მოღვაწეა, მაგრამ რადგანაც ასახელებს სანეგებს და ლაზებს, შესაძლოა, ის სტრაბონის უმცროსი თანამედროვე ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ლაზებსა და სანიგებს პირველად პლინიუსი იხსენიებს.

ჩვენი აზრით, მემნონის ცნობაში უფრო ადრეული ვითარებაა ასახული, ვიდრე პლინიუსთან, რადგან პლინიუსი, გარდა სანიგებისა და ლაზებისა, იხსენიებს აფშილებსაც, რომელთაც, მართალია, თავიდან სანაპიროს მცირე ზოლი ეკავათ, მაგრამ თუკი მემნონის დროს ისინი უკვე ჩამოსახლებული იყვნენ, აუცილებლად იქნებოდნენ დასახელებული ლაზებსა და სანიგებს შორის. ამგვარად, მემნონი მოიხსენიებდა ან ლაზებსა და აფშილებს, ან სანიგებსა და აფშილებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ, შესაძლოა, ლაზთა სამეფო ერთიან ეკონომიკურ სივრცედ აღიქმებოდა, ხოლო სანიგთა სამეფო – მისგან განსხვავებულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონად. ჩვენი აზრით, ლაზთა გავლენა ვრცელდებოდა დიოსკურიაზეც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სამხრეთით არ ვრცელდებოდნენ.

ახ. წ. I ს-ში პლინიუსი თავის „ბუნების ისტორიაში“ პირველად იხსენიებს აფსილთა ტომს ლაზთა და სანიგთა მეზობლად მდ. ასტელეფოსის (კოდორი) და მდ. ხრისოროასის (კელასური) მახლობლად. აქედან გამომდინარე, I-II სს-ში აფსილებს უნდა სჭეროდათ მდ. კოდორის (წებელდის) ხეობა. ჩრდილო-დასავლეთით მათი მიწა-წყალი ციხე-ქალაქ სებასტოპოლისამდე აღწევდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი – სვანთა ქვეყნამდე. რაც შეეხება სანაპირო ზოლს, „აფსილებს აქ დიდი მონაკვეთი არ უნდა სჭეროდათ“ (არბოლიშვილი 2006:21-22).

წებელდის გვიანანტიკური კულტურის (II-VI სს.) კერამიკულ ინვენტარს აფშილებს უკავშირებენ, რადგან ეს კერამიკა, ზოგი არქეოლოგის მოსაზრებით, არსებითად განსხვავდება წებელდის ადრეანტიკური კერამიკისგან (Воронов 1969:75), თუმცა წებელდური კულტურის ელემენტები გენეტიკურად უკავშირდება, ასევე, წინამორბედი ხანის კოლხურ-ყობანურ კულტურას, რაც, სხვა მხრივ, თ. თოდუას აზრით, ძველი კოლხური მოსახლეობის ეთნოკულტურული ტრადიციების გაგრძელებაზე უნდა მიუთითებს (თოდუა 2000:190).

წებელდურ კულტურაში უცხო ელემენტების გაჩენა და, ამასთან, კოლხური ტრადიციების შენარჩუნება, ჩვენი აზრით, მიუთითებს სწორედ იმას, რომ აქ ლაზებისა და აფშილებისაგან შემდგარი შერეული მოსახლეობა ბინადრობდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ, მ. ინაძის აზრით, თუკი „აფსაროს-ჭოროხის შესართავის მახლობლად მოსახლე კერკეტ-ჩერქეზების მეზობელ დასავლურქართულ ტომებთან შერწყმა-გათქვეფის პროცესი შედარებით ადრე დასრულდა (ამ კერკეტების ადიღეური წარმომავლობის კვალი უთუოდ მდ. აფსაროსისა და მითიური პერსონაჟის აფსირტეს სახელებში შემორჩა), ჩრდილო კოლხეთში, კოდორის ხეობაში მობინადრე აფსილები უფრო დიდხანს ინარჩუნებენ საკუთარ ეთნიკურ სახელს, ამასთან, ცალკე ეთნოპოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებულნი საუკუნეების მანძილზე განაგრძობენ არსებობას.“ (ინაძე 1992[2]:53)

ჩვენი აზრით, აფსილთა სახელის შენარჩუნება გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ აქ ფეოდალიზაციისთვის აუცილებელი არისტოკრატიული ფენის შევსება, ძირითადად, აფსილთა ბაზაზე განხორციელდა, შედეგად ამ მხარეს, ლაზიკის სამეფოში შემავალს, იმთავითვე ეკონომიკური თვალსაზრისით მაინც (თუ პოლიტიკურადაც არა) სახელი აფსილთა ტომმა მისცა.

ეთნონიმი აფსილი, ჭოროხის სახელწოდება აფსაროსი – აფსარი, მ. ინაძის აზრით, სავარაუდოდ, მიუთითებს არაუგვიანეს ძვ. წ. IV საუკუნისა კოლხეთის ზოგიერთ რეგიონში ადიღეური ეთნიკური ჯგუფების ბინადრობას. მაგრამ, ამასთან, აღნიშნავს, რომ *„აფს“ ძირიანი სახელების გაფორმება ქართულ-ზანური (ელ-ილ, არ) სუფიქსებით, იმის მაუწყებელიც არის, რომ ადიღეური ტომები ამავე დროს თანაარსებობდნენ ქართულ მოსახლეობასთან და გარკვეული ხნის განმავლობაში ქართული ეთნიკური სამყაროს გარემოცვაში იმყოფებოდნენ... აფსილი ტომები ქართული მოსახლეობის გვერდით იყვნენ ახ. წ. I ს-ზე ადრე, რადგან ამ დროს ეთნონიმი აფსილი უკვე ქართული სუფიქსით გაფორმებული შედის ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში*“ (ინაძე 1992[1]:168). ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ელინისტურ ხანაში ადიღეური ტომების ბინადრობა სანაპირო ზოლზე შეუძლებლად მიგვაჩნია, საფიქრებელია, რომ ისინი ამ დროს მთებში ცხოვრობდნენ, თუმცა არ არის გამორიცხული, კავშირი ჰქონოდათ ბართან, თუ გავითვალისწინებთ ცნობებს დიოსკურიაში მრავალ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხის თავმოყრის შესახებ.

ახ. წ. I ს-დან აფხაზეთის ტერიტორიის სანაპიროზე პლინიუსი აღნიშნავს ახალ სატომო სახელწოდებას – „სანიკი“. ერთხანს ამ ეთნონიმის მქონე ტომი ჰენიოხთა გვერდით მოიხსენიება, მაგრამ ახ. წ. II საუკუნის დამდეგისთვის მრავალი წვრილი ტომის შემცველი ჰენიოხთა გაერთიანება (ისევე, როგორც ეს სახელწოდება) ქრება წყაროებში და მათ ადგილს სანიგთა სამთავრო იკავებს, რომელიც, ისევე როგორც ჰენიოხთა სატომო კავშირები, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. არიანეს გადმოცემით, მათ მიწა-წყალზე მდებარეობდა ქ. სებასტოპოლისი (დღევ. სოხუმი), დასავლეთით კი იგი მდ. აქეუნტს (დღევ. შახე) აღწევდა.

ნ. ლომოურის აზრით, *„I-II სს-ში სანიგები განსახლებული იყვნენ დღევანდელი სოხუმიდან დაახლოებით დღევანდელი განთიადის სექტორამდე“* (ლომოური 1998:31), მაგრამ, წყაროებით, არიანესთან გარკვევით არის აღნიშნული, რომ მდ. აქეუნტი (დღ. შახე) ჰყოფს ძილქებსა და სანიგებს.

თუკი II საუკუნეში სანიგებს ვრცელი სანაპირო მიწები ეჭირათ ქ. სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე (შახე), V საუკუნისთვის სანიგებს ამ ტერიტორიის ნაწილი შერჩენიათ მდ. აბასკოსიდან (ბზიფი, ფსოუ ან მძიმთა) აქეუნტამდე (შახე), სანაპირო ზოლი კი ბზიფიდან დაახლოებით დღევანდელ ახალ ათონამდე (ძვ. ანაკოფია) აბასკების პოლიტიკურ ერთეულში იყო შესული. *„VI საუკუნისთვის აბაზგების პოლიტიკურ გაერთიანებაში ექცევა სანიგთა სამთავროს დანარჩენი ნაწილი. პროკოფი დასავლეთით იხსენიებს არა სანიგებს, არამედ ბრუქებსა და ჯიქებს“* (ინაძე 1992[2]:58).

არიანესთან (II ს.) პირველად იხსენიებიან აბაზგები. „აფსილების მეზობლები აბასკები არიან, აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი“ (Arr. PPE. 11. 11). ჩანს, მდ. აბასკოსი (ფსოუ, ბზიფი ან მძიმთა) ზღვასთან შეერთების ადგილას, სანიგების მიწა-წყალზეა. საფიქრებელია, რომ აბაზგები ჯერ კიდევ მთებში ბინადრობდნენ და მდინარეს სახელი მის სათავეებთან მცხოვრები ტომის სახელის მიხედვით შეერქვა.

არიანეს დროს აბაზგები ძლივს აღწევენ სებასტოპოლისს, მაგრამ V საუკუნეში ისინი უკვე ვრცელდებიან მდ. აბასკოსამდე. მოგვიანებით, ბიზანტიურ პერიოდში, აბაზგები ვრცელდებიან ნიკოფსიამდე (ადრეულ წყაროებში „ძველი

ლაზიკა“ – თანამედროვე ნეგოფსუხო). ამგვარად, ისინი დაეუფლნენ სანიგების ტერიტორიას მთლიანად და უშუალოდ გაუმეზობლდნენ ჯიქებს. ამის შემდეგ სანაპიროზე რჩება მხოლოდ ორი სახელწოდება: აბაზგია (აფხაზეთი) და ჯიქია (ჯიქეთი) (Меликишвили 1959:69).

აბაზგებისა და სანიგების შერწყმა, ძნელი სათქმელია, რა ფორმით გამოიხატა. ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა ენაზე საუბრობდნენ ეთნიკურად შერწყმული აბაზგები და სანიგები, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არ მომხდარა სრული გაძევება სანიგებისა მათი ყოფილი საცხოვრისიდან. საფიქრებელია, რომ ეს ორი ტომი: ბარის მოსახლეობა სანიგებისა და მთიელი აბაზგები ერთმანეთს შეერწყნენ და აბაზგთა სახელმა გადაფარა სანიგთა სახელი, შესაძლოა, იგივე მიზეზით, რა მიზეზითაც მეზობელ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთეულს აფშილეთი ეწოდა.

აბაზგთა მთავარი ეთნიკური ბირთვის ჩამოსახლება ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთის მთიან რეგიონში, მ. ინაძის ვარაუდით, მოსალოდნელია ახ. წ. I ს-ის დასასრულისთვის. ცოტა მოგვიანებით კი აფხაზურ-ადიღეური ტომების ახალი ნაკადების ჩამოსვლამ ბიძგი მისცა აბასკ-აბაზგთა გაძლიერებას (ინაძე 1992[1]:171-172).

აფშილები და აბაზგები II-V სს-ში, ზ. ანჩაბაძის აზრით, ცხოვრობდნენ სებასტოპოლისსა და მდ. აბასკოსს შორის. II ს-ში ეს ტერიტორია შედიოდა სანიგების სამთავროში, რომელიც სებასტოპოლიდან მდ. აქეუნტამდე (შახე) იყო გადაჭიმული. გვიანანტიკურ პერიოდში (არაუადრეს II საუკუნისა) სამხრეთ აფხაზეთში იჭრებიან მეგრულ-ჭანური წარმოშობის ტომები (ლაზები), რომლებმაც აფხაზები ჩრდილოეთისკენ განდევნეს. არ არის გამორიცხული სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის მთიანი რაიონები სვანურ ეთნიკურ ელემენტსაც დაეკავებინა ამ დროს (Анчабадзе 1976:38-40).

ნ. ლომოური თავდაპირველად მიიჩნევდა, რომ აფშილები და აბაზგები ზღვის სანაპიროზე მდ. ხობსა და სებასტოპოლის-სოხუმს შორის მდებარე სექტორში ცხოვრობდნენ, სანიგების მიწა-წყალი კი ვრცელდებოდა სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე (შახე) (ლომოური 1968:10). მოგვიანებით ნ. ლომოურმა გალის რაიონში და მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე აფხაზთა მოსახლეობის შესახებ აზრი შეიცვალა: არიანეს აფსილები და აბასგები

თანამედროვე აფხაზთა წინაპრები არიან, მაგრამ მათი განსახლების უკიდურესი სამხრეთი საზღვარი არასდროს მდ. ღალიძგას არ გადმოსცილდება (ლომოური 1996:79). მისი აზრით, *„აფხაზი ტომები არასდროს, მათი ისტორიის თვით უადრეს ეტაპზეც კი არ მოსახლეობდნენ დღევანდელი გალის რაიონის ტერიტორიაზე, ეს უკანასკნელი პოლიტიკურადაც და ეთნიკურადაც, ყოველთვის ლაზიკის ანუ ეგრისის ორგანული ნაწილი იყო. V საუკუნის დასაწყისისთვის ლაზიკის სამეფოს თანდათანობითი გაძლიერების შედეგად, საზღვარმა ლაზებსა და აფსილებს შორის გადაინაცვლა მდ. კოდორამდე, ლაზებმა შეავიწროვეს აფსილები, ამ უკანასკნელებმა კი აბაზგები“* (ლომოური 1998:34, 40).

ჩვენი აზრით, არავითარი ეთნიკური გადაადგილება არ მომხდარა, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გარკვეული პოლიტიკური ერთეულის მიერ სხვა პოლიტიკურ ერთეულთა სახელის გადაფარვასთან, ხოლო მოსახლეობა I-II სს-დან მოყოლებული იყო შერეული მეგრულ-აფხაზური, როგორც ეთნიკური, ისე ენობრივი ნიშნით.

ამრიგად, V-VII სს-ში არ დაწყებულა აბაზგთა შერწყმა სანაპირო ზოლზე ძველთაგანვე მოსახლე დასავლურქართულ ტომებთან – სანიგებთან, არამედ მიმდინარეობდა უფრო ადრეულ საუკუნეებშიც, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აბაზგთა ნაწილმა, განსაკუთრებით მთაში დარჩენილმა მოსახლეობამ, ჩვენი აზრით, შეინარჩუნა თავისი ეთნიკური სახე და თვითმყოფადობა, ხოლო ის ფაქტი, რომ პროკოპის აბაზგების დასავლეთ მეზობლებად დასახელებული ჰყავს უკვე არა სანიგები, არამედ ზელქები (ჯიქები) მიუთითებს იმაზე, რომ აბაზგთა სახელმა გადაფარა სხვა, ქართული ეთნიკური სამყაროს კუთვნილი ტომების (სანიგები, ადრეული წყაროების ჰენიოხები, კორაქსები, კოლები) სახელები.

გვიანდელმა წყაროებმა (იპოლიტე რომაელი, ევსევი კესარიელი, პროკოპი, იუსტინიანეს ნოველები, აგათია სქოლასტიკოსი) არაფერი იციან აბაზგების სანაპიროზე მოსახლეობის შესახებ აფშილებსა და სანიგებს შორის სებასტოპოლ-ცხუმამდე, გარდა ამისა, არ არსებობს რაიმე პირდაპირი წერილობითი წყარო, რომელიც პირდაპირ აღნიშნავდეს სანიგების მიწა-წყალზე აბაზგების მთლიანად და აფშილების ნაწილის გადასვლას და იქ დამკვიდრებას. არ მომხდარა არავითარი სან-სანიგების გადაადგილება თავიანთი საცხოვრისიდან. III-IV საუკუნეებშიც ისინი თავიანთ ძველ სამოსახლოზე ცხოვრობდნენ, რაზეც თავიანთი

მოღვაწეობის დროისთვის უთითებდნენ პლინიუსი და ფლავიუს არიანე. V საუკუნის ანონიმი სებასტოპოლიდან პიტიუნტამდე არ იცნობს სხვა ეთნოსს, გარდა სანიგებისა, რომლებიც, მისივე გადმოცემით, V საუკუნეში მოქცეული უნდა უყვნენ კოლხეთის, ანუ ლაზიკის სამეფოში. დიმ. ლეთოდიანის დაკვირვებით, „*თუკი აფშილები და აბაზგები ერთმანეთის უშუალო მოსაზღვრენი იყვნენ ზღვის სანაპიროზე, მაშინ, ბუნებრივი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ბიზანტიელთა მხედრიონი (იგულისხმება VI საუკუნეში აქ მოსული მათი ჯარი – ნ. ფ.) ან აფშილების ან აბაზგების ტერიტორიაზე უნდა მოხვედრილიყვნენ და არა მათ შორის, შუა ადგილას. ისინი სანიგების მიწა-წყალზე მოხვდნენ აბაზგების სანაპიროზე. აქედან გამომდინარე, აბაზგები ჩრდილო კავკასიონიდან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე უნდა გამოჩენილიყვნენ არაუადრეს V საუკუნისა და ამ დროიდან ისინი მხოლოდ აწინდელი გაგრის ან ახალი ათონის რაიონში უნდა დასახლებულიყვნენ*“ (ლეთოდიანი 1991:22) ქართველური ტომები, ავტორის აზრით, „*არამარტო შახემდე მოსახლეობდნენ, რომელიც სანიგებსა და ჯიქებს მიჯნავდა ერთმანეთისგან, არამედ მის ჩრდილო-დასავლეთითაც იყვნენ გავრცელებულნი*“ (ლეთოდიანი 1991:22,34). თუმცა, ჩვენი აზრით, არიანეს „ძველი ლაზიკა“ გულისხმობს ლაზების ეკონომიკურ სივრცეში ოდესღაც, ყოველ შემთხვევაში, არიანემდელ ეპოქაში, ნიკოფსიამდე ტერიტორიის ჩართვას.

ახ. წ. II საუკუნისთვის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აღარ იხსენიებიან ფთეიროფაგები და მოსხები, არც მაკროპოგონები.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით არიანე ასახელებს ძიდრიტების ტომს (Arr. PPE, 11, 11). გ. მელიქიშვილის აზრით, ძიდრიტების ტერიტორია მდებარეობდა მაკრონ-ჰენიოხების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. აფსაროსის (დღ. ჭოროხი) შესართავამდე (Меликишвили 1959:354).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, რადგან მაკრონებისა და ჰენიოხების მიწა-წყალი მდ. ოფისსა და არქაბეს წყლის ხეობათა შორის ყოფილა მოქცეული, ძიდრიტების დასავლეთ საზღვრად არქაბეს ხეობა უნდა მივიჩნიოთ, ხოლო აღმოსავლეთ საზღვრად აფსაროსის ხეობა, რადგან აქედან ლაზები ცხოვრობდნენ. (ჯავახიშვილი 1950:265) ნ. ლომოური მიიჩნევს, რომ ძიდრიტების ტომი აფსაროსის ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთით ვრცელდებოდა და, როგორც ჩანს, ეკავა ჭოროხის

შესართავის ჩრდილოეთით თანამედროვე აჭარა-ქობულეთის მხარე (ლომოური 1968:10).

ბეხირები და ბუქსერები ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე საერთოდ აღარ იხსენიებიან.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ პტოლემაიოსის (II ს.) მანრალები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ტომი პტოლემაიოსის უფროს თანამედროვე არიანესთან არ მოიხსენიება, მათი ბინადრობა ჰინტერლანდში ჯერ კიდევ მის დროს და უფრო ადრეც არის მოსალოდნელი, რადგან არიანეს თავისი თხზულების წერისას სულაც არ ჰქონია მიზნად ქვეყნის შიგნით პოლიტიკური და ეთნიკური მდგომარეობის ასახვა. შეიძლება, კონტრარგუმენტად დავუშვათ არიანეს მიერ მოხსენიება აბაზგებისა, რომლებიც მთიანეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, აბაზგები სანაპიროს იმდენად არ უნდა ყოფილიყვნენ დაშორებულნი, რამდენადაც პტოლემაიოსის მანრალები და ეგრები (ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი).

პტოლემაიოსის მანრალები – მაგრალები, დ. მუსხელიშვილის აზრით, *„შესაძლებელია იყვნენ დასავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთ პროვინციის, ივერიის მომიჯნავე არგვეთის მცხოვრებლები) მარგველები, ხოლო ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბება უნდა განხორციელებულიყო არა საკუთრივ ლაზთა ჰეგემონობით, არამედ სწორედ ეგრისელთა, ანუ ძველი წყაროების „მეგრთა“, ე. ი. მეგრელთა თაოსნობით, რომლებიც, როგორც ჩანს, ეთნიკურად ლაზთაგან თითქმის არ განირჩეოდნენ, რადგან, ჯერ ერთი, შიდა ეგრი (დაახლოებით გვიანდელი სამეგრელო და ქვემო იმერეთი), ბიზანტიური წყაროებით, წარმოადგენდა უმდიდრეს რაიონს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით მთელს ლაზიკაში“* (მუსხელიშვილი 1977:88-89).

ო. კახაძის აზრით, პტოლემაიოსის მანრალის სახით ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს მაგრალ (>მარგალ) ფუძის წერილობითი მოხსენიების ერთ-ერთ უადრეს შემთხვევასთან. მისი აზრით, „მანრალ“ ტერმინში იყო „ნგრ“ კომპლექსი, რომლიდანაც „გ“ გაქრა (კახაძე 1993:382) (შდრ. რუსული менгрел). „მაგრალი“-დან კი, როგორც ჩანს, მეტათეზისის გზით მივიღეთ მეგრელთა თვითსახელწოდება „მარგალი“.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შარდენი მდ. ენგურს „ლანგურიას“ უწოდებს. ჩვენი აზრით, პტოლემაიოსის მანრალები მოსახლეობდნენ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე, მაგრამ არა ზღვისპირა სექტორში. მათგან აღმოსავლეთით კი ეგრების ტომი ბინადრობდა, რომლის თვითსახელწოდებიდან შეითვისეს აღმოსავლელმა ქართველებმა დასავლელ ქართველთა სამეფოს სახელი და ქართულ წყაროებში დასავლეთ საქართველო ეგრისის სახელით მოიხსენიება.

რაც შეეხება პტოლემაიოსის სუანო-კოლხებს, ეს არის სვანური ტომი, რომელიც კოლხების იურისდიქციის ქვეშ იმყოფება, მათთვის საოჯახო ენა სვანურია, სოციალური კი – კოლხური. შესაბამისად, ისინი, ალბათ, ბინადრობდნენ ეგრის-სვანეთის სასაზღვრო სექტორებში და ემორჩილებოდნენ ეგრისის მეფეს.

კოლხებისა და სანების აღმოსავლეთით, ხოლო ძიდრიტების დასავლეთით სანაპიროზე II ს-ში ცხოვრობდნენ მაკრონ-ჰენიოხები (Arr. PPE, 11, 11). პლინიუსთან ჰენიოხები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არიან მდ. პიქსიტესთან. მთების უკან იბერიაა, სანაპიროზე კი ჰენიოხები მოსახლეობენ (Plin. NH. VI. 12).

მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთით ვრცელდებოდა ან მდ. არხაბემდე (ჯავახიშვილი 1950:265), ან, მდ. აფსაროსამდე. (ლომოური 1968:10).

როგორც ვიცით, ჰენიოხები ძვ. წ. VI-V სს-ში მოსახლეობდნენ კავკასიონის ქედის უკიდურეს ჩრდილო კალთებთან მდებარე ზღვის სანაპირო ვიწრო ზოლში, ბიჭვინთიდან დაახლოებით სოჭისა და ადლერის რაიონში. მომდევნო ხანებშიც (ძვ.წ. II-I სს) *„ჰენიოხთა მიწა-წყალი განისაზღვრებოდა დღევანდელი სოჭისა და ადლერის რაიონებით, ბიჭვინთის ჩრდილოეთით“* (ინაძე 1955:16-17).

მ. ინაძის აზრით, *„ჰენიოხთა მოსახლეობა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გაჩნდა კოლხთა მიერ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ადგილებში გაბატონების შემდეგ, კერძოდ, გაძლიერებულ კოლხთა დაწოლით ჰენიოხთა ერთი ნაწილის ჩრდილოეთით გადანაცვლების შედეგად, ჰენიოხთა პოლიტიკური გაერთიანება I საუკუნისთვის უკვე დაშლილი იყო ცალკეულ ტომთა ორგანიზაციებად, რომლებსაც ტომის მთავრები – სკეპტუხები – მბრძანებლობდნენ. კოლხთა პოლიტიკურ გაერთიანებაში სამხრეთის ჰენიოხებთან*

ერთად შევიდნენ ცენტრალურ რაიონებში მცხოვრები ჰენიოხები. როგორც ჩანს, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრალურ რაიონებში, რომლებიც თვით კოლხთა ძირითადი ეთნიკური კოლექტივის მიერ იქნა დაკავებული, დარჩენილი ჰენიოხი მოსახლეობა საბოლოოდ შეირწყა კოლხებში“ (ინაძე 1955:17-19).

მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოსთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: როგორც ჩანს, აქაც, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, რიზე-ათინას მიდამოებში, მოხდა მთიელთა ჩამოსახლება. წყაროებით ჩვენთვის ცნობილია, რომ მაკრონები იგივე სანები არიან. სტრაბონის მაკრონები (Strabo XII. 3. 18, 12) და არიანეს სანები მთებში ცხოვრობენ (Arr. PPE. 11. 11). არიანეს სანებთან უნდა იყვნენ ეთნიკურად დაკავშირებულნი ის მაკრონები, რომელთაც ჰენიოხებთან ერთად შექმნეს სახელმწიფო რიზე-ათინას მიდამოებში. როგორც ჩანს, შეუძლებელი იყო „საძმოებიდან“, ანუ მეომარ მიწათმოქმედთა ფენიდან ფეოდალთა კლასის შევსება (შესაძლოა, მითრიდატული ომების გამო) და აქაც ჩამოსახლდნენ მთიელები, ოღონდ თუკი ჩრდილოეთში მოხდა ეთნიკურად განსხვავებული ჯგუფის მიღება, სამხრეთში პირიქით, სანები და ჰენიოხები ერთ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ. შესაძლოა, ეს პროცესი უფრო უმტკივნეულოდ განხორციელდა, თუმცა, ჩვენი აზრით, ამას სერიოზული წინააღმდეგობა არც ჩრდილოეთში არ უნდა შეხვედროდა.

დიონ კასიუსთან მოხსენიებული ჰენიოხები, როგორც ჩანს, სამხრეთელი ჰენიოხები არიან: „სატრაპი ტირიდატე, რომელმაც აჯანყება მოახდინა არმენიაში და მოკლა ჰენიოხების მეფე“ (Cass. Dio. XXI. 14. 2). დიონ კასიუსის მიერ ამ მეფის მოხსენიება მხოლოდ ჰენიოხთა ხელისუფლად, შესაძლოა, განპირობებულია იმით, რომ არმენიის სატრაპი ტირიდატე უშუალოდ ჰენიოხებს და არა მაკრონებს ემეზობლებოდა, ან იმ მიზეზით, რომ სანური მოსახლეობა უკვე შერწყმულია ჰენიოხებთან. რაც შეეხება მოგვიანებით (III-IV სს) ჰენიოხების სახელის გაქრობას ანტიკურ წყაროებში, ეს, ალბათ, გამოწვეული იყო ბერძენი ავტორების მიერ ამ ტერიტორიის სანეთად (ჭანეთად) აღქმის მიზეზით.

ახ. წ. I საუკუნიდან სინქრონულ წყაროებში აღარ იხსენიებიან მოსინიკები. არც სტრაბონი, არც არიანე და არც პტოლემაიოსი მათ არ იცნობენ. მოსინიკებს იხსენიებენ მხოლოდ პომპონიუს მელა და დიონისიოს პერიეგეტი (IIს). ასევე, არც

ფილირები არ ჩანან. ეს ტომები, როგორც ჩანს, ან სანებს შეერწყნენ, ან ხალიბებს და ტიბარენებს. ამრიგად, მათ იცნობენ მხოლოდ პომპონიუს მელა და დიონისიოს პერიეგეტი, რომლებიც მწიგნობრულ ტრადიციას ეყრდნობიან და არ ასახავენ თანადროულ ვითარებას. მოსინიკებს იცნობს IV საუკუნის ისტორიკოსი ამიანე მარცელინე, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ან დიონისიოს პერიეგეტს ეყრდნობა (რადგან ფილირებს იხსენიებს), ან მის წყაროს.

არიანე მდ. ოფისის (სულაკ-ლი) და ფრიქსოსის (ვალტახი-სუ) ზემო წელზე ასახელებს ქვეყანას თიანიკე, რომელიც ისევ სანებთან უნდა იყოს დაკავშირებული. შესაძლოა, სწორედ სანების ქვეყანას უწოდებს არიანე თიანიკეს (Arr. PPE.7. 11).

V ს. ანონიმისთვის „მდინარე არქაბისიდან მდინარე ოფიუნტამდე წინათ ცხოვრობდა ტომი ეკქეირიებად წოდებული, ახლა ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები“ (Anon. 1, 11). ეკექეირიელები იხსენიებიან სკილაქს კარიანდელთან: „ბიძერების შემდეგ არის ტომი ეკექეირიელები, მდ. პორდანისი, მდ. არაბისი, ქალაქი ლიმნე და ელინური ქალაქი ოდეინოსი“ (ყაუხჩიშვილი 1967:49). ეს ტომიც, როგორც ჩანს, სანებს შეერწყა და, ალბათ, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს შექმნაშიც მიიღო მონაწილეობა.

შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტელების მეზობლად არიანე იხსენიებს კოლხურ ტომებს (Arr. PPE. 7. 11). არიანეზე ადრინდელ წყაროებში კოლხების ტომი გაცილებით ვრცელ ტერიტორიაზეა გავრცელებული, მაგრამ შემდეგ ლაზთა ტომის გაძლიერების, და სამხრეთით მაკრონ-ჰენიოხების სამეფოს შექმნის შემდეგ ძველი კოლხეთის მემკვიდრეებად მცირე ხნით, როგორც ჩანს, ეს კოლხები გამოდიან, რომლებიც მოსახლეობდნენ ქ. ტრაპეზუნტსა და მდ. ფრიქსოსს შორის (კომენტატორების ვალტახი-სუ). ამ ტომების შერწყმა ან მათზე ჭანების სახელის გავრცელება, ალბათ, საკმაოდ სწრაფად მოხდა, რადგან პტოლემაიოსი უკვე აღარ იხსენიებს კოლხებს.

იპოლიტე რომაელი და ევსევი კესარიელი დასავლეთ საქართველოში შავიზღვის სანაპიროს გასწვრის სებასტოპოლიდან ტრაპეზუნტამდე იხსენიებენ მხოლოდ კოლხებსა და სანიგებს (იგივე სანებს ან ჰენიოხებს). საერთოდ არ იხსენიებიან არც ლაზები, არც აფშილ-აბაზგები. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება აიხსნას ლაზებსა და მათ დაქვემდებარებულ აფშილ-აბაზგებზე დასავლეთ

საქართველოში ძველთაგანვე ბერძნული წყაროებისთვის ცნობილი კოლხების ტომის სახელის გავრცელებით მთელ დასავლურ ქართულ მოსახლეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ცნობა ადრეული ვითარების ამსახველია და გულისხმობს აფშილ-აბაზგების და ლაზების ჩამოსახლების წინარე ხანას.

ევსევი კესარიელთან მოიხსენიებიან „სანნები, რომელთაც სანიგები ეწოდებათ“ (გეორგიკა 1961:32). ამ სანების ქვეშ ევსევი გულისხმობს სამხრეთის სანებს, იგივე ჭანებს, ოღონდ სანიგებთან მათი დაკავშირებით რეალურად ის ჩრდილოელ სანიგებს (ჰენიოხებს) ეთნიკურად უკავშირებს სამხრეთელ სანებს (ჭანებს). ევსევისთან სანები ვრცელდებიან აფსაროსამდე, ამიტომ საფიქრებელია, რომ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო სწორედ რომ აფსაროსამდე ვრცელდებოდა. ამასთან, შესაძლოა, ძიდრიტების სახელი წყაროებიდან იმიტომ გაქრა, რომ მათზე გავრცელდა სანების ეთნონიმი, რადგან ძიდრიტების ტერიტორიაზე გაძლიერდა ჭანური ტომების გავლენა. ამრიგად, მხოლოდ ევსევის ცნობა სანების აფსაროსამდე მოსახლეობის შესახებ ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ძიდრიტების ტერიტორია II საუკუნეში აფსაროსიდან იწყებოდა და ქობულეთ-აჭარის მხარეებს მოიცავდა. შესაძლოა, ძიდრიტები აფსაროსის სამხრეთ-დასავლეთით მოსახლეობდნენ და შემდგომ მათზე სანების სახელი გავრცელდა.

ამიანე მარცელინეს მიხედვით, ჰალისის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით, ცხოვრობდნენ ხალიბები. მათ შემდეგ ვრცელი მიწები უჭირავთ ბიზარებს (იგივე ბიძერები, დიძერები – ნ. ფ.), საპირებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს და ფილირებს, ასევე, კამარიტებს. მათ შესახებ ამიანე წერს, რომ ისინი მისთვის სრულიად უცნობნი არიან (გეორგიკა 1961:110-111).

ამიანეს კომენტარი, რომ ეს ტომები მისთვის სრულიად უცნობნი არიან, შესაძლოა გულისხმობდეს იმას, რომ ამიანეს დროისთვის ისინი რეალურად აღარ არსებობდნენ და მთელს მოსახლეობას ჭანების სახელი ჰფარავდა. ამ ტომების მოხსენიებისას აშკარად ჩანს, რომ ამიანე მწიგნობრულ ტრადიციას ეყრდნობა.

კამარიტებს, ამიანეს გარდა, იხსენიებს დიონისიოს პერიეგეტი (II ს.), მაგრამ რადგან ამიანეს მასზე მეტი ცნობები აქვს შემონახული, ალბათ, უფრო დიონისიოსის წყაროს იყენებდა და არა უშუალოდ მის თხზულებას. კამარიტების გაიგივება შესაძლებელია ჰენიოხებთან და აქეებთან, რომლებიც სტრაბონთან

მოიხსენიებიან, როგორც კამარების (ნავების) მფლობელნი (Strabo, XI. 2. 11, 12). თუმცა არის მთელი რიგი განსხვავებები ამ ავტორთა ცნობებში.

ფაზისთან ამიანე ასახელებს კოლხებს, ხოლო დიოსკურიასთან ჰენიოხებს, მათგან ცოტა მოშორებით იხსენიებს აქეებს, რომლებიც „მარად თოვლიანი მთების მწვერვალებზე (ანუ კავკასიის მთებში – ნ. ფ.) ბინადრობენ“ და შემდგომ კერკეტებს. საინტერესოა, რომ ამიანე მარცელინე, რომელსაც ხელთ ჰქონდა ჰეკატეოს მილეტელის თხზულება, მდ. კორაქსს სავრომატთა ტერიტორიაზე იხსენიებს მაშინ, როდესაც თვითონ ჰეკატეოსი კორაქსებს კოლხებად მიიჩნევს. მდ. კორაქსი, დღევანდელი ფსოუ, მძიმთა ან კოდორი უნდა იყოს. თუ ამიანე ამასთან დაკავშირებით თავის თანადროულ ვითარებას აღწერს და ლიტერატურულ წყაროებს არ ეყრდნობა, მაშინ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე რატომ არ იხსენიებს მდ. კორაქსს? თუკი ამიანე სავრომატთა ტერიტორიაზე მდ. კორაქსს იმიტომ იხსენიებს, რომ ამ ტერიტორიის შესახებ თავისი თანადროული წყარო აქვს ხელთ, მაშინ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეც მისი წყაროები, საფიქრებელია, რომ თანადროული უნდა იყოს. თუმცა ამიანე არსად არ იხსენიებს აფშილებს და აბაზგებს, რომლებიც IV საუკუნეში აქ ნამდვილად ბინადრობენ. როგორც ჩანს, ამიანე რამდენიმე წყაროს ერთმანეთში აღრევას ახდენს. ნაკლებად საფიქრებელია, რომ არსებობდა ორი მდინარე კორაქსი – ერთი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მეორე – სავრომატთა სანაპიროზე.

IV-V სს-ის ბიზანტიურ წყაროებში აფშილები საერთოდ არ ფიგურირებენ, ხოლო აბაზგებს იხსენიებს Notitia dignitatum, ასევე თეოდორიტე კვირელი. ამ უკანასკნელის ცნობა შეიძლება გავიგოთ, როგორც აბაზგების სანების მეზობლად დასახელება: „არც ლაზები, არც სანები, არც აბაზგები და არც სხვა ბარბაროსები, რომელნიც კი რომაელთა ბატონობას ელოლიავებიან, არ სდებენ ერთმანეთში ხელშეკრულებებს რომაელთა კანონების მიხედვით“ (გეორგიკა 1961:227). თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ლაზებსა და აბაზგებს შორის სანებს (თუნდაც სანიგებს ან ჰენიოხებს) არასდროს არ უცხოვრიათ. თეოდორიტე კვირელი, როგორც ჩანს, სანაპიროზე მათი მოსახლეობის თანმიმდევრობის გათვალისწინების გარეშე ასახელებს ამ ტომებს.

ამრიგად, მთიელთა დიდი ჩამოსახლების შემდეგ ჩანს მეურნეობის აღმავლობა. ლაზიკის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, დაიწყო ფეოდალიზმი.[38]

დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური დეპრესია, რომელიც გამოწვეული იყო მისი დასავლურ ეკონომიკურ სისტემებთან შერწყმის ექსპერიმენტის დასრულებით, დიდხანს გაგრძელდა. თავისთავად ეკონომიკური დეპრესია იმის ინდიკატორია, რომ საზოგადოება სოციალურ რეორგანიზაციას ცდილობს. სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება შესაძლებელი გახდა ბარში მოსახლეობის გამრავლების გზით (დუნდუა 1997:44; დუნდუა... 2000:46, 55). ამ პროცესის დასრულების შემდეგ აფსილეთისა და აბაზგიის ტერიტორიაზე, ალბათ, შერეული მოსახლეობა იყო: ძველი კოლხებისა და აფხაზურ-ადიღეური ტომების, რომელთა საშუალებით არისტოკრატიის გაძლიერება მოხდა. სწორედ აფხაზური არისტოკრატიით იყო მეტწილად დაკომპლექტებული, როგორც ჩანს, აფშილეთი და აბაზგეთი (უფრო მეტად აფშილეთი), მხარეებსაც სახელი სწორედ მათ მიხედვით ეწოდა. ამ მთიელი ტომების მიერ მთლიანად დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) მოსახლეობის ჩანაცვლება არ მომხდარა, ეს ტომებიც განაგრძობდნენ ჩამოსახლებულებთან ერთად ბინადრობას.

ჰენიოხთა მიერ პიტიუნტის დაცარიელება, შესაძლოა, ნიშნავს ქალაქების დაკნინებას, და ფეოდალიზაციის ჩასახვას. უკვე აღარ არსებობს ილუზია ბერძნულ ეკონომიკურ სისტემასთან შერწყმისა, ამიტომ მოსახლეობა ქალაქებს თავს ანებებს და მიწის დამუშავებას მიჰყოფს ხელს.

ჩამოსახლებული აფშილებისა და აბაზგების ძირითადი მასისგან დაკომპლექტებული არისტოკრატია შემდგომ მწარმოებელი მოსახლეობის, ანუ მეგრელ-ჭანების ენაზე ალაპარაკდა. ზუსტად იმგვარად, როგორც გერმანიკული წარმოშობის ფრანკები ალაპარაკდნენ რომანულ ენაზე. ჩამოსახლებული მთიელი ტომები, აფშილ-აბაზგები, ეკუთვნოდნენ აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომებს, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი სოციალური ენა გახდა მეგრულ-ჭანური.

---

[38] პროტოფეოდალიზმიდან ფეოდალიზმზე გადასვლის პროცესის შესახებ იხ. თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო, ევროპის შექმნა და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბილისი 2009. გვ. 149

დასკვნა

ბერძნულ კოლონიზაციას გააჩნდა როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული მიზეზები. ძვ. წ VII საუკუნის მიწურულს მილეტის მიერ კოლხეთის კოლონიზაციის მიზეზი, როგორც ჩანს, ოქროს ძიებაა. მართალია, წერილობით წყაროებში *„არსად არ ვხვდებით ცნობებს კოლხური ოქროს საექპორტო დანიშნულების შესახებ“* (ინაძე 1962:102). თუმცა თუ მილეტის საჭიროებებს გავითვალისწინებთ, კონკრეტულ მომენტში ბერძნების თავდაპირველად აქ მოსვლაში მაინც შეიძლება დავინახოთ ოქროს ძიების სურვილი. ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულს მილეტმა ლიდიის მეფის თორმეტწლიან ალყას გაუძლო მილეტში თრასიბულეს ტირანიის დროს (Greaves 2002:95). მილეტისთვის ოქროს მთავარი იმპორტიორი ლიდიის სამეფო იყო სწორედ. ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე მილეტის მიერ დაარსებული ახალშენების ფუნქცია, განსაკურებით კოლხეთში, რომელიც ცნობილი იყო თავისი ოქრომრავალობით, უნდა ყოფილიყო იმ დეფიციტის შევსება, რომელიც მაშინ ლიდიისგან მომდინარეობდა. ამის დასტურია ისიც, რომ ერთ-ერთი პირველი კოლონია, რომელიც მილეტელებმა დააარსეს კოლხეთის ტერიტორიაზე, დიოსკურია, სტეფანე ბიზანტიელთან ცნობილია „ოქრომრავალი კოლხეთის“ მეფის, აიეტის, დედაქალაქის აიას სახელით. დიოსკურია აიეტის აია ნამდვილად არ არის, მაგრამ ეს ცნობა, როგორც ჩანს, გამოძახილია იმისა, რომ მილეტელები აქ თავიდან ოქროს ეძებდნენ. ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულს, როდესაც მილეტს ომი აქვს ლიდიელებთან, მათთვის ოქროს მთავარ იმპორტიორთან, მაშინ ისინი ეძებენ ოქროს კოლხეთში.

ძვ. წ. VI საუკუნის მიწურულსა და V საუკუნის დასაწყისში მილეტის შავიზღვისპირეთში გააქტიურებისა და ახალი კოლონიების დაარსების მიზეზი ხე-ტყის ექსპორტის სურვილია. მიუხედავად მილეტის გარშემო ტყეების არსებობისა, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ იყო მისთვის. იმ დროისათვის მილეტს ხე-ტყე ესაჭიროებოდა სპარსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი აჯანყებისთვის (Greaves 2002:100). გარდა ამისა, მილეტი ცნობილი იყო ავეჯის წარმოებითაც და ფლოტის

გაძლიერებასთან ერთად ავეჯის იმპორტიორის ფუნქციაც უნდა შეენარჩუნებინა.

ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოს შავიზღვისპირეთში მილეტის გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზი სიბარისის დანგრევაა. სიბარისის დანგვრევით გამოწვეული სანედლეულო დეფიციტის შესავსებად, როგორც ჩანს, მილეტელებმა ისევ შავიზღვისპირეთისკენ იბრუნეს პირი. კოლხეთში კი იმხანად განვითარებული იყო საფეიქრო წარმოება. სავსებით ლოგიკურია, რომ მათი გააქტიურება ამ რეგიონში ამ მიზეზითაც იყოს გამოწვეული.

შავიზღვისპირეთში მილეტელების მიერ კოლონიების დაარსების ქრონოლოგიაში ტერიტორიის ათვისების პრინციპის მიხედვით ორ ეტაპს გამოვყოფთ: 1) სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას მცირე რაოდენობის, მაგრამ შედარებით დიდი ახალშენების დაარსების პერიოდი (ძვ. წ. VIII საუკუნის შუა ხანებიდან ძვ. წ. VII საუკუნის შუა ხანების ჩათვლით), 2) მილეტის მიერ შავიზღვისპირეთის სანაპიროს მიზანმიმართული მასობრივი ათვისების პერიოდი – მცირე ახალშენების დაარსება (ძვ. წ. 630-494). პირველ ეტაპზე მოხდა სამხრეთ შავიზღვისპირეთის ათვისება, შემდეგ – ჩრდილო შავიზღვისპირეთის და ბოლოს, – დასავლეთ შავიზღვისპირეთის. მეორე პერიოდშიც ტერიტორიის ათვისება იწყება ისევ სამხრეთ შავიზღვისპირეთით იწყება, შემდეგ გრძელდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთით – კოლხეთის სანაპიროების ათვისებით, შემდეგ – ჩრდილო შავიზღვისპირეთით. რაც შეეხება დასავლეთ შავიზღვისპირეთს, მისი ათვისება მთელის პროცესის სინქრონულია. ჩვენი აზრით, კოლონიების დაარსების ეს თანმიმდევრობა განაპირობა შავიზღვისპირეთის დინებების თავისებურებამ და, მისგან გამომდინარე, სანაპიროს შემოვლის შესაძლებელმა გზამ.

შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებში ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს დაწყებული ადგილობრივი წარმოების ამფორების ფუნქცია იყო ადგილობრივი ბერძნების ნაწარმოები პროდუქციის გაზიდვა უპირატესად ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბაზარზე. ელინისტურ ხანაში კოლხეთის ექსპორტის საგანი შეიძლება ყოფილიყო რკინა, ოქრო, სელი, კანაფი, ცვილი, ტილო, ფისი, სელის ზეთი, ღვინო და ხე-ტყე გემთმშენებლობისთვის. რადგან, ამ პროდუქტებიდან მხოლოდ ცვილის, სელის ზეთის ან ღვინის გადატანა შეიძლება ამფორებით, შესაბამისად, ეს პროდუქცია გავიდოდა ამფორების მეშვეობით.

ათენთან კავშირის შესუსტებამ ელინისტურ ხანაში გამოიწვია კიდევ ერთი რამ – ქალაქების, რომელთა მოსახლეობაც როტაციის წესით იცვლებოდა (მაგ., ფიჭვნარი), ტრანსფორმაცია მოხდა. აღარ არსებობდენ ინტენსიურად მოძრავი ათენელები, რომლებიც საქონელს და მოხმარების საგნებს მთლიანად ათენიდან იღებენ და ფიჭვნარში მხოლოდ რეზიდენტები არიან და ამის ნაცვლად აქ გაჩნდა მუდმივად ამ ადგილებში დასახლებული მოსახლეობა, რომლებიც ყოველდღიური მოხმარების საგნებს და პრაქტიკულად მთელ წარმოებულ პროდუქციას უკვე ათენიდან კი არ იღებენ, არამედ ძირითადად კოლხებისგან. შედეგიც სახეზეა – ფიჭვნარის ძვ. წ. V–IV საუკუნეების ბერძნული ნეკროპოლი წყვეტს არსებობას. მაგრამ ბერძნებს აქ ბინადრობა მთლიანად არ შეუწყვეტიათ – ელინისტურ სამაროვანზე სწორედ ისინი იკრძალებიან ისევ. ამასთან, ბერძნული დაკრძალვის წესია დაფიქსირებული სააღაპო მოედნებით და ბერძნული ინვენტარით, შესაბამისად, აქ, როგორც ჩანს, ბერძნები ისევ მოსახლეობენ, თუმცა უკვე სხვა სტატუსით – ადგილობრივად მოსახლის სტატუსით. სიმპტომატურია, რომ სწორედ ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან იწყება ფიჭვნარშიც ე. წ. ყავისფერკეციანი ამფორების წარმოებაც. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ ბერძნები შემოტანილი საქონლით კი არ ვაჭრობენ, თვითონ ცდილობდენ პროდუქციის წარმოების დაწყებას.

ადგილობრივი წარმოების დაწყებამ კოლხეთის რიგ ბერძნულ ქალაქებში გამოიწვია სვინოიკიზმი – მათ მიერ მიმდებარე ტერიტორიების ეკონომიკური შეერთება. ამის თვალსაჩინო მაგალითია დიოსკურიის ამფორების საწარმოებელი ქურების ნაშთების აღმოჩენა, ერთი მხრივ, გვანდრასთან, ლეჩკოპთან და ეშერასთან, მეორე მხრივ, გულრიფშთან. მთელი ეს მხარე, სოხუმის ყურის მიმდებარე ტერიტორიები სამეურნეო თვალსაზრისით შერწყმულია დიოსკურიის თავდაპირველ ბირთვთან. დიოსკურიისა და ფაზისის პოლისებად ფორმირება დასრულდა.

ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებისთვის ეგვიპტემ პრაქტიკულად ამოაგდო ხორბლის ექსპორტის სისტემიდან შავიზღვისპირეთი და გამოიწვია ეკონომიკური დეპრესია, რომელიც აქ ძვ. წ. II საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა და თვით რომის მოსვლამდეც კი (Graham 1961:196). მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოდან ხორბლის ფართო ექსპორტი მოსალოდნელი არ არის, ეს რეგიონი

სხვა სახის ნედლეულით ამარაგებდა ბერძნულ სამყაროს (მაგ., ხე-ტყით), ეს კრიზისი დასავლეთ საქართველოსაც შეეხო. შავიზღვისპირეთი მთავარი საიმპორტო ნედლეულის – ხორბლის, რომელიც ჩრდილო შავიზვისპირეთიდან მიდიოდა საბერძნეთში, თვალსაზრისით აღარ იყო საინტერესო ბერძნული სამყაროსთვის და მასთან თანდართული რაც შეიძლებოდა ყოფილიყო, პონტოური თევზი, სამშენებლო ხე-ტყე და სხვ. როგორც ჩანს, უკვე აღარ არის საკმარისი იმისათვის, რომ შავი ზღვის რეგიონი ისეთივე მიმზიდველად დარჩენილიყო მათთვის, რომ რეგულარული რეისები განეხორციელებინათ ამ მიმართულებით ვაჭრობის მიზნით. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი კოლხეთში კრიზისის დაწყებისა. ეგვიპტის მიერ ხორბლის იმპორტის დაწყებამ შავიზღვისპირეთში ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია: საბერძნეთს უფრო იაფი ხორბალი ურჩევნია > შავიზღვისპირეთში არეულობაა – ამ დროს ხომ თვით ოლბია აღარაა უსაფრთხო (Кузищин 2005:350-351) > კოლხეთში ეკონომიკური კრიზისია > ძვ. წ. II საუკუნეში კოლხეთის რიგი ბერძნული ქალაქების ბარბარიზება მოხდა > ამ ქალაქებმა (გიენოსი, ფიჭვნარი) არსებობა შეწყვიტეს. ეს დადასტურებულია არქეოლოგიურად და ლოგიკურია, რომ სტრაბონისთვის ისინი უცნობია. რაც შეეხება ფაზისს და დიოსკურიას, ისინი ჯერჯერობით განაგრძობენ არსებობას. მათ გარკვეული აღორძინება განიცადეს მითრიდატეს ხანაში, თუმცა შემდეგ ისინიც ბარბარიზდნენ საბოლოოდ.

რაც შეეხება კოლხეთის ბერძნული ქალაქების პოლიტიკურ სტატუსს, პოლისისთვის დამახასიათებელი ნიშნებიდან ფაზისსა და დიოსკურიას ბევრი ნიშანი ახასიათებს. ზოგადად, რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი შტრიხი – მონეტების ატრიბუციის წმინდა თეოკრატიული და არა მონარქიული გადაწყვეტა შეიძლება ჩაითვალოს, ასევე პოლისის, როგორც რესპუბლიკის მახასიათებლად. ასევე, ზოგადად, ანტიკური კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკური დეტერმინანტებიც, რიგ შემთხვევებში პოლისისთვის დამახასიათებელი ნიშნებია. მაგალითად, სავახშო კაპიტალის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ პოლისის ყველა მახასიათებლებიდან სავალდებულო არაა აპოიკიას ყველა ახასიათებდეს, რომ ის დამოუკიდებელ პოლისად მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ ყველა ქალაქთან მიმართებაში არ გაგვაჩნია სრული ინფორმატიულობის ფუფუნება. შესაბამისად, ზოგადად, ბერძნულ კოლონიებთან მიმართებაში და კოლხეთის კოლონიებთან

დაკავშირებით საკმარისია პოლისისთვის დამახასიათებელი რამდენიმე შტრიხის არსებობაც მისი პოლისური ხასიათის სამტკიცებლად. ყველაზე მნიშვნელოვანია დადასტურებული იყოს, რომ ახალშენი არის პოლიტიკურად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია, მისი მოსახლეები მისივე მოქალაქეები არიან, რომლებიც გადასახადებს იხდიან მხოლოდ საკუთარი პოლისის სასარგებლოდ. საკუთრივ პოლისი სრულიად შეუვალია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, გარდა ყიდვა-გაყიდვისა. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი პოლისი დამოკიდებულია ადგილობრივებთან ვაჭრობაზე, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მისი ეკონომიკური დამოკიდებულება გავლენას ახდენს პოლისის პოლიტიკურ სტატუსზე. თუმცა ეკონომიკური დამოკიდებულების ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პოლისის პოლიტიკურ სტატუსზეც, გამოიწვიოს მისი დეგრადაცია და საბოლოო ჯამში, კვდომაც.

რაც შეეხება პოლისის კვდომის მიზეზებს, გარდა პოლიტიკური და გეოგრაფიული მიზეზებისა, რომელიც მ. ჰანსენმა გამოყო (Hansen 2006:62-63), არსებობდა კიდევ ეკონომიკური მიზეზებიც, რის შედეგადაც შეიძლებოდა ანტიკური პოლისი ჩამკვდარიყო, ეს არის ადგილობრივი მოსახლეობის ფაქტორი. როდესაც მოსახლეობის და ბერძნების ეკონომიკური ინტერესები კონფლიქტში მოდიოდა, ადგილობრივები უტევდნენ ბერძნებს. ზუსტად ასევე, როდესაც ჰენიოხებმა დაკარგეს ინტერესი ბერძნულ ქალაქებთან ეკონომიკური კავშირისა, შეუტიეს კოლხეთის რიგ ბერძნულ ქალაქებს. ეკონომიკური მიზეზები პოლისის კვდომას განაპირობებენ იმ შემთხვევაში, როდესაც ქრება ის ეკონომიკური ინტერესი, რამაც ქალაქის დაარსება გამოიწვია – ადგილობრივებსა და ბერძნებს შორის ვაჭრობის ინტერესის გაქრობასთან ერთად პოლისები დეგრადირდებიან და კვდებიან.

კოლხეთის ძირითადი ბერძნული დასახლებებიდან (ფიჭვნარი, ფაზისი, დიოსკურია, გიენოსი) ყველას ერთი და იგივე სტატუსი და ფუნქცია არ ჰქონია, მით უფრო, მთელი მათი ისტორიის მანძილზე.

გიენოსი მთელი თავისი არსებობის მანძილზე იყო სავაჭრო ფაქტორია ბერძნებისთვის, თუკი ძვ. წ. VI საუკუნეში აქ იონიელები იყვნენ, ძვ. წ. V საუკუნეში ათენელები ვაჭრობენ, ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისშიც ათენელები არიან, თუმცა შემდეგში თანდათანობით სავაჭრო პარტნიორებად სინოპელი

ბერძნები გამოდიან. შემდეგში ეს კონტაქტებიც სუსტდება და ძვ. წ. II საუკუნეში ქალაქი წყვეტს არსებობას. ამასთან, ეს ემპორია სეზონური იყო და დაკავშირებული იყო ხე-ტყის ექსპორტთან. მითრიდატეს ხანაში ის არ განახლებულა. მუდმივი ბერძნული მოსახლეობა, თავისთავად მისი ფუნქციიდან გამომდინარე, ყოველთვის შედარებით სუსტი იყო და მათი ასიმილაცია ადგილობრივებთან, როგორც ჩანს, საკმაოდ სწრაფად განხორციელდა. შესაძლოა, ეს პროცესი უკვე მითრიდატეს წინარე ხანაში დასრულებული იყო და ამან განაპირობა კიდეც პონტოს მმართველის მიერ ამ დასახლების იგნორირება.

ფაზისი ძვ. წ. VI-II საუკუნეებში ბერძნული პოლისია, დოკუმენტურად დადასტურებული პოლისისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშნით: 1) დამოუკიდებლობა, 2) ქალაქის მფარველი ღვთაებების ტაძრების არსებობა, 3) მონეტების ემისია, 4) მიმდებარე ტერიტორიების სვინოიკიზმი, 5) ახალშენების დაარსება, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბებისა, 6) ტაძრებთან არსებული სავახშო კაპიტალი. ზოგადად, სავახშო კაპიტალი კაპიტალისტური საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი და ამ ტიპის საქმიანობის არსებობაც კოლხეთში მიუთითებს იმაზე, რომ ეს მხარე აღიქმებოდა, როგორც ბერძნული ეკონომიკური სისტემის ნაწილი. ელინისტურ ხანაში ფაზისი აფართოვებს კავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, განვითარებულია სოფლის მეურნეობა ფაზისის ხორას ტერიტორიაზე, რომელიც მოძრავია სხვადასხვა საუკუნეში. გვიანელინისტურ და რომაულ ხანაში ადგილობრივი ბერძნების ბარბარიზება ხდება და თანდათან სრულდება ბერძნული კოლონიზაცია, როგორც პროცესი, შესაბამისად, ელინური ფაზისიც ასრულებს თავის არსებობას. ძვ. წ. IV საუკუნეში ფაზისის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლე კოლხები, როგორც ჩანს, A ჰეპატიტითაც იყვნენ დაავადებულნი, თანაც მასობრივად. სავარაუდოდ, ეს მათ შრომის ნაყოფიერებაზეც მოახდენდა გავლენას, თუმცა თუ რამდენად, ეს უკვე სამომავლო კვლევის საგანია.

ფიჭვნარის ახალშენის წარმოშობას თავისი ზოგადი და კონკრეტული მიზეზები ჰქონდა. აქაც კოლონისტთა რამდენიმე, მეტნაკლებად ძლიერი, ნაკადის გამოყოფაა შესაძლებელი. ყოველ ჯერზე მათი მოსვლის კონკრეტული მიზეზები იკვეთება. ფიჭვნარის პირველი დასახლების გაჩენა იონიურ კოლონიზაციას უკავშირდება. სავარაუდოდ, როგორც მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ესეც

მილეტელების დაარსებული ახალშენი უნდა იყოს. საინტერესოა, რომ მილეტის გარშემო ფიჭვის ტყეებია და მისგან გამომდინარე ახლომდებარე პატარა ქალაქსაც თურქულად ეწოდება Çamiçi, ანუ „ფიჭვებში“ (Greaves 2002:13). პლინიუსის მიხედვით, მილეტის კარიული სახელია Pityusa (Plin. NH. 5.112), რომელიც დაერქვა ფიჭვებით მდიდარი ტერიტორიის გამო. მცირეაზიული ტოპონიმები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ხშირად დასტურდება, მაგ. სიდე/სიდა, კამანი/კომაგენე. მილეტელებს ტოპონიმი შეიძლებოდა გადმოეტანათ კოლხეთშიც, მათ მიერ დაარსებულ ახალშენში. მით უფრო, თუ ტოპონიმის შექმნის საფუძველი დაემთხვეოდა ერთმანეთს. შესაძლებელია, სწორედ ამგვარად გადმოტანილი იყოს ტოპონიმი ფიჭვნარიც, რომელმაც შემდგომ ქართული ფორმა მიიღო. ერთი შეხედვით, ფიჭვნარის სახელწოდების ქართულად შემორჩენა ტოპონიმის ამ პრინციპით გადმოტანას გამორიცხავს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მილეტის კარიული სახელიც – Pityusa – ჩვენამდე თარგმანით – თურქული ვერსიით შემორჩა. ძვ. წ. VI საუკუნის II ნახევარში თუ ტოპონიმის ასეთი „მიგრაცია“ მოხდა, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ფიჭვნარი და არა ბიჭვინთა, რადგან ამ დროისთვის ბიჭვინთა ჯერ კიდევ არაა დაარსებული. მეორე მხრივ, ასეთი კავშირი, ძვ. წ. VI საუკუნის II ნახევრის ფიჭვნარის დაარსებას მილეტთან აკავშირებს.

შემდეგი ეტაპი ფიჭვნარის ისტორიაში უკვე ძვ. წ. V საუკუნეში იწყება და უკავშირდება ათენის საიმპერიო პოლიტიკას. კონკრეტულად, ფიჭვნარის სამოსახლო შეიძლებოდა დაარსებულიყო ან ძვ. წ. V საუკუნის II მეოთხედში, ან V საუკუნის შუა ხანებში (ინაძე 1982:160; ლორთქიფანიძე 2002:204; დუნდუა... 2006:47). ატიკური პერიოდის ფიჭვნარის სამოსახლოს დაარსების ზოგადი მიზეზია ათენის გაძლიერება. ფიჭვნარის დაარსების მოკლევადიანი მიზეზი ათენის მიერ წარმოებული ეგვიპტის კამპანიის კატასტროფაა, და ბოლოს, უშუალო მიზეზია პერიკლეს ექსპედიცია და ადგილობრივი კოლხების მზადყოფნა აქ ათენის ახალშენის დაარსებისათვის. ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე პრაქტიკულად იარაღი არაა აღმოჩენილი. მოსახლეობა წინააღმდეგობით არ შეხვედრია ბერძნების მოსვლას და არც ბერძნები ელოდნენ პრობლემებს.

ფიჭვნარის კოლხური სამაროვნის მაგალითზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა: 1) ბერძნული კერამიკის მცირე რაოდენობით აღმოჩენაც კი მიუთითებს ადგილობრივების ინტენსიურ ურთიერთობაზე ბერძნებთან. 2) მიუხედავად ადგილობრივებთან სავაჭრო ურთიერთობისა, ბერძნებისთვის გაცვლის საგანი ყოველთვის არ იყო მათი ძვირფასი ღვინო. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, თაზოსური, ქიოსური, ქალკიდიკის ღვინოები შემოდიოდა მხოლოდ ბერძნებისთვის. კოლხურ სამაროვანზე ამფორების არ არსებობა ნიშნავს იმას, რომ ძვირფასი ბერძნული ღვინის იმპორტის სამიზნე მეზობელი კოლხური მოსახლეობა არ ყოფილა. ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ მდიდარი ჰინტერლანდის, მაგ., ვანის მოსახლეობას.

ფიჭვნარი ატიკური კოლონიზაციის ხანაში მუდმივი მოგზაურების და მეზღვაურების (აეინაუტების) ქალაქია. კლერუხები ფიჭვნარში არ ყოფილან, მაგრამ არქეოლოგიურად დასტურდება იმდენად ინტენსიური ურთიერთობა მეტროპოლიასთან, რომ პრაქტიკულად, ყოველდღიური მოხმარების საგნებს ისინი იღებენ მეტროპოლიისგან. ეს ნიშნავს, რომ მისი მოსალხეები ათენის მოქალაქეები არიან და არა ფიჭვნარის. ხშირად მოგზაურენ ათენსა და ფიჭვნარს შორის. ასეთი სტატუსი უნდა ჰქონოდათ აიენაუტებს, პლუტარქესთან და 3 ბერძნულ ეპიგრაფიკულ წარწერაში მოხსენიებულ „სოციალურ ფენას“. სავარაუდოა, რომ ფიჭვნარი სწორედ აეინაუტების ქალაქია ძვ. წ. V ს. II ნახევარში, შესაძლოა, ძვ. წ. IV საუკუნის 30-იან წლებამდეც. ელინისტურ ხანაში გარდატეხაა ფიჭვნარის ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუკი აქამდე ეს ქალაქი, ძირითადად, ნედლეულის ექსპორტით იყო დასაქმებული, როგორც ჩანს, ელინიზმის დასაწყისიდან იწყებს საკუთარი პროდუქციის შექმნას. ამ ფუნქციით უნდა დაწყებულიყო ფიჭვნარშიც ე. წ. ყავისფერკეციანი ამფორების წარმოებაც. ყავისფერკეციანი ამფორები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგანაა ნაპოვნი, მათ შორის ჰინტერლანდში. ეს არის ბერძნული ტიპის კერამიკა – ამფორები. ამ ხანაში ბერძნების ოდნავი ბარბარიზაციაც მოხდა, რაც გამოიხატა მათ მიერ ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში, ბერძნული სტილის შენარჩუნებით, თუმცა ნაკლებად ხარისხიანი კერამიკის წარმოებაში. ძვ. წ. II საუკუნეში ქალაქი საერთოდ წყვეტს არსებობას და მითრიდატეს ხანაში ის არც აღორძინებულა განსხვავებით ფაზისისა და დიოსკურიისგან.

სოხუმის და ეშერას დასახლებები ძვ. წ. VII საუკუნის მიჯნაზე და ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებში დაარსდნენ. ძვ. წ. VI საუკუნეში სოხუმში ბერძნული მოსახლეობა თუნდაც მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებობდა. ბერძნული იმპორტი, მართალია, ამ პერიოდიდან მცირეა, მაგრამ, ჩვენი აზრით, სავსებით საკმარისია ბერძნების აქ მოსახლეობის სამტკიცებლად. იმპორტით შედარებით მდიდარი იქნებოდა საკუთრივ ქალაქი, რომელიც ჯერჯერობით უცნობია. მასთან დაკავშირებულ მცირე დასახლებებში არც არის მოსალოდნელი დიდი რაოდენობით იმპორტის არსებობა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაცია ფიჭვნარია, სადაც სანაპიროზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მცხოვრებ ბერძნებსა და კოლხებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა სამარხებში ჩატანებული იმპორტის რაოდენობით. რამდენადმე ენიგმატური საკითხია სოხუმისა და ეშერას მიმართება. სოხუმსა და ეშერას შორის, არქეოლოგიური მონაცემების დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, უძველესია ეშერა, რომელიც დაარსებული უნდა იყოს ძვ. წ. VII-VI სს-ის მიჯნაზე. ამის დასტურია აქ აღმოჩენილი იმპორტული მასალა (იხ. ინაძე 1982:101). ამასთან, იმპორტის სუსტად გამოხატულობის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ეს დასახლებაც იონიელებმა დააარსეს იმ პრინციპით, რომლითაც, ზოგადად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მილეტი აარსებდა კოლონიებს – ბევრი და მცირე მოსახლეობით. ოდნავ მოგვიანებით, ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებიდან დაარსებული ჩანს სოხუმის დასახლებაც. რადგან მილეტელები ამ დროს არ აქტიურობენ ამ რეგიონში, როგორც ჩანს, სოხუმის დასახლება ეშერის სუბკოლონიაა. ნაწილი კოლონისტებისა ეშერიდან გადასახლდა სოხუმის მიმართულებით. საერთო ჯამში, არცერთი მათგანი მნიშვნელოვანი ქალაქი არ ყოფილა ძვ. წ. VI ს-ის ბოლომდე. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ სკილაქს კარიანდელთან ეს ქალაქი არ არის ელინურად მოხსენიებული. საერთო კონტექსტი ისეთია, რომ, ერთი შეხედვით, სკილაქსს არ უნდა გამორჩენოდა მისი ელინურად მოხსენიება, მაგრამ მაინც არ იხსენიებს (იხ. ყაუხჩიშვილი 1967:48-49). მეორე მხრივ, სკილაქსის ზოგადი ლაიტმოტივი ელინური და არა ბარბაროსული ქალაქების ჩამოთვლაა, ამიტომაც დიოსკურიის სტატუსის მოუხსენიებლობაც კი სკილაქსის მიერ შეიძლება მიუთითებდეს აქ ბერძნული მოსახლეობის არსებობასაც, რადგან ბარბაროსულ ქალაქებს ის საგანგებოდ აღნიშნავს. ეშერა და სოხუმი დაარსდა, როგორც მილეტელთა მცირე პოლისები,

თუმცა ძვ. წ. VI საუკუნეში ისინი საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოლისები ჯერ არ იყვნენ. ძვ. წ. V ს-ის II ნახევარში სოხუმის ტერიტორიაზე ათენელებმა კლერუხები გამოაგზავნეს, ალბათ, პერიკლეს პონტოური ექსპედიციის შემდგომ, რამაც გააძლიერა მიმდებარე ტერიტორიის ელინური სუბსტრატი. ამასთან დაკავშირებით შემდეგი არგუმენტები არსებობს: 1) შეიარაღებასთან დაკავშირებული ნივთების აღმოჩენა ამ პერიოდის სამარხებში დიოსკურიის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2) ვაჭრობა გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით ათენთან, ასევე, 3) დიოსკურიის არსებობა ბევრად უფრო არაკეთილგანწყობილ გარემოში ჰენიოხების მეზობლად, ვიდრე მაგ., ფიჭვნარისა, ან გიენოსისა. თუმცა დიოსკურიის სტატუსის სრული ტრანსფორმაცია ძვ. წ. V საუკუნეში დამოუკიდებელი პოლისიდან კლერუხიად არ მომხდარა. აქ, ალბათ, თანაცხოვრობდნენ ძვ. წ. VI საუკუნეში მოსული ბერძნების შთამომავლები და ძვ. წ. V საუკუნეში მოსული კლერუხები, ამასთან, პირველნი დიოსკურიის მოქალაქეები იყვნენ, ხოლო მეორენი – ათენისა. ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან დიოსკურია უკვე ჩამოყალიბებული პოლისია. პოლისის სხვადასხვა მახასიათებლებიდან: 1) თვითმმართველობა, 2) სწრაფვა საშინაო და საგარეო დამოუკიდებლობისთვის, 3) აგორა, 4) აკროპოლისი, 5) ტაძრები, 6) გიმნასიუმი, 7) თეატრები, 8) კედლები ქალაქის დასაცავად, 9) საკუთარი მონეტები, 10) საკუთარი კოლონიები, 11) პოლიტიკური ცხოვრება, 12) პოლიტიკური სტრუქტურები, 13) კონურბანიზაცია/სვინოიკიზმი, 14) საკუთარი მოქალაქეები, 15) საკუთარი მეურნეობის ფორმები, 16) საკუთარი ჯარი, დიოსკურიას რამდენიმე ჰქონდა. დიოსკურიის მიერ საკუთარი დამღიანი ამფორის გამოშვება, საკუთარი მეურნეობის არსებობა მის დამოუკიდებელ სტატუსზე მიუთითებს. მისი ამფორების წარმოება დაიწყო ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან და III საუკუნეშიც გრძელდებოდა. ამ ამფორებს ის საკუთარი წარმოებული პროდუქციის გასაზიდად იყენებდა. ეს პროდუქცია შეიძლებოდა ყოფილიყო ღვინო. სავარაუდოდ, დიოსკურიული ღვინო ეგეოსური ცენტრებიდან შემოსულ პროდუქციასთან შედარებით იაფი ღირდა, რამდენადმე უწევდა კონკურენციას მათ ჩრდილო შავიზღვისპირეთში. თუმცა ამ ტარის წარმოება მხოლოდ ამ მიზნით არ ხდებოდა. დიოსკურიაში წარმოებული სატრანზიტო ტარა, შესაძლოა, გადიოდა აქედან, მაგ., ქერსონესში წარმოებული პროდუქციის გადასაზიდად.

ეშერის ძვ. წ. IV-III საუკუნის წარწერაში მოხსენიებული ფაქტები ადასტურებს, ასევე, რამდენიმე მნიშვნელოვან შტრიხს, რომელიც პოლისებს ახასიათებდათ: 1) დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, 2) საკუთარი ჯარის ყოლა, 3) ფლოტი (?), 4) თავდაცვითი სისტემა. ძვ. წ. IV საუკუნეში დიოსკურიის პოლისურ სტატუსს ამტკიცებს, ასევე, მის მიერ მიმდებარე ტერიტორიების აბსორბცია – სვინოიკიზმი: ეშერას შეერთება სოხუმის დასახლებასთან დასრულდა ელინისტურ ხანაში, რისი დასტურიცაა დიოსკურიის წარმოებული ამფორების ქურების საწარმოო ცენტრის აღმოჩენა, როგორც ეშერაში, ასევე სოხუმში. ეს მხარე უკვე ეკონომიკურად ერთიანი სივრცეა. ძვ. წ. II საუკუნეში დიოსკურია კნინდება. თუმცა მითრიდატეს ხანაში გამოცოცხლება შეინიშნება. დიოსკურია სტრაბონთან ჯერ კიდევ სავაჭრო ქალაქია, თუნდაც კოლხთა ქალაქი, მაგრამ მაინც სავაჭრო ქალაქია, ანუ სანამ მითრიდატე „მოუსწრებდა“ ამ მხარეს, დიოსკურია სავაჭრო ცენტრის სტატუსს მაინც ინარჩუნებდა. ძვ. წ. I საუკუნეში დიოსკურიაში საქალაქო ცხოვრება ჩაკვდა. როგორც ჩანს, მითრიდატეს შემდეგ, ხელახლა დაწყებული კრიზისის ფონზე ქალაქს შეუტიეს ადგილობრივებმა. პლინიუსის დროისთვის ქალაქი უკვე გაუკაცრიელებულია (Plin. N.H. VI. 15). მისი განადგურების შედეგია მთიელთა ჩამოსახლება.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრების დაკნინება და ისევ ეკონომიკური კრიზისია. ბერძნები ბარბარიზდნენ და დასავლურ ეკონომიკურ სისტემებთან შერწყმის ილუზია აღარ არსებობს. რომაულ ხანაში ამ მხარეს ეკონომიკური დატვირთვა ნედლეულის გაზიდვის თვალსაზრისით აღარ აქვს, რომაელები, მას მხოლოდ იმპერიის განაპირა, პონტოს ლიმესის ნაწილად აღიქვამენ, შესაბამისად, დიდად ჰინტერლანდითაც არ ინტერესდებიან. დაახლოებით მათი პირველი გამოჩენის პარალელურად, დასავლეთ საქართველოში იწყება პროტოფეოდალური საზოგადოების რეორგანიზება. შემდგომი ეტაპი პროტოფეოდალიზმიდან ფეოდალიზმზე გადასვლა უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეს პროცესი რამდენადმე რთულად მიმდინარეობდა და საბოლოოდ დასრულდა მთიელთა ჩამოსახლების დასრულების შემდგომ. ახ. წ. I-II სს-ში ნარატიულ წყაროებში ჩნდება ახალი ეთნონიმები: ლაზები, აფშილები, აბაზგები, სანიგები. მთელს

დასავლეთ საქართველოში ხდება მთიელთა ჩამოსახლება. მათი ჩამოსახლება გამოწვეულია ურბანული ცხოვრების ჩაკვდომით. გამოცოცხლება კი მხოლოდ მთიელთა ჩამოსახლების შემდეგ გახდა შესაძლებელი. საზოგადოების სოციალური რეორგანიზება დასრულდა და ლაზიკის ტერიტორიაზე ფეოდალიზმი დაიწყო. ამგვარად, ელინური ექსპერიმენტის კრახის ერთ-ერთი გრძელვადიანი შედეგი იყო ლაზიკის ტერიტორიაზე ფეოდალიზმის დაწყება.

შემოკლებათა სია:

ВДИ – Вестник древней истории

СА – Советская археология

JRS – The Journal of Hellenic Studies

RE – Paulys Realencyclopädie der classischen Altertumswissenschaft

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრამიშვილი 1987: აბრამიშვილი თ. ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონეტები (1973-1982). ნოქალაქევი. II. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1987.
2. არბოლიშვილი 2006: არბოლიშვილი ლ. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“, როგორც კოლხეთის ისტორიის წყარო. ავტორეფერატი. თბილისი. 2006.
3. ახვლედიანი 2004: ახვლედიანი დიმ. კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ. წ. V-II სს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი. 2004.
4. ახვლედიანი 2004: ახვლედიანი დიმ. კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“, 2004.
5. ახვლედიანი... 2005: ახვლედიანი დიმ., კაჭარავა დ. კვირკველია გ. ვანი ძვ. წ. IV საუკუნესა და III საუკუნის I ნახევარში. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში, ძიებანი, დამატებანი, 12, 2005.
6. ბერძენიშვილი 1975: ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ. ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები, კატალოგი. კრ. დიდი პიტიუნტი, I. თბილისი. 1975.
7. ბერძნიშვილი 1942: ბერძნიშვილი, მ. ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისთვის. ჟ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXIII, 1942.
8. ბლასკესი 2002: ბლასკესი, ხ. მ. ვანის საკულტო ქალაქი და მისი პარალელები დასავლეთში. ჟ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλις Ἑλλένις Πόλις Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.
9. ბოერი 1999: ჟან გერიტ დე ბოერი. პონტოს აპოლონია და მისი ემპორიონები, სავაჭრო პორტები? ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.
10. ბოერი 2005: ბოერი ჟ. პ. სინოპური და კოლხური ამფორების დამღები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში: საერთო ბაზარი? ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.
11. ბრაგვაძე 2005: ბრაგვაძე ზ., მახარაძე გ. საირხე ელინისტურ ხანაში. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.

12. ბრაგვაძე... 1999: ბრაგვაძე ზ., მახარაძე გ. ძვ. წ. V-IV სს. ბერძნული იმპორტი საირხიდან. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.
13. ბრაუნდი 1999: ბრაუნდი დ. ინდოელი ვაჭრები ფასისში. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.
14. ბრაუნდი 2002: ბრაუნდი დ. ზოგიერთი მოსაზრება ძველი ეთნიკური კატეგორიების შესახებ. ჟ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πρ̣λισ Ἑλλενι̣σ Πρ̣λισ Βα̣ρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.
15. ბრაუნდი 2005: ბრაუნდი დ. კიდევ ერთხელ ფაზისელთა კონსტიტუციის შესახებ. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.
16. გაგოშიძე 1966: გაგოშიძე ი. ითხვისის სამარხი. ჟ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-B, 1966.
17. გამსახურდია 1983: გამსახურდია ი. კოლხეთიდან სვანეთის მთებამდე. თბილისი: გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“, 1983.
18. გამყრელიძე 1965: გამყრელიძე ალ. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. კრ. ქართული წყაროთმცოდნეობა, I. 1965.
19. გამყრელიძე 1977: გამყრელიძე გ. მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები. კრ. ვანი. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.
20. გამყრელიძე 1985: გამყრელიძე გ. აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის. ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის სერია, №3, 1985.
21. გამყრელიძე 2010: გამყრელიძე გ. კოლხოლოგიური ნარკვევები. 2. თბილისი: გამომცემლობა „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“, 2010.
22. გამყრელიძე... 2006: გამყრელიძე გ., თოდუა თ. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „საუნივერსიტეტო გამომცემლობა“, 2006
23. გეორგიკა 1936: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. ტ. 3. თბილისი: გამომცემლობა „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1936.

24. გეორგიკა 1961: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1961.
25. გეორგიკა 1965: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1965.
26. გვინჩიძე 1980: გვინჩიძე გ. ნანეფის ჭალეს სამაროვანი. ჟ. ძეგლის მეგობარი, №54, 1980.
27. გვინჩიძე 1981: გვინჩიძე გ. ნოქალაქევის სამარხეული ძეგლები. ნოქალაქევი, I. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1981.
28. გვინჩიძე 1987: გვინჩიძე გ. ნოქალაქევის ირგლივ მდებარე ანტიკური ხანის სამარხეული ძეგლები. ნოქალაქევი, II. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1987
29. გიგოლაშვილი... 1979: გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფირცხალავა მ., ფუთურიძე რ., ჭყონია ა. ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970-1977 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების კატალოგი. კრ. ვანი, IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.
30. გორდეზიანი 1971: გორდეზიანი, რ. “ფაზისის” ეტიმოლოგიისათვის. ჟ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2(140), 1971.
31. გორდეზიანი 1988: გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია. ნ. 1. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1988.
32. გორდეზიანი 1997: გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია. ნ. 2. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1997.
33. გორდეზიანი 2009: გორდეზიანი ლ. ძველი ისტორიის ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2009.
34. გრიგოლია 1971: გრიგოლია გ. ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები. ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, 3, 1971.
35. გრიგოლია 1973: გრიგოლია გ. „ბარბაროსების დიდი ქალაქის“ ლოკალიზაციისთვის. ჟ. ძეგლის მეგობარი, №33, 1973
36. დიუპონი... 1999: დიუპონი პ., კაჭარავა დ. ფისის მოლესილობის ნაშთები არქაულ ბერძნულ ამფორებზე სიმაგრის ნამოსახლარიდან. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23

სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

37. დუნდუა 1997: დუნდუა თ. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 1997.
38. დუნდუა 2009: დუნდუა თ. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV სს. ბერძნული ახალშენები დასავლეთ საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.
39. დუნდუა... 1977: დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ. მონეტები ვანიდან. ვანი. III. თბილისი: გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1977.
40. დუნდუა... 2000: დუნდუა თ., სილაგაძე ნ. საქართველოს ისტორია, თემატური თუ ქრონოლოგიური პრინციპი? თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000.
41. დუნდუა... 2006: დუნდუა გ., დუნდუა თ. ქართული ნუმიზმატიკა. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2006.
42. დუნდუა... 2009 1: დუნდუა თ. ფიფია ნ. ანტიკური საზოგადოების დაჩიხვა. მასალები სალექციო კურსისთვის. თბილისი: გამომცემობა „უნივერსალი“, 2009.
43. დუნდუა... 2009: დუნდუა თ., ფიფია ნ. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. I. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009.
44. ვანი 1972: ვანი. არქეოლოგიური გათხრები. ტ. 1. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.
45. ვანი 1976: ვანი. არქეოლოგიური გათხრები. ტ. 2. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.
46. ვანი 1977: ვანი. არქეოლოგიური გათხრები. ტ. 3. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.
47. ვანი 1979: ვანი. არქეოლოგიური გათხრები. ტ. 4. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.
48. ვანი 1981: ვანი. არქეოლოგიური გათხრები. ტ. 5. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.
49. ვანი 1983: ვანი. არქეოლოგიური გათხრები. ტ. 7. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983.

50. ვანი 1986: ვანი. არქეოლოგიური გათხრები. ტ. 8. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.

51. ვაშაკიძე 1971: ვაშაკიძე ნ. გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ჟ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, 1971.

52. ვაშაკიძე 1978: ვაშაკიძე ნ., კახიძე ა. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, 1978.

53. ვაშაკიძე 1979: ვაშაკიძე ნ., კახიძე ა. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე 1976 წელს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, 1979.

54. ვაშაკიძე 1982: ვაშაკიძე ნ. იმპორტული კერამიკული ტარა "ნამჭედურის" ნამოსახლარიდან. ჟ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XI, 1982.

55. ვაშაკიძე 1983: ვაშაკიძე ნ. ზემო ფარცხმის სამაროვანი. ჟ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, 13, 1983.

56. ვაშაკიძე 2002: ვაშაკიძე ნ., ინაიშვილი ნ. ძვ. წ. V ს. ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი ციხისძირიდან. ჟ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλις Ἑλλενὶς Πόλις Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.

57. ვაშაკიძე... 1999: ვაშაკიძე ნ. ინაიშვილი ნ. გვიანარქაული და კლასიკური ხანის ბერძნული იმპორტი ციხისძირში. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

58. ვაშაკიძე... 2005: ვაშაკიძე ნ. ინაიშვილი ნ. ელინისტური ხანის მძივსამკაული ციხისძირის სამაროვნიდან. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.

59. ვიკერსი 1999: ვიკერსი მ. ათენელები შავ ზღვაზე: რომაული მოდელი. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

60. ვიკერსი... 1999: ვიკერსი მ. კახიძე ა. იაშვილი ი. შავიზღვისპირეთის საქალაქო ვერცხლის მონეტები ფიჭვნარის ძვ. წ. V ს. სამაროვნებიდან. ჟ. ლიტერატურული აჭარა, №4, 1999.

61. ზამთარაძე 1987: ზამთარაძე მ. ნოქალაქევში 1981-1982 წლებში აღმოჩენილი სამარხები. ნოქალაქევი, II. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1987.

62. ზაქარაია 1981: ზაქარაია პ. ნოქალაქევში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. ნოქალაქევი. I. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1981.

63. თავამაიშვილი 1991: თავამაიშვილი გ. ზღვისპირა სადგომების დანიშნულების შესახებ. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XIX, 1991.

64. თოდუა 2000: თოდუა თ. საქართველოს შავიზღვისპირეთის ეთნო-კულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახ.წ. II-IV სს-ის სამარხეული ძეგლების მიხედვით. ჟ. საისტორიო ძიებანი, №3, 2000.

65. თოდუა 2004: თოდუა, თ. არიანეს Εκταξις' κατ' 'Αλλαν-ის ერთი ცნობის განმარტებისათვის. ჟ. ძველი ისტორია, წ. 5. 2004.

66. თოდუა 2005: თოდუა, თ. IV-V საუკუნეების ბერძნულწარწერიანი სტელა სებასტოპოლისიდან/სოხუმი. ჟ. ძველი ისტორია, წ. 5. 2005.

67. თოდუა 2011: თოდუა თ. ანტიკური პოლისი. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2011.

68. თოლორდავა 1976: თოლორდავა ვ. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წლებში. ვანი. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

69. თოლორდავა 1976[1]: თოლორდავა ვ. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. ვანი. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

70. თოლორდავა 1977: თოლორდავა ვ. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973-1974 წლებში. ვანი. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

71. თურმანიძე 2002: თურმანიძე მ. მძივსამკაული ფიჭვნარის ძვ. წ. V ს. ბერძნული სამაროვნიდან. კრ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλις Ἑλλενὶς Πόλις Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.

72. თურმანიძე 2005: თურმანიძე მ. ფიჭვნარის ელინისტური ხანის მძივსაკიდები. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.

73. იაშვილი 1982: იაშვილი ი. სინოპური დამღა ფიჭვნარიდან. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XI, 1982.

74. იაშვილი 1987: იაშვილი ი. ადრეული სინოპური ვერცხლის დრაქმა ფიჭვნარიდან. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, 1987.

75. ინაძე 1955: ინაძე მ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის. ჟ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკკ. 32, 1955.

76. ინაძე 1959: ინაძე მ. ანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების განვითარების ხასიათის საკითხისათვის. ჟ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XXIII, №6, 1959.

77. ინაძე 1961: ინაძე მ. კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის. ჟ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXVI, №6, 1961.

78. ინაძე 1962: ინაძე მ. სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. კრ. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. ტ. 2. 1962.

79. ინაძე 1962[1]: ინაძე მ. ანტიკური ხანის ქალაქები (დიოსკურია). ჟ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI, ნაკვეთი 2. 1962.

80. ინაძე 1963: ინაძე მ. ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინთა). ჟ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №4, 1963.

81. ინაძე 1975: ინაძე მ. ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარი). ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №1, 1975.

82. ინაძე 1982: ინაძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982.

83. ინაძე 1983: ინაძე, მ. ჰერაკლიდეს “ფასისელთა პოლიტიის” განმარტებისათვის. ჟ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის სერია, №1, 1983.

84. ინაძე 1992: ინაძე მ. ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, №1, 1992.

85. ინაძე 1992[1]: ინაძე მ. აფხაზეთის ძველი მოსახლეობა. ჟ. მნათობი, №2, 1992.

86. ინაძე 1992[2]: ინაძე მ. ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, №2, 1992

87. ინაძე 1999: ინაძე მ. ნავიგაცია და ვაჭრობა შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

88. ინაძე 2010: ინაძე მ. ძველი კოლხეთის ქალაქი კიგნუმი. ჟ. იბერია – კოლხეთი, №6, 2010.

89. კალანდაძე 1953: კალანდაძე ალ. სუხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. ჟ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის შრომები. 1953.

90. კაპანაძე 1950: კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი: გამომცემლობა „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1950.

91. კაჭარავა 1971: კაჭარავა დ. ოჩამჩირის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ქრონოლოგიისა და ტოპოგრაფიისათვის. ჟ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 62, №3, 1971.

92. კაჭარავა 1977: კაჭარავა დ. St. Valentin-ის ჯგუფის კერამიკა ვანიდან. ვანი. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

93. კაჭარავა 2002: კაჭარავა დ. Πόλισ Ἑλλένισ შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλισ Ἑλλένισ Πόλισ Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.

94. კაჭარავა... 1977: კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977), ვანი. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

95. კახაძე 1993: კახაძე ო. ტერმინი „ეგრისი“ (ეგური, ეგრი, ეგრისი), კრ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი: გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1993.

96. კახიძე 1965: კახიძე ა. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. ჟ. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, 1965.

97. კახიძე 1971: კახიძე, ა. კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. ჟ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, 1971.

98. კახიძე 1971ı: კახიძე ა. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.

99. კახიძე 1973: კახიძე ა. ფიჭვნარის ანტიკური ხელოვნების ძეგლები. ჟ. საბჭოთა ხელოვნება, №9, 1973.

100. კახიძე 1973ı: კახიძე ა. ფიჭვნარის წითელფიგურიანი კრატერი. ჟ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 69, №2, 1973.

101. კახიძე 1974: კახიძე ა. ფიჭვნარის ძვ. წ. IV საუკუნის სამაროვანის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, 1974.

102. კახიძე 1979: კახიძე ა. ფიჭვნარის ძვ. წ. IV ს. ბერძნულ ნეკროპოლზე 1976 წელს განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, 1979.

103. კახიძე 1982: კახიძე ა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის იონიური და ატიკური ეტაპები. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XI, 1982.

104. კახიძე 1987: კახიძე ა. ანტიკური ტორევტიკის ნიმუშები ფიჭვნარიდან. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, 1987.

105. კახიძე 1989: კახიძე ა. ბათუმის დასახლების შესწავლის ისტორიისათვის, 1989, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. № XVIII.

106. კახიძე 2002: კახიძე ა. ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანარქაულსა და კლასიკურ ხანაში ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλις Ἑλλένις Πόλις Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.

107. კახიძე... 1971: კახიძე ა., შატბერაშვილი ზ. კოლხეთსა და ათენს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, 1971.

108. კახიძე... 1977: კახიძე ა., ვაშაკიძე ნ. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. ჟ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI, 1977.

109. კახიძე... 1988: კახიძე ა., მამულაძე შ. კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVII, 1988.

110. კახიძე... 1999: კახიძე ა., იაშვილი ი. შავიზღვისპირეთის საქალაქო ვერცხლის მონეტები ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის სამაროვნიდან. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23

სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

111. კახიძე... 19991: კახიძე ა. კახიძე ელდ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ანტიკურ სამყაროსთან გვიანარქაულსა და კლასიკურ ხანაში (ფიჭვნარში აღმოჩენილი მასალების მიხედვით). ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

112. კახიძე... 2004: კახიძე ა., ვიკერსი მ. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია. ფიჭვნარი I. ბათუმი – ოქსფორდი, 2004.

113. კახიძე... 2005: კახიძე ა., თავამაიშვილი გ., ვიკერსი მ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.

114. კახიძე... 2007: კახიძე ა., ვიკერსი მ. ფიჭვნარი, 2. ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფიჭვნარის ძვ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი. ბათუმი-ოქსფორდი, 2007.

115. კახიძე... 2010: კახიძე ა. ვაშაკიძე ნ. ფიჭვნარი III. ელინიზმი და კოლხეთი. ბათუმი – ოქსფორდი, 2010.

116. კეჭაღმაძე 1961: კეჭაღმაძე ნ. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თბილისი: გამომცემლობა: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1961.

117. კვირკველია 1978: კვირკველია გ. იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ტ. 1, თბილისი: გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1978.

118. კვირკველია 1979: კვირკველია გ. ძველი დიოსკურია. ჟ. ძეგლის მეგობარი, №49. 1979.

119. კვირკველია 1999: კვირკველია გ. ბერძნული ვაჭრობა ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივ საზოგადოებებთან. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

120. კვირკველია 2002: კვირკველია გ. Πρ̣λισ Βαρβαρον შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πρ̣λισ Ἑλλενι̣σ Πρ̣λισ Βαρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო

სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.

121. კიღურაძე 1978: კიღურაძე ნ. კოლხური სოფელი ანტიკურ ხანაში, კრ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ტ. 1, თბილისი: გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1978.

122. ლეთოდიანი 1991: ლეთოდიანი დიმ. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1991.

123. ლიჩელი 1977: ლიჩელი ვ. ახალაღმოჩენილი ნაქალაქარი საყანჩიას ველზე. ვანი. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

124. ლიჩელი 1981: ლიჩელი ვ. ძველი წელთაღრიცხვის III-I სს. შიდა კოლხეთის მატერიალური კულტურის შესწავლისათვის (სავანჩიას ნამოსახლარი). ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №2, 1981.

125. ლიჩელი 2005: ლიჩელი ვ. ელინიზმი საქართველოში: სამი რეგიონი – სამი ეტაპი. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.

126. ლომიტაშვილი... 1987: ლომიტაშვილი დ. ლორთქიფანიძე ბ. ნოქალაქევში გამოვლენილი ადრეანტიკური ხანის სუფრის ჭურჭელი. ნოქალაქევი, II. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1987.

127. ლომოური 1955: ლომოური ნ. კლავდიუს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 32, 1955.

128. ლომოური 1962: ლომოური ნ. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1962.

129. ლომოური 1968: ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1968.

130. ლომოური 1981: ლომოური ნ. ნოქალაქევი - არქეოპოლისი - ციხეგოჯი. ნოქალაქევი. I. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1981.

131. ლომოური 1996: ლომოური ნ. დასავლეთ საქართველო რომის პოლიტიკურ სისტემაში ახ.წ. II-III სს-ში. ჟ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №6, 1996.

132. ლომოური 1998: ლომოური ნ. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“. 1998.

133. ლორთქიფანიძე 1964: ლორთქიფანიძე ოთ. კოლხეთის ბერძნული „კოლონიზაციის“ საკითხისათვის. ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №3, 1964.

134. ლორთქიფანიძე 1965: ლორთქიფანიძე ოთ. სოხუმში აღმოჩენილი ანტიკური რელიეფი. ჟ. საბჭოთა ხელოვნება, №4, 1965.

135. ლორთქიფანიძე 1972: ლორთქიფანიძე გ. ვანის ნაქალაქარის I უბანზე 1961-1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. ვანი I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.

136. ლორთქიფანიძე 1972: ლორთქიფანიძე ოთ. ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები). ვანი. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.

137. ლორთქიფანიძე 1976[1]: ლორთქიფანიძე მ. არქაული და „არქაიზებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან (1969 წელს მოპოვებული მასალები), ვანი. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

138. ლორთქიფანიძე 1977: ლორთქიფანიძე ოთ. ვანის ნაქალაქარი, გათხრები, ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე). ვანი. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

139. ლორთქიფანიძე 1999[1]: ლორთქიფანიძე ოთ. ვაჭრობა შავ ზღვაზე – „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წანამძღვარი. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

140. ლორთქიფანიძე 2002: ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2002.

141. ლორთქიფანიძე... 1972: ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე 1960-1961 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. ვანი. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.

142. ლორთქიფანიძე... 1972: ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე 1968 წელს. ვანი. I. თბილისი: „მეცნიერება“, 1972.

143. ლორთქიფანიძე... 1972[1]: ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. ვანი. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.

144. ლორთქიფანიძე... 1976: ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ლეჟავა გ., ლორთქიფანიძე გ., მათიაშვილი ნ., ჭყონია ა., მჭედლიშვილი ბ. 1970-1971 წლებში ვანში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-

ძიების შედეგები. ვანი. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

145. ლორთქიფანიძე... 1981: ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, დათარიღება, კატალოგი). ვანი. V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.
146. ლორთქიფანიძე... 2008: ლორთქიფანიძე გ., კვიციანი ზ., ბერაძე გ. სვანეთი - ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2008.
147. მათიაშვილი 1973: მათიაშვილი ნ. ვანში აღმოჩენილი ჰერაკლეს გამოსახულებიანი მედალიონი. ჟ. ძეგლის მეგობარი, №33, 1973.
148. მათიაშვილი 1977: მათიაშვილი ნ. ძვ. წ. III - I ს.ს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.
149. მალკინი 2002: მალკინი ი. „დაარსების“კონცეფციის საბუთიანობის კვლევა; მეგარა და მისი კოლონიები. ჟ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλις Ἑλλένις Πόλις Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.
150. მამულაძე 1979: მამულაძე შ. ფარცხანაყანევში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, 1979.
151. მახარაძე... 2007: მახარაძე მ. წერეთელი მ. საირხე. თბილისი: გამომცემლობა: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2007.
152. მელიქიშვილი 2012: მელიქიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. კიმერიელთა შემოსევები და მათი შედეგები. ურთიერთობა მიდიასთან და აქემენიანთა ირანთან. საქართველოს ისტორია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2012.
153. მელიქიშვილი 2012[1]: მელიქიშვილი გ. კოლხეთი ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ბერძნული ახალშენები შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. საქართველოს ისტორია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2012.
154. მელიქიშვილი 2012[2]: მელიქიშვილი გ. ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ძვ.წ . II-I საუკუნეებში. საქართველოს ისტორია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2012.

155. მიქელაძე 1960: მიქელაძე თ. ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, ჟ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №2, 1960.

156. მიქელაძე 1967: მიქელაძე თ. ქსენოფონტის „ანაბაზისი“. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967.

157. მიქელაძე 1978: მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. ჟ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1978.

158. მუსხელიშვილი 1977: მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

159. ნადირაძე 1990: ნადირაძე ჯ. საირხე საქართველოს უძველეს ქალაქში. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1990.

160. ნასიძე 2002: ნასიძე მ. საქართველოს ბერძნული გრაფიტო (დასავლეთ საქართველო). ავტორეფერატი ისტ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 2002.

161. ნოქალაქევი 1987: ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.

162. ნოქალაქევი 1993: ნოქალაქევი-არქეოპოლისი. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993.

163. ოქროპირიძე... 1974: ოქროპირიძე ნ., ბარამიძე ვ. პალურის საძვლე (1968 წლის გათხრების შედეგები). ჟ. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 6, 1974.

164. პაპუაშვილი 1987: პაპუაშვილი რ. არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე (1983-1986 წწ.) ჟ. ძეგლის მეგობარი, №4 (78), 1987.

165. პაპუშვილი 2002: პაპუაშვილი რ. არქეოლოგიური გათხრები ყულევში 1999-2001 წლებში. ჟ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλις Ἑλλένις Πόλις Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.

166. პეტროპულოსი 2002: პეტროპულოსი ე. ემპორიონი და აპოიკია-პოლისი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. VI და V საუკუნეებში: ურბანისტული თვალსაზრისი. ჟ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλις Ἑλλένις Πόλις Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო

სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.

167. პლუტარქე 1975: პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკ. ურუშაძემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975.

168. რამიშვილი 1976: რამიშვილი ქ. ტერაკოტები ვანიდან. ვანი. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

169. სანიკიძე 1954: სანიკიძე ლ. პონტოს სამეფო მითრიდატე VI-ის დროს (ძვ. წ. 120-90). ალექსანდრე წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XII, 1954

170. საქართველოს... 1970: საქართველოს ინტორიის ნარკვევები, ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970.

171. სიხარულიძე 1983: სიხარულიძე, თ. წითელფიგურიანი კრატერი მითოლოგიური სცენით – „ეოსი და კეფალოსი“ – ფიჭვნარიდან. ჟ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, 13, 1983.

172. სიხარულიძე 1987: სიხარულიძე თ. ატიკური მოხატული ვაზები ფიჭვნარის სამაროვნიდან (ძვ. წ. V - IV სს.). კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, 1987.

173. სიხარულიძე 1988: სიხარულიძე თ. ატიკური მოხატული კერამიკის ახალი ნიმუშები ფიჭვნარის ბერძნული სამაროვნიდან. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVII, 1988.

174. ტეზგორი 1999: ტეზგორი დ. კ. სინოპი და ვაჭრობა მისი ამფორებით. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

175. ტეზგორი 2005: ტეზგორი დ. კ. შავი ზღვის თურქეთის სანაპიროს მუზეუმებში დაცული კერამიკული ტარის კოლექციები: ამფორების ტიპოლოგია და ამფორებით ვაჭრობა. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.

176. ფიფია 2010: ფიფია ნ. აფსილ-აბაზგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. ჟ. დიდაჭარობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 2010.

177. ფიფია 2011: ფიფია ნ. სედოხეზების ტომის ლოკალიზაციის საკითხისათვის, ჟ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, 2011.

178. ფუთურიძე 1976: ფუთურიძე რ. იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქარიდან (ძვ.წ. V-IV სს). ვანი. II. თბილისი: გამომცემლობა

„მეცნიერება“, 1976.

179. ფუთურიძე... 1972: ფუთურიძე რ., ხოშტარია ნ., ჭყონია ა. ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1960-1961 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. ვანი. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.

180. ქავთარია 2005: ქავთარია გ. ძველი საბერძნეთი. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005.

181. ქათამაძე 1963: ქათამაძე ალ. კოხის „ნაჯიხურალი“ – ძველი კოლხური ნამოსახლარი. აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები. №6. 1963.

182. ყაუხჩიშვილი 1957: ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1957.

183. ყაუხჩიშვილი 1965: ყაუხჩიშვილი თ. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965.

184. ყაუხჩიშვილი 1967: ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I. (სკილაქს კარიანდელი, სკიმნოს ქიოსელი, დიონისიოს პერიეგეტი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967.

185. ყაუხჩიშვილი 1969: ყაუხჩიშვილი თ. ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. აღმოსავლური ფილოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969.

186. ყაუხჩიშვილი 1969[1]: ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. (არისტოტელე, ნიკოლოზ დამასკელი, კლავდიუს ელიანუსი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969.

187. ყაუხჩიშვილი 1970: ყაუხჩიშვილი თ. ახალი გამოკვლევა კოლხეთის ქალაქთა გამოკვლევისათვის. ჟ. მნათობი, №6, 1970.

188. ყაუხჩიშვილი 1975: ყაუხჩიშვილი თ. ჰეროდოტე, ისტორია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 1975

189. ყაუხჩიშვილი 1976: ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. III. (პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისიოს ჰალიკარნასელი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

190. ყაუხჩიშვილი 1980: ყაუხჩიშვილი თ. ბერძნები მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.

191. ყაუხჩიშვილი 1987: ყაუხჩიშვილი თ. ბერძნები მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.

192. ყაუხჩიშვილი 1987[1]: ყაუხჩიშვილი თ. ანტიკური წყაროები ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, 1987.

193. ყაუხჩიშვილი 1999: ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 1999.

194. ყაუხჩიშვილი 2004: ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2004.

195. შავლაყაძე 2012: შავლაყაძე ქ. ქიოსური ამფორები ეტრურიაში და სამხრეთ იტალიის ეკონომიკური მოდელი ძვ. წ. VIII-IV საუკუნეებში. ჟ. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები. 2012.

196. ჩართოლანი 2010: ჩართოლანი შ. ლარილარის სამაროვანი. შ. ჩართოლანი, შრომები. თბილისი: გამომცემლობა „ჯუანშერ ამირანაშვილი“, 2010.

197. ჩართოლანი... 20101: ჩართოლანი შ. გრიგოლია გ. ბარამიძე მ. ოქროპირიძე ნ. რამიშვილი ალ. ჯაფარიძე ვ. ჯღამაია ჯ. ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის შედეგები. შ. ჩართოლანი, შრომები. თბილისი: გამომცემლობა „ჯუანშერ ამირანაშვილი“, 2010.

198. ჩხაიძე 1974: ჩხაიძე ლ. ადრეანტიკური ხანის იმპორტული მინის ჭურჭლები ფიჭვნარის ნაქალაქარის ბერძენ მოახალშენეთა სამაროვნიდან. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, 1974.

199. ჩხაიძე 1975: ჩხაიძე ლ. მინის ნაწარმი ვაშნარის ნაქალაქარიდან. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, 1975.

200. ცეცხლაძე 1991: ცეცხლაძე გ. ახალი მასალები ძველი კოლხეთისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესწავლისათვის. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XIX, 1991.

201. ცეცხლაძე... 1991: ცეცხლაძე გ., იაშვილი ი. დამღიანი კოლხური ამფორის ფრაგმენტი ჩოლოქიდან. კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XIX, 1991.

202. ძნელაძე 2002: ძნელაძე ნ. ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედის გრაფიტოები ფიჭვნარიდან. ჟ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: πόλις Ἑλλένις Πόλις Βάρβαρον შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 2002 წ. 23-26 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, VIII, 2002.

203. ძნელაძე 2005: ძნელაძე ნ. გრაფიტოები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამარხებიდან. ჟ. შავიზღვისპირეთი ელინური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XI, 2005.

204. წერეთელი 1966: წერეთელი ალ. ძველი საბერძნეთი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1966.

205. წითლანაძე 1973: წითლანაძე ლ. არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ლიაში. ჟ. ძეგლის მეგობარი, №33, 1973.

206. ჭყონია 1999: ჭყონია ა. კოლხური ოქროს ექსპორტის საკითხისათვის. ჟ. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი. 1999 წ. 20-23 სექტემბერი. ძიებანი, დამატებანი, I, 1999.

207. ხახუტაიშვილი 1982: ხახუტაიშვილი დ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. ჟ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XI, 1982.

208. ხოშტარია 1959: ხოშტარია ნ. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. კრ. საქართველოს არქეოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1959.

209. ჯავახიშვილი 1950: ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1950.

210. ჯანაშია 1949: ჯანაშია ს. საქართველო ადრიდელი ფეოდალიზაციის გზაზე. კრ. შრომები, ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1949.

211. ჯანაშია 1988: ჯანაშია ს. შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, შრომები, ტ. VI. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1988.

212. ჯიბლაძე 1985: ჯიბლაძე ლერი. ძველი კოლხური მასალები ენგურის მარჯვენა სანაპიროდან. ჟ. ძეგლის მეგობარი, №70, 1985.

213. Анохин 1986: Анохин В. А. Монетное дело Боспора. Киев: Издательство Наукова Думка, 1986.

214. Анчабадзе 1964: Анчабадзе, З. В. История и культура древней Абхазии. Москва: Наука, 1964.

215. Анчабадзе 1976: Анчабадзе, З. В. Очерки этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976.

216. Апакидзе… 1963: Апакидзе, А. М. Лордкипанидзе, О. Д. Новые материалы к археологии Диоскурии-Себастополиса. Труды Абхазского института языка, литературы и истории. №33, 1963.

217. Барамидзе 1988: Барамидзе, М. В. Пичорское поселение. Местные этно-политические объеденения Причерноморья в VII-IV вв. до н. э. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1988.
218. Барамидзе 1990: Барамидзе, М. В. Пичорское поселение, Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1990.
219. Беляев 1979: Беляев С. А., Древнегреческая колонизация с точки зрения права. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
220. Блаватский... 1979: Блаватский В. Д., Кошеленко Г. А., Кругликова И. Т. Полис и миграция Греков. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
221. Болтунова 1963: Болтунова, А. И. Античные города Грузии и Армении. Античный город. Москва: Издательство АН СССР, 1963.
222. Болтунова 1979: Болтунова А. И. Эллинские апойкии и местное население Колхиды. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
223. Болтунова 1981: Болтунова, А. И. К вопросу о социально-политической организации Колхов. Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1981.
224. Брашинский 1958: Брашинский, И. Б. Понтийская экспедиция Перикла. ВДИ, №3, 1958.
225. Брашинский 1967: Брашинский И. Б. К истории экономических связей восточного Причерноморья в античную эпоху (по нумизматическим материалам). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XLVII, №3, 1967.
226. Брашинский 1973: Брашинский, И. Б. Синопа и Колхида. Кавказско-ближневосточный сборник. Вопросы древней истории. Вып. IV. 1973.
227. Брашинский 1979: Брашинский И. Б., Щеглов А. Н. Некоторые проблемы Греческой Колонизации. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

228. Брашинский 1980: Брашинский. И. Б. основные черты греко-варварской торговли в античном Причерноморье и ее особенности в Колхиде. Тбилиси: Издательство Тбилисского университета. Тбилиси. 1980.
229. Брашинский 1985: Брашинский, И. Б. Черноморская торговля в эпоху Эллинизма. Причерноморье в эпоху Эллинизма. Материалы III Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1985.
230. Вашакидзе... 1985: Вашакидзе, Н. Кахидзе, А. Ю. Могильники эллинистического времени в юго-западной Грузии. Причерноморье в эпоху Эллинизма. Материалы III Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1985.
231. Виноградов 1979: Виноградов Ю. Г. Милет и Ольвия. проблема взаимоотношении метрополии и колонии на раннем этапе. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
232. Воронов 1969: Воронов, Ю.Н. Археологическая карта Абхазии. Сухуми: Издательство "Алашара", 1969.
233. Воронов 1972: Воронов Ю. Н. Об Эшерском городише. СА, №1, 1972.
234. Воронов 1976: Воронов, Ю. Н. Гиенос. СА, №4, 1976.
235. Воронов 1977: Воронов, Ю. Н. К изучению керамического производства Диоскуриады. СА. 1977. №2
236. Воронов 1979: Воронов Ю.Н. Некоторые проблемы социальной истории Северной Колхиды в эпоху Греческой Колонизации. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
237. Воронов 1980: Воронов, Ю.Н. Диоскуриада-Себастополис-Цхум. Москва: Наука, 1980.
238. Воронов 1981: Воронов, Ю.Н. Местное население северо-западной Колхиды в VIII-VI вв. до н.э. Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1981.

239. Воронов… 1978: Воронов Ю.Н. Гунба М.М. Новые памятники колхидской культуры в Абхазии. СА, №2. 1978.

240. Гайдукевич 1949: Гайдукевич В. Ф. Боспорчкое царство. Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР, 1949.

241. Голенко 1963: Голенко К. В. Еще о монетах, приписываемых Савмаку. ВДИ, №3, 1963.

242. Грач, 1985: Грач, Н. Л. Нимфей в конце IV-I вв. до н. э. (особенности развиттия). Причерноморье в эпоху Эллинизма. Тбилиси. Материалы III Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1985.

243. Доватур 1955: Доватур, А. И. Аграрный Милет. ВДИ. №1, 1955.

244. Дундуа 1979: Дундуа Г.Ф. Еще раз о происхождении Колхидок. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

245. Дундуа 1987: Дундуа Г. Нумизматика Античной Грузии. Тбилиси: Издательство: «Мецниереба». 1987.

246. Дундуа 2002: Дундуа Т. Монетное дело Грузии. Тбилиси: Издательство: «Меридиани», 2002.

247. Зеест 1960: Зеест И. Б. Керамическая тара Боспора. Москва: Издательство Академии Наук СССР, 1960.

248. Зограф 1951: Зограф, А. Н. Античные монеты. МИА. Москва: Издательство АН СССР, 1951.

249. Золотарев 1979: Золотарев М. И. Новые данные о древных морских путях в Понте Эвксинском. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

250. Иващенко 1926: Иващенко, М.М. К вопросу о местонахождении Диоскурии древних. Известия абхазского научного общества. 1926. вып. IV.

251. Инадзе 1968: Инадзе, М. Причерноморские города Древней Колхиды. Тбилиси: «Мецниереба», 1968.

252. Инадзе 1973: Инадзе, М. П. О времени образования Колхидского царства по данным древнегреческих авторов. Кавказско-ближневосточный сборник.

Вопросы древней истории. Вып. IV. 1973.

253. Инадзе 1979: Инадзе М. И. О некоторой специфике Греческой Колонизации восточного Причерноморья. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
254. Инадзе 1988: Инадзе М. К интерпретации Эшерской греческой надписи. - Кавказско-Ближневосточный сборник. VIII. Тбилиси: Издательство «Мецниереба», 1988.
255. Инаури 1990: Инаури, Г. А. Археологические разведки в с. Сулори. Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1990.
256. Каухчишвили 1975: Каухчишвили Т.С. Греческая эпиграфика как источник истории Грузии. Проблемы античной культуры. Тбилиси: Издательство Тбилисского Университета, 1975.
257. Каухчишвили 1985: Каухчишвили Т. Греческая надпись Эшерского городиша. Сб. Источниковедческие разыскания. Тбилиси: «Мецниереба», 1985.
258. Каухчишвили1979: Каухчишвили Т. С. Письменные источники по вопросу «колонизации» восточного Причерноморья. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
259. Кахидзе 1972: Кахидзе, А. Ю. Восточное Причерноморье в античную эпоху. Батуми: Сабчота Аджара, 1981.
260. Кахидзе 1979: Кахидзе А. Ю. Археологические раскопки Пичвнари и некоторые вопросы Греческой Колонизации восточного Причерноморья. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
261. Кахидзе 1979а: Кахидзе, А. Ю. Древнегреческий могильник Пичвнари (IV в. до н. э.). СА. №1, 1979.
262. Качарава 1972: Качарава Д. Д. Город Гиэнос в античную эпоху (Автореф... канд. ист. наук). Тбилиси: Институт истории, археологии и этнографии, 1972.
263. Качарава 1990: Качарава, Д. Д. Привозная керамика и чернолаковая керамика VI-IV вв. до н. э. из Ванского городища. Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V

Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1990.

264. Качарава 1991: Качарава, Д. А. Квирквелия, Г. Т. Города и поселения Причерноморья античной эпохи. Тбилиси: “Мецниереба», 1991.

265. Качарава: Качарава Д. Д. Некоторые вопросы истории Гиэноса. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

266. Квирквелия 1979: Квирквелия Г.Т. Местное население в Раионе Сухумской бухты в период Греческой Колонизации. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

267. Квирквелия 1981: Квирквелия, Г. Очамчире и его окружение в VIII-VI вв. до н.э. Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1981.

268. Колобова 1949: Колобова, К. М. К истории вопроса о греческой колонизации. ВДИ, №2, 1949.

269. Кошеленко 1979: Кошеленко Г. А. Греческий полис на эллинистическом востоке. Москва: Издательство "Наука", 1979.

270. Кошеленко 1990: Кошеленко, Г. А. Кузнецов, В. Д. Греческая колонизация Боспора. Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1990.

271. Кузищин 2005: История Древней Греции, под. ред. В. Кузищина. Москва: Издательство Высшая Школа, 2005.

272. Куфтин 1949: Куфтин, Б. Материалы к археологии Колхиды. I. Тбилиси: Издательство «Техника да Шрома», 1949.

273. Куфтин 1950: Материалы к археологии Колхиды. II. Тбилиси: Издательство «Техника да Шрома», 1950.

274. Латышев 1947: Латышев В. В. Известия Древных писателей о Скифии и Кавказе. ВДИ. №1. 1947.

275. Ломоури 1967: Ломоури, Н. Ю. К вопросу о греческой колонизации побережья Колхиды. Античное общество. Москва: Издательство "Наука", 1967.

276. Ломоури 1981: Ломоури, Н. Ю. Грузино-Римские взаимоотношения, Тбилиси: Издательство Тбилисского университета, 1981.

277. Лордкипанидзе 1977: Лордкипанидзе От. К Проблеме Греческой Колонизации Восточного Причерноморья (Колхиды). Тбилиси: издательство «Мецниереба», 1977.

278. Лордкипанидзе 1970: Лордкипанидзе, Г. К истории Древней Колхиды. Тбилиси: Ганатлеба, 1970.

279. Лордкипанидзе 1975: Лордкипанидзе О. Д. Античный мир и восточное Причерноморье (Колхида, Иберия). Тбилиси: Издательство Тбилисского Университета, 1975.

280. Лордкипанидзе 1978: Лордкипанидзе, Г. Колхида в VI-II вв. до н.э. Тбилиси: "Мецниереба», 1978.

281. Лордкипанидзе 1979: Лордкипанидзе О. К проблеме греческой колонизации восточного причерноморья. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

282. Лордкипанидзе 19791: Лордкипанидзе Г.А. О характере Колхо-греческих взаимоотношений в VI-IV вв. до н. э. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

283. Лордкипанидзе 1980: Лордкипанидзе О. Античный мир и Восточное Причерноморье (Колхида, Иберия). Кавказ и Средиземноморье. Тбилиси: Издательство Тбилисского университета. 1980.

284. Лордкипанидзе 1981: Лордкипанидзе, О. Д. Микеладзе, Т. К. О демографической ситуации в восточном Причерноморье (Колхида) в период Великой Греческой Колонизации. Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1981.

285. Лордкипанидзе 1985: Лордкипанидзе, О. Д. «Эллинизм», «Эллинистический мир», «Эллинистическая культура» (Трудности дефиниции). Причерноморье в эпоху Эллинизма. Материалы III Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1985.

286. Лордкипанидзе 1989: Лордкипанидзе, О. Д. Наследие Древней Грузии. Тбилиси: Мецниереба, 1989.

287. Лордкипанидзе 1990: Лордкипанидзе, О. Д. Основные проблемы древней истории Причерноморья. Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1990.
288. Лордкипанидзе... 1988: Лордкипанидзе, О. Д. Микеладзе, Т. К. Колхида в VII-IV вв. до н. э. Местные этно-политические объеденения причерноморья в VII-IV вв. до н. э. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1988.
289. Лордкипанидзе... 1990: Лордкипанидзе, О. Д. Микеладзе, Т. К. Восточное причерноморье (Колхида) VII-V вв. до. н. э. Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1990.
290. Максимова 1958: Максимова, М. И. Античные города Юго-восточного Причерноморья. Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР, 1958.
291. Маринович 1985: Маринович, Л. П. Полис и эллинистическая монархия: к проблеме генезиса отношении. Причерноморье в эпоху Эллинизма. Материалы III Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1985.
292. Меликишвили 1959: Меликишвили, Г. К историй древней Грузии. Тбилиси: Издательство Академии наук Грузинской ССР. 1959.
293. Микеладзе 1979: Микеладзе Т. К. Материалы к археологии «хоры» Древнего Фасиса. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.
294. Монахов 1985: Монахов, С. Ю. Производство амфор в эллинистическом херсонесе (вопросы технологии и объема). Причерноморье в эпоху Эллинизма. Тбилиси. Материалы III Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1985.
295. Пирцхалава 1990: Пирцхалава, М. С. Колхидская керамика VI-IV вв. до н. э. из Вани. Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1990.
296. Рамишвили 1975: Рамишвили А. Т. О назначении стоянок с «Текстильной керамики» восточного Причерноморья. СА, №4, 1975.

297. Рамишвили 1975: Рамишвили, А. Т. Раскопки Приморских стоянок в Пичвнари (Кобулети) в 1960-1964 и 1967 гг. СА. №1, 1975.

298. Сапрыкин 1979: Сапрыкин С. Ю. Экономические основы колозаницйонной деятельности Гераклеи Понтийской. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

299. Сапрыкин 1981: Сапрыкин С.Ю. Полисы и местное население южного Причерноморья в архаическую и классическую эпохи: Гераклея и Мариандины. Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1981.

300. Соловьев 1947: Соловьев, Л. Н. Диоскурия-Севастополис-Цхум. Труды Абхазского государственного музея. №1, 1947.

301. Соловьев 1947а: Соловьев, Л. Н. Следы Древнего соляного промисла близ г. Сухуми и г. Очамчире. Труды Абхазского государственного музея. №1, 1947.

302. Трапш 1955: Трапш, М.М. Краткий Отчет О Результатах Археологических Исследований В Сухуми В 1952 Году. Труды Абхазского института языка, литературы и истории. 1955. №26.

303. Трапш 1963: Трапш, М. М. Раскопки древнего Себастополиса, Труды АБИЯЛИ, XXXIII, 1963.

304. Трапш 1969: Трапш, М. М. Труды. 2. Древный Сухуми. Сухуми: издательство «Алашара», 1969.

305. Фролов 1981: Фролов, Э. Д. Гереклейские Мариандины (к проблеме взаимоотношении Греческих колонистов и местных племен в зоне Дорийской колонизации. Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Тбилиси: Издательство «Мецниереба», 1981.

306. Хахутаишвили 1979: Хахутаишвили Д. А. Некоторые вопросы истории древнеколхидской металургии железа. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

307. Хахутаишвили… 1985: Хахутаишвили, Д. А. Кахидзе, А. Ю. Пичвнари в эллинистическую эпоху. Причерноморье в эпоху Эллинизма. Материалы III Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси.

Издательство «Мецниереба», 1985.

308. Херсонес 2005: Херсонес Таврический. Киев: Издательство «Академпериодика», 2005.

309. Шамба 1972: Шамба, Г.К. Об Одном Раннеэллинистическом Захоронении Представителя Древнеабхазской Знати из с. Эшера. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 1972. №1.

310. Шамба 1979: Шамба Г. К. К истории Абхазии в раннеантичную эпоху. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

311. Шамба 1979: Шамба, Г.К. Раннеантичный Импорт Ешерского городища (Керамика). Материалы по археологии Абхазии. Тбилиси: Издательство «Мецниереба», 1979.

312. Шамба 1979а: Шамба, Г.К. Раскопки Эшерского Городища И некоторые вопросы истории Диоскурии. Проблемы античной истории Грузии. II. Ереван: АН АрмССР, 1979.

313. Шамба 1980: Г. К. Эшерское городише, Тбилиси: Мецниереба, 1980.

314. Шамба 1988: Шамба, Г. Гюенос-1. Тбилиси: Мецниереба, 1988.

315. Шамба 1988: Шамба, Г. К. Северо-западная Колхида в VI в. до н. э. Местные этно-политические объеденения Причерноморья в VII-IV вв. до н. э. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1988.

316. Щелов 1980: Щелов Д. Б. Колхида в системе Понтийской державы Митридата VI. ВДИ. №3, 1980.

317. Ю. Н. Воронов, Восточное Причерноморье в системе эллинистического мира. Причерноморье в эпоху Эллинизма. Материалы III Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1985.

318. Яйленко 1979: Яйленко В. П. Древнегреческая колонизационная практика. Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Тбилиси. Издательство «Мецниереба», 1979.

319. Anand… 1992: Anand AC. Ramji C. Narula AS. Singh W. Malarial Hepatitis: a Heterogeneous Symdrome? The National Medical Journal of India. 1992. March-April.

320. Ancient Greeks 1999: West an East: edited by G. Tsetskhladze. Leiden-Boston-Koln: Brill. 1999.

321. Andreau 1999: Andreau J. Banking and Business in the Roman World. Cambridge: Cambridge University Press, 1999.

322. ANSM 1885: Arriani Nicomediensis Scripta Minora. Arrian. Rudolf Hercher. Alfred Eberhard. in aedibus B. G. Teubneri. Leipzig: Lipsiae, 1885.

323. Bean 1976: Bean G. E. The Princeton encyclopedia of classical sites. Stillwell, Richard. MacDonald, William L. McAlister, Marian Holland. Princeton, N.J. Princeton University Press. 1976. ᲫᲝᲑ: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.04.0006%3Aalphabetic+letter%3DM%3Aentry+group%3D8%3Aentry%3Dmyous

324. Bill 1929: Bill, Clarence P. Tracking the Greeks. The Classical journal. vol. 25. no.1 (october) 1929.

325. Boardman 1990: Boardman, John. Perception of Colchis. Причерноморье VII-V вв. до. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси. 1990.

326. Boardman 2000: Boardman, John. The Greek colonization of the Black Sea area: Historical interpretation of archaeology, edited by Gocha R. Tsetskhladze, (Historia einzelschriften 121), Pp. 336, figs., 44. Franz Steiner, Stuttgart 1998. DM 148. ISBN 3-515-07302-7 (paper). American Journal of Archaeology, vol. 104, No. 2 (April). 2000.

327. Boardman 2001: Boardman, John. Aspects of Colonization. Bulletin of the American Schools of Oriental Research. No. 322 (May) 2001.

328. Braund 1994: Braund, David. Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 B. C.-A. D. 562 by D. Braund. London: Oxford University Press, 1994.

329. Britannica: Encyclopaedia Britannica. Available at: http://www.britannica.com/

330. Cambridge 1964: Cambridge Ancient History. Volume IV. Ed. By J. B. Bury, S. A. Cook, F. E. Adcock. Cambridge: at the University Press. 1964.

331. Cambridge 1964a: Cambridge Ancient History. Volume V. Ed. By J. B. Bury, S. A. Cook, F. E. Adcock. Cambridge: at the University Press. 1964.

332. Cambridge 1964b: Cambridge Ancient History. Volume VI. Ed. By J. B. Bury, S. A. Cook, F. E. Adcock. Cambridge: at the University Press. 1964.

333. Cook 1962: Cook J. M. The Greeks in Ionia and the East. New York - Washington: Frederick A. Praeger. 1962.

334. DNP: Der Neue Pauly. Band 10. Stuttgart-Weimar: Verlag J. B. Metzler. 2003.

335. Drews 1976: Drews, Robert. The Earliest Greek Settlements on the Black Sea. The Journal of Hellenic Studies. vol. 96. 1976.

336. Dundua 2012: Dundua, Tedo. Georgia within the European Intergration. Part I. Greeks and the Georgians. Tbilisi: Meridian Publishers. 2012.

337. Ferguson 1979: Ferguson, John. Greek Civilization in the Open. Greece & Rome, Second Series, Vol. 26. No. 1. (April) 1979.

338. Finley 1973: Finley, M. The Ancient Economy. California: University of California Press, 1973.

339. Finley 1976: Finley, M. I. Colonies: An attempt at a typology. Transactions of the Royal Historical Society, fifth Series, Vol. 26. 1976.

340. Gorman 2004: Gorman, Vanessa. Miletos: The Ornament of Ionia. A history of the City to 400 B.C.E. Michigan: University of Michigan. 2004.

341. Graham 1958: Graham, A. J. The date of the Greek penetration of the Black Sea. Bulletin of the institute of Classical studies. 5. 1958.

342. Graham 1961: Graham. Hugh F., Soviet Classical Scholarship and the Black Seas Region. The Classical Journal. Vol. 56, No. 5 (February) 1961.

343. Graham 1964: Graham, A. J. Colony and Mother City in Ancient Greece. Manchester: Manchester University Press. 1964.

344. Graham 1971: Graham, A. J. Patterns in Early Greek Civilization. The Journal of Hellenic Studies. vol. 91. 1971.

345. Greaves 2002: Alan M. Greaves. Miletos: A History. London: Routledge. 2002.

346. Greaves 2004: Greaves. Alan M., The Cult of Aphrodites in Miletos and its Colonies. Anatolian Studies. Vol. 54. 2004.

347. Greene 2000: Greene, Kevin. Technological Innovation and Economic Progress in the Ancient World: M. I. Finley Reconsidered. The Economic History Review, New Series, Vol. 53, No. 1 (February) 2000.

348. Hanfmann... 1960: Hanfmann, George M. A., and Roebuck, Carl. The Ionian Trade and Civilization, New York, Archaeological Institute of America 1959, VIII, 148 s. 4 Karten, 4°. 7,5$, (monographs on archaeology and fine arts. 9.). Gnomon, 32. Bd., H. 8. 1960.
349. Hansen 2000: Hansen, Mogens Herman. A survey of the use of the word Polis in Archaic and Classical sources. Further studies in the Ancient Greek Polis. Ed. By Pernille Flensted-Jensen. Stuttgart: Steiner, 2000.
350. Hansen 2006: Hansen, M. H. Polis: An introduction to the Ancient Greek City-States. London: Oxford University Press. 2006.
351. Hind 1983-1984: Hind, J. G. F. Greek and Barbarian Peoples on the Shores of the Black Sea. Archaeological reports, No. 30. 1983 – 1984.
352. Hind 1988: Hind, John. The Colonisation of Sinope and the South-East Black Sea Area. Местные этно-политические объеденения причерноморья в VII-IV вв. до н. э. Тбилиси. 1988.
353. Hind 1992-1993: Hind, J. G. F. Archaeology of the Greeks and Barbarían Peoples around the Black Sea (1982 – 1992), Archaeological reports, no. 39. 1992-1993.
354. Hind 1999: Hind, J. Pomponiu mela on colonies in west and east. Ancient Greeks: West and East. Ed. By G. Tsetskhladze. Leiden-Boston-Koln: Brill, 1999.
355. Hippocrates 1868: Hippocrates. Collected Works I. Hippocrates. W. H. S. Jones. Cambridge: Harvard University Press, 1868.
356. Hygiene 1988: Hygiene Effort Against Hepatitis. New York Times. November 15. 1988.
357. IG: Inscriptiones Graecae. Searchable Greek Inscriptions. Online edition. The Packard Humanities Institute. Last update June 1st, 2013. available at: http://epigraphy.packhum.org/inscriptions/
358. Jeffery 1976: Jeffery L. H. Archaic Greece. The City-States c. 700-500 B. C. London: Methuen and Co LTD. 1976.
359. Kochar… 2003: Kochar DK. Singh P. Agarwal P. Kochar SK. Pokharna R. Sareen PK. Malarial Hepatitis. The Journal of the Associatrion of Physicians of India. 2003 November; 51.
360. Labaree 1957: Labaree, Benjamin W. How the Greeks sailed into the Black Sea. American Journal of Archaeology. vol. 61. #1 (January) 1957.
361. Licheli 1994: Licheli, Vakhtang. The Black Sea – Vani samtskhe: the Spreading Route of Black Glazed Pottery. La Mer Noire, Zone De Contacts – Actes Du VIIe Symposium De Vani, Colchide, 26-30 IX 1994.

362. Lordkipanidze 2000: Lordkipanidze, Otar. Phasis, the River and the City in Colchis. Stuttgart: Steiner, 2000.

363. Luraghi 2006: Luraghi, Nino. Traders, Pirates, Warriors: The Proto-History of Greek Mercenary Soldiers in the Eastern Mediterranean. Phoenix. Vol. 60, No. 1/2 (Spring – Summer) 2006.

364. Morgan 2003: Morgan C. Early Greek States Beyond the Polis. London and New York: Routledge. 2003.

365. Morris 1884: Morris, C. D. The Relation of a Greek colony to its Mother city. The American Journal of Philology. vol. 5. No. 4. 1884.

366. New Studies on Black Sea Littoral. Coloquia Pontica. I. ed. By Gocha Tsetskhladze. Oxford: Oxbow books, 1996.

367. Noonan 1973: Noonan, Thomas S. The Grain Trade of the Northern Black Sea in Antiquity. The American Journal of Philology. vol. 94. No. 3 (Autumn) 1973.

368. Pausanias 1918: Pausanias. Pausanias Description of Greece with an English Translation by W.H.S. Jones, Litt.D., and H.A. Ormerod, M.A., in 4 Volumes. Cambridge, MA, Harvard University Press; London, William Heinemann Ltd. 1918.

369. Perlman 1953: Perlman. S. Panhellenism, the Polis and Imperialism. Historia: Zeitschrift fur Alte Geschichte, Bd. 25, H. 1 (1st Qtr) 1976.

370. Peters 1915: Peters, Christian Heinrich Friedrich, Knobel, Edward Ball. Ptolemy's Catalogue of Stars, a revision of the Almagest. The Carnegie. Institution of Washington 1915. available at: http://archive.org/stream/cu31924012300491/cu31924012300491_djvu.txt

371. Peters 1915: Peters, Christian Heinrich Friedrich, Knobel, Edward Ball. Ptolemy's Catalogue of Stars, a revision of the Almagest. Carnegie. Institution of Washington 1915. available at: http://archive.org/stream/cu31924012

372. Petrakos 1963: Petrakos B. Dedicace des AEINAϒTAI D'Eretrie. Bulletin de correspondance Hellenique. Vol.87. 1963.

373. Pind: Pythian 4. Pindar. Steven J. Willett.2001. available at: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus:text:1999.01.0223

374. Pliny 1855: The Natural History. Pliny the Elder. John Bostock. M.D. F.R.S. H.T. Riley. Esq. B.A. London. Taylor and Francis. Red Lion Court, Fleet Street. 1855.

375. Plut. Quaes. Gr.: Plutarch. Moralia. with an English Translation by. Frank Cole Babbitt. Cambridge, MA. Harvard University Press. London. William Heinemann Ltd. 1936. 4. avaiable at: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0213%3Ast

ephpage%3D298c

376. Poinikastas: Poinikastas: Epigraphic sources for early Greek writing. Online edition. Available at: http://poinikastas.csad.ox.ac.uk/

377. Polybius 1889: Histories. Polybius. Evelyn S. Shuckburgh. translator. London, New York: Macmillan. 1889. Reprint Bloomington 1962. available at: http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus:text:1999.01.0234

378. RE 1895: Paulys Realencyclopädie der classischen Altertumswissenschaft. Band. II. 1. Stuttgart: Metzler, 1895.

379. RE 1952: Paulys Realencyclopädie der classischen Altertumswissenschaft. Band XXI. 2. Stuttgart: Metzler, 1952.

380. Robertson 1987: Robertson Noel, Government and Society at Miletus: Phoenix. Vol. 41. (Winter) 1987.

381. Robinson 1906 1: Robinson, David M. Ancient Sinope. II. American Journal of Philology. vol. XXVII, 3. 1906.

382. Robinson 1906: Robinson, David M. Ancient Sinope. I. American Journal of Philology. vol. XXVII, 2. 1906.

383. Roebuck 1951: Roebuck, Carl. The Organization of Naukratis. Classical Philology. Vol. 46. No. 4. (October) 1951.

384. Roebuck 1953: Roebuck, Carl. The Economic Development of Ionia. Classical Philology. vol. 48. no. 1 (January) 1953.

385. Roebuck 1955: Roebuck, Carl. The Early Ionian League. Classical Philology, Vol. 50, No. 1 (January) 1955.

386. Roebuck 1959: Roebuck C. Ionian Trade and Colonization. New York: Archaeological Institute of America. 1959.

387. Rostovtzeff 1936: Rostovtzeff, Michael I. The Hellenistic World and its Economic Development. The American Historical Review, Vol. 41. No. 2. (Jauary), 1936.

388. Scheidel 2003: Scheidel, Walter. The Greek Demographic Expansion: Models and Comparisons. The Journal of Hellenic Studies, Vol. 123. 2003.

389. Scramuzza 1939: Scramuzza, Vincent M. Greek and English Colonization. The American Journal of Historical Review. Vol. 44. No. 2 (January) 1939.

390. Starr 1977: The Economic and Social Growth of Early Greece 800-500 B. C. by Chester G. Starr. New York. Oxford University Press. 1977.

391. Strabo 1924: Strabo. ed. H. L. Jones. The Geography of Strabo. Cambridge. Mass.: Harvard University Press; London: William Heinemann. Ltd. 1924.

392. Thesaurus: Thesaurus Linguae Graecae. A digital library o Greek literature. Available at: http://stephanus.tlg.uci.edu/

393. Tsetskhladze 1992: Tsetskhladze,G. R. Vnukov, S. Y. Colchian Amphorae: Typology, Chronology, and Aspects of production. The Annual of the British School at Athens. Vol. 87. 1992.

394. Tsetskhladze 1994: Tsetskhladze, G. R. D. Braund Georgia in Antiquity, A history of Colchis and transcaucasian Iberia. 550 B. C. – A. D. 562. Pp. XVIII + 360, 8 maps, 21 plates. Oxford: Clarendon Press, 1994. Cased, £40. The Classical Review, New Series, Vol. 45, No. 2. 1995.

395. Tsetskhladze 1999: Tsetskhladze G. Pichvnari and its environs 6th c. B. C. 4th c. A. D. Annales Littéraires de l'Université de Franche-Comté, 659, Editeurs: M. Clavel-Lévêque, E. Geny, P. Lévêque. Paris: Presses Universitaires Franc-Comtoises, 1999.

396. White 1961: White, Mary E. Greek Colonization. The Journal of Economic History. Vol. 21, No. 4 (December) 1961.